

ՅՈՒՆԻՍԿՈ

8



ՅՈՒՆԻՍԿՈ 1963



ნარინჯის კრეფა



1963/5. სიკსაქი

შინაარსი

გრიგოლ ცაცხლაძე — მე სიჭაბუკის მინდა ისევ განმეორება. ლექსი	3
მეღვა კახიძე — ლექსები	5
1545/6 ბაგუ მებურიშვილი — ლექსები	8
მერაბ ელიოზიშვილი — სინოს წი- თელი ხარები. მოთხრობა	10
თამაზ კიკნაძე — მზე ჩადიოდა. მო- თხრობა	16
ელენე და გიორგი პაპაშვილები — სადაც ყველაფერი შეიძლება მოხ- დეს. რომანი. დასასრული. ინგლისურიდან თარგმნა ან. კეიშვილმა	19
გიორგი ჭავჭავაძე — ჯგარისკაცის ჩა- ნაწერები. გაგრძელება	46
ორღე ღვებუაძე — ჩაძირული „თო- ლია“. სათავედასაველო რომანი. გაგრძე- ლება	63
● საკავიო დაუაზე	
ლადო სულაზმირიძე — ბიძია ქრისტოს გოგონები. ნარკვევი	82

8

აგვისტო 1963

გამომცემლობა

ლიბერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
შურნალი

საქართველოს ალკ. ც. კადა და
მწიარალთა კავშირის თანადრო





საქართველო საქართველო საქართველო

●
ლესია უკრაინკა

გიორგი ნამორაძე — უკრაინული ლიტერატურის სიამაუე 91

●
ქრიგოკა და პუბლიცისტიკა

ნინო ჩიხლაძე — ნოე ჩხიკვაძე 94

ივანე იმნაიშვილი — მხატვრული ენის ზოგიერთი საკითხი 96

ალექსანდრე ბრეგვაძე, ელგუჯა ჩაღუნელი — სასარგებლო ნაშრომი 114

●
რუსთაველის ნაქველევზა

ნოდარ ნათაძე — ობიექტური შეცნობა და სხვისი კლასიკოსების შეფასება 119

* * *

თამაზ ჰილაძე — თამარ აბაქელია 137

●
მეხენიკა და გეჟიკა

ილია ტაბაღაძე — ბასკებთან 140

●
სპორტი

ალექსანდრე კაიშაური — თავდადებული სპორტსმენი 155

რედაქტორი კონსტანტინე ლორთქიფანიძე

სარედაქციო კოლეგია:

გურამ გვერდუითელი, კარლო კალაძე, როინ მეტრეველი, გურამ ფანჯიკიძე (პ/მგ მდივანი), გიორგი ციციშვილი, ვლადიმერ ჭავჭავანიძე, ვახტანგ ჭელიძე, სერგი ჭილაია, თამაზ ჭილაძე, ლაშა ჯანაშია.

ქურნალი გააფორმა მხატვარმა გულდა კალაძემ.

გრიგოლ ტყეშელაშვილი

მე სიზაბუჯის მინდა ისევ განმეორება


სანამ ცოცხალ ვარ,
 გიჟურ ტრფობას
 რა დამავიწყებს.
 ჭაბუკურ ლელვის
 დღენი მუდამ
 მემახსოვრება.
 შეტეორივით
 ჩაიჭროლა
 ჩემმა ცხოვრებამ...
 მაინც მგონია,
 რომ სიცოცხლეს
 მე ახლა ვიწყებ.

მაინც სიცოცხლის
 სიყვარულით
 გული ვერ ძღება.
 გზა ასი წლისკენ
 მიმავალი
 არ მეშორება.
 მე სიჭაბუკის
 მინდა ისევ
 განმეორება
 და მიხარია,
 რომ ღიმილი
 შენი არ ჭკნება.

სამოცი წელი
 მინდა სადღაც
 თავისთვის იყოს.
 შენც ჩამოგცილდეს
 მინდა ტვირთი
 ორმოცდაათის,

მზიურ ქვეყანას
ეტრფილოს
გული მარადის,
არ დაიღალოს,
არ ჩამორჩეს,
არ გაირიყოს.

გზა ასი წლისკენ
მიმავალი
არ მეშორება.
მე სიჭაბუკის
მინდა ისევ განმეორება.



მერეა კახიძე



ისევ ისე წავლენ წყლები,
ისევ ისე წავა წლები,
სალუქის წყალს ხევსურეთში
ისევ ისე წავაწყდებით.

არ იქნება არ დალიო
წყაროს წყალი სათვალისო.
ვინდ არც იყო სამწყურვალო,
ვერ გადადებ სახვალისოდ.

ქარი ისევ იქირქილებს
გზაზე ჩვენი გადამკიდე.
მაგრამ ისევ თეთრ წისქვილებს
შევეყრებით განა კიდევ!

მთებზე დაღვრილ სილაყვარდეს
და მზის ფერებს სად წაუფალთ,
ასჯერ ნანახ სილამაზეს
შევიცხადებთ სასწაულად.

შემოგვხვდება ორწოხები
დასაგები კიდევანად,
დიდ სიხარულს ვიწრო გზებზე
წავაწყდებით კიდევ განა?

ისევ ისე წავა წლები,
ისევ ისე წავლენ წყლები,
ხევსურეთის თეთრა ჩქერებს
განა ისევ წავაწყდებით!



პატარა შატილურა

ვერა თმობ დილის ბურანს
და გზისკენ იწევ მაინც,
პატარა შატილურა,
მიეშურები საით!


ვინ დაგანათლა ნეტავ,
შუქი ქართული მზისა,
ასე პატარა ხნისა
გამოჰპარეხარ ვისა.

ველარ ამოხვალ მთებში,
იცი და განა დარდობ,
ასე პატარა — ტყეში
ვინ გამოგიშვა მარტო!

მხრებზე ლაქვარდი გხურავს
და თავს გვაწონებ კრძალვით.
პატარა შატილურა,
მიგეჩქარება საით?



მე ორი ცა მაქვს
ქვეყნად,
ორივე ჩემად ვცანი.
ერთი თვალეზი შენი
ერთიც ქართული ცაი,
ორივე საოცნებო,
ორივე სალოცავი!



უზენოდ

ვარ მზითა და სიყვარულით
ხვაერიელი,
ვით ალაზნის მადლიანი ველი,
დაე, გული მყუდრო,
როგორც ეკლესია,
აზვავდეს და გახდეს
დასაბმელი.

მე ამქვეყნად
შენნაირი გულის მჯერა,
მჯერა მხოლოდ შენეული დარდი,
შენს მეტს ვერვის ვერ ავუწყობ
გულის ძგერას,
როგორც ხე ქარს
ვერ აუწყობს ნაბიჯს.

მე უშენოდ
დღის სინათლე
ღამედ ვიციან,
ვერ ვერვინ შემოწოლილ ბურანს,
მე ვარ ახლად გამომწვარი დედამიწა
და შენს ირგვლივ
დღე და ღამე ვბრუნავ!
☆

საქართველოში ბევრია

არის მრავალი გზაწვრილი;
ახალბედა თუ ძველი.
გზები წლებისგან წაშლილი,
თვალმისაწევად ძნელი.

ჩრდილები ახალთახლები
და მზის გამდნარი ხვაივი,
თუ არ გინახავს, გახდები
ფერების უნახავი.

რაც ვძებნე სხვაგან სიშარტლით,
ჩვენში ყოფილა თვითონ,
ჩვენშია მზის და სინათლის
დაუღეველი ხვითო.

ვისაც უგრძნია მთის გულთან
უხვი სიუხვე ფერთა,
თავისი ფეხით მისულა
სალაპარაკოდ ღმერთთან.

კიდითი კიდე გუგუნებს
სიმღერა მთებში თქმული,
საქართველოში ბევრია
მზე და კეთილი გული!

☆ მიქაელ ლექსები ☆
☆ მელა ბახიძე ☆



გაკუ მებაჩიშვილი

ი რ მ ა ს

შენ რომ იმდერო ტკბილად და შვეებით,
 შენ რომ იცხოვრო შეუშფოთებლად,
 მომიწვეს მრავალ აღმართთან შებმა,
 ბევრის ატანა,
 ბევრის მოთმენა.

შენ უნდა გქონდეს დღეები მშვიდი
 და მოჩითული აპრილებივით.
 სულაც არ მინდა,
 სულაც არ მინდა,
 აგავსო მხოლოდ დაპირებებით.

ცოტა ხანს კიდევ იყავი სოფლად,
 ჩრდილში ჩამოჯექ ბლებთან, ბიებთან
 და ნედლი მიწის ცისფერი ორთქლი
 ისუნთქე ლაღად და ნებიერად.

ზგატში ღელეზე ნუ ივლი ხშირად,
 დაგღლის,
 დაგქანცავს გართობა მეტი.
 ვიცი, ეხვევი თოჯინას ხშირად
 და მე მშურს შენი თოჯინის ბედი.

გნახავს და გიცნობს ჩემი ბავშვობა,
 თუ გაიღიმა მზემაც სადარედ,
 ხელს ჩაგკიდებს და გეთამაშება
 და მთებს და მინდვრებს შემოგატარებს.

და როგორც შენი ტოლი და სწორი
 ის არ დაგიწყებს შეკამათებას.
 მზით დამწეარ მხრებზე შეგისვამს თრთოლვით,
 რომ არ დაგაკწროს ეკალბარდებმა.

დაგიჭერს პეპლებს ჭრელებს, პაწიებს,
 ბულბულს დაგიჭერს ტკბილად რომ გალობს...
 და ნუ დასცინებ,
 და ნუ დასცინებ
 დაკერებული შარვალის გამო.

ვაშლებს დაგვიკრეფს წითლებს, დიდრონებს,
ყოველ დილას და ყოველ საღამოს.
თვითონ ერთ ცალსაც არ დაიტოვებს,
ოღონდ როგორმე შენ გაგახაროს.

მერე მიხედები,
მიხედები თვითონ,
შენზე ფიქრები რატომ მესევია;
რომ შენ ხარ ჩემი ტკივილი დიდი
და სიყვარულის გამიზნეობა.

და რომ იმღერო ტუბილად და შვებით,
იცხოვრო ქვეყნად შეუშფოთებლად,
მომიწევს მრავალ აღმართთან შებმა,
ბევრის ატანა,
ბევრის მოთმენა.

☆ _____

მზეს მოელიან

მზე ნამძინარეგ თვალს ახამხამებს,
მზეს მოელიან სულის მიღვევით...
და ჯებირები გვანან ლაგამებს
დახსრულებს ტალღის თეთრი კბილებით.

გააქვთ ნაჯახებს სიჩუმე ტყიდან,
მიწას აცოცხლებს ცვარ-ნამი დილის
და ხანისწყალზე იდება ხიდად
გვიანი მგზავრის ვეება ჩრდილი.

☆ _____

მზე ძირს ჩამოდის

ჩამას

მიწის ორთქლია,
მიწის ორთქლია,
ცაში რომ ადის სვენებ-სვენებით...
და იცინიან ვაზის ფოთლები,
და იცინიან ვაზის მტვენები.
უამინდობას წუხდი, ჯავრობდი;
ახლა სახეზე ღიმი გედება.
მზე ძირს ჩამოდის,
მზე ძირს ჩამოდის
სითბოდ, სინათლედ და იმედებად.

☆
ლექსები
☆
ლილი მამუროშვილი
☆
ტაუ მამუროშვილი



სინს წიყლი ხარეზი

მოთხრობა

— ჰო, ნანა, ჰოი, ნანა, ჰო, ნანავო! — ხმამალლა ღიღინებდა სინო სადღაც ყურმოკრულ სიძღერას.

— ნუ მღერი რა?

— მა რა ვქნა?.. ჰოი, ნანა, ჰო, ნანა, ჰოი, ნანავო!

— გაჩუმდი!

— რათა, ნანა?

— საბანი ამომიგე.

— ჰოო-ჰო! — ცოლსაც პასუხი გასცა სინომ და წითელმა ხარებმაც შეწყვიტეს თავების ქნევა.

— კიდე?

— ცოტა კიდე.

— ეხლა?

— კარგი.

— ცოტათი მაინც არ დავიამდა?

— არა, ისევ ისე მტკივა.

ისევ დაარწიეს წითელმა ხარებმა საყანწე რქები და წამიერი შედგომისაგან თოვლს მიყინული მარხილი ჭრიალით დაიძრა.

ჯერ სინოს ტატყა ფეხები მიანგრევდა გაუკვალავ თოვლს და მერე წითელ ხარებს გაჰყავდათ ბილიკები. წრიალით მისრიალებდა მარხილი ტყიანი მთის ფერდზე. თხილის შეხებლებით მოწწულ მარხილში სინოს ცოლი ნანა იწვა, ჭრელ საბნებში შეფუთული.

მთვარე თამაშობდა სინოს წითელი ხარების რქებზე...

— ჰო, ნანა, ჰოი, ნანა, ჰო, ნანავო!

მერე ერთბაშად გაჩუმდა სინო, გაიტვინა. რამდენიმე ფრთხილი ნაბიჯი კიდეც წადგა და გაჩერდა. ჯერ მარცხნივ ჩაიხედა ხევში, მერე მარჯვნივ ახედა ტყეწაწვენილ ფერდობს და ბევრი რამ ჩაითქვა: ჯიხვს აღარ ესროდა, გადასაყრელიც რომ ჰქონოდა წამალი; ერთ ჯაურას გათიბავდა ირმებისათვის; ერთ მსუქან თხასაც დაკლავდა ხატი-ჯვრობაში და უფროს შვილს დაელაპარაკებოდა. მესამე და მეოთხე აღთქმა შინიდან გამოსვლისთანავე ჩაიფიქრა. ზეკარა უბერავდა და ორი ახალი აღთქმაც იმიტომ დაუმატა გზის დასაწყისში შეთქმულს სინომ.

ზეკარამ იცის, უცებ მოუსვამს სუსხიან ენას მთის წვერს, მუშტისოდენა უმანკო გუნდას გამოისვრის, ვითომც აქ არაფერიო, და მერე... სინომ გუნებაში პირჯვარიც გამოისახა... და მერე ათას-ლულიანი ქვემეხივით დაიქუხებს ზვავი თოვლგასუდრულ უძირო ხეობაში.

— ჰო, ნანა, ჰოი, ნანა, ჰოი, ნანავო! — ისევ აღიღინდა ჭირისოფლდასხმული სინო.

ნანამ ტუჩებიდან საბანი გადაიწია:

— გავიარეთ? — მისუსტებული ხმით იკითხა ნანამ.

— ჰო, ნანა, ჰოი, ნანა, ჰო, ნანავო!

ღედას უტირებს სინო ჯიხვსა, თუ კი სათოფეზე მოიგდო, ოხრად არ დაარჩენს სევადიანსა, მხარზე რო ჰკიდია;

მსუქან თხას ასამსევეებს და ტყუბ ცი-
კანსაც გაგადებინებს ადრე გაზაფხულ-
ზე. ხატს უსინოოდაც მიუვა შესაწირა-
ვი, თუ არ მიუვა და არც იმას იდარ-
დებს.

— არა, ნანა? — ნახევრად მიაბრუნა
სინომ ყბა ცოლისაკენ.

— რა იყო? — იკითხა ნანამ.

— წითელი ვაშლები ხო გიყვარს?

— ჰო.

— მანდარინი? •

— ჰო.

— ამ ტყეში საიდან მოგიტანო
მერე?

— როდისა გთხოვე?

— ჯერ ჩაგიყვანო ქალაქში. შენი
თხოვნა რად მინდა? ჯერ ჩაგიყვანო!

— ეეჰ.

— გტკივა?

— ჰო.

— დაგიკლო თუ ისევ ისე?

— ისევ ისე.

— ნუ გეშინია, ჩაგასრიალო. სუ ტრე-
დებივით დაგახვიო ექიმები.

— გზაში თუ არ გაგეპარე.

— სადა, ნანა?

— მოუსავალში.

— შენი მტერი, ნანა, ჩვენი მტერი,
ნანა! — სინომ ისევ შეაბრუნა თავი და
უღელს ჩავლებული ძარღვიანი ტორით
ისე გასწია მარხილი, რომ ხარებს აქე-
ურები ყბებში მოებჯინათ.

მთვარე აღარსად იყო. ვარსკვლავები-
ლა ისხდნენ ცაზე.

ხანდახან გამოჰყოფდა ხოლმე სინო
ხელს ჭრელი საბნიდან და ცეცხლს შეუ-
კეთებდა.

წითელი ხარები მარხილს აქეთ-იქი-
დან შემოსდგომოდნენ, ლეიბქვეშ გაგე-
ბულ აბრეშუმოვით თივას ითრევდნენ და
მადიანად ახრამუნებდნენ. გატკრენი-
ლი იწვა ცოლის გვერდით სინო და თი-
ვის ხრამუნს უგდებდა ყურს.

მერე ნერწყვი გადაყლაპა სინომ და
ნანას გახედა.

ნანას თვალები ღია ჰქონდა.

— არა გძინავს?

— ისევ ისე მივლის.

— ისევ ისე?

— ჰო.

— რო დაიძინო?

— ვერა.

— ეგება გშია და ვერ იძინებ? —
ერთმა ხარმა ზედ ყურისძირზე აუხრა-
მუნა ბლუჯა თივა სინოს. სინომ ისევ გა-
დაყლაპა ნერწყვი.

— ეგება გშია და? — სინოს პასუ-
ხისათვის აღარ მოუცდია, ბალიშქვეში-
დან ჩვარში გახვეული თხის წიბო ამო-
აძრო, რქისტარა დანით წაუწვეტა სახ-
რეს, წიბო ზედ წამოაგო და ცეცხლზე
გადიშვირა ხელი.

ყინვით შეკრული ჰაერი ნადვერდალზე
დაწვეთებულმა სისხლის სუნმა გასტი-
ხა. სინო უკვე წამდაუწუმ ყლაპავდა
ნერწყვს.

— თუ გშიოდა, რატო არ მითხარი?

— ჯერ კიდე შორია ქალაქამდე.

— მერე რა, ერთი წიბო კიდე გღია.
ბარკლის ნაწილიც არი.

— ჰოო?

— მაშა, ხვალ არა და ზეგ იქ უნდა
ვიყოთ. — სინომ მარცხენა ხელი გადა-
ჰყო ცოლისაკენ. ცოლზე ადრე ხარის
დრუნჩს წამოედო ხელი, სინოს ღიმილი
მოერია. ჯერ ხარს შეუღიტინა ღაბაბ-
ში, მერე ცოლს მოუფათურა სახეზე:

— წითელი ვაშლები ხო გიყვარს,
ნანა?

— ეეჰ.

— მანდარინი?

ნიკაპი შეაძრია ცოლმა თანხმობის
ნიშნად.

— იმდენი გაკამო, რომ! ამ მარხილს
პირამდე გაგივსებ.

სინომ სუნზე შეატყო, რომ ხორცი
მზად იყო. ერთხელ კიდევ შეატრიალა
სახრე და მწვადი ცეცხლს მოაშორა.
მერე ცალ იდაყვზე წამოიწია, ცვრიანი
წიბო შუაზე გაგლიჯა, ნახევარი ნანას
მიაწოდა და ნახევარსაც თვითონ გაავ-
ლო მოცვეთილი კბილი.

მერაბ ელიოზიშვილი
სინოს წითელი ხარები

ნანამ ხორცი მოგლიჯა და ღეჭვა და-
უწყო. სინოს ცოტა მოეშვა გულზე.
თვითონაც იწყო ჭამა. ცოლზე ფიქრს
ორიოდე წუთით მოეშვა და უფროს
ბიჭს დაელაპარაკა გუნებაში, მაგრამ
ორი სიტყვაც არა პქონდა ნათქვამი,
რომ საშინლად გაბრაზდა.

— ბიჭს მაინც არ დაველაპარაკები,
რო!.. — თქვა სინომ და ძვალი ამოამ-
ტვრია ჭიამიუკარებელ ძირის კბილებში.

— რო ჩაუთქვი? — ნანამ ძვლის
ძიძენას თავი ანება.

— მერე რა, რო ჩაუთქვი, თავი რო
მომჭრა! მაშ ჯიხვზეც აიღოს ხელი სი-
ნომა. არ დაველაპარაკები და შორჩა!

— მოგკვდები, — ამოიკენესა ნანამ
და გამობრული ძვალი თოვლზე გადააგ-
დო. ძვალი თავქვე დასრიალდა.

— რათა, ნანა?

— რო ჩაუთქვი და სიტყვა გასტეხე...

— შენ კარგა იყავ და...

— როგორღა ვიყო? მოგკვდებიი!..

— არა, ნანა!

— ჰოჰოი, სინო!

— აოჰოი, ნანა, ჰო, ნანა... — სცადა
წალიღინება სინომ.

— გაჩუმდი!

— მერეც მეყოფა, ნანა! — სინომ
გაიღიმა და ქონიანი ტურები მიადო ცო-
ლის შეცივებულ ლოყას. აკოცა:

— წითელი ვაშლები, ნანა!

— თავი დამანებე!

— მანდარინები, ნანა!

— არ მინდა, შე ფიცციტეხია!

— რატომა, ნანა? — სინო ცოლს მი-
ეკრა, იღლიაში შეუღიტინა.

— ოჰ-მეე! — აწკმუტუნდა დედაკაცი
ჭრელი საბნის ქვეშ.

მერე ორივეს ეძინა, ცეცხლი იღველ-
ფებოდა, წითელი ხარები ისევ გემრიე-
ლად ახრამუნებდნენ ლეიბქვეშიდან გა-
მოქნძილ აბრეშუმივით ნაზ თევას.

ხანდახან გაიჭახუნებდა ტყეში ყინ-
ვისაგან გახეთქილი ხე...

— დამიჭი, ჰოი, ნანა, ჰო, ნანავო!
შვიდი, ცხრა, დამიჭი, აჰა, ჰოჰ, თხუთმე-
ტი, ოცი, ორი, სამი! — მუხლამდე

წყალში იდგა სინო, ოჩხი ამოენგრია და
ყინულივით ლიპ კალმახებს ისროდა
თოვლზე. ვეება ხელებს ნიჩბებივით უს-
ვამდა შემოჩალულ გუბებს, კალმახს ლა-
ყურით ითრევდა და თოვლზე ანარცებ-
და. ვარდისფრად წინწყლავდა კალმახის
სისხლი თოვლს.

— მოკვდები, შე უბედურო! — უძახ-
და ნანა ქმარსა და თან თვალს არ აშო-
რებდა თოვლზე მოხტუნავე კალმახებს.
ამოდი, მოკვდები!

— ცოტა კიდე, ნანა, ცოტა კიდე, არც
ექიმებს აწყენთ თითო ჭრელი კალმახი,
ვაშლიც ხო გინდა, ნანა. დამიჭი, ჰოოჰ,
რამდენია, ოთხმოცს აღარაფერი აკლდე-
ბა, დამიჭი, ჰოოჰ!.. მანდარინიც ხო გინ-
და?

— ამოდი-მეთქი!

— ჰო, ნანა, — სინომ უკანასკნელად
კიდეც მოუსვა გუბებს ხელები, წყვილი
კალმახიც დაახეთქა თოვლზე და ნაპი-
რებშეყინული მთის მდინარიდან ამო-
ტოპა.

სინოს გარშემო ხტოდა და ფართხა-
ლებდა ათობით კალმახი. ბოლომოდგარ-
კლულ თხილის წკებლებზე ასხამდა სი-
ნო თევზებს და ნანას გვერდითა პყრიდა.

მერე მარხილზე ჩამოჯდა და სველი
ფეხები დაიწურა: ხერხეშა წინდებმა
გაუხურა ფეხები. ბალიშქვეშიდან გამო-
აძრო ქაღალდჩაცობილი ლურჯი ბოთ-
ლი და ბოლომდე გამოცალა პანტის
არაყი...

მარხილი წრიბინით მიჰყვებოდა ლი-
ლისფერი მდინარის ხეობას. მარცხნივ
და მარჯვნივ ირწეოდა სინოს წითელი
ხარების რქები: სინოს მხარბეჭიც გა-
დად-გადმოდოდა. ძარღვიანი ტორი
ისევ იწევდა უღელს, სინოს „ჰო, ნანა,
ჰოი, ნანა“ აყრუებდა ქალას. მოწ-
ნულ მარხილში ჭრელ საბანქვეშ უძრა-
ვად იწვა სინოს დედაკაცი, მის გვერდით
ჯერ ისევ ფართხალებდნენ სულთმობრ-
ძავი კალმახები. მთის ერთი ქიმიდან
მეორეზე ხტოდა მზე და ძუნწი სხივი
ხან ჩაიპარებოდა ხეობაში, ხანაც ისევ
აიკრიფებოდა. მერე სულაც გაქრა სხი-
ვი, თუმცა შუადღე ახალი გადასული
იყო.

— სინო! — დაუძახა ნანამ.

— რა იყო, ხო არ მოგშივდა? — სინომ ნამწვადარ სახრეს დასუნა და ცოლისკენ მობრუნდა.

— გვედები, — ნანამ თავი გააქნია.

— მოგიმატა?

— ლამის არი გვერდი გამომჭამოს.

ხარებმა ანაზად გაიწიეს, სინომ სახრე წაუქიქინა რქებში, მარხილი ისევ მიეყინა თოვლს.

— როგორა გტკივა?

— როგორა?

— ჰო.

— თითქოს... თითქოს მიწა ვიყო, და...

— მიწა შენი მტერი იყო, ნანა!

— თითქოს მიწა ვიყო და ხის ფესვები ჩამზრდოდეს ფერდში, აგერა ისე, აგვე... — სინომ იქით მიიხედა, საითაც ნანა ანიშნებდა. მიწა ჩამომზღვრულიყო თოვლთან ერთად და ნახევრად გაეშინებოდა ფესვებჩახლართული გამხმარი ძირკვი.

— ეგრე? — იკითხა სინომ და კუნძს მიაჩერდა.

— ჰო, სინო... საჩინოს ცოლიც მაგან მოკლა, სინო.

— მაგანა? — სინო კუნძს თვალს არ აშორებდა.

— ჰო, სინო, მაგანა.

— საჩინო ხო ქალაქში ცხოვრობდა.

— მერე რა?

— ჩვენში ეგ სატკივარი არავისა ჰქონია.

— ეგ არი, ეგა, სინო.

— ეგა? — კუნძს მიჩერებულმა სინომ უღელზე დახვეული ჯაჭვის გაშლა იწყო. მერე წელში გარტობილი კრიალა ნაჯახი გაიძრო, კუნძს მიუახლოვდა და ქდეები გაუკეთა, რომ ჯაჭვი კარგად მოსდებოდა. ჯაჭვის ცალი ბოლო კუნძს შემოახვია და შეკვრა.

— ეგ არი ჰო, ნანა?

— ჰო, სინო.

— კარგა უყურე! — სინომ დედაკაცს გაუღიმა და სახრე შეათამაშა.

— ხიო, ხი, წიფელა, ხიო, ხიი! — დასჭყვივლა სინომ ხარებს და უღელს მიაწვა. — კარგა უყურე, ნანა, კარგა! ხიო, ხიო! ხი, წიფელაა!

ხარებმა უკან-უკან დაიხიეს. ჯაჭვი დაიჭიმა, ტკაცატკუცით წყდებოდა ღრმად გამჯდარი ფესვები. ჯირკმა ამოიწია, ამოიწია და, ბოლოს, დედაფესვმოგლეჯილი გაგორდა ქათქათა თოვლზე.

— ეხლა? ეხლა, ნანა? — სინომ ცოლს დახედა.

ნანამ ოდნავ გაიღიმა და თავი დააქნია.

— წითელი ვაშლები, ნანა!..

კალმახები უსულოდ ეყარნენ მოწნულ მარხილზე.

ნანა იღიმებოდა.

— ჰო, ნანა, ჰოი, ნანა, ჰო, ნანავო!

*

ხეობა გაიშალა და ველი გამოჩნდა. ველი ჭრელი იყო: ალაგ თოვლი, ალაგ ხნულები.

— დაიძინე, ნანა!

— არა, სინო. მე მაინც დამალაბარაკე.

— დაიძინე-მეთქი. — სინომ მარხილი შეაყენა.

— მე მაინცა, სინო, ეგება მოგვედე და. მე მაინცა...

— სუ, ნანა.

— არა. არა... — ცრემლები წასკდა ნანას.

— არა? — სინომ თოფი მოიხსნა და გატენილი ბანდულის წვერი გადაუყო ჩახმახს. წამშივე შეაშრა ნანას ცრემლი, თვალები დახუჭა. მარხილი დაიძრა. ერთ ხანს იხიხიალა და მერე შედგა. შლაგბაუმს ჩაეკეტა გზა. კარანტინი იყო და ჩაეკეტათ. მანქანებს აჩერებდნენ, ჩხრეკდნენ და ისევ უშვებდნენ. ურმებსა და მარხილებს ჩხრეკდნენ და მაინც არ უშვებდნენ.

წყალდიდობის დროს საგუბარზე მიყრილ ნარიყსა ჰგვანდნენ მანქანები, ურმები, მარხილები, საქონელი, მთვრალეები, ფხიზლები... ერთვან დიდი შავი ქვაბი იდგა ცეცხლზე. იყო ჭყვიტინი, კაკან-კრიახი, აურზაური.

მერაბ ელიოზიშვილი
სინოს წითელი ხარები

— საავადმყოფო აქაცა გვაქვს, ვერ გაგიშვებ, ბერიკაცო. — უთხრა ინსპექტორმა სინოს და წინ გადაუდგა. სინომ ცალი თვალით შეათვალიერა ბიჭი და ცოლს გადახედა. ნანას ეძინა.

— გასაგებია, ბერიკაცო, რაც გითხარი? — ინსპექტორი ავადმყოფს მიაჩერდა, სინომ სულ ახლოს აუჭნია სახრე ცხვირთან ინსპექტორს და მარხილის შემობრუნება იწყო.

— წელს რამდენი ჯიხვი მოჰკალი? — სინომ ეს კითხვაც უპასუხოდ დატოვა. ინსპექტორს სახე აუჭარხლდა. გარშემო ცნობისმოყვარეებმა მოიყარეს თავი.

— დაიშალეთ! — დაუყვირა ინსპექტორმა.

ხალხი მიმოიფანტა, შორიახლოდან უწყეს თვალთვალს. ბევრმა იცოდა, რაშეიაც იყო საქმე და ყურს ივანიერებდა, არაფერი გამოშეპაროსო, ბევრიც პირველად ხედავდა და ისმენდა. სინომ ხარები მოაბრუნა და უკან გარეკა.

— მოიცა, ბერიკაცო! — ინსპექტორი წინ გადაუდგა. ერთმანეთის პირისპირ აღიმართნენ. სინო ინსპექტორის სიმაღლე იქნებოდა, წლების სიმძიმეს მხრებში ოდნავ რომ არ მოეხარა.

— მე ვიცი, შენ შენის გატანა გინდა, არ გამოგივა, არა. ამ საავადმყოფოში მიიყვანე, — თითი გაიშვირა ორსართულიანი თეთრი შენობისაკენ.

სინომ თავი გააქნია და მარხილი დასძრა.

ინსპექტორს ცეცხლი წაეკიდა:

— მოიცადე!

სინო შედგა. ინსპექტორი ახლოს მივიდა მარხილთან. ნანას მაგრად ჰქონდა დახუჭული თვალები.

ერთ ხანს უყურა ავადმყოფს ინსპექტორმა.

— ისევ ისეთი ჯიუტი ხარ, ბერიკაცო!

„შენც ისევ ისეთი ჯიუტი ხარ, ვის ემგვანები!..“ — გაიფიქრა სინომ.

ინსპექტორმა ფრთხილად შეაცურა ლეიბქვეშ ორივე ხელი და ზედიზედ ამოყარა ცარიელი არყის ბოთლები.

ბოთლები ქაზანით დაიმსხვრა ასფალტზე.

— რათა სვამ, ბერიკაცო?

ფიქრშია ან არ გასცა სინომ პასუხი ბიჭს.

— ჯიხვებს რათა ხოცავ, ბერიკაცო?

— ჰეჰ! — წამოსცდა სინოს.

ინსპექტორმა ყური სცქვიტა, სახე გაეხსნა, თივამი შეყვრილი ხელები გაუშეშდა, მაგრამ სინოს სიტყვა აღარ დასცდენია.

ნანას ისევ მაგრად ჰქონდა დახუჭული თვალები.

სინომ მარხილი დასძრა. ინსპექტორმა აწითლებული სახე ღონიერი ხელით მოიწურა და მარხილს სწრაფი ნაბიჯებით მოშორდა...

შლაგბაუშთან დაგუბებული ხალხი სინოს მოქანავე ბეჭებს გასცქეროდა.

— შეილისათვის ხმა არ გაუცია, — აღნიშნა ერთმა გლეხმა.

— კლდეა, კაცი კი არა, — თქვა მეორემ.

— რამ გააბედინა წამოსვლა ამ თოვლობაში! — თქვა მესამემ.

— ირემო, მთასა მყვირალო, რამ ჩამოგაგდო ბარადა? — წარმოთქვა შესვენებაზე გამოსულმა სათვალეებიანმა მასწავლებელმა.

— ჰო, ნანა, ჰოი, ნანა, ჰო, ნანავო! — ღიღინებდა სინო.

ქალაქს მიახლოებულები იყვნენ. თოვლის ნასახიც კი არსად იყო, ასფალტს მტვერი ასდიოდა. წელამდე სველი იყო სინო, წითელ ხარებსაც სველი ჰქონდათ ფერდები. სამაგიეროდ მარხილი მშრალი იყო.

— მოგკვდები, მოგკვდები! — კვნესოდა ნანა და დაბალპიოთ ჩამოსდიოდა ცრემლი, — სიცოცხლე არ მიწერია, არა, შე ფიცტეხია! — ღნაოდა ნანა. ერთბაშად შეწყვიტა ღიღინი სინომ და დედაკაცს მოხედა. ერთი კი აიწურა სახრიანად ბრანზორეული და მერე ისევ დამშვიდდა.

— სუ, ნანა!..

— წლები გავიდა, რაღას ერჩი? ვაი-

შე! — მოსთქვამდა ნანა.

— სუ, ნანა, სუ!

— არა, არა!..

— სუ, ნანა!..

*

— გამარჯობათ! — უძახოდა სინო ქალაქელებს. მერე დაიღალა და გაჩუმდა. ხანდახან ჩასთვლემდა ხოლმე სინო და კარგ სიზმრებსაც ხედავდა. მერე ას-

ფალტზე ათრეული მარხილის ხრიალი ჩაესმოდა და ისევ ფხიზლობდა...

ქალაქს ეძინა. გაჩირადდნებულ ქუჩაზე სისხლივით წითელ ორ ხარს შუა მიტორტმანებდა დაღლილი და ძილმოძალეებული გოლიათი ბერიკაცი. სამივეს ერთად მიჰქონდათ ჩიტისბუდეცავეთ მარხილი. მარხილში ნანას ეძინა. კარგ სიზმარსა ხედავდა ნანაც...

მერაბ ელიოზიშვილი
სინოს წითელი ხარები



მე სიყვარულია

მოთხრობა

ზურგზე მოკიდებულ ჩანთებში კონსერვები, ორცხობილა, თოკი, კლდისა და ყინულის პალოები და მშრალი სპირტით სავსე კოლოფები ელაგა. ლევანს ზურგ-ჩანთაში პატარა კარავიც ედო, „პამირკას“ რომ ეძახიან და დახვეული საძილე ტომრები ჩანთებზე იყო დაკრული.

ამინდი კარგი იდგა. მზეზე თოვლი ბრწყინავდა და მუქმინიანი სათვალეები გაიკეთეს. თოკი ხან იჭიმებოდა, ხან დუნდებოდა. თოკის ერთი ბოლო წინ-მიმავალ ლევანს ება წილზე, მეორე ბოლო — თამარს.

თოვლიანი ფერდი აიარეს და შედგნენ.

— უპ, კარგია! — თქვა თამარმა.

— კარგია, — გაეპასუხა ლევანი.

— გახსოვს ის ადგილი? — თამარმა წერაყინი გაიშვირა. ლევანმა თვალი გააყოლა.

როგორ არ ახსოვს...

ასეთივე მზიანი დღე იდგა და თოვლი ბრწყინავდა. თოვლის ლავგარდანზე უნდა გადაეგლოთ. ლევანი ფრთხილად მიდიოდა. ლავგარდანი აუჩქარებლად გადაიარა და წერაყინი ღრმად ჩაასო. წილზე მიბმულ თოკს ხელი ჩაავლო და

ნელა შემობრუნდა. უცბად იგრძნო, რომ თოკი იჭიმებოდა. ცოლისკენ გაიხედა და გახევდა: თამარს ფეხქვეშ ლავგარდანის ნაწილი ეცლებოდა. დაძრულ თოვლს ველარაფერი შეაჩერებდა და ველარც ლევანი მოასწრებდა ჩარჭობილ წერაყინზე თოკის შემოტარებას. ფეხები გადავა და თოკს მაგრად მოუჭირა ხელები.

თოვლი ნელა გადასრიალდა და თამარიც გადაიტანა. ქვევით ღრმა უფსკრული იყო.

კაპრონის თოკმა ხელები ჩაუჭრა, სისხლი გაუჩერა. ამ დროს მოესმა:

— თოკი გადაჭერი, გადაჭერი!

ლევანმა გაიგო, რასაც უყვიროდა თამარი, თუმცა ვერ ხედავდა, მაგრამ იცოდა, ქალი უფსკრულში იყო ჩაკიდებული და არ იძვროდა, თოკი რომ არ დაეჭიმა.

ერთი კი წარმოიდგინა ლევანმა, როგორ მიექანებოდა თოკგადაჭრილი თამარი უფსკრულში და უფრო მაგრად მოუჭირა ხელი თოკს.

ზედმეტად დაჭიმული კუნთები სტიქიოდა და უცახცახებდა.

რამდენ ხანს გაძლებს? ხუთ წუთს? ერთ საათს? მერე? თუნდაც მთელი დღე გაძლოს, ხომ იცის, რომ მშველელი არ



ბიჭარი სპაძეძე.



მომღერალთა ჯგუფი

ესკიზი ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლისთვის



ონისა

ესკიზი სანდრო შანშიაშვილის პიესისათვის „ზევისბერი გოჩა“



დგურაკის ესკიზი სანდრო შანუაშვილის პეისაჟის „პრისონერი ჯონა“.

გამოჩნდება. სადამდეც შეძლებს, თოკს ხელს არ გაუშვებს და მერე... მთელი სიცოცხლე ერთად გაატარებს. ყოველ ზაფხულს ერთად იღებდნენ შვეებულებას. წერაყინებს ხელში დაიჭერდნენ და გზას გაუდგებოდნენ.

ვისაც შვეებულების გატარება შავი ზღვის სანაპიროზე, კომფორტიან სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში ერჩია, უკვირდა ცოლ-ქმრის ახირებულობა: რა დაჰკარგვიათ ტყე-ღრე-ებში, რას დაეხეტებოან, წერას ხომ არ აუტანიათო.

მთაში გაიცნეს ერთმანეთი და მას შემდეგ ერთად იყვნენ ქართი მოხვეტილ ნამქერსა და დელგამაში, ყინვასა და მზეში.

ორივეს შეუმჩნევლად შეევერცხლა თმა. ნაოჭებიც შეეპარათ, მაგრამ ყოველდღე ხედავდნენ ერთმანეთს და გარეგნულ ცვლილებას ვერ ამჩნევდნენ, იმიტომ თუ, რომ გულით ისეთებივე იყვნენ, როგორც მაშინ, მთაში გაცნობისას. მთებში შეხვდნენ პირველად ერთმანეთს და მთებივე იქნება მათი სავანე. ალბათ მთებიც ისე მიეჩვივნენ ცოლ-ქმარს, როგორც ისინი ერთმანეთს და ვერ თმობენ. მთებიც გრძნობენ, ისინიც სუნთქავენ და ამიტომ დათმობაც გაუძნელდებოდათ და რაც არ უნდა იბრძოლოს ლევანმა, მაინც დაამარცხებენ.

— გადაჭერი! — გაისმა მტკიცე ხმა და მთებმაც გაიმეორეს:

— გადაჭერი! გადაჭერი! — გადაჭერი! ნუთუ მთებიც ამასეე ურჩივენ? აკი გარკვევით გაიგონა. რომ არ გადაჭრას, ძალაგამოლეულს, მასაც გადაიტანს თოკი.

მონადირის დანა ქამარზე ჰკიდია. თამარის სახსოვარია. თოკი ცალ ხელში უნდა გადაიტანოს, დანა ამოიღოს, თითი დააჭიროს, დანის პირი გამოვარდება. დაჭიმულ კაპრონის თოკს არც კი უნდა ბევრი, ადვილად გადაიჭრება და მერე?.. მერე ლევანის კუნთები საშინელ სიმსუბუქეს იგრძნობენ...

ლევანმა სიძიმე მარჯვენა ფეხზე გადაიტანა, მუსხლებში ოდნავ მოიხარა, მარცხენა ხელით დანა ამოიღო, თითი

დააჭირა, დანის პირი ტკაცანით გამოვარდა და... ლევანმა დანა გადააგდო. მოყინულ თოვლში ოდნავ ჩაერქო დანა და მზეზე აელვარდა. ახლა ვეღარ მისწვდება, ძალიანაც რომ მოინდომოს, გადარჩენის სურვილმა რომ წასძლიოს, გონება რომ დაუბნელოს.

ორიოდე მეტრის მოშორებით წერაყინია ჩარქობილი, მაგრად, საიმედოდ. როგორმე იქამდე რომ მიაღწიოს და თოკი შემოახვიოს... ეპ, ერთი ათი-თხუთმეტი წელი მხრებიდან რომ გადააგდებინა?

— გადაჭერი! — სუსტად მოისმა ქვევიდან. მთებს აღარ გაუმეორებიათ ძახილი. მათ ხომ დანახეს, რომ ლევანმა დანა გადააგდო, ან ალბათ უფსკრულში ჩაკიდებული ქალის ხმა ვეღარ გაიგონეს და აღარ გამოეპასუხნენ.

ცოტა კიდევ და ლევანი ვეღარ შესძლებს, თოკს ხელს გაუშვებს, წილზე გამოშვებული თოკი დაჭიმავს და... როგორ მძიმდება თამარი. ნუთუ ასე სულელურად უნდა გადაიჩებოხ? ამისთვის წამოვიდნენ?.. წერაყინს მიხედა. იქნებ სცადოს? რამდენიმე წუთში მაინც ყველაფერი გათავდება. რა მნიშვნელობა აქვს, კიდევ ერთ წუთს გაუძლებს თუ ათ წუთს. უნდა სცადოს. თანდათან უკან დაიხევეს, წერაყინამდე თუ მიაღწია, ტარზე თოკს შემოატარებს, მერე იქნებ გადარჩენაზეც იფიქროს კაცმა.

ღრმად ჩაისუნთქა და მარცხენა ფეხი უკან გადადგა. ოფლში გაიწურა. კიდევ ღრმად ჩაისუნთქა და ახლა მარჯვენა გადადგა. ფეხსაცმელიც საშინლად დამძიმებულიყო. თოკს ნელა, ძალიან ნელა აცურებდა ხელში. ისეთ ტკივილს გრძნობდა ხელისგულებზე, თითქოს გავარგარებული რკინა ეჭირა. კიდევ ერთი მოკლე ნაბიჯი, კიდევ...

წერაყინამდე სულ ცოტადა დარჩა. სუნთქვა შეეკრა, სხეული კიდევ უფრო დაეძაბა, ფეხი გაათრია და წერაყინს თავზე მოექცა. წერაყინი ახლა მის წინაა, ფეხებთან, მაგრამ ძალის ნატამა-

თამაჰ კიკნაძე
მზე ჩადიოდა





ლიც რომ აღარ შერჩა?! ტყუილად ეცა-
და? გათავდა? მუხლები მოეკვეთა, გონი
დაპკარგა და ჩაიკეცა...

ძლიერმა ტკივილმა გონს მოიყვანა.
გაუკვირდა, ცოცხალი რომ იყო. მერე შე-
ნიშნა, მთელი სხეული ციებიანივით
უცახცახებდა. გამხმარი ტუჩებით თოვლს
დაეკრო და ლოკვა დაუწყო. წელზე რა-
ღაც ქაჩავდა. ოდნავ ასწია თავი, თოკი
წერაყინის გამოსდებოდა. მიხვდა ლევანი,
რომ დაცემისას თოკი წერაყინის შემო-
ეხვია და იმან გადააჩრინა. ახლა ორივეს
სიცოცხლე წერაყინზე ეკიდებოდა.

კარგა ხანს იწვა გაუნძრევლად, კუნ-
თებს ასვენებდა. თოვლზე გართხმული
ფიქრობდა, რა გაეკეთებინა. მერე თავს
ძალა დაატანა, ფორთხვით შემოუარა
წერაყინს, მეორედ, მესამედ. თოკი წერა-
ყინის ტარს ეხვეოდა. მერე შეჩერდა, შე-
ისვენა, კუნთები მოადუნა. მთამსვლე-
ლებმა იციან დადლილი კუნთების მო-
დუნება. წერაყინის ირგვლივ თოვლი
ჩადრმავდა. აქა-იქ წითელი ლაქები დაპ-
კრავდა, ლევანის ხელების ნაკვალევი.

ლევანი არ ჩქარობდა. იცოდა, რომ
ყოველი ზედმეტი მოძრაობა ძალას გა-
მოაცლიდა. დინჯად მოიხსნა ზურგჩან-
თა. ყინულის პალოები და ჩაქურჩი ამოი-
ღო. პალოები ჩაასო, მოსინჯა, რგო-
ლებში კარაბინი გაუყარა და შიგ თოკი
გაატარა. საიმედოდ გაკვანძა და ისევ
შეისვენა.

მზე მთის წვერზე ეშვებოდა, ჩასვლას
აპირებდა.

ლევანმა თოკი მოიხსნა, ხელთათმანე-
ბი ჩაიკცა. თოვლში ჩადრმავებული ად-
გილი მოძებნა, გამაგრდა და თოკის მო-
ზიდვას ნელა შეუდგა. ოდნავ მოზიდავ-
და და წერაყინის ირგვლივ შემოუტარებ-
და. ასე, სანტიმეტრობით ახვევდა ოც-
მეტრიან თოკს. ციოდა, მაგრამ სახეზე
ხვითქი გადასდიოდა.

— თუ შესძლო, ზურგჩანთა გადააგ-
დე! — დაუყვირა ცოლს, მაგრამ იქიდან

ჩამიჩუმე არ ისმოდა. აღარ და
თავდებოდა თოკი. მერე რაღაცას გამო-
ედო.

— ლევან! — მოესმა ცოლის ხმა, მი-
სუსტებული, მაგრამ იმედიაანი.

„გონს მოსულა“, — გაიფიქრა ლევან-
მა და კიდევ დაუძახა, ზურგჩანთა გადა-
აგდეო.

თოკი თითქოს შემსუბუქდა.
წერაყინის ირგვლივ თოკის რგოლი
იზრდებოდა. ცოტა კიდევ და ჩაწყვეტი-
ლი ლავგარდანის კიდეზე ქალის ხელები
გამოჩნდა. ძალაგამოლეული ქალი ცდი-
ლობდა რაიმეს მოსჭიდებოდა, მაგრამ
თოვლის ნაპირი ადვილად იშლე-
ბოდა.

ლევანს ძალა აღარ ჰქონდა. ხელებს
ვერ გრძნობდა და უკვირდა, როგორღა
ეწეოდა თოკს. მერე ტუჩზე იკბინა, გა-
ყინულ ენაზე თბილი სისხლი იგრძნო.
თითქოს ძალა შემატა ამან, მძლავრად
მოსწია თოკი...

ერთმანეთის გვერდით, თოვლზე იწვე-
ნენ ორივენი და მზის ჩასვლას უყურებ-
დნენ. იცოდნენ, რომ კიდევ ნახავდნენ
მზის ამოსვლას, გადაწითლებულ ცას და
ოქროსვარაყიან მწვერვლებს, იცოდ-
ნენ, რომ ისევე ეყვარებოდათ ერთმანე-
თი, როგორც ოცდაათი წლის წინათ და
იცოდნენ, რომ მთებზე ძლიერნი იყვნენ.

მზე ჩადიოდა. ამოვარდნილი ქარი
თოვლს ეთამაშებოდა.

თამარი წამოდგა. ადგილი შეარჩია და
კარავის გაშლას შეუდგა. მალე ლევანიც
მიეშველა.

ჩამავალი სხივი კარვის კალთას მი-
ეაღერსა და გაქრა.

ისინი კარავში იყვნენ, საძილე ტომ-
რებში გახვეულები ყურს უგდებდნენ ქა-
რისა და კლდეების საუბარს. ქარი ხვეი-
დან ხევში, კლდიდან კლდეზე გადადიო-
და და კვნესით უყვებოდა ყველას მთე-
ბის დამარცხების ამბავს.





ქვემო და ზემოთი პაპაშვილები

სადაც ყველაზე მეტი სიყვარულია

პოსტალი

რომანი

პიტიონი, მებრამ ხმაღალა

მებრამ ამ საქმეს საუკეთესო რჩევადარიგებანიც კი ვერ შეეღობა — ამერიკელ ქალიშვილს მაინც ძალიან უჭირს უცხოელის ცოლობა: სხვა ზნეჩვეულებს, სხვანაირი საქმლის, სხვა ენის შეთვისება.

მიუხედავად ამისა, გადაუჭარბებლად შემძლია ვთქვა, რომ ჩემმა ცოლმა საკმაოდ კარვად გაართვა თავი ყველაფერს: ისწავლა აჯაფსანდლის გაკეთება, დაოსტატდა მჭადის გამოცობაში; ორიოდღე ქართულ სიტყვას ამტვრევდა და ქართველებსაც დაუამხანაგდა, ოღონდ ისინი (ძია ვანოს გამოკლებით) იმდენი ხნის ჩამოსულები იყვნენ, უკვე ამერიკულ ყაიდაზე ცხოვრობდნენ.

ელენემ მხოლოდ ერთხელ წაიტეხა ფეხი და რომ მასხენდება, ახლაც მეციწენება, ოღონდ თუ ელენე მიყურებს, ვცდილობ არ შემამჩნიოს. ცოლის შერთვამდე ცოტა ხნით ადრე ერთმა გამოგონებამ გამიმართლა. მთელი ჩემი სიციცხლე რაღაც-რაღაცეებს ვიგონებდი, მებრამ ისე, გასართობად. ათიოდღე წლისა ვიყავი, როცა ხის თოფი გამოვიგონე ხისავე ტყვიებით და კურდღელი მოვკალი.

მე გამოვარკვიე, რომ ამერიკაში პირდაპირ გიქვდიან გამოგონებებზე, მეტადრე ისეთი მანქანის გამოგონებაზე, რომელიც მუშაობს. ასეთ მანქანაში ულაპარაკოდ იხდიან დიდხალ ფულს.

მთელი საიდუმლოება იცით რა არის? ან უნდა გაამარტივო რთული მანქანა, ან, პირიქით, გაართულო მარტივი, რომ რაღაც არაჩვეულებრივი და მნიშვნელოვანი ეგონოს კაცს.

დაქორწინებიდან ცოტა ხანი რომ გავიდა, ასლის გადასაღები ქალაღდის გამოგონებაზე დავიწყე მუშაობა. მაინცდამაინც საინტერესო არ იყო. რათა ახლოს ვყოფილიყავით იმ ადგილთან, სადაც ეს ქალაღდი მზადდებოდა, სამხრეთში, ვირჯინიის შტატში გადავსახლდი. იქ არც ერთი ბერძენი, ასურელი და რუსი არ ცხოვრობდა. არც ერთი. მთელ ქალაქში მე ვიყავი ერთადერთი უცხოელი.

ორიოდე კვირის შემდეგ ნიუ-იორკიდან ილიკოს წერილი მივიღეთ:

„ერთი ქართველი ყოფილა ნორთკა-როლინაში — ბესო ფეხსველაშვილი. მრავალი წელია, იქა ცხოვრობს. დიდი ხნის ჩამოსულია, ოღონდ არავინ იცის, სადა ცხოვრობს, სადაც გაქრა. ახლა,

დასასრული. იხ. „ცისკარი“, № 6, 7.

რადგან მეზობლები ხართ, შენი მოვალეობაა იპოვნო“.

ელენეს ვუთხარი: ამ დღეებში, როგორც კი მოვიცლით, ბესო ფეხსველაშვილის მოსაძებნად უნდა წავიდეთ-მეთქი. ოღონდ ჯერ პირის გადასაღები ქალაქი უნდა დამემთავრებინა. ამას გარდა თავი ახალი სახის წყალგამქლე ცემენტით მქონდა გამოტენილი. ისიც უნდა გამომეცადნა.

ერთ დღეს გაზაფხულის სუნთქვა ვიგრძენი. ვირჯინიაში რაღაც საოცრად ღამაში გაზაფხული იცის. სულ ერთ კვირაში მინდორ-ველი ლურჯად მოღვივლივით სუმბულებით დაიფარა, ხეთა ჩეროში იებმა მოელვარე, წინწყლებიანი ხალიჩა მოქსოვეს. ყველგან, სულ ყველგან ფიჭვის სურნელი დატრიალდა.

— სწორედ თავგადასავლების შესაფერი ჭამი დადგა, — ვუთხარი ელენეს. — რა იქნება, რომ ბესოს მონახვა ვცადოთ?

სახლი გამოვეცეტეთ, ძაღლები წამოვიყვანეთ, მანქანაში ჩავსხედით და გზას ვაგულდებოთ. ილიკოს წერილიდან დაახლოებით ვიცოდი იმ ბესოს ადგილსამყოფელი. პატარა ქალაქი იყო, დურპამის აღმოსავლეთით, C თუ K იყო პირველი ასო. მატარებელი არ უღებებოდა. გვერდით მდინარე ჩაუღლიდა.

ელენემ ცნობარიდან ამომიწერა ასეთი ქალაქები, მაგრამ თან ჩიოდა, როგორ ვიპოვით, კარდაკარ ხომ ვერ ვივლით.

— საუკეთესო რესტორანს ვიპოვნი და ვამგეს ვკითხავ. თუ ქართველი კაცი ქალაქში ცხოვრობს, დროდადრო ხომ უნდა იქეიფოს რესტორანში, თუნდაც მარტომმარტომ.

პირველ ორ დღეს ბედმა არ გაგვიღიმა. ელენეს ამოწერილ თითქმის ყველა ქალაქში ვიყავით. მესამე საღამოს ერთი მოხუცი კაცი მიგვასწავლეს, თითქოს ის უნდა ყოფილიყო, ვისაც ვეძებდით. მივედით, მაგრამ ყარსელი სომეხი გამოდგა. სამოცი წლის წინათ დაეტოვებინა სამშობლო.

ორიოდე საათი დაყავით მასთან, მისი თავგადასავალი მოვისმინეთ, ფოტო-

სურათები დავათვალიერეთ, მისიანები გავიცანით და ერთი ბოთლი დუძიკა დავლიეთ. ძირტკბილას გემო აქვს, ოღონდ სპირტიანია, ჩემი შეტყობით, გემო სახელზე უკეთესი არ უნდა ჰქონდეს. იმ სომეხს ვკითხე, როდესმე ვინმე ბესო ფეხსველაშვილს ხომ არ გადაყრისარმეთქი. არაო, მითხრა, მაგრამ ამბობენ მეზობელ ქალაქში, აქედან ორმოცდაექვსი მილია, ვიღაც უცხოელი ცხოვრობს. ოღონდ არ იცოდა, საიდან იყო ჩამოსული ის უცხოელი, პენსილვანიიდან, რუსეთიდან თუ მთვარიდან. ამ სომხისათვის ყველა უცხოელი იყო და ამიტომაც დღემდე არ მოენახულებია.

გადავწყვიტეთ, ერთხელაც გვეცადნა ბედი. დავიძარით და საღამომდე ძლივს მივადწიეთ ქალაქს. ნიშნები ილიკოს მონაწერს არ დავმთხვა: არც C-ზე იწყებოდა, არც K-ზე, და არც დურპამის აღმოსავლეთით იყო. მდინარის მხოლოდ ნახევარი ჩაუღლიდა გვერდზე. მეორე ნახევარი ზაფხულში ამომშრალიყო.

გზაზე ვიღაც ფერადკანიანი მისიერი ნობდა. მანქანა გაგაჩერე და ვკითხე, მავანი და მავანი კაცი ხომ არ იცი-მეთქი.

— დიახ, — მიპასუხა მან ტკბილი ხმით (ფერადკანიანებს ხომ ისეთი ხმა აქვთ, თითქოს ვერცხლის თასიდან თაფლი იღვრებოთ), — ერთი რაღაცანიირი კაცი ცხოვრობს შარავნის ბოლო სახლში. ამერიკელი არაა. მარჯვენა მოუხვიე, მერე მარცხნივ.

მივაკვლიეთ იმ სახლს. მთლად ჩაბნელებული იყო. კარგა ხანს ვაბრაახუნე, მაგრამ არავინ გამოგვხედა და მანქანაში დავბრუნდით.

— არავინაა სახლში? — მკითხა ელენემ.

— არა. წერილს დავუტოვებ და თუ ის კაცი ბესოა, იქნებ გვესტუმროს ოდესმე.

— და თუ ის არ არის, შეიძლება მაინც გვესტუმროს, — თქვა ელენემ, — სულ არ გამიკვირდება.

რამდენიმე სიტყვა დავწერე და კარის ღრიჭოში შევტენე. მერე გულის შესაჯერებლად ერთხელ კიდევ ვხეთქე



ფეხი და ის იყო უკან წამოსვლას ვაპირებდი, რომ კარის სარკმელი გაიღო და ვილაცის სახე გამოჩნდა.

— გამარჯობა, — ვუთხარი სახეს ქართულად.

სახე მიიმალა. სარკმელი მოიხურა. ცდა დაეწიქე. არაფერი შეცვლილა. ცოტა კიდევ დაეცა. კვლავ არაფერი.

— ნომისმინე! — მივმართე კარს ქართულად. — ვინც შენს უკან ცხოვრობს, ჩემი აზრით, გიყვია. მამამისიც გიყვია და პაპამისიც გიყვია იყო. შენ ვილაცა ხარ მანდი გისურვებ, რომ ლუკმა ქვად გექცეს და ერთი მეგობარიც ვერ გეპოვნოს, რომ სუფრასთან გვერდით მოგიჯდეს, მარტო შენს ქელეხზე იყოს ხალხი. თუ მანამდე მივალწი, მეც სიამოვნებით დაგეწივები. დამე მშვიდობისა.

თუ ქართველი იყო, გაიგებდა რა აზრით შემექმნა მასზე, თუ არა და ჩემი ლაპარაკით არაფერი დაშვებდებოდა.

კარი გაიღო და 40-50 წლის მამაკაცი დავინახე.

— გაგიმარჯოს, — მითხრა მან ისეთი ხმით, თითქოს დაყანგული ხერხი ჭრიალებსო. — ბოდიშს ვიხდი. შინ შემოდით.

— ცოლი მყავს მანქანაში.

— ნება მიბოძეთ, მასაც ვთხოვო. დიდად ნასიამოვნები დაერჩები, თუ შემოვა.

შევედით და დავსხედით. ძველი, მაგრამ სუფთა სახლი იყო.

— რაც მამათქვენსა და პაპათქვენზე ვთქვი, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ახლაც დარწმუნებული ვარ იმაში, რომ პირადად თქვენ გიყი ხართ: რატომ თავიდანვე არ შემომიყვანეთ?

— არავის გაცნობა არა მსიამოვნებს. ძუნწი ვარ. ყველას კარისაკენ ვუთითებ.

— თუ ასე გინდოდათ, სულაც რატომ შემოგვიყვანეთ ოთახში?

— როცა თქვენი ხმა გავიგონე, აღარ ვიცოდი, როგორ მოგქცეულიყავი. უკან გამებრუნებინა ქართველი კაცი? რომ წასულიყავით და გეთქვათ, ბესო ფეხსველაშვილის კარზე ვაკაკუნე და არ გა-

მივლესო, ხომ მომეჭრებოდა თავი. ამიტომ შემოგიშვით.

— გასაგებია, — ვუთხარი მე. — ეს იმით აიხსნება, რომ გაძუნწებამდე ქართველი იყავი.

ბესო მაგიდას აწყობდა და დასტურის ნიშნად თავს გვიქნევდა. სიჩუმე რომ დამერღვია, ვუთხარი:

— საოცარი ამბავია, პირველად ვხედები უცხოირაბირო ქართველს. სულ იმას გვისაყვედურებენ, თავზე გადაყოლა იცითო.

— რას იზამ, — მიპასუხა ბესომ. — როგორც კი ვინმეს გავიცნობ, მაშინვე ფულს დამესესხება. ხან მახლობელი ჰყავს ავად — ოპერაცია უნდა გაუქმონ, ხან რაიმე სარფიან საქმეს იწყებს, ხან მიწას ყიდულობს. ყოველთვის ერთსა და იმავეს ამბობენ. ყველაზე ხშირად კი გამოგონებებს მთავაზობენ. უარის თქმას ვერ ვახერხებ და ფულს ვაბანდებ ამ გამოგონებებში. — ბესომ წარბებქვეშ გამოხსელდა და მკითხა: — გატყობ, შენც რაღაც გამოგონება გექნება.

— არა. მეც გატაცებული ვარ გამოგონებებით, მაგრამ ფული არ მჭირდება.

— აი, ამ წუთში რაიმე აზრი ხომ არ გიღიტინებს თავში, რაიმე პატარა, უბრალო მიგნება?

„რატომ მოვუყვე ჩემს ცემენტზე, სჯობს მე თვითონ გავაკეთო“, — ვთქვი გულში, ხმამაღლა კი ვუთხარი:

— ერთი რაღაც მაქვს. მანქანას ეხება, მაგრამ მაინცდამაინც გულით არ მოგიკიდებივარ. მგონი მუდმივი ძრავა გამოვიგონე, ოღონდ რომ დაერწმუნდე, ლოკომოტივი მჭირდება.

— აი! მივხვდი! საშველი არაა. ყველაზე უფრო ეს მუდმივი ძრავები მღუპავს. კარგი, ამისხენი, როგორია ეგ შენი გამოგონება და იქნებ ვიშოვოთ ლოკომოტივი.

საუბრის თემა რომ შემეცვალა, ვუთხარი — მანქანაში ძაღლები მყავს, ხომ არაფერი უშავს, აქ რომ შემოვიყვანო მეთქი.

ელენე და გიორგი პაპაშვილები სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს

ჩემს მობრუნებამდე ბესოს ორი თეფში ხორცი დაედგა იატაკზე. ქედანა და მურა კარგა მაღიანად შექცნენ.

— იქნებ კიდევ შიათ? — მკითხა ბესომ, როცა დინახა, რომ ძაღლები თეფშებს ლოკავდნენ.

— არა. კარგად გეახლნენ, — დავამშვიდე მე.

ბესომ ძაღლებს ცალ-ცალკე დაუღაგა წინ ქაღალდში შეფუთული ჩურჩქ-ლუპუშები. ქედანას ეყო ზრდილობა და ქაღალდი წინასწარ შემოაგლიჯა, მაგრამ მურა საზოგადოებაში გამოსული არ იყო და გასანთლულ ქაღალდიანად გადასანსლა.

შემდეგ ბესომ მშვენიერი სუფრა გაშალა. დავსხედით და კარგი დრო გავატარეთ. ბესო განსაკუთრებით ნასიამოვნები დარჩა, როცა შეიტყო, რომ ცოლი ახალშერთული მყავს და მაინც ვაწვიყენს ძალიან დიდ პატივისცემად ჩათვალა იგი კედელთან მივიდა და სურათი ჩამოხსნა. სურათს უკან კედელში შეჭრილი დიდი-ხერელი გამოჩნდა. ბათქაში და ტიქრები გამოეტეხათ. ბესომ ხელი შეჰყო ხერელში და ცის დანაკის საყურე გამოიღო. ასეთი ლამაზი არაფერა მენახა — ოქროში ჩასმულ საპნის ბუშტებს ჰგავდა.

— მე მსურს ჩემს თავს სიამოვნება მივანიჭო და თქვენს ცოლს ეს პატარა სახსოვარი ვაჩუქო. ნებას მომცემთ?

ნება მივეცი და გულწრფელი მადლობა მოვახსენე, მაგრამ ელენემ რაღაც მობოდიშა და უარი განაცხადა.

— გასაგებია, გასაგებია, — თქვა ბესომ, — ჩემი სიბრწყინის ბრალია. უნდა მაპატიოთ. თქვენ ფიქრობთ, რომ ცის დანაკი თარსია, არა?

მან კიდევ ჩაბყო ხერელში ხელი და ამეთვისტოს გულსაბნევი ამოიღო.

— გიხოვთ ნება ღმერთოთ, რომ საყურეების ნაცვლად ეს გულსაბნევი შევთავაზო. ან კიდევ ეს, — და ბესომ ბრილიანტის თელიანი ბეჭედი დაგვანახვა.

ელენემ მადლობა გადაუხადა და გულსაბნევი გამოართვა, რადგან შეატყო,

ეს რომ არ გამოერთმია, ბესო უჭირავს ძვირფას საჩუქარს შესთავაზებდა.

— თქვენ არ შეიძლება ძუნწი იყოთ, ყოვლად წარმოუდგენელია, — ვუთხარი ბესოს.

— კი! ნამდვილად ვარ! ძუნწი რომ არ ვიყო, განა კედელში დავმაღავდი სამკაულებს? მაშ ეს სიძუნწე არაა?

ბოლოს შინ დაბრუნების ჭამიც დაღვა. ბესო ჩამაცვივდა, ეს ღურბინდი წაიღე სახსოვრად, ამით გაიხსენებ ჩემთან პირველად მოსვლასო. მერე ფოტოაპარატი მომაჩემა ხელში — ეს იმის გასახსენებლად, დღე და ღამე რომ დადიოდი ამ უცხო ქვეყანაში შენი თანამემამულის მოსაძებნადო. მერე ელენეს ინგლისურ, რუსულ და ბერძნულ შრიფტიან საბეჭდ მანქანას აძლევდა, მაგრამ როგორც იქნა დავაჯერე, ექვსი თუ შვიდი ცალი გვაქვს-მეთქი. ბესომ პირობა მოგვცა, რომ ორი კვირის შემდეგ გვეტუმრებოდა.

გზაზე ელენემ კინაღამ დამაღრჩო შეკითხვებით.

— რატომ იყო ასეთი ჩუმი? რატომ პირდაპირ მე არ მომმართავდა? არ მომეწონე?

— ძველი ყაიდის კაცია, — აუუხსენი მე. — ისინი უხსოვარ ღროს ასე იქცეოდნენ და ახლაც მტკიცედ ადგანან ამ ჩვეულებებს. მაშინ ეს ზრდილობად ითვლებოდა.

შინ რომ დაბრუნდით, კვლავ ჩემს სამუშაოს ჩაეუჯექი და როგორც იყო, დავამთავრე ჩემი ცემენტი. ეჭვაც არ მეპარებოდა, რომ კარგი იქნებოდა. ამ ცემენტით ჩვენი სახლის სარდაფის შეღვევა გადავწყვიტე (ჩვენი სახლი ნესტიანი იყო). თუ აქ გამოდგა, მაშ წყალგამძლე ცემენტი გამომიგონებია-მეთქი, ვუთხარი ელენეს. გულდაგულ შევლესე და სარდაფი ფიჩხივით გამოშრდა. დღეში ხუთჯერ მაინც ჩავდიოდი სახახავად — ნამდვილი შედეგია იყო.

იმ დღეს, როცა ბესოს მოველოდით, სადგურისაკენ გავემურე, მაგრამ გზად წითელი მელია შემომხვდა. მელია წიფე გადაარბოდა და ცოტა ხანს ვუმზირე. მინდოდა გამომერკვია, რატომ აქანდა-

კებენ, მაგალითად, ბეჭემოტებს? და თუ ბეჭემოტები იმსახურებენ გამოქანდაკებას, მელიამ რაღა დააშავა? ბოლოს მივხვდი კიდეც — ამაში მხოლოდ კუდს უნდა მიუძღოდეს ბრალი. მერე გარეული ჯადღარი ვიპოვნე, ინგლისურად „ლედის შუს“¹ რომ ეტყვიან, ისა, და ამოვთხარე. ვიფიქრე ელენეს ბაღში დავრგავ-მეთქი. მერე შევიცადე ნაკადულის ტიკტიკი გამეგო, მიწაზე დავწიქი და ვუსმინე და ვუსმინე. „თევზები თევზებზე, თევზები თევზებზე“, — ლიკლიკებდა ნაკადული. მეტს ვერაფერს მივხვდი. ამაზე გამახსენდა, რომ მშოიდა. წამოვხტი და სადგურისაკენ წავედი. მატარებელი მოსულიყო და წასულიყო კიდეც: თითქმის ერთი საათი იქნებო, მითხრა რკინიგზის მოხელემ. ბესო ვერსად დავლანდე. ვიფიქრე, ალბათ არ ჩამოსულა, თორემ რომ ჩამოსულიყო, იმდენს კი მოისაზრებდა, სადგურზე დამლოდებოდა-მეთქი (ბესო გამოცდილი კაცია და მიხვდებოდა, რომ დროზე არ მივიდოდი სადგურში).

რაღა უნდა მექნა, ავდექი და შინ მივბრუნდი. ხორშაკი ქარი ჰქროდა. აივანზე ელენე დავინახე, თავშალი მოეხურა, სვიტრი და ხელთათმანებიც ჩაეცვა. ჩაის უსხამდა ბესოს, რომელსაც ყელსახვევით მოეზუნდა თავ-პირი, პალტო არ გაეხადნა და ქუდიც ეხურა თავზე. შევამჩნიე, რომ ძალიან ტანჯული გამომეტყველება ჰქონდა.

შინ შევედი. ძალიან მინდოდა გამეგო, რა აწუხებდა ბესოს, მაგრამ მალე ყველაფერმა გაუარა და ჩამოტანილი საჩუქრების ამოლაგება დაიწყო. ჩემთვის გიტარა ჩამოეტანა, ელენესთვის თხილამურები — მძლეოსნობა ყველა ამერიკელ გოგოს უყვარსო.

ვისაუზმეთ, დავლიეთ, დრო გავატარეთ და შემდეგ ბესო წასასვლელად შეემზადა — რიჩმონდში მიდიოდა საქმეზე. დაგვიპირდა, რამდენიმე დღეში უკან უნდა წამოვიდე და შემოგივლითო. ელენეს სული კბილით ეჭირა, სანამ ბე-

სო დაგვემშვიდობებოდა. ცნობისმოყვარეობით იწვოდა.

— რაში იყო საქმე, — მეცა იგი, როგორც კი ბესო ზღურზღუს გადასცდა. — ამისხენი, თუ ღმერთი გწამს, რატომ არ შემომყვა ოთახში?

— მითხარი, როგორ იყო?

— როგორ და კარზე რომ დააკაკუნა, რა თქმა უნდა, ხელი ჩამოვართვი და შემოვიპატივე. მგონი, თავაზიანად ვუთხარი, მე ხომ ძალიან ვამიხარდა მისი დანახვა. მითხრა, გარეთ მოვუყვადოთო. ჩავაცივდი, შემობრძანდით-მეთქი, მაგრამ არა ქნა. აივანზე რომ სკამი ვეიდვას, იმაზე დაჯდა და მეც რაღას ვიზამდი, გარეთ გავდი. ყველაფერზე ველაპარაკე, რაც კი გამახსენდა — ამინდზე, ვირჯინიაზე, ჩვენს ნაცნობ ქართველებზე; ვკითხე, როგორ იმგზავრეთ-მეთქი. ვზას გაგზედე და ვერ დავინახე. უკვე პირველ საათს გადასცდა. ამიტომ საუზმე გარეთ გამოვიტანე. ნეტა რა მოეჩვენა? რამე დაეაშავე?

— არა, არა. ეს ძველთაძველი ზრდილობაა. მრავალი წლის წინათ ასეთი ჩვეულება იყო — როცა ვინმესთან მიხვიდოდი, გარეთ უნდა დავცეადნა, სანამ თვითონ ოჯახის უფროსი არ შევიპატიქებდა შინ. უბრალოდ ასეთი ადამიანი იყო. არ იყო ლამაზი საქციელი ოთახში შესვლა, როცა მართო ცოლი იყო შინ.

— ღმერთო ჩემო! — ელენეს სუნთქვა შეეკრა და ჭარბალივით გაწითლდა. — რა ჩავიდინე! ეს რა ჩავიდინე!

— რა?

— როცა ბალი შემოგატარე, შენი ჩაყრილი ხეხილი, ფანჩატური და სათევზაო გუბურა დავათვალიერებინე, მერე...

— რა მოხდა?

— მერე მე — ოპ, რა ვქენი! სამუდამოდ მოგჭერი თავი! — ელენე აქვითინდა. — მერე ველარ მოგიფიქრე, რითი გამერთო და ვუთხარი — იქნებ ინებოთ სარდაფში ჩამომყვეთ და ცემენტი ნახოთ-მეთქი.

ელენე და გიორგი ჰაპაშვილები
სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს

¹ სიტყვა-სიტყვით — ქალის ფეხსაცმელი.



შავე მეორე გაზაფხული იყო, რაც ვირჯინიაში ვცხოვრობდით, რომ ორი რამ შეგვემთხვა ერთდროულად: ჯერ ერთი ილიას მეუღლე, ემილია იაკოვლევა, დაგვიბრდა, ზაფხულის შეგებულებას თქვენთან გაატარებო, და მეორეც, ელენე დავიყოლიე, რომ მონაწილეობა მიგველო კონკურსში. „რალა სწორედ ეს საჭმელი ზეთი მოგწონთ და არა სხვა?“ — იყო ამ კონკურსის ერთ-ერთი კითხვა.

— ეს სწორედ ის ზეთია, რომელსაც მაინც ვხმარობთ, — ვუთხარი ელენეს, — რატომ არ უნდა ვცადოთ ბედი?

— ნუ სულელობ, ჩვეულებრივი მომავლადგები ამ კონკურსში არ იმარჯვებენ. ან კომპანიის მესვეურის ბიცოლა მოიგებს, ან ტყუილ გვარს დაწერენ.

— არა მჯერა, ამერიკაში ხომ ყოველთვის უამრავი ხალხი იგებს, ყველა გაზეთში აცხადებენ და რადიოში გადმოსცემენ ხოლმე; მე მგონი, ვინც იგებს, ნამდვილი ადამიანებია; როგორც ჩანს, ამერიკაში ძალიან მიღებულია ასეთი კონკურსები.

— კარგი, შენცა სცადე.

მეც ავდექი და ზეთის კომპანიას წერილი მივწერე:

„სალამი და კარგად ყოფნა ამ წერილის წამკითხველს! მაქვს პატივი შეგატყობინოთ, რომ ჩემი ცოლი ყოველდღე თქვენი ზეთით კმაზავს სალათას. არ ვიცი, ჩემი ცოლია კარგი, თუ თქვენი ზეთი. ერთი კია — უკეთესი სალათა არაღის უჭამია ქვეყნად“.

ღუმელი, სტოკერი და რვა ტონა ქვანახშირი მოვიგე.

ელენე გულზე გასკდა. იგი დახელოვნებულ ლიტერატორად ითვლებოდა ჩვენს ოჯახში. სამაგიერო რომ გადაეხადა, ჩემს საბრძანებელში შემოიჭრა და დასაკეცი საყვავილე ქოთანს და კარსა და კარს შუა ჩასადები რეზინები გამოიკონა (ქეჩის შემცვლელი). რეზინი ძველი კამერებისაგან უნდა გამოეჭრა. ელენემ ორივე იდეა ერთ ტექნიკურ

ქურნალს მიჰყიდა. ღმერთმა მოწყალეზის თვალთ გადმოხედოს იმათ, ვინც ამ გამოგონებათა განხორციელებას დააპირებს. ერთი სიტყვით, ახლა მე და ელენე ბარიბარს ვიყავით.

ახლა ღუმელზე მოგახსენოთ: ჯერ ერთი, ნაქირავებ სახლში ვცხოვრობდით, მერე — ადგილიც არ გექონდა მეორე ღუმელის დასადგმელად. ამიტომ სასალათო ზეთის კომპანია ძალიან კეთილად მოგვექცა და ღუმელის საბადლოდ ელექტრომაცივარი მაჩუქა.

— მოდი, პრაქტიკულები გავხდეთ, — ვუთხარი ელენეს, როცა სამზარეულოში ელექტრომაცივარი აზუზუნდა: — განა არა სჯობს, სახლი ვიყიდოთ? მაშინ ყოველგვარი საჩუქრისათვის გვექნება შუა ადგილი. ასეთი შეცდომა აღარ უნდა გავიმეოროთ.

ასე ვიყიდეთ ფერმა პენსილვანიაში.

მაგრამ ეს ყოველივე არაფერი არ იყო: ემილია იაკოვლევენას დაპირებასთან შედარებით. შეგებულების ჩვენთან გატარება ფრიად მოულოდნელი დაფასება იყო, რაჯგან ემილია საქმიანი და მოდაში შემოსული ქალბატონი გახლდათ. აურაცხელი ტანსაცმელი და ორი ბეწვის ქურქი ჰქონდა, კვირაში შეიდნაირად ივარცხნიდა თმას და საუცხოო კოსმეტიკის კაბინეტის მფლობელი იყო. თავისი ხელოვნების მიღწევებს ის სასტუმრო „ასტორიის“ ხალხით გაჭედვით დარბაზებში აჩვენებდა. ემილია ყოველთვის გვასწავლიდა, როგორ მოვეტყუოლიყავით, თუ ნამდვილ ამერიკულ ყაიდაზე გვინდოდა ცხოვრება.

ახალშექნულ ფერმაში რომ გადაეხალხლდით, ემილია იაკოვლევენას ჯერ კიდევ არ ჰქონდა შეგებულება. ავეჯი, როგორც მოგვხვდა, ისე დავალაგეთ გასარემონტებელ ოთახებში, ნაკავი გავიტანეთ და ტელეფონი დაედგით, მერე ელენეს ვუთხარი:

— ახლა კი ვფიქრობ, დროა, ილიას დავურეკო და ემილია იაკოვლევენას ჩამოსვლის თაობაზე მოველაპარაკო.

— ვერ წარმომიდგენია ემილია იაკოვლევნა თავისი მტრედისფერი, გაპრიანებული ფრჩხილებით და სიფრიფანა წინდებით ჩვენს ფერმაში, მაგრამ როგორც გენებოს, ისე მოიქცევი.

მე ნომერი ავკრიფე და ილიკოს ქართულად ვუთხარი:

— ჩვენ გუშინ ვირჯინიიდან ავიყარეთ და აქ გადმოვსახლდით, მაგრამ ემილიას უთხარი, მაინც ჩამოვიდეს. უთხარი ჩამოვიდეს ბეთლემში მატარებლით ზუსტად ისე, როგორც ადრე ავუსხენით. ისევ პენსილვანიის სადგურიდან... ოღონდ რიჩმონდში კი არა... ბეთლემში. გავიგე?

— გავიგე, რა თქმა უნდა, გავიგე. — ეტყობა ილიკოს პირთან ისე ახლოს მიეტანა მიკროფონი, რომ ხმა მთელ ოთახში ისმოდა. — ყველაფერი გავიგე: — სადგური პენსილვანია?!

— ჰო!
— სამშაბათს. როგორც დავთქვით.
— კარგი!
— ოღ რაიტ, ნახვამდის!
— მოიცა. — დაიღრიალა ილიკომ. — სად უნდა ჩამოვიდეს?

ყურმილი მაგრად ჩავბლუჯე ხელში და ჩავყვირე:

— ბეთლემში. პენსილვანიის შტატში!

— ვერ გავიგე! ასო ასოდ მითხარი!
— ბეჰ — ბეჰ, — დავიწყე მე, მაგრამ ველარ დავამთავრე. შემდეგი ბერა ქართულში არა გვაქვს, ამ ბერის ნაცვლად ხორხიდან რაღაც ხრიალი ამოვუშვი.

— არ მესმის, — იყვირა ილიკომ, — ბიკლი. არის ასეთი ქალაქი? ბიკლი.

— აბა რა ვიცი, არის? ყურადღებით მომისმინე. ბეთლემი. ბეჰ-ეჰ-ხ-ოჰ რა ჯანდაბა დავემართა?! აი სადაც ფოლადია, კაცო, ფოლადი.

— ბიტსბურგში გინდა ჩამოვიდეს? ბიტსბურგის სადგურზე დახედები?

მუხლებში გავიმართე და ხმას ავუწიე.

— მომხედე, ილიკო! ქალაქი ბეთლემი! ბეთლემი! სადაც ქრისტე დაიბადა.

— ის ხომ ძველ ქვეყანაში დაიბადა. მე ასე ვიცი. აქ არ დაბადებულა.

შევატყვე, რომ სისხლი მომაწვა ყელში, მაგრამ ერთხელ კიდევ ვცადე.

— ბეთლემი. მამაშენის სახელს წაგავს. მიხვდი? ძალიან კარგი. ემილია იაკოვლევნას უთხარი, სადგურიდან დაგვირეკოს.

— აი ახლა კი გავიგე. ებრე გეთქვა. ახლა მოგაგნებს. კარგად იყავი!

ყურმილი ჩამოგვიდევ და შუბლი მოვიწმინდე. თავიდანვე ასე უნდა მეთქვა. ახლა ხომ მიხვდა.

— მამამისს მართლა ბეთლემი ერქვა? — მკითხა ელენემ. — ნუთუ ილია ბეთლემოვიჩია?

— არა, მაგრამ ძალიან წააგავს — ბართლომე — ილია ბართლომოვიჩი. ახლა გვიპოვნის.

ვუცადეთ სამშაბათს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს, მაგრამ ემილია იაკოვლევნა არ გამოჩნდა. პარასკევს, ნაშუადღევს, რკინიგზის მოხელემ დაგვირეკა:

— ერთი ქალბატონია აქ. კარგა ხანია იცდის. ჩემი ვარაუდით თქვენებური უნდა იყოს.

იმწამსვე სადგურისაკენ გავქუსლეთ. მართლა ემილია იაკოვლევნა გამოდგა. როგორც ყოველთვის, უცხოელსა ჰგავდა. ახალი კაზა ეცვა, ახალი ქუდი ეხურა, თმა უცნაურად დავეარტხნა და სახეზე რაღაც ნელსაცხებელი წაესვა.

— ასე ხომ? — თქვა ემილიამ და რაღაც სხვანაირად ჩაიციხა, — არ შემხვდით ხომ? მე უკვე ვიყავი ბერტესვილში, მშვენიერი ადგილი ყოფილა; ბართლომი, იქ ღია ბარათები ვიყიდე; ნიუ-იერუსალიმი მოვიწახლეთ. მთელი ქვეყანა მოვიარე. აქ ორი დღეა ვიციდი. რა უცნაურია ხალხი — ეგონათ, რომ არასოდეს მომაკითხავდით.

— ძლიერ გწუხვართ, — უთხრა ელენემ, — დიდ ბოდიშს ვიხვით, რომ...

— არაფერია. მე ხომ ვიციოდი, რომ მოხვიდოდით. ოდემე მაინც!

მივედით შინ და მანქანიდან ტანსაცმლის ყუთი, ტყავის ნესესერი,

ელენე და გიორგი პაპაშვილები სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს



ქუდებისა და ფეხსაცმელების ყუთები გადმოვტვირთეთ: ემილია იაკოვლეენა ისე შეიცვალა, ვეღარ იცნობდით.

— ეს ფერმა ყოფილა. — თქვა მან, ბოსლისაკენ მიბრუნდა, ყელი მოიღერა და ღრმად ამოისუნთქა. — რატომ არ მითხარით? მომყვიეთ! — ემილიამ წაწინწილებულქუსლიანი ფეხსაცმელები და წინდები გაიხადა და ფეხშიშველამ გადასჭრა ეწო. კარგა ხანს გულისყურით ათვალიერა ბოსელი, აბა როგორი კოჭები აქვს; მცოდნის თვალთა გამოიკვლია საღორე: საქათმის დანახვაზე უკმაყოფილოდ გადააქნია თავი, მერე შერიის ყანაში გადაუხვია, რამდენიმე თავთავი მოწყვიტა და დაღეჭა; მერე ყველა ყანის მიწის ნიმუში აიღო და ხელში დასრისა; მერე ლელეს აუყვა და ბოლოს, როგორც იყო, უკან მობრუნდა (ჩვენ სულ უკან დავდევდით), მაჩიტელას ქვეშ დაჯდა და ჩაფიქრდა.

— ეს ფერმა ქათმებისათვის არ ვარგა, — თქვა ემილიამ კარგა ხნის ფიქრის შემდეგ, — ძალიან ნოტიოა. არც კარტოფილისთვის — თიხნარია. მე მგონი, არც ქერიისთვის ივარგებს. მაგრამ მაინც კარგი ფერმაა, საუცხოო ფერმაა. ახლა მოვითათბიროთ, რა მოვიწიოთ: ხორბალი? ჭვავი?

— არაფრის დათესვას არ ვაპირებდით, — თქვა ელენემ, მაგრამ ემილიას სახეს რომ შეხედა, გამოასწორა: — თითქმის არაფრის, მხოლოდ ცოტა კიტრი, პამიდორი და ასეთი რამეები. სახლის გულისათვის ვადმოვედით, ფერმერობას არ ვაპირებდით. გვინდა, მიწამ დაისვენოს.

— მაშინ სარეველა გაჩნდება. რა ახირებაა? ჩვენში კაცს ამის ნახევარი მიწაც რომ ჰქონდეს, გამდიდრდება, სიკვდილამდე მდიდარი იქნება. შვილებს სკოლაში გაგზავნის, ოქროს საათს იყიდის ოქროსავე ძეწკვით.

— ემილია იაკოვლეენა, არა მგონია, კაცმა ფერმერობით დიდი ქონება შეიძინოს. ეგ არაა სარფიანი საქმე. თუმცა კარგი გასართობი კი უნდა იყოს.

— სარფიანი არააო! რას ამბობ? ასეთ ფერმაში, სადაც სამ, ოთხ, — ემილიამ თითები მოიშველია, — ექვს, რვა ოთახიანი ქვის სახლია, სარდაფი, საჩინები და ასეთი ბოსელია, ამერიკის უმდიდრესი ფერმერები ცხოვრობენ. მინდორზე ღორები, ძროხები და ცხენები დაუდით, ხორბლები თივითა აქვთ დაზვინული, ბელლები ხორბლით სავსე. ბაზარზე მათთან საუბარს ბედნიერებად თვლიან. აუცილებლად უნდა დათესოთ, ოღონდ ჯერ უნდა მოხნათ.

— მაშაჩემმა შვილივით გამოზრდილი ცხენი გაყიდა, შალა ერქვა, და იმ ფულთი ვლადიკავკაზში გამაგზავნა ხელობის შესასწავლად. დროშკების სადგურზე თავი ვერ შეიკავა და ატირდა. მითხრა: წადი, შვილო, ისწავლე და ლუკმაპურისთვის ჩემსავით აღარ მოვიწვევს მთელი სიცოცხლე გუთნის უკან ჩანჩალიო. ასე მითხრა მამამ. ესეც არ იყოს, მიწის დამუშავება არ მიყვარს.

— რასაც ცხოვრება გაძლევს, უნდა აიღო, ბედია. აი ჩვენს სოფელში ერთი კაცი იყო. წყალს რომ იღებდა, ჭაში ჩავარდა. ყვირილი ატეხა და მეზობლებმა თოკითა და კავით ამოიყვანეს. უფალს მადლი შესწირა, მაგრამ ცოტა ნაადრევად მოუვიდა. ამ ომში მეზღვაურად წაიყვანეს კრონშტადტში. გემბანიდან ტალღამ მოიტაცა და დაახრჩო. ცოლი, დედ-მამა და სამი შვილი დარჩა. რას იზამ, წყლის წერა ყოფილა. როცა წერაა, არაფერი ეშველება. ღორებზე რას იტყვი?

— არავითარი ღორი, — ვთქვი მე, — მარტო გარეულ ტახებს ვიყოლიებ. ისიც რამდენიმეს, ჩვენ რომ გვეუოს საქმელად.

— მაშინ ძროხები? კრიალა, ყავისფერი ძროხებით გაავსე ბოსელი და ნალები გექნება. ერთი ოთახი კარგად გავფხვიკოთ და შიკ კარაქი ვდღვიბოთ ხოლმე: ცხვრები? ათიოდე ცხვარიც გვინდა სამოვრების დასამშვენებლად. ქათმები მოვაშენოთ. წითელი ქათმები, წითლები უფრო მდიდრულია, ვიდრე ჩვეულებრივი, თეთრი ქათმები!

— გარეული ტახები თუ ვიშოვნე, — ვთქვი მე, — უმად ჩამოგვიდებ ჭერში და ქვევიდან კერიის ცეცხლს შევუნთებ. ქონის წვეთები მარჯალიტებივით ჩამოიღვენთება და როცა დავინახავ, რომ ფანჯრის მინასავით გამჭვირვალე გახდება, ქეიფი მოვაწყვით და შევკვამთ. გარეული ტახის შაშხი ნიგოზივით გემრიელია.

— კარგი! მაშინ ღორები შევიძინოთ! — დამეთანხმა ემილია. — დედაჩემმა ღორების მოვლის საიდუმლოება მასწავლა. რძეში მოხარშული ნელთბილი ფაფა უნდა აჭამო სამხრად. იქნება სახელმწიფომ პრიზიც კი მოგცეს ღორებში. აქ იციან ასეთი რამები. განა არა?

— მეც ასე ვფიქრობდი, — აუბა მხარი ელენემ, — სოფლის მეურნეობის დეპარტამენტმა, ან საოლქო ბაზრობამ, ან სხვა ვინმემ...

— იცით? — განაგრძო ემილიამ. — ამისთანა მდიდარ ფერმას შიმშილობის ქაშს ღატაკები, ობლები და ხეიბრები მოადგებიან; ყველას ბატარა კალათა ექნება და თქვენს ნაწყალობეებს ჩაყრიან შიგ. ისეთი მდიდრები იქნებით, რომ ამის შესაძლებლობა გექნებათ. ისინი დაგლოცავენ და თქვენც მადლობას შესწირავთ გამჩენს, რომ მაინცდამაინც თქვენ ამოგიჩიათ ღარიბების მფარველად.

— პირადად მე, — თქვა ელენემ, — მათხოვრობა რომ დამჭირდეს როდესმე, ისე შემრცხვება, რომ იქვე მოგკვდები. ამას ვარდა, ისინი უფრო სათემო ხაზინას აკითხავენ ხოლმე.

— რასაცა ვასცემ შენია, რაც არა — დაკარგულია, უთქვამს ჩვენს დიდ მგოსანს შოთა რუსთაველს, მაგრამ მოწყალების მიცემა მაინც ვერაფერი საქმეა. ჯობს უკეთესი საშუალება გამოიხატოს ხალხის საკეთილდღეოდ, — ვთქვი მე.

— რჩევასაც გკითხავენ, — დამამშვიდა ემილიამ, — თუ როგორ იცხოვრონ, როგორ დაქორწინდნენ, როგორ წავიდნენ ამ ქვეყნიდან. შენც უპასუხებ. იმდენი წიგნი და ჟურნალი რომ გაქვს

წაკითხული, ელენე, ფუჭად აღარ ჩაგივლის.

— ჯერ მე თვითონ უნდა ვიცოდე, როგორ ვიცხოვრო და მერე სხვას ვასწავლო, — ცოტა არ იყოს გაგულისებით ჩაილაპარაკა ელენემ.

ცოტა ხანს მდუმარედ ვისხედით და ხეებში ჩაბუდებული მტრედების ნაღვლიან ღულუნს ვუსმენდით.

— ხვალ დილას შინ მივდივარ, — თქვა უცებ ემილიამ.

— რას ბრძანებთ, ემილია იაკოვლევი, — ხმაზე შეგატყვევ, ელენე ნანობდა, ასე უხეშად რომ მიმართა ემილიას. — ნუ წახვალთ, მოიცადეთ. ფერმები აქ სხვანაირია. ამერიკაში ეს ღარიბულ ფერმად ითვლება. მწირი მიწაა — ამაზე უარესი იქნებ არც კი მოინახოს ახლომახლო. ჩვენ ეს საცოდავი ფერმა ვარჩიეთ, რადგან ყველაზე იაფი ღირდა.

— არა, კარგი ფერმაა, — კვლავ დაიჩინა ემილიამ. — ხვალ შინ წავალ.

— დარჩით, — კვლავ თხოვა ელენემ, — დარჩით, მთელი დღე მზის გულზე ვიგორავებთ, ვიცურავებთ და არავითარ სოფლურ სიამოვნებას არ მოვიკლებთ. ყვავილებს დაგვრევთ და...

— და ხვალვე ღამით აქ ვიქნები, — განაგრძო ემილიამ, — ოღონდ ამჯერად უნდა დამხვდეთ, აღარ მომბატყვით, — ემილიამ თავისთვის ჩაიცივნა. — კი არ დამვიწყებია, მაშინ რომ არ დამხვდით. ძალიან სასაცილო იყო.

ველარაფერი გაეაწყვეთ და მეორე დილას ნ საათსა და 40 წუთის მატარებელზე გაეცაილეთ.

— არასოდეს აღარ დაბრუნდება უკან, — მითხრა ცრემლმორეულმა ელენემ. — სულ ჩემი ბრაღია. ალბათ, წერილს გამოგვიგზავნის და ზრდილობიანად მოიხდის ბოღიშს. შენ რას ფიქრობ?

— იქნებ დაბრუნდეს, იქნებ არა! სანამ არ დავინახავთ, ვერაფერს ვიტყვით.

სალამოთი მაინც ისე, სხვათა შორის, გარეუბნის მატარებელს დაგვხვდით და

ელენე და გიორგი პაპაშვილები სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს

მატარებლიდან მართლა ჩამოვიდა ფუთებიცა და ორი გაბერილი ჩანთით დატვირთული ემილია.

— იცით, — დაიწყო მან, როცა მანქანა ოღორიოღორ გზას დაადგა, — ნიუ-იორკში ყველას გაეხარდა თქვენი დასახლება, ოღონდ ყველამ საყვედური თქვა — ასეთი კარგი ამბავი რატომ არ შეგვატყობინაო. კვირას კოსტა და ვერა ჩამოვლენ. კოსტა წყალსადენს გამოიყვანს. ილიკოც აპირებს. ვთხოვე, შესს მუშტრებს რჩევა ჰკითხე აბაზანის შესახებ-მეთქი. რაიმე მდიდრული უნდა იყოს. შავი, მეწამული ან მწვანე, რაიმე ნამდვილი ამერიკული სტილისა. ანიტა და მიშა რესტორანს დაკეტავენ და ჩამოვლენ. ისეთი რაღაცეები ჩამოაქვთ თქვენთვის, რომ... — ემილიამ თვალეზი

დახუჭა. — არა, სანამ არ ნახავთ, არ გიტყვიო.

ყველანი სამზარეულოში შევიდით. ემილიას ჩამოტანილები იქვე დავაწყვე-

— მაგრამ რაც ამკამად ყველაზე უფრო გიჭირთ, მე ჩამოგიტანეთ. — ემილიამ აზღულში ხელი ჩაჰყო, ქინძისთავით დამაგრებული ქისა ამოიღო, ასი დოლარი გადათვალა და მაგიდაზე დადო, ეს ხენა-თესვის ხარჯებისათვისო. შემდეგ ბაკეტი გახსნა — შიგ ოცდაათი გირვანქა ლორი აღმოჩნდა: ეს საჭმელად, როცა ყველა დამშვენდა. შემდეგ მეორეს შემოახიდა ქალაღო:

— ნახეთ რამხელა ჭამაკია. სამუშაოს რომ მორჩებით, ხეების ჩეროში დაისვენებთ. ახლა კი შეგვიძლია ფერმერობა დავიწყოთ.

იქ, სადაც ახლაც სძინავთ ზოლიათებს

ერთი სიტყვით, გვიდოდა თუ არ გვიდოდა, ფერმერობა უნდა დაგვეწყობო. ემილია იაკოვლევნამ გაავრცელა თუ არა ჩვენი ამბავი, ერთი ჩვენი მეგობარი, შალვა, მაშინვე ჩვენსკენ გამოეშურა მაცნედ: რვა-ათი კაცი ჩამოვა შებათს და მანამდე დარჩებიან, ვიდრე ყველაფერს არ ჩაუყრიან საფუძველსო! ამის გაგებისთანავე რკინა-კაეულოზის მდარზისაკენ გავეშურე საჭირო იარაღების საყიდლად.

— ლურსმნები, ხერხები, კიბეები, ფარცხი, — ჩამოთვალა შალვამ ჩემი ნავაჭრი. — გუთანიც იყიდე? ძალიან კარგად გივაჭრია, მაგრამ თუ გინდა, რომ საქმე დაჩქარდეს, სწრაფად მოვთავოთ ყველაფერი და ჩვენც ვისიამოვნოთ, ერთი რამ გვჭირდება, რაც სამშობლოში არასოდეს მოგვკლებია — კარგი მეზღაპრე.

— კარგი იქნება, მაგრამ რაღაც არ გამიგონია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში რომელიმე მეზღაპრე ჩამოსულიყო.

— მაშინ ჩვენ თვითონ უნდა გავანძრიოთ ტვინი. ჩვენვე მოვიგონოთ ზღაპრები. აი, მაგალითად, გაგიგონია როდისმე ის ზღაპარი, მგელი რომ იერუსალიმს წაყვიდა?

— ათასჯერ. თუ იცი, ერთმა ბიჭმა სახლი რომ ააშენა სპილოს ძვლებით?

— არა, კახეთში ეგეთი ზღაპარი არა გვაქვს. როგორ იწყება?

გამიხარდა და თავიდან ბოლომდე მოვუყვიე, მერე შალვა მომიყვა, როგორ მოხდა მისი პაპის პაპისა და ბებუის ბებუის — სპარსელი ქალის პირველი შეხვედრა. ძალიან ამაღელვებელი და რომანტიული ამბავი გამოდგა.

სანამ სხვები ჩამოვიდოდნენ, უკვე რამდენიმე ზღაპარი გვექონდა ხელთ. ბუნებრივია, იმათაც ეხსომებოდათ რამე; ასე რომ ყველაფერი კარგად მოეწყობა.

ზღაპრების მოყოლას ჩვეულებრივ დიდ-დილობით ვიწყებდით. მე და კოსტას მუშაობისას კარგი საუზმე გვიყვარდა — ძებვი, ცხელ-ცხელი სოსისები, ახალი კვერცხები, მცირეოდენი მარილიანი ყველი, შუშა კიტრები და თუ ტაფაზე გამომცხვარ მჭადსაც მოგვართმევდნენ, უარს არ ვამბობდით ხოლმე. ჩვენი ქალები, განსაკუთრებით ჩრდილოელები, უფრო არაკანმოსხმულ კარტოფილს და ქაშაყს ეტანებოდნენ. ბესოს მარტო მსუბუქი საუზმე სწამდა და მისთვის ყოველთვის გვექონდა ერთი თევზი კრევეტის სალათა, ცოტაოდენი სარდინები, დაკეპილი ღვინდი და სხვა

ამგვარი საქმელები. შემდეგ ელენეს, რომელიც კალიფორნიელი იყო, გაახსენდა, რომ ფორთოხლის წვენი თ ყველაფრის ამუშავება შეიძლება (ორთქლის მანქანის გარდა). ამიტომ ხელში ნიადაგ ფორთოხლის წვენი საგსე დიდი ღოქი ექირა და შეუბრალებლად გვაძალეზდა. ნაღებანი ყავა (ნახევარი ნაღები იყო, ნახევარი ყავა), ნამცხვარი, კომპოტი ჯა სხვა საქმელებიც უნდა გვეგემნა. ამიტომ საუზმეს ნახევარი დილა ვუნდებოდით. ბუნებრივია, რომ ამდენ ხანს სუფრასთან ჯდომით ხასიათზე მოვდიოდით და ათასნაირი ამბების მოყოლას ვიწყებდით.

კუკულა, რა თქმა უნდა, იმას ყვებოდა, რაც კოლეჯში ყოფნის დროს წიგნებიდან ამოკითხა. იმის ზღაპრებს სიცოცხლე არ ეტყობოდა. ძია ვანოც ხშირად ეკითხებოდა ხოლმე — თუ წიგნებიდან გაქვს ამოკითხული ეგ ზღაპრები, საიდანა იცი, რომ ნამდვილიაო? შენი თვალთ ხომ არ გინახავს მგავთი მთქმელი, იქნებ ყველა მოჭორილიაო.

ასე, ხან ერთ ამბავს ვყვებოდით, ხან მეორეს და საქმეც ჩქარდებოდა. პირველ რიგში სახურავი უნდა გამოგვეცვალა. ძველს იმოდენა ნახერტები ჰქონდა, წვიმის დროს ნიაგარას ჩანჩქერივით ჩამოდიოდა წყალი, მერე სხვენის კიბეს ჩამოყვებოდა, მარცხნივ უხვევდა, დარბაზს გადაჭრიდა, წინა კიბეს ჩაივლიდა და სადარბაზო კართი გადიოდა ეზოში. ძალიან კარგი სანახაობა იყო (ვანსაკუთრებით თუ ოთახში იყავი). მაგრამ არც თუ ძალიან სასიამოვნო.

სანამ ყავრით ეხურავდით სახლს, პეტრე სხვენზე იღვა და კიბეს გვიჭერდა (ცალხელია იყო და ყველაფრის გაკეთება არ შეეძლო), თავი ამოყოფილი ჰქონდა, ცას შესქქროდა და ზეპირად ამბობდა „ვეფხისტყაოსანს“, რომ მხნედ ვყოფილიყავით.

ნაშუაღღებს, როცა მზე ისე დააჭერდა, რომ სახურავზე დარჩენა შეუძლებელი იყო, დარბეზსა და ჩარჩოებს ვღებავდით და რიგრიგობით ვყვებოდით ამბებს.

აბრამს ბევრი რამ გადახდენოდა თავს იმის დროს. ერთხელ ასეთ ამბავს მოყვა:

— უკვე მეორე ზამთარი იყო, რაც თურქეთის ფრონტზე ვიყავი. მე სიყრმის შეილი ვარ და მამაჩემი ჯერ ახალგაზრდა კაცი იყო. გავიგე, რომ იმის ასაკის ხალხს იწვევდნენ. ძალიან შეეწუხდი. არ ვიცოდი, საით გააგზავნიდნენ ჯა ჩვენებს რა ეშველებოდათ მისი წყაყანის შემდეგ. კიდევ კარგი, ისე მაგრად ვმუშაობდით, ფიქრის დრო აღარ გვრჩებოდა. ანგარებს ვაშენებდით. თურქები ყუმბარებს ვაყრიდნენ აერობლანებიდან და ამიტომ მხოლოდ ღამლამობით ვმუშაობდით.

ერთხელ ბრძანება მივიღეთ, სასწრაფოდ დაამთავრეთო, ჯა იმავე ღამეს მთის გადაღმა მდებარე ბანაკიდან საზარგო მანქანით ორმოცდაათი თუ სამოცი კაცი გადმოგვიგზავნეს დამხმარედ. ყველანი ერთად შევეუდექით მუშაობას. ძალ-ღონეს არ ეზოგავდით, რათა გათენებამდე მოგვეთავებინა. ვეცემოდით, ერთმანეთს ვეჯახებოდით, მაგრამ მაინც არ ვეშვებოდით საქმეს.

მაგრამ მოულოდნელად თურქები დაგვესხნენ თავს. ყუმბარების უმეტესობა მიზანს ვერა ხვდებოდა, მაგრამ ზოგი ახლოს დეარდა და რამდენიმე კაცი გამოგვაცალა ხელიდან, ვინ და რამდენი — გათენებამდე ვერ გავიგეთ. და როცა ოდნავ ინათა, ვნახე, რომ ერთი მათგანი მამაჩემი იყო, ჩემი ღვიძლი მამა. მოკლული. თურმე მთელი ღამე ერთად გვიმუშავნია და მე არ ვიცოდი. ამის მერე რამდენჯერ მიფიქრია, იქნებ ჩემს გვერდით იდგა-მეთქი. როცა ფიცარი მომქონდა, იქნებ იმ ფიცრის ბოლო იმას ეკავა; როცა აჯურებს მაწვდიდა, იქნებ ხელი მომიხვდა ხელზე, ანა იმ სიბნელეში რას მივხვდებოდი. და ვერც ვღარასოდეს გავიგებ.

— ამისთანა ამბავს აღარ მოყვე, — უთხრა შალვამ, — უკვე სამჯერ შეგვე-

ელენე და გიორგი ბაბაშვილები
სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს



ბე ეს დარაბა. რაიმე სამხიარულო გვი-
თხარი.

— ელენემ ერთი სასაცილო ამბავი
იცის, — ვუთხარი შალვას, — ბებიამი-
სისგან გაუგონია: ქვეყანა კინაღამ რომ
დაიქცა სენტ-ჯონსბერში.

— ძალიან სასაცილო არ უნდა
იყოს, — დაეჭვდა შალვა.

— კი, არის! წადი და ჰკითხე!

შალვა ოთახში შევიდა და უშაღვე
ტყვიასავით გამოვარდა უკან.

— ღმერთო, დამიფარე! — ყვიროდა
იგი და თან ისე უცახცახებდა ყბა, რომ
ძლივს გავიგე, რისი თქმა უნდოდა. —
ღმერთო, მიშველე! მისს ბეტი ბუხრის
თავზე ზის და ელენე ყასბის დანას
ურტყამს კედელს.

ყველანი ოთახში შევეცვივდით.

— რას ჩადიხართ? — ვიკითხე მე.

— ლურსმანს ვარკობთ კედელში.
სურათი უნდა დაგვიდოთ, — მისს ბე-
ტიმ ირგვლივ მიმოიხედა: — რა მოხდა?

ელენემ კვლავ ჩაარკო ჯანა კედელ-
ში, ნახე! მე აღრეც ვეჭვობდი: თაბაში-
რის ტიხარი ყოფილა!

— მოდი, ბიჭებო, დაანგრიეთ და
ერთი დიდი ოთახი გვექნება, ექვსჯანჯ-
რიანი და... ფერი რატომ არ გადევთ
არც ერთს?

მაგრამ ყველაზე ძნელი საქმე ძველი
საქათმეების და საღორეების თავიდან
მოშორება გამოდგა. ყველა ჩაბინძურე-
ბული და მინგრეულ-მონგრეული იყო.
მთელი ამერიკის ვირთხები კლუბად იყე-
ნებდნენ ამ ნაგებობებს. ტრაქტორი მი-
ვლით, მაგრამ გადაბზრუნდა. მეორედ
ვცაღუთ — ჯაჭვები დაწყდა. ბოლოს ხე-
ლი ჩავეიქნიეთ, ვაშლის ხის ძირში დავს-
ხდით და ერთი დოქი ლიშონათი გამოვ-
ცალეთ. ეს ლიშონათი ჩვენმა კეთილმა
ქალებმა მოგვიტანეს.

— მომისმინეთ, — ვთქვი მე, — ამის
მეტი თითქმის აღარაფერი გვრჩება გა-
საკეთებელი ეზოში. მოდი ერთხელ კი-
დევე შევეუტიოთ და რაღაცა გამოვა. ბა-
რემ მოვათავოთ. მერე, ამ საღამოს, ერ-
თი ამბავი მინდა მოვიცეთ. აქამდე არა-
ვისთვის მომიყოლია. განსაკუთრებულ
შემთხვევას განსაკუთრებული ამბავი

სჭირდება. ჩემს გარდა მხოლოდ სკამი-
იცის და აქედან ორი მკვდარია. ძალიან
სხვანაირი ამბავია.

ორი საათის შემდეგ იმ ნაგებობათა-
გან მხოლოდ ბოძები დარჩა. ჩვენ გავ-
სუფთავდით და კატალპას ხის ძირში
სადილის ქამას შევუდექით.

— აბა ახლა დაიწყე, — მთხოვა
ყველამ ერთად. შალვამ ჭიქა ამივსო.

— ერთ პაპანაქება დღეს, მაშინ თერ-
თმეტ-თორმეტი წლისა ვიქნებოდი. მე,
ჩემმა სამმა მეგობარმა და ჩემმა დათვ-
მა მიშკამ საბანაოდ წასვლა გადავწყვი-
ტეთ. თითოეულმა ჩვენგანმა — ადამიან-
ნებს ვეკულისხმობ — თითო ნატეხი მჭა-
დი და ცოტა მარილი ვისავზლეთ. ვი-
ფიქრეთ, ვინ იცის, იქნებ ხოხობი მოვკ-
ლათ შურდულეებით და შევწვათო. მიშ-
კა არავის აწუხებდა თავის საქმელზე —
თვითონ ბოულუბდა ხოლმე თავლიან
ფულუროს და მაყელის ბუჩქს. სულ ზე-
ვით ავედით, მალლა, მალლა. ამ სიმაღ-
ლეზე წინათ არასოდეს ავსულვართ. ბო-
ლოს ერთ ტაფობს მივადექით. იქ თერგი
ცოტას ისვენებს, იმდენ ხანს, რომ პატა-
რა მწვანე ტბის შექმნას ასრვებს.

— ვიცო ეგ ადგილი, — თქვა ვა-
ნომ, — მაგრამ მეწყურმა მთლად ამოპ-
ქოლა ყველაფერი. ჩვენ გავგავზანენს
სათხრელად. წყალს ვზა გაუხსენითო.

— ნამდვილად ეგ ადგილია. ჰოდა, იმ
წელს ძალიან ცხელი ზაფხული იყო და
წყალი კარგა მაგრად დაშრა ხევში, თუშ-
ცა მაინც საკმაოდ ღრმა იყო. ძალიან
გვეამა ბანაობა. ერთმანეთს ვაყურყუმა-
ლებდით და მიშკას ათასგვარ ოინს ვაკე-
თებინებდით. შემდეგ ყვინთვა დავი-
წყეთ — კლდიდან ვხტებოდით. პირვე-
ლად მე დავყვინთე. როცა ზედაპირზე
ამოვდიოდით, თვალი გავახილე და კლდე-
ში შეკრილი დიდი ხერეღი დავინახე.
არ დაგავიწყდეთ, ისევ წყალქვეშ ვარ.
გადავწყვიტე, ამ ხერეღში შემეცურა.
ვიფიქრე: წყლის ღონის ზევით თუ გადის,
შიგ დავიმალევი და როცა ჩემს მეგობ-
რებს დამხრჩვავი ვეგონები და მიხე-
დებიან, თუ რა განძი დაკარგეს, გამო-
ვალ და გავახარებ-მეთქი.

— დიდი ქუეის პატრონი არა ყოფილხარ, — მიკბინა კუკულამ.

— მაშინ არც მჭირდებოდა დიდი ქუეა, მარტო ჩემს სამ ძალსა ღა ერთ ცხენზე გამჭირიახი უნდა ვყოფილიყავი და ჩემი საქმე კარგად წავიდოდა. ჰოდა, როცა ხერელში შევეცურდი, ისეთი რამ დავინახე, იმწამსვე ტყვიასავით გამოვვარდი უკან და ზედაპირზე ამოვეცურდი.

— რა? რა?!

— მოითმინეთ! ბიჭებს მოვუყევი; რა თქმა უნდა, არ დამიჯერეს! მაგრამ როცა შეამჩნიეს, რომ სახე გაფითრებული მქონდა და ხელები მიკანკალეებდა, ჩემთან ერთად ჩაყვინთეს და ხერელში შემომყენენ. მერე ცოტა ზევით ამოვედით და ოთახში, ოთახში კი არა, უფრო დიდი იყო, დარბაზში აღმოჩნდით. სულ ცოტა, თბილისის სადგურის მოსაცდელის ოდენა მაინც იქნებოდა. მაგარ კლდეში გამოკვეთილი დარბაზი იყო. ჭერის ბზარებიდან შემოსულ სინათლეზე დავინახეთ, რომ გვიპოვნია, — ჩვენ ოთხ ღლაპს ბოლოს და ბოლოს გვიპოვნია...

— რა?

— გოლიათების ბინა, ადგილი, სადაც სასიკვდილოდ მიდიოდნენ ისინი.

— შეუძლებელია!

— ნამდვილად. ჩონჩხები იყო იქ. თავები ჩვენს თავებს ჰგავდა, ოღონდ ბუშელის ოდენა იქნებოდა. თვალის ბუდეში მუშტი შეეტეოდა. გრძელი, თანაბარი კბილები ჰქონდათ და კაცის სიმალლის წვივის ძვალი.

— ჭურჭლეული, ხმლები, ფული? — იკითხა მისტერ მოკეტმა. — სკივრები, ქოთნები?

მისტერ მოკეტი ამერიკელი ჯენტლმენია, პროფესორი. რუსი ქალი ჰყავს ცოლად.

— არაფერი არ იყო. მარტო ჩონჩხები ეყარა. მე ვფიქრობ, ყველაფერს გარეთ ტოვებდნენ ხოლმე, როცა შინ სასიკვდილოდ მიდიოდნენ.

— ძროხის თავები გინახავს! — თქვა კუკულამ.

— კობიანთკარის მინდვრები სავსე იყო ძროხისა და ცხენის თავებით, მეტი

არა მინახავს ჩემს სიცოცხლეში! ტყის ყველა ბინადარის ჩონჩხიც მენახა — მელიის, დათვის, მგლის. ისინი კი ადამიანთა ჩონჩხები იყო. ჩვენსავით ხუთთითა მტევანი, გრძელი კიდურები. სიცოცხლეში, ალბათ, ექვსფუტიან ნაბიჯებს ადგამდნენ. ძალიან დავდონდი, როცა გავიფიქრე, ცოცხლებს ველარასოდეს ვნახავ-მეთქი, მეტადრე მაშინ, როცა იმათი მკლავები ვნახე. ალბათ, ძალიან კარგი სანახავი იქნებოდნენ, როცა ერთმანეთს ეჭიდებოდნენ.

— შენ ამბობ, რომ ასეთი რამ ნახე და არავის შეატყობინე? განცხადებაც არ შეგიტანია?

— განცხადება რატომ უნდა შემეტანა? მე მიყვარს გოლიათები და არასოდეს წაგვიღებოდა მათ. როდესმე რომ შემახვედრა, სიამოვნებით დავუშვებოდა.

— ამ გოლიათებზე. — ჩაერია ღაპარაკში ძია ვანო, — მე ზღაპარი მომისმენია ერთი მღვთისცაგან, აქამდე მონატორი მეგონა. შუბლზე წოპი ჰქონდა? ყოველთვის ასე აღწერენ ხოლმე.

— ჰქონდათ. მრგვალი!

— ცხენები იქნებოდა, — დაიქინა კუკულამ, — მკვდარი ცხენები.

— მისმინე, ომში უამრავი ჩონჩხი მინახავს. კაცები იყვნენ, კუკულა, ადამიანები.

— არა მჯერა, — თქვა პეტრემ, — ეგ, ალბათ, მეწყერის შემდეგ მოიგონე ხალხის გასამასხარაველად.

— რომ არავისათვის გვიოქვამს? გარდა ამისა, როცა სახლის გზას დავადექით, თედომ ერთი რაღაცა გვანახვა — ნეკის ბოლო სახსარი იყო, გამოქვაბულიდან წამოიღო. თუ ჩემი არა გჯერათ, გუდაურში წადით და ნახეთ. თედო იქაურია და, როგორც ვიცი, ახლაც შენახული აქვს ის ძვალი.

მაგრამ კუკულამ არც ამ საბუთისა ირწმუნა და ღვინის ჭიქაში ჩაილაპარაკა — მკვდარი ძროხის ძვალი იქნებოდაო.

ელენე და გიორგი პაპაშვილები სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს

საბედნიეროდ, ანიტა კარლოვნას მეორე ამბავი გაახსენდა, თორემ ნამდვილად წავეკიდებოდით ერთმანეთს. მისი ამბავიც მიწისქვეშა გამოქვაბულს შეეხებოდა. ოთახში შევედით და ბუნხარს მივუსხედით. ახლა შეგვეძლო თან გვესმინა და თან ტაროები შეგვეწვა. ჩემი აზრით, ამისთანა კარგი ამბავი მთელი ზაფხულის მანძილზე არ მოგვისმენია.

— ჩვენი სოფლის მახლობლად მთის წვერზე ერთი ციხე-სიმაგრე იდგა. შიგ გვირაბი იყო გათხრილი, საფეხურებიანი. ძირს, მიწაში მიდიოდა, მაგრამ არავინ იცოდა საით.

— რატომ არ იცოდნენ? — ჰკითხა პეტრემ.

— იმიტომ, რომ ის გვირაბი უწმინდურად ითვლებოდა. ზოგი ამბობდა, კლდეც გაივლის და ზღვის ნაპირას გადისო, მღვდელი ამბობდა — მოერიდეთ, ალბათ, ჯოჯოხეთში თავდებო.

ერთხელ, ქორწილის დროს, როცა ყველა ჭამა-სმასა და მხიარულებაში იყო გართული, იმ ძველ ციხე-სიმაგრეზე ჩამოვარდა სიტყვა. ნეფემ იფიქრა, ჩემს დედოფალს დავუმტიკებ, ბედი გეწია და ცოლად უმამაცეს ახალგაზრდას მიჰყვებიო, და მიქორწილებს უთხრა: მე მინდა იმ გვირაბში ჩავიდე მარტოკა და ვინც ჩემს დაბრუნებამდე მოიცდის, საუცხოო საჩუქრებს ამოეუტანო.

— არა! არა! — აყვირდა ყველა, მაგრამ ნეფემ არ შეისმინა: სანთელი მომცით და მივდივარო. რაღას იზამდნენ? მთელი ხალხი გაჰყვა გვირაბის თავამდე. ნეფემ პალტო შეიკრა და ძირს დაეშვა. „ბაკ-ბუკ, ბაკ-ბუკ“, ისმოდა გვირაბიდან. ხმა თანდათან სუსტდებოდა. პირველ ორ-სამ საათს ხალხი მხიარულობდა, სვამდა და თან ყური იქით ჰქონდა — აბა თუ ბრუნდებო. შემდეგ უძახეს, იყვირეს, თოფები დაცალეს — მაინც არ ამოვიდა. დღეები გადიოდა. ბოლოს მარტო დედოფალი დარჩა იმ გვირაბთან... — იმედს არ ჰკარგავდა, ღმერთს ევედრებოდა, მაგრამ ნეფე აღარ დაბრუნებულა.

დაველოდეთ, ვიდრე ანიტა კარლოვნა მჭადის ნატეხზე კარაქს წაუსვამდა. როცა შეჭამა, ელენემ ჰკითხა, შემდეგ რა მოხდაო?

— არაფერი, დაიკარგა!

— რა? არავინ მოძებნა? — ჰკითხა პეტრემ. — ეს წარმოუდგენელია.

— ჩასვლა არ შეიძლებოდა. — უპასუხა ანიტამ.

— ანიტა კარლოვნა, ერთი ნაჭერი მჭადი კიდევ შეჭამეთ და მოიგონეთ. ნამდვილად გაგახსენდებათ, თუ როგორ დამთავრდა ის ამბავი, — უთხრა ბესომ.

— თუ გნებავთ, სხვა ამბავს მოგიყვებით, ეს კი დამთავრდა, მორჩა!

რალაც ვერ ვირწმუნეთ, რომ ის კაცი აღარ დაბრუნებულა, სულ ვეკითხებოდით.

— მომისმინეთ, ანიტა კარლოვნა, — უთხრა პეტრემ მეორე დღით, როგორც კი საუზმეს მივუსხედით, — ორიოდე წელი გავიდა და იმ კაცის ძვლები იპოვნეს, არა? ალბათ ზღვის ნაპირას ეყარა. ასე არ იყო?

— არა.

— იმ კაცს საცოლვე არ უყვარდა და გაქცევით მოიწმინდა ნამუსი. ათი წლის შემდეგ იგი კვლავ მიბრუნდა იმ სოფელში, სხვა ცოლითა და ათი შვილით. — თქვა მისს ბეტიმ.

— არა, საცოლვე ელოდა! ყოველდღე ელოდა! მე უკვე მოხუცი გავიცანი და მაინც ელოდა.

იმ დღეს პეტრემ ათჯერ მაინც მიატოვა სამუშაო, ოთახში შევიდა და ანიტას დაუწყო ღრეჯა. არაფრით არ უნდოდა ფარ-ხმალის დაყრა:

— დარწმუნებული ვარ, ანიტა კარლოვნა, რომ ბოლოს ორიოდე მეგობარი მაინც გაჰყვა იმ კაცს. იქნებ მეგობარი იპოვნეს, გული გაუსკდა, ალბათ. ან იქნებ კლდეზე გადაიჩიხა და რაიმე მხეცმა შეჭამა. ჰა?

მაგრამ ანიტა კარლოვნას ვერ გადა-

ატენვერსა ერთხელ ნათქვამი: ის კაცი ქვევით გვირახში წავიდა და სამუდამოდ დაიკარგაო.

ვერობამდე ასე შორი გზა რომ არ

ყოფილიყო, მე მკონი ნამდვილად მოვაწყობდი იმ დღეებში მამველ ექსპედიციას და ჩვენ თვითონ ჩავიდოდით გვირახში იმ კაცის მოსაძებნად.

პარზი მიჯნალები

— კარგი ამბებია, — შემოილაპარაკა ერთ დღეს ფოსტიდან დაბრუნებულმა ელენემ, როცა მე და შალვა ის იყო საუზმედ ვაპირებდით დასხდომას, — ქეთლინი ჩამოდიხ. ჩითი უშოვნია. ემილია იაკოვლევანა, ილიკო და პეტრე ეპირებიანი შაბათს, ხუთ საათზე. ეს კი ძია ვანომ გამოაგზავნა.

წავიკითხე წერილი:

— ძია ვანოც ჩამოდიხ.

— ჩანჩო?

— ვგონებ, ჩანჩოც.

— ამ სახლში უელექტრონოდ აღარ იცხოვრება, — თქვა უცებ შალვამ. — ელექტრონი უნდა გამოიყვანო. — წამოხტა და კედლებზე კაკუნი დაიწყო.

— ოცი წელი გავეძელი საქართველოში უელექტრონოდ, — ვთქვი მე. — რამდენადაც ვიცი, არც შენა გქონია ეს ელექტრონი.

— იქ ამერიკელი მანდილოსნები არ მოგდიოდნენ სტუმრად. ახლა სულ სხვა ვითარებაა. რას იფიქრებენ ელენეს მეგობრები, როცა ჩამოვლენ და ნახავენ, რომ ცოლს უელექტრონოდ აცხოვრებ? რა შთაბეჭდილება შეექმნება ქართველებზე?

— სადენების გამოყვანა არ ვიცი.

— მე გასწავლი.

— რანაირად, როცა ამიერიდან მხოლოდ კვირაობით შეგეძლება ჩამოსვლა?!

— დავიწყებ და მერე კედლებზე დაგინახებ, როგორ უნდა გაიყვანო მავთულეები, ან სად უნდა შეურთდეს; სანამ მე ჩამოვალ, იმუშავე. მერე კიდევ დაგინახებ.

— ვერ გადამიწყვეტია, — თქვა ელენემ და შალვას ყავა დაუსხა — დარწმუნებული ხარ, რომ ასე აჯობებს?

— არხეინად იყავი, — დააწყენარა შალვამ, — ვიცი, ქალები რა წერილმა-

ნებიცა ხართ. თქვენ ხომ მაინც უნდა მოხატოთ კედლები და მაშინ ჩემი ნახაზები დაიფარება.

— მე იმას ვამბობ, რომ ცუცხლი არ უნდა გაჩნდეს, როცა აბაზანაში ვიქნებით ან სადმე წავალთ, — თქვა ელენემ.

— რა თქმა უნდა, არ გაჩნდება. — შალვამ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი და ნაღებზე უარი განაცხადა, — მაგრამ თუ არ მენდობით...

— არა, არა!

შალვას ბრმად ვენდობოდით, ამიტომ ქვევით ჩავედით და კაბელები, ჩამრთველები, ზონრები და სხვა აუცილებელი მასალები ამოვიტანეთ. მერე სადგურზე გავედით. რომ ელენეს მეგობარს, ქეთლინი პატრიკოვნას დავხვედროდით.

— იშვიათი რამ ჩამოგიტანე, გიორგი, — მითხრა მან, როგორც კი ოთახში შევედით. — მე თვითონ მოვამზადე ბეილო.

— ბეილო? რაღაც მათეთრებელს წააგავს. რუსულად ასეა. ალბათ კარგად რეცხავს.

ქეთლინმა ჩემოდანი გახსნა და თაფლისფერი სითხით სავსე ბოთლი ამოიღო:

— ბეილო სასმელია. საუცხოო რამ არის!

— კარგი. გავსინჯოთ. — ვთქვი მე.

— უეჭველად, — ამიბა მხარი შალვამ და საცობის ამოსაღები მოიმარჯვა. — რას ვკარგავთ, დიდი-დიდი — დავიხოცოთ.

— ჯერ ცინულის ნატრები ჩაყარეთ ჭიქებში და მერე ბეილო ჩაასხით, — გვასწავლა ქეთლინმა.

შალვამ დიდი ვაჭკაცევით პირველმა მოწრუბა.

ელენე და გიორგი პაპაშვილები სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს

— ბრწყინვალეა, ამის გამკეთებლის ხელები ამბორის ღირსია! — თქვა და ქეთლინის თავი დაუკრა.

მერე მე მოვსვი ეს ნაღებივით სქელი სითხე. ნამდვილად კარგი რამ იყო. რაღაც გაურკვეველი გემო და აყვავებული ფორთოხლის სუნი ჰქონდა. ნეტავი რისგანაა დამზადებული?

— ძალიან გემრიელია, — მოიწონა ელენემაც, — უკვე ორ-ორი დავლიეთ. მოდი თითო სხვებსაც შევეუნახოთ. ამაღამ ჩამოვლენ.

— არა! დღეს ახალს მოვამზადებ, — თქვა ქეთლინმა, — იოლი საქმეა. სამი ფორთოხალი და ერთი ლიმონი უნდა აიღო, კარგად დაკეპო და თაფლში აურიო. პერკოლატორი! გაქვთ?

— კი!

— მერე დაკეპილ ლიმონს და ფორთოხალს პერკოლატორში ჩააწყობ და ყავას ჩაატან.

— მერე?

— მერე სიმინდის ვისკს დაასხამ. თავს დაუეცვ და ცოტა ხანს აადუღებ.

— რა გასაოცარია! — თქვა შალვამ.

— და როცა მზად იქნება, გაფილტვრავ და ჩააცივებ. ეს არის ბეილო. ვინ ჩამოღის ამაღამ?

— უამრავი ქართველი.

— როგორი მეზობლები გყავთ? — მკითხა ქეთლინმა.

— ჯერჯერობით არავენ გვწვევია.

— ნუ იკლავ თავს მაგის გულისათვის, — დამაწყნარა ელენემ.

— მე მიყვარს, როცა სიამტკბილობით ვარ მეზობლებთან.

— ვისაც რამე გაეგება, სანამ ფანჯრებზე ფარდებს არ დავკიდებთ, არ გვეწვევა, — ამისნა ელენემ, — ეს იმას ნიშნავს, რომ შენ ტკბილეული ჯაამზადე, ლიმონი დაჭერი და...

— გამარჯობათ, — თქვა ქეთლინმა და ჰაერს ხელი ჩამოართვა, — ძალიან სასიამოვნოა თქვენი გაცნობა.

— საერთოდ ასეა მიღებული, თუ შენი ახალი გამოგონებაა? — ვკითხე ელენეს.

— არა. ამჯერად არ ვიგონებ. სომ ასეა, ქეთი?

— მოდი, თითო ჭიქაც დავლიოთ, და ახალს მანდარინითა და გრეიფუტით გავაკეთებ, ვნახოთ რა გამოვა, — თქვა ქეთლინმა.

მაგრამ მისისი კლივენდონისაგან რას არ უნდა მოელოდეს კაცი. იგი მაღალი საზოგადოების ქალი იყო. ჩვენგან სულ ორი ფერმის დაშორებით ცხოვრობდა, მაგრამ ეტყობა, სულ სხვანაირად უყურებდა ცხოვრებას, რადგან შემდეგ კვირას, ამ საუკუნის ყველაზე პაპანაქება დღეს (ასეთი სიცხე 67 წელია არ ყოფილა) საღარბაზოდ რომ გვეწვია, ფარდები კი არა, ჭერიც არ გვექონდა.

მე საბანაო კოსტუმში მეცვა და მისაღებ ოთახში ვმუშაობდი — სხვენზე მდგომ შალვას მავთულს ვაწოდებდი. უცებ კაკუნი მომესმა. შემდეგ ვიღაცამ თავისი სახელი და გვარი თქვა. ღმერთო ჩემო! ქალია და მე თითქმის შიშველი ვარ. მავთული ძირს დავგადე და უახლოეს და მოხერხებულ სამალავს მივაშურე: ეს პაპიჩემის დროინდელი გეგბა საათი იყო, რომელიც ელენემ ორიოდ კვირის წინ შეიძინა აუქციონზე.

ბესო ვიღაც ქალს შემოყვავა.

— გთხოვთ ინებოთ დაბრძანება. დიასახლისი ამჟამად შინ არ გახლავთ, ტყეში გაისეირნა, მაგრამ დაუფახებ.

მე საათის კედლის ზზარიდან ვხედავდი ორივეს. ბესო მაგიდას მიადგა, პატარა ჭიქაში ხერესი დაასხა და თეფშზე ნამცხვრები დააწყო.

— ჩემს მეგობარს პატივი დასდეთ და ეს პატარა ჭიქა შესვით. ვიმედოვნებ, ხშირად მიანიჭებთ სიამოვნებას თქვენი ამ სახლში მობრძანებით.

— მალღობელი ვარ. სასმელს არ ვეტანები, — თქვა მისისი კლივენდონმა.

— უკაცრავად, ერთი წუთით დაგტოვებთ, — ბესო გვერდულად წავიდა კარისაკენ. — მე კარგად ვერ ვლაპარაკობ ინგლისურად, მაგრამ ჩვენი მასპინძლის მეგობარი აქ არის და დაუფახებ. — ბესო ღარბაზში შევიდა და დაიძახა: — სადა ხართ, ქეთლინ პატრიკოვნა!

¹ ყავის გამოსახდელი.

— რა გინდათ, ბესო? — გამოსძახა ქეთ-
ლინმა სამზარეულოდან. — არა მცალია.

— სტუმარია.

— ოჰ! ახლავე!

ბესომ კარი მოხურა და დარბაზში
დარჩა.

ამ დროს შალვა მავთულს ექაჩებოდა
ზევით.

— გიორგი, ამ მავთულს ბოლო არა
აქვს? — ჩამომძახა მან. იატაკზე მავ-
თულის სრილის ხმა მესმოდა. — გა-
თავდა?

მე კი თავივით ვიყავი გასუსული
საათში.

შალვა მეორე სართულის იატაკის
ხერხელში გამოძვრა და მარტოკამ დაი-
წყო კოჭებზე მუშაობა. — გიორგი! —
კვლავ დამიძახა მან.

შალვა დაახლოებით წელზევით მო-
ჩანდა და, მართალია, ტანისამოსი არ
ეცვა, მაგრამ მისს კლივენდონს ჯერ
საყვირლად არ ჰქონდა საქმე — უნდა
ეგულისხმა, რომ წელს ქვევით შარვალი
ცემებოდა.

— ოჰ, — წამოიძახა ჭერის კოჭებზე
გაწოლილმა შალვამ, — მახატიეთ. სულ
არ მოველოდი თქვენს დანახვას, სხვას
გეძახოდი. — შალვამ უკან დაიწყო გა-
ცოცება, — ძალიან გთხოვთ, დაბრძან-
დეთ. ბოდიშს ვიხდი, რომ ვერაფერს
გთავაზობთ, იქნებ ერთი ჭიქა ღვინო
მიირთვათ. მაგიდაზე დგას.

— გმადლობთ. ალკოპოლიან სასმე-
ლებს არ ვეკარები. აი თეთრ ბაფთას
ვატარებ, იმედის ბაფთას.

— მართლაც და, — განეწყო ფილო-
სოფიურად შალვა, — ამქვეყნად იმე-
დიც რომ არ გექონდეს, რაღა გვეშვე-
ლებოდა. თუ არ შეწუხდებით, ჭიქა
ამიგნეთ და დიდი სიამოვნებით დავლევ
თქვენი იმედის სადღეგრძელოს.

ბოლოს, როგორც იყო, ოთახში ელე-
ნე შემოვიდა. დაიწყო ქალური საუბა-
რი. „იქნებ ყოველივე კარგად დამთავრ-
დეს?“ — გაეფიქრე მე. ოღონდ რა ცუ-
დია, რომ საათებში დასაჯდომს არ აკე-
თებენ.

მისსის კლივენდონი თავის ძველებურ
ნიეთებზე დაბარაკობდა.

— ჭალის დასამაგრებელი ერთ დო-
ლარად ვიყიდეთ, — თქვა ელენემ.

— ჩემსაში ოცდაათი ცენტი გადავი-
ხადე.

— აი, ეს სასმელების კარადაა.

— კარგი რამაა, ოღონდ ნამდვილი
ხე თუა? — დაეჭვდა მისსის კლივენ-
დონი. — საათი? საათი როგორია?

— შიგნით წარწერა აქვს, — ელე-
ნემ ოთახი გადმოჭრა და საათის კარი
გამოაღო.

— გამარჯობათ, — ვთქვი მე და სა-
ათიდან გამოვედი. — საცუროდ ვაპი-
რებდი წასვლას. როცა შევამჩნიე, რომ
საათი ხუთი წუთით უკან რჩებოდა, ცო-
ტა შევაკეთე. ახლა კარგად იმუშა-
ვებს. — ელენემ სტუმარი გამაცნო.

— უჰ, — ამოიხვნეშა მისსის კლივენ-
დონმა, როცა ჩემი გვარი გაიგონა, —
მეც ასე ვიფიქრე. — ხმადაბლა ჩაახვე-
ლა, თითქოს უხამსი რამის თქმას აპი-
რებო. — თქვენ უცხოელი ხართ? რუ-
სი ხომ არა?

— არა, მაღამ! მე ქართველი ვარ.

— ჰო. მაშინ თავადი იქნებით. მე
მგონია, ყველანი თავადები ხართ.

— არა, მაღამ! მე გლეხი ვარ!

— გეტყობათ, ძალიან თავმდაბალი
ხართ. სხვები ყველანი თავადობას ჩე-
მობენ.

— ჩემი პაპის მამაც და უფრო ადრე,
პაპის პაპის პაპაც გლეხები იყვნენ. ასე
თუ მივყვებით, ნოემდე სულ გლეხებად
მივალთ.

— ნოემდე?

— ჰო! იგი არარატზე გადაჯდა. ფვი-
ქრობ, წაკითხული გექნებათ. მერე იქ
გადასახლდა, სადაც ჩვენა ვცხოვრობთ.
უფრო მშრალი ადგილია.

— აჰა! მივხვდი. ნოე. ახლა მითხა-
რით, მოგწონთ ეს პატარა კუთხე?

ვუთხარი, რომ მოგწონდა. ელენემ
ჩვენი საქმიანობა აუწერა. მე ბოდიში
მოვუხადე — ზევით ავალ და ტანსაც-
მელს ჩავიცვამ-მეთქი. როცა უკან დაე-

ელენე და გიორგი ბაბაშვილები
სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს



ბრუნდი, ელენეს სასადილო ოთახისაკენ მიჰყავდა მისის კლივენდონი. მეც უკან გავეყვი. სუფრა მშვენიერად იყო გაწყობილი. თევზებზე ნამცხვრები ეწყო, ყავადანი მხიარულად თუხთუხებდა.

— ყოჩად, ქეთი, — თქვა ელენემ, — ყველაფერი დაუმზადებია. აქ დაბრძანდებით, მის კლივენდონ? — მაგრამ, ეტყობა, ელენე უფრო მეტად ღელავდა, ვიდრე იმჩნევდა. ასე რომ არ ყოფილიყო, შეამჩნევდა, რომ ქეთი ბეილოს ამზადებდა და მისის კლივენდონს სიმინდის ქაფქაფა ვისკის აღარ დაუსხამდა. მისის კლივენდონი გაყვიოლდა.

— მგონი ჩემი წასვლის დროა, — იგი წამოვდა. — მე... მე ერთ ადგილას ვარ მისასვლელი. სხვა დროს იყოს, — მისის კლივენდონმა თავისი ხელთათმანები წამოკრიფა.

კარამდე მივაცილეთ.

— ძალიან მწყინს, რომ ვერ მოიცადეთ, — ვუთხარი მე.—ძალიან გთხოვთ, კვლავ მოხვიდეთ. მეორედ, იმედია, თქვენი ქმრის გაცნობის ბედნიერება მექნება.

— მისტერ კლივენდონი სამი წლის წინ დაეკარგე.

— უაღრესად სამწუხაროა. იმედია იპოვნით. რამდენადაც ვიცი, ქმრები ყოველთვის განზრახ იკარგებიან (რალაციით ხომ უნდა გამემხნევებინა მისის კლივენდონი).

— ნახვამდის, ნახვამდის.

ელენემ ძლივს მოითმინა, სანამ მისის კლივენდონი მანქანაში ჩაჯდებოდა:

— მაგისი ქმარი გარდაიცვალა. შენ კი, ღმერთო ჩემო, იმედი მიეცი, ნახავო. საქანელას ამოფარებული ქეთი ჩვენთან მოვარდა — მაღლობა ღმერთს, ყველაფერი გათავდაო, წამოიძახა.

— რატომ არ მითხარით, რატომ არ გამაგებინეთ, რომ ქვრივია? — ვუსაყვედურე ორივეს.

— აი ეგ ბებერი... — თქვა ქეთიმ და ღობეს წიხლი ჰკრა.

— მეც მაგ აზრისა ვარ, — თქვა ელენემ.

— ახალგაზრდები ხართ და გეიოლებათ. მარტო რომ დარჩეთ, მაგაზე უარეს დღეში ჩავარდებით. — ეზოში გამოვვარდი. მისის კლივენდონის მანქანა ის-იყო ქიშკარში გადიოდა. ფანჯარაში თავი შევრგე:

— მომიტყევეთ, არ ვიცოდი, თუ ქვრივი იყავით. როდის ინებებთ გეახლოთ და შეშა შეგიტანოთ სარდაფში.

— შეშა?

— შეშის შემტანი გყავთ, არა? მოხენა? როცა დაგჭირდებათ მოვალ.

— მოხენა?

— ბოდიშს ვიხდი. მე არ ვიცი, რა საქმიანობას ეწევიან აქ. წინათ არასოდეს მიცხოვრია ფერმაში. ჩვენს სამშობლოში წესად გვაქვს ქვრივებს ერთი დღე მივეხმაროთ, მაგრამ თქვენ თუ სხვანაირი წესი გაქვთ, მე დიდი სიამოვნებით გავიღებ ჩემს წვლილს. რა სახითაც არ უნდა იყოს.

— არა, მაღლობელი ვარ! ძალიან დიდი მაღლობა. — მისის კლივენდონმა გაიღიმა კიდევ (ამას კი ვერასოდეს წარმოვიდგენდი). — ჯერჯერობით მე თვითონ ვაგუძღვები საქმეს. სხვათა შორის, ამ კვირას გეცვლება თქვენა და თქვენს მეუღლეს, რომ მეწვიოთ?

ვეწვიეთ და მას შემდეგ დავმეგობრდით და დავმეზობლდით, ხშირი მისვლა-მოსვლა გვქონდა ერთმანეთში და ერთხელ, როცა უკვე ძველისძველი ნაცნობები ვიყავით, მისის კლივენდონმა მითხრა:

— იცით, პირველად რომ განახეთ, რალაც ვერ გაგიგეთ. ვიფიქრე...

— სრულიად გასაგებია, მისის კლივენდონ, ნუ მეზოდიშებით. თქვენ ლოთები გეგონეთ. ჩვენ კი ვიფიქრეთ, თქვენზე ავი ქალი აღარავინ შეიძლება იყოს მეთქი. ბოლოს და ბოლოს რა მოხდა, შეცდომა ყველას მოსდის.

მიწას ვერ მოატყუებ

მთელი ის ხანი, რაც ვირჯინიაში ვცხოვრობდი, ერთი სახის ქიმიური პრეპარატს ვიწერდი გერმანიიდან და სა-

ბეჭდი მანქანის მეღანს ვაკეთებდი. გერმანიაში მომხდარი ამგებები რომ მომწონებოდა, ალბათ სიკვდილამდე ამ

მელნის გაყიდვით ვიცხოვრებდი, მაგრამ აბა როგორ შემძღლო გამგებანა ფული პრეპარატის საყიდლად და სინდისიც დამშვიდებული მქონდა?!

ჯერ ვიფიქრე, ჩემს ცენტებს რა მნიშვნელობა აქვს, მე ერთი ვარ, აბა რას წარმოადგენს ერთი კაცი-მეთქი? მაგრამ შემდეგ ჭკუამ მიკარნახა: ერთი კაცი თუმცა ერთი კაცია, მაგრამ ხეები თუ არ იქნა, აღარც ტყე იქნება. ასე რომ სხვა გზები უნდა მეძებნა თავის გასატანად. გადავწყვიტე, მიწათმოქმედება დამეწყო.

პირველი ჩემი აღმოჩენა ის იყო, რომ თუ ფულის შოვნა გინდა, ქათმები არ უნდა მოაშენო. ოღონდ ამის აღმოსაჩენად ათასი დოლარი და ერთი წელი დაეხარჯე. ქათმები ფრიად ქურუხი ცხოველებია—სასიკვდილოდ კორტინან ერთმანეთს. ამას გარდა ცეცებიც არიან. დაფართხუნობენ, შფოთავენ, კრიასობენ და, სიმართლე თუ გინდათ, თვითონვე პატიჟობენ მელიებს, ძაღლებს, სკუნსებს და სინდიოფალებს — მოგვიანდირეთო.

— დამიჯერე, ქათმის დანახვა აღარ შემიძლია, — ვუთხარი ელენეს იმ დღეს, როცა ბოლო გალია ქათმები გავეყიდე. — კობიანთკარში რომ დაებრუნდები, იქნებ დამიჯერონ მეტროპოლიტენის არსებობა, იქნებ „ემპაიერ სტიტ ბილდინგი“ და ავტომატებიც ირწმუნონ. მაგრამ არასოდეს არ დამიჯერებენ, რომ ამერიკაში ქათმებს სათვალეს უკეთებენ და თუნუქის კაბებს აცმევენ, რათა ერთმანეთი არ დაჭამონ! არაფრით არ დამიჯერებენ.

ქათმების შემდეგ თხების მოშენება ეცადე. ნეტა რატომ ვერ ეწყობა ადამიანი თხას? მას აბრწუმივით ბეწვი, ნაზი ტუჩები და ფაქიზი მადა აქვს — აქ ქორფა ღვარძლას წაწიკნის, იქ ერთ ბლუჯა რძიან ბალახს გეახლებათ. მერე მადის გასახსნელად ორიოდ ფოთოლს დააყოლებს ან მწარე ღეროს დაღეჭავს, ხან სამყურას თოთო კვირტებს გაშინჯავს — ისე არჩევს მინდორში საჭმელს, გვეგონება, კაფეტერიის დახლიაო. ამასთან რძესაც ისეთს იძლევა — მთლად

ნაღებია. მეტი რაღა უნდა კაცს? მაგრამ ვერც ამ რძეს და ვერც მისგან გაკეთებულ გემრიელ ყველს ვერავის მიპყიდი. რაღაცა ერგენებათ — თხები ჰყარანო, ამბობენ. განა ადამიანები ნაკლებად ჰყარან?

შემდეგ მეფუტკრეობა ეცადე, მერე სიმინდის მოყვანა, მერე ცხვრები, ხორბალი, ღორები, სელი. გულდასმით დავამუშავე სასოფლო-სამეურნეო ბიულეტენები და სულ მალე თითქმის აღარაფერი დამრჩა საცდელი, თუ საექსპორტო ხმელ ხილს და დედალი ფარშევანგების მოშენებას არ ჩავთვლით (თუმცა აქედან მხოლოდ ქინძისთავის საფასურის მიღება შეიძლებოდა).

საღლაც შეცდომა დავუშვი. მაგრამ სად? ფერმის ბრალი არ არის, რადგან მიწა ნოყიერია და ნაკადულამდე ზომიერი დაქანება აქვს. ესე იგი, მე თვითონ ვარ დამნაშავე. იქნებ საკმაოდ მუყაითად არ ვმუშაობ? ზოგ საქმეში შეგიძლია წაიყალბებანოდ, მთელი მონდომებით არ იმუშაო, მაგრამ მიწას ვერ მოატყუებ, და ეტყობა ჩემი მიწაც შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს.

ამიტომ გადავწყვიტე, ერთხელ კიდევ მეცადნა ბედი — მთლიანად ჩავხვნიდი მიწას და მთელი ენერჯია ჩამეთესა შიგ.

მაგრამ რა მოვიყვანო? ხან რა ვიფიქრე და ხან რა. გაზაფხული ახალი დამდვარი იყო, როცა სასადილოში ვილაცეების საუბარს მოგკარი ყური. ისინი თესვაზე ლაპარაკობდნენ. ჩემმა მეზობელმა მისტერ გლიდენმა თქვა:

— პამიდორი! პამიდორი ძალიან სარფიანია. დაგირავებული სახლი გამოვიხსენი და სახურავიც ვაეუხახლე, უფრო ნეტიც—კანალიზაციის ორმო ამოვთხარე, და ეს ყველაფერი პამიდორის წყალობაა.

ძალიან დავინტერესდი და ვკითხე, სადა ჰყიდით-მეთქი.

— საკონსერვო კომპანია ყიდულობს, — მიბასუხა ვილაცამ.

ელენე და გიორგი პაპაშვილები სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს

— რომელი კომპანია?

— ტომატის კომპანია. — მითხრა მისტერ გლიდენმა. — მაგრამ მე იმათთან არ ვიჭერ საქმეს. დოკ-სტრიტის ბაზარზე ვყიდი. სეზონის დასაწყისში ერთ დოლარს ან ხანდახან დოლარნახევარსაც ვიღებ თითო კალათაში, მერე კი პამიდორის მოლევაში იტალიელები თითო ურიკაში 25 ცენტს მაძლევენ. კეტჩისათვის ყიდულობენ.

— კეტჩისათვის?

— ჰო, კეტჩისათვის. შემწვარ კარტოფილს რომ ასხამენ!

— პამიდორი ჩემი საქმე ყოფილა. — გუთხარი ელენეს იმავე დამეს, — შესანიშნავი ბოსტნეულია. თავისი მეობა გააჩნია. თან იმუშავებ და თან თვალსა და პირს ასიაშობენ.

მარტის შუა რიცხვებში თესვების კომპანიას შეკვეთა გავუგზავნეთ. მათ ჩითილები მოგვიმზადეს და მათში რომ ჩავედით ჯერსიში ჩითილების ჩამოსატანად. უკვე 15-20 გოჯის სიმალისა იყო. ზოგს პატარა პამიდორებიც კი გამოესხა.

მიწა უკვე დამუშავებული მქონდა. დარგვა მისტერ გლიდენმა მასწავლა. პალოები მოვაშაადეთ—მძიმე და მრუდე ჯოხები. წვეროზე თითბერი ჰქონდა გადაკრული. ორმოს ვთხრიდით, შიგ ჩითილს ვდებდით და მიწას მივატეპნიდით ხოლმე. შემდეგ წყალს მოვასხამდით და ახლა მეორე ჩითილის დარგვას შევუდგებოდით. რამდენიმე საათი ბალერინებივით ვცეკვავდით. ორმოს ჩათხრა, ჩარგვა, დატეპნა, მორწყვა. ორმო, ჩარგვა, ტეპნა, მორწყვა...

ჩითილებმა კარგად გაიხარა. ორჯერ ისე გულდაგულ გავაფხვიერე მიწა, რომ მუქ წაბლისფერ ხალიჩას დავამგვანე და ძალიან შეურაცხყოფილად ვგრძნობდი თავს, როცა სადმე სარეველა გაბედავდა თავის ამოყოფას.

ივლისში პირველი მოსავალი დავეკრიფე. ორმოცი კალათა. მაშინვე დოკ-სტრიტზე გავაქანე, დამე ბაზარში გავათიე და დილას კალათა თითო დოლარად გავყიდე. კარგი ფასი იყო.

მაგრამ მეორე კვირას მაზანდაღეცა და პამიდორმაც ისე სწრაფად დაიწყო დამწიფება, იძულებული გავხდი. ბიჭი ამეყვანა დამხმარედ. ბიჭი კრეფდა, მე კი ვფუთავდი.

მთავარი საქმე ჩაწყობა იყო.

— საუკეთესოები ყოველთვის ძირში ჩააწყვე და მუშტრებს იმდენ ხანს შეირჩენ, სანამ პამიდორის მოყვანის ძალა გეყოფა, — მითხრა მისტერ გლიდენმა, როცა პირველი მოსავალი დავეკრიფე.

მან თითქმის მთელი დღე შემომგწირა, რომ რესტორანში გასაგზავნი კალათების მომზადება ესწავლებინა. ფსკერზე წრიულად ვალაგებდით მწვანე პამიდორებს და ცენტრში ერთ დიდ პამიდორს ვდებდით, შემდეგ მეორე რიგს ვაწყობდით, შემდეგ მესამეს, მეოთხეს, სანამ პირთამდე არ აივსებოდა: მუქი მწვანე, ბაცი მწვანე, ღია ვარდისფერი, მარჯნისფერი, ღია წითელი, ალისფერი. ზოლო ორი რიგი ძალიან მწიფე უნდა ყოფილიყო, რომ მზარეულს ქვედა პამიდორების დამწიფებამდე ისინი ეხმარა. ერთი სიტყვით, მთელი ხელოვნება იყო.

შუა აგვისტოს მერე პამიდორი მოზღვადა. სადღა იყო იმისი დრო, რომ დოკ-სტრიტზე ვმდგარიყავი და ფასზე მეჯიჯღინა — შინ უნდა გავტეულიყავი და ახალი პარტია დამეკრიფა. მერე კვლავ ბაზარში, შინ, ბაზარში, შინ... კვირაში სამ დამეს რომ მეძინა, თავს ბედნიერად ვთვლიდი. სადილზე ჩანგლის პირთან მიტანას ვერ ვასწრებდი. მეყვინთებოდა! სულ უფრო და უფრო სწრაფად უნდა მეშუშავა. რა უნდა მექნა? უნდა გამეძლო, თუნდაც თან გადავყოლოდი. უნდა დამემტკიცებინა მიწისათვის, რომ ღირსეული მფლობელი ვარ. უკვე ადამიანი აღარ ვიყავი — მანქანად ვიქცეო, პამიდორის საკრეფ ავტომატად, რომელიც სხვის დაუხმარებლად მუშაობს, თანაც ყოველგვარ ამინდში; რომელიც კრეფს, ფუთავს, სწევს, მიატებს. კრეფს, ფუთავს... მერე სახელური ვადანიწევ, კალათი გაქანდება და საზიდავზე იდება. გაქანდება და იდება. მზე კი სულ უფრო და უფრო იკბინე-



ბოდა, მტვერი და ოფლი მჭამდა. ოფლს რომ მოვიწურავდი, პამიდორის ყვავილის ქინქლი სახეზე მრჩებოდა. კაცს დაქანგული ვეგონებოდი. 27 აგვისტოს 312 კალათა მოგკრიფეთ. რა მოვუხერხოთ ამდენს? ავღუქი და საკომისიო კანტორას ჩავაბარე, რათა მალე დაგბრუნებულეყავი უკან და კვლავ დამეკრიფა.

— სამ-ოთხ დღეში ჩეკს გამოგვიგზავნიან, თითო კალათაში სულ ცოტა ოცდაჩვიდმეტ ცენტს მოგვცემენ — ახლა კარგი ბაზარია! — ვუთხარი ელენეს, როცა შინ მოგბრუნდი. მაგრამ იმ დამეს ქარიშხალი ატყდა, ფანჯრებზე სეტყვა აკაკუნდა და შემდეგ მამამაპური გადაუღებელი წვიმა დაიწყო. ცას არც მეორე და მესამე დღეს შეუკრავს პირი. გასვლაც კი ვერ შეეძელი მინდორში — წებოსავით ტალახი იდგა.

კვირას კაშკაშა მზემ გამოანათა და შუადღისას უკვე ვნახეთ, რაც დავგტყდომოდა თავს — მთელი პამიდორი მიწაზე იყო დაფენილი და ექვს აკრიან ქოთანში იბუღებოდა. ყველაფერი გათავდა.

— რაც არის — არის, — ვთქვი მე, როცა ყველაფერი ვნახე. — არაფერ არაა ბრალში. უარესიც შეიძლება მომხდარიყო. პირველი კალათების გაყიდვით აღებული ფულის უმეტესობა ხარჯებზე წავა; რასაც კომისიონერი გამოგზავნის, სასუქის ვალს გადავიხდით და რაც დარჩება, მოკება იქნება, მე მკონი. ამჯერად კარგად წავა ჩვენი საქმე.

ორი დღე, სანამ ფოსტალიონს ვუცდიდით, ელენეს სულ იმას ვეკითხებოდი, იმ ფულით რა ვიყიდოთ-მეთქი. ბოლოს

პაკეტი მივიღეთ. გავხსენი. შიგ ჩიკი ილო. ამაყად შევიტანე ოთახში.

— \$ 55.75. — წაიკითხა ელენემ. — რალაც შეცდომაა.

— \$ 55.75?! შეუძლებელია. ელენემ კონვერტიდან მოგრძო ქაღალდი ამოიღო:

— 163 კალათა 38 ცენტად — \$ 61.94 — 10% = \$ 55.75. 149 კალათა გადაიყარა.

— გადაიყარა?
— ჰო! — ელენე კვლავ ქაღალდს ჩასტყეროდა.

— ამის უფლება არ ჰქონდათ. — მე ქაღალდის ორივე მხარე დავათვალიერე.

— ჰო, მაგრამ გადაყარეს, — ელენე ფანჯარას მიადგა და ჩვენს ზოსტანს დაუწყო მხერა, — გადაყარეს. მათ ყველაფრის გაკეთება შეუძლიათ.

გულზე რალაც მომაწვა. არც კი ვამაგებინეს. წამოვიღებდი და დამშეულებს დავურიგებდი ქუნაში. გადაყარეს. ჩემი პამიდორი ფილადელფიის მდინარის ფსკერზეა. იქნებ ჯერ კიდევ მთელეზია, წითლები, პრიალები. ახლა ალბათ იმ მდორე მდინარის ფსკერზე, ლამში პყრია და ლაება, ჩემი შრომა წყალში ჩაყარეს.

იქნებ ვინმეს მოსწონდა ასეთი ცხოვრება — მე კი არა. ისევ სამსახურს მივუბრუნდი.

ამის შემდეგ ხშირად მიფიქრია, მაგრამ ვერასოდეს ვერ გამოვარკევი, თუ რატომ ხდება, რომ კაცს მიწა და ორივე ხელი აქვს და ლუკმაპურს ვერ შოულობს. წარმოუდგენელი ამბავია! ეს თუ ასეა, თავიდან როგორღა აშენდა ეს ქვეყანა? არა, რალაც მიზეზია.

მაგრამ რა?

ძია მანო მარად იცოცხლებს

ჩვენს ფერმაში ხეების რგვა დავიწყეთ. გვინდოდა სიბერეში ტყე გვქონოდა. ათასობით პატარა, ტოტის ოდე-ნა ხე დავრგეთ. საშობაო მწვანე ნაძვები, ფიჭვები, რომლებშიც შაშვები იჭახ-ჭახებდნენ, არყის ხეები, რომლებიც ლაღად იზრდებიან ხოლმე.

შუა მუშაობაში რომ ვიყავით გართულნი, ფოსტალიონმა ორჯერ დაიჩხავლა ტიშკართან: — დეპეშა! დეპეშა!

ემილია იაკოვლენას გამოეგზავნა: „მიიღეთ ჩემი სალამი და კოცნა. ცუ-

ელენე და გიორგი პაპაშვილები
სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს

დი ამბავი უნდა შეგატყობინოთ. ჩამო-
დით დასაფლავებაზე. ძია ჯონი მოკვ-
და“.

ძია ვანო აღარ არის!

გული მწუხარებით აგვევსო. მზემ
ბრწყინვალეობა დაკარგა იმ დღეს.

ძია ვანო მოკვდა? რალაც სიცარიელე
ვიგრძენი მკერდში. ვინლა გამახსენებს
სამშობლოში გატარებულ დღეებს, ჩვენს
სოფელს? ვინლა გაიხსენებს იმ დროს,
როცა ჯარიდან გამოქცეული პეტრე შე-
ვიფარეთ, ბუსტას ოინებს, ან იმ დღეს,
როცა ვერცხლით მოქედლილი ქარქაშის
გაკეთებაში ჯილდო მივიღე? ვინლა
იხარხარებს, როცა მოგყვები, პოლიციის
უფროსი რომ დათვრა და საღორეში
დაიძინა?

არავინ!

ვინ მომიჯდება სუფრაზე გვერდით
და ვინ დალევს იმ მეგობრების სად-
ღეგრძელოს, რომლებსაც მარტო ჩვენ
ორნი ვიცნობდით? არავინ მომიტანს
შესაკეთებლად თავის ხარახურას — გა-
ტეხილ დანებს, გაფუჭებულ ელექტრო-
რეკლამებს, ზამბარაგაწყვეტილ ფონო-
გრაფებს, ხორცის საკებ მანქანებს. „ბი-
ჭო გოგისასაც“ არავინ დამიძახებს. არა,
მარტო ძია ვანო არ დამიკარგავს! —
მასთან ერთად თითქოს სამშობლოს ნა-
წილიც დავკარგე!

ღიდი დასაფლავება გვექონდა. მე მგო-
ნი, თვითონაც ნასიამოვნები ჯარჩებოდა,
რომ დაენახა. კუბო ეკლესიის შუაგულ-
ში იყო დასვენებული და ირგვლივ იმ-
დენი ყვავილები ეყარა, ბალი ბებონე-
ბოდათ: ვარდები, მინდვრის ზამბახები,
მიხაკები, ყვითელი ნარგიზები, სუმბუ-
ლები... ვილაც ბავშვმა დამკნარი იების
თაიგული მოუტანა. ადრე არასოდეს
მენახა, მაგრამ ძია ჯონი, ალბათ, მის-
თვისაც კეთილი იყო.

ბესომ სანთლები ჩამოგვირიგა. ყვე-
ლამ ავანთეთ. სულ ცოტა სამასი კაცი
ვიქრებოდით. ორი პიტსბურგიდან იყო,
ერთი ვირჯინიიდანაც კი ჩამოსულიყო.
სანამ მღვდელი ფსალმუნს კითხულობ-
და და მუსიკა უკრავდა, მე ჩვენს უკა-
ნასკნელ შეხვედრაზე ვფიქრობდი. ეს
სულ ორიოდე კვირის წინ იყო.

კალიფორნიიდან გადმოსვლის შემ-
დეგ ძია ვანომ ერთი პატარა რესტორა-
ნი შეიძინა „მეოთხე ქუჩაზე“, მაგრამ
ერთ დღეს მოზებრდა და მაშინვე ექვსი
თუ შვიდი რუსი შეიამხანაგა. ღამით
ყველა ერთად მოვიდა საბუთების გასა-
ფორმებლად და თან თითო ადვოკატი
მოიყვანეს. პირველად ცოტა არეულობა
მოხდა, მაგრამ ბოლოს მორიგდნენ და
მთლიანად გადაიხადეს თავ-თავიანთი
წილი.

— უპირველეს ყოვლისა, — მითხრა
ძია ვანომ, — იმდენი ფული უნდა გა-
დავდო, რომ იგორ ანდრეიჩის საუკეთე-
სო ფეხი ვუყიდო. დე, კვლავ ისიამოვ-
ნოს ცეკვით. მერე ჩანჩო გავიყოლით,
ორჩარდ სტრიტზე წავიდეთ და დანარ-
ჩენი ფულით სულ საჩუქრები ვუყიდოთ
ჩვენს მეგობრებს.

ჯერ ყველა ზომისა და ყაიდის ხელ-
თათმანებით სავსე ურიკის, ყიდვა უნ-
დოდა.

— იცი, გავაგოროთ და მეგობრების
სახლებს ჩამოვუაროთ. გამოვლენ ქუჩა-
ში და რამდენიც უნდათ, იმდენს ამოირ-
ჩევენ. თან ტყბილი სიტყვებიც გავატა-
ნოთ! კარგი ხუმრობა გამოვა, რას იტყ-
ვი?

მაგრამ გამყიდველი ვერაფრით ვერ
შეელა ურიკას.

— არა უშავს. მაშინ მარტო ქალები-
სათვის ავარჩევ საჩუქრებს, — გადა-
წყვიტა ძიამ. — კაცებს კი ვაქეიფებ.

კარგა ორი საათი ვათვალისწინებ ვიტ-
რინები. ბოლოს ძია ვანოს რაღაცამ მოს-
ტაცა თვალის პირველი სართულის ვიტ-
რინაში.

— წვივსაკრავები, — უთხრა მან ნო-
ქარს, როცა მაღაზიაში შევედი, — აი
ისეთი, ფანჯარაში რომაა — ჭრელები.
ან აი ის, ფარშევანგის ფრთებიანი. რაი-
მე მდიდრული.

ნოქარმა ყველანაირი წვივსაკრავებით
სავსე ყუთი გადმოგიღო. ძიამ ერთ
წყვილ წითელი სატინის წვივსაკრავებ-
ზე შეაჩერა არჩევანი და ფასი იკითხა.

— გროსი 12 დოლარი.

— გროსი რას ნიშნავს?

— 144 წყვილს.

— მომეცით. ამდენ ქალს ჯერ არ ვიცნობ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თანდათან გავიცნობ.

ამაში ეჭვი არ მეპარებოდა. სრულ სიმართლეს ამბობდა, რადგან, როცა იგი შეერთებულ შტატებში ჩამოვიდა, რუსული, თურქული, ასურული, სომხური, აზერბაიჯანული და ქართული იცოდა. ბუნებრივია, ინგლისურისათვის ბევრი ადგილი აღარ დარჩებოდა თავში. ამიტომ, როცა რომელიმე საჭირო სიტყვას ვერ იხსენებდა, უბრალოდ იტყოდა ხოლმე: „I luff you“ და რაღა თქმა უნდა, უამრავ მეგობარს იძენდა, განსაკუთრებით ქალებს.

როცა გარეთ გამოვედით, ძია ვანოს ახალი აზრი მოუვიდა თავში:

— გამიგონე, — უთხრა მან გამყიდველს, — რამდენი წვივააკრავიც მიმაქვს. იმდენი ექვანი მინდა ვიყიდო ქამრის ბალთაზე დასამაგრებლად. ქალები სულ რაწკარუწკით ისეირნებენ. რაღაც არაჩვეულებრივი რამ იქნება!

— ძვირი დაგიჯდებათ, მარტო ჯაფა იმგავრიშეთ...

ძია ვანომ ფული გაუწოდა.

— ხარჯი რა სახსენებელია, აი ფული. გახსოვდეს, ბიჭო, — ძია მე მომიბრუნდა, — როცა საჩუქარს ყიდულობ, ყოველთვის რაიმე ძვირფასი შეარჩიე, ან არა და სულ ნუ იყიდი.

როგორ შეიძლებოდა ძია ვანოსთან კაცი მომკვდარიყო? კაცი, რომელსაც ასე უსვარდა ქვეყანა, რომელიც ასე დაუმეგობრდა ცხოვრებას. მაგრამ ძია ვანო აღარ იყო და ახლა საცეცხლურს იქნევდნენ. ირგვლივ საკმევლის სუნი დგებოდა. მერე ლოცულობდნენ... მაგრამ ძია ვანოს არც გუნდრუკი სჭირდებოდა და არც ლოცვა. რაც კი სიკეთე დაეთესა, სულ წაიკითხავდით კუბოს ირგვლივ მდგომთა სახეზე და დაინახავდით ცრემლებში, რომლებიც ალმასივით ბრწყინავდა სანთლის შუქზე.

საწყალი ჩანჩო მოშორებით იდგა, მაგრამ ძია ვანოს სახეზე სუდარა რომ გადააყალბეს, მივიდა და აკოცა, მერე კიდევ მიბრუნდა, კიდევ და კიდევ...

მკლავში მოგვიდევ ხელი და ვუთხარი:

— მოდი, ცოტა ხნით გვერდზე დავდგეთ, ძია ვანოს სხვა მეგობრებიც ჰყავდა.

— გიორგი ივანიჩი, — ძლივს ამოილულულა საწყალმა ბიჭმა, — ძია ჯონმა დამტოვა. რატომ დამტოვა, რატომ?!

— ასეა, ჩანჩო, ყველანი დავიხოცებით!

— ვაჯავრებდი ხოლმე, ხშირად ვაჯავრებდი. მაგრამ განგებ არასოდეს. თვითონაც იცოდა, რომ უნებლიეთ მომიდიოდა.

— იცოდა, ჩანჩო, იცოდა!

— მე სულელად მთვლიან. ყველა ასე ამბობს. ბიჭები ქვებს მესროდნენ ხოლმე. მარტო ძია ჯონმა იცოდა, რომ გიკი არ ვიყავი. ეს ქვეყანა ყველას ეკუთვნისო, ამბობდა.

— მართალია!

— ო, ძია ჯონ! ძია ჯონ!

— ნუ, ჩანჩო, ნუ. იგი ველარასოდეს ვერ გამოგებმავრება. ამით მარტო სხვებს აუწუყებ გულს!

— ახლა ძია ჯონი აღარაა და ისინი კვლავ დამიწყებენ ქვების სროლას.

— არა, ჩანჩო! ნუ გეშინია. თუ გინდა, ჩემთან წამოდი. ეს ქვეყანა ყველას ეკუთვნის, მეც ასე ვფიქრობ, მაგრამ მხოლოდ ძალიან ცოტას, მხოლოდ ძია ჯონის მსგავს ადამიანებს სწამთ ასე!

იმ ცივ, ნესტიან დღეს ყველანი დიდხანს ვიდევით ძია ვანოს საფლავის პირას და მღვდელს ვუსმენდით. ვილაცის ცივი ხელი გულის ფიცარზე მიკაკუნებდა. როცა საფლავიდან ამოყრილ მიწას თვალს მოვაცილებდი და მეზობლებს გადავხედავდი, მათ სახეზე ჩემს საკუთარ შიშს ვხედავდი, თითქოს სარკეში ვიხედავდი. ილიკო, არსენა, კოსტა — ყველანი მუჭით რომ მიწას აყრიდნენ კუბოს, ფიქრობდნენ, ნეტა ვინ იქნება შემდეგი? იქნებ მე უნდა მოვკვდე ძია ვანოს შემდეგ, სამშობლოს მოშორებული დავიშარხები უცხო მიწაში და ჩე-

ელენე და გიორგი პაპაშვილები
სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს

მი საფლავის ქვის წარწერასაც ვერავინ წაიკითხავს!

ყველანი კრიჭაშვიტები დაგბრუნდით უკან.

ქელები არტოსთან იყო დანიშნული, მაგრამ მანამ ვერ დავიწყებდით, სანამ ზაქარას და ბესოს არ შევარიგებდით: სამი წელი იყო, რაც ხმას არა სცემდნენ ერთმანეთს. მეც კვლავ უნდა დავმეგობრებოდი კუკულას — უნდა დავმევიწყნა, რაც მოხდა, და ეს ყველაფერი ძია ვანოს ხსოვნის პატივსაცემად იყო. ძველისძველი, მაგრამ საუცხოო ადათია, იგი ადამიანს საშუალებას აძლევს საფლავში მაინც მოითავოს მოვალეობა, რომელიც სიცოცხლის განმავლობაში აკისრია — ტკბილი ურთიერთობის დამყარება თავის მეგობართა შორის.

ასე რომ, ოცი კაცი შემოვუსხედით მაგიდას. ჩვენ ძია ვანოს სულის მოსახსენებელი უნდა დაგველია და ამ დღის შესაფერი კერძი — ცხელი შილაფლავი — გვეჭმია, ძალიან მარგებელია ახალგათხრილი საფლავის ცქერით აკანკალებული და სულიერად დაცემული ხალხისათვის.

მაგრამ განა მარტო ძია ვანო ვახსენეთ იმ დღეს, — ყველა მოვიგონეთ, ვინც კი სუფრაზე გვაკლდა: დავითი, რომელმაც იმდენი იწვალა ჩურჩხელის დამზადებაზე, რათა აქ დაბადებულ ბავშვებს გაეგოთ — მშობლიური ტკბი-

ლეულის გემო; პაპა მონტო, რომელმაც ოცდაათი წელი დაულაღავედ ნადირობდა ქართულად მოლაპარაკეზე და ამ წლებს დაქარგულად არ თვლიდა; ნიკო, ვასო, პეტრია და ბეერი სხვა. არავინ გამოგვრჩენია. როგორღაც ამ სუფრამ შესძლო ის, რასაც ვერ შესძლებდა ვერავითარი სიტყვები — გამოგვაბრუნა და იმის იმედი ჩავგვისახა, რომ, როცა კი ვინმე მეგობარი სუფრას მოუჯდებოდა, ჩვენც მოვეგიგონებ. ამაზე უკეთესს რას ინატრებს კაცი?!

როგორც ყველაფერი ამ ქვიცხნად, ჩვენი სუფრაც დასასრულს მიუახლოვდა. ილიკო წამოდგა და ბოლო ჭიქაც ძია ვანოს სახსენებლად ასწია:

— ამ პატარა ჭიქით მე მინდა იმ კაცის სახსენებელი დაველიო, რომელიც იმდენად ჭკვიანი აღმოჩნდა, რომ ქონება არ დაგვიტოვა, რათა ერთმანეთს არ წაგვიდებოდათ. ქონების ნაცვლად მან თავისი მორალური მრწამსი და თავისი გემოვნება დაგვიტოვა, თან მთელი თავისი ცხოვრებით გვასწავლა, თუ როგორ უნდა მოხმარო ერთიცა და მეორეც. ამქვიცხნად ჯერ კიდევ უამრავი რამაა მოსაგვარებელი, ამიტომ დაე მღვდელმა მომიტევოს, თუ ცოტათი შეეცვლი ბიბლიის იმ სიტყვებს, რომელიც მან სასაფლაოზე წაიკითხა. ცოტა სხვანაირად ვიტყვი — ჩვენ სიკვდილის წიაღშიც ვცოცხლობთ. ამინ!

სადღებრძელი

— მოდი წვეულება გაემართოთ, — ვუთხარი ელენეს, როგორც კი ბანკიდან გამოვედი.

— ახლა რატომღა?

— მე ხომ ბოლო შესატანი გადავიხადე, მე ხომ ერთი ნაკლეჯი ამერიკული მიწის მფლობელი გავხდი.

— საბაბის გამონახვა არ გიჭირს. როდის მოვაწყობ და ვინ დავპატიჟო?

— აღდგომა... ყველა უნდა დავპატიჟოთ, ყველა ჩვენი ქართველი და ამერიკელი მეგობარი. ძალიან დიდი ქვიცი

უნდა გადავიხადოთ. ისეთი, რომ როცა მომავალში რაიმეს მოჰყვებიან, — აღნიშნონ, ეს ამბავი ჩვენს ქვიცხნადე მოხდა, თუ ქვიციის შემდეგ.

— ყველაზე კარგად სად ვიქვიფეთ, თუ ვახსოვს?! — მკითხა ელენემ.

— ასე უცებ ვერ გეტყვი. მგონი, ბესოს ქალიშვილი რომ გათხოვდა, მაშინ, — ვუბასუხე ცოტა ფიქრის შემდეგ. — ვახსოვს, სამ დღეს უკრავდნენ მუსიკოსები. ახალ სუფრას რომ გაშლიდნენ, ხონჩებით ცხელ-ცხელი ჭადები მოჰქონდათ ხოლმე. ძალიან კარგი იყო. შენ რომელი მოგეწონა ყველაზე უფრო?

— ილიკოსთან რომ ვიყავით, შობა თუ აღდგომა იყო, მგონი აღდგომა. ვასო იყო თამადა. სუფრას უძღვებოდა და და ახალ-ახალ სადღევრძელოებს გვთავაზობდა. ერთი შესანიშნავი რამ თქვა— ვილაცამ ჭიქა ასწია სადღევრძელოსთვის: ეს ისეთ კაცს გაუმარჯოს, ვისაც თავისი ქვეყნის წინაშე ღვაწლი მიუძღვისო, ვასომ უბასუბა: კაცმა რაც უნდა გააკეთოს, სამშობლოს ვალს მაინც ვერ გადაიხდისო. კარგი ნათქვამია, არა? აი რა დამამახსოვრდა ყველაზე უფრო, — განაგრძო ვლენემ: — ორი საათი იყო. მაგიდას რომ მივუსხედით. თუ ვი, სალათა — რა გინდა, რომ სუფრაზე არ ყოფილიყო: ორი საათის შემდეგ ნამუსრევიდა დარჩა. ემილიამ ააღაგა და ახალი სუფრა დააფინა — წიწილეები და ღორი მოგვართვა. დილაზე ექვსი სუფრა გამოცვალა, მიემსხედ ზეწარი გადაადარა მაგიდას...

— წაველ, სადმე გოჭს ვიშოვი, ეზოში შამფურზე შევწვათ.

— მე ყველაფერს მოვამზადებ. რაც კი ვიცი, სულ ყველაფერს.

— ოღონდ იყოფი, რასაც მოამზადებ, ყველაფერი ბლომად იყოს.

ხალხი დაეპატიჟეთ. შაბათს ჩვიდმეტი კაცი და ოთხი ბავშვი გვეტუმრა. ჩვენთანაღ ოცდასამი მოვგროვდით.

— კარგია, — ვუთხარი ელენეს — ამაზე არც მეტი ვარგოდა და არც ნაკლები.

ასეც გამოდგა. ოთხ საათზე სუფრას რომ შემოვუსხედით, სწორედ იმდენი ვიყავით, რამდენიც კარგი ქეიფისთვისაა საჭირო. ყველა სიამოვნებით შეუდგა ჭამა-სმას. ვიმღერეთ ქართული სიმღერები. ამერიკელმა მეგობრებმა საბასუხოდ შესანიშნავად იმღერეს რომელიღაც სახლზე კენტუკში, სადაც ისინი წინათ ცხოვრობდნენ: ვილაც ლედის შესახებ, რომელიც მუხლმოყრილი უკრავდა ბანჯოს; იმღერეს გაჭირებაში ჩაგარდნილ კოვბოებზე; იმღერეს ყველა კოლეჯური სიმღერა. ჩემი აზრით, ეს ყველაზე ლამაზი სიმღერებია ამერიკაში.

ერთ-ერთი მანდილოსანი ესტონელი იყო — ვერა პეტროვნა. ყველამ ერთხმად თქვა, კალიფორნიის უნივერსიტეტის ჰიშნი და ესტონური სიმღერა, რომელსაც ძეობაზე მღერიან ხოლმე, ერთ პანგზე იმღერებო. დიდხანს იმღერეს თავ-თავისი სიტყვებით და ძალიანაც ისიამოვნეს. როცა მომღერლებს ბედი სწყალობდათ და მოტივი ერთმანეთს დაემთხვეოდა ხოლმე, ნამდვილი ღუჭი ბემგონებოდათ.

ღიას, კარგი ხალხი მოვგროვდით. მე ავდექი, პოდში მრეხიხადე და ეზოში გავედი. მინდოდა გულში სამუდამოდ დამამახსოვრებოდა ხეებს შორის დარჩეული პანგები, საკეამურიდან ამოსული კვამლის ბოლქვები, შემწვარი ხორცის ნამცხვრისა და ერბოს სურნელი, რომელიც სანზარეულოს ღია კარიდან გამოდიოდა, ოქროსფრად განათებული ფანჯრები და ხალხი — ჩემს სახლში მოლხენილი ხალხი.

როცა ოთახში შევბრუნდი, სტუმრები კვლავ მდებოდნენ: „ვის უტოვებს კაცი სახლ-კარს, როცა ომში გაიწვევენ?!“ — იკითხა პეტრეს ძლიერმა ბანმა. „ცოლს უტოვებს, ერთგულ ცოლსა“ — უბასუხა ბესოს ტკბილმა მოძახილმა და შემდეგ ყველამ ერთად გაიმეორა: „ცოლს უტოვებს, ერთგულ ცოლსა, როცა ომში გაიწვევენ“.

— მე ასლა ბოლო ჭიქა მინდა დავლიო, — თქვა პეტრემ, ჩვენმა თამადამ, როცა სიმღერის ხმები მიწყდა: — თუმცა ჯერ თერთმეტი საათია, მაგრამ ხვალ აღდგომაა და თავი უნდა შემოვიწინხოთ.

მეორე დილას ჩვენ, უცხოელებმა, ჩვეულებისამებრ ერთმანეთი გადავკოცინეთ და აღდგომა მივულოცეთ ერთმანეთს: „ქრისტე აღსდგა!“

— ლამაზი ჩვეულებაა, — თქვა მისს ბეტემ, რომელიც საუზმეს უწყობდა

ელენე და გიორგი პაპაშვილები
სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს

ბავშვებს: — რას ნიშნავს „ქრისტი აღსდგა?“

მე ვუთარგმნე, რასაც ნიშნავდა.

— უნდა უპასუხოთ — „ქრისტი აღსდგა“. ეს ნიშნავს: მე მწამს, ნამდვილად მჯერა, რომ აღსდგა. ეს ჩვენებური მილოცვაა; თქვენ, ამერიკელებმაც ხომ იცით აღდგომის მილოცვა — ბედნიერ აღდგომას გისურვებთო, ამბობთ.

— თქვენი სჯობს, „ქრისტი აღსდგა“ ძალიან მომწონს.

— ქრისტი აღსდგა. — შემოგვძახა ბესომ, სამზარეულოში შემოვიდა და გადაგვკოცნა.

— მე კი მეგონა, ათეისტი იყავი! — მიუგო მისს ბეტიმ.

— ვარ კიდევ. ავიღოთ, მაგალითად, აღამისა და ევას ამბავი...

— ვიცო. გუშინ არ მიხსნიდი? მაგრამ რატომღა ამბობ, ქრისტი აღსდგაო?

— რატომ? — ბესო, ცოტა არ იყოს, შეცბა. — მართო იმიტომ, რომ კაცი ათეისტია... ქრისტი აღსდგა, პეტრე, შალიკო! — მან ორივე ორ-ორჯერ გადაკოცნა და განაგრძო: — კაცი თუ ათეისტია, ზრდილობა არ უნდა ჰქონდეს?! ვის უნდა, სააღდგომო კვერცხი დაეურტყა?

— მე, მე. — შემოესივნენ ბესოს ბავშვები.

— არა, ჯერ ის კვერცხები მონახეთ, თქვენი სახელები რომ აწერია, ასეთი წესია. იპოვნეთ? წვერით უნდა დავარტყათ. აი ასე: მე დავიჭერ, შენ დაბარტყამ, გატეხილი კვერცხი გამტეხისაა. წაგებული ჯარიმასაც იხდის, მაგრამ ეს წაგებული მე არ ვიქნები, არა! მაშინ ბესოც აღარ ვიქნები! აბა, მოდის! რაო? ჩემი გატყდა? ეგ როგორ მოხდა? აბა ეს მეორე ვცადოთ. — ბავშვები ხტუნვით უფლიდნენ ბესოს გარშემო და ეხვეწებოდნენ: — ახლა მე, ახლა მე.

ბესოს ოთხი კვერცხი გაუტეხეს. ჯიბიდან ოთხი საჩუქარი ამოიღო და მაგდაზე ჩაამწკრივა.

— საოცარია, — ამოიხვნეშა ბესომ, — ყველამ როგორ მჯობა: გიორგი, მეორე აღდგომას ქვის კვერცხი უნდა გა-

მიკეთო. ლურჯად შევღებავ, მოვხატავ და ყველს ვაჯობებ. ოღონდ სიტყვა არ დაგცდეთ ვინმესთან!

ოთხივე ბავშვმა თავი გააქნია, ოთხივე აქყულოძინდა: არა, არა, სიტყვა არ დაგცდებო!

— აი ყოჩაღ. სამაგიეროდ, ოთხივეს შევიამხანაგებთ.

საუზმის შემდეგ ცეცხლი დავანთეთ. როცა ნაკვერჩხალი დაცვივდა, გოჭი შამფურზე წამოვავეთ, მიწაზე ჩარქობილ ორკაპა ჯოხებზე გავდეთ და მანამ ვატრიალეთ, სანამ არ დაიბრაწა და ტაკატაკუსი არ დაიწყო. შორიხლო ჩაცუქტულ ძაღლებს ენა გადმოვგდოთ და მშვიერი თვალებით უყურებდნენ ჩვენს გოქს. ხალხიც ამ დღეში იყო.

იმ დღეს თამადად შალიკო იყო და კარგადაც გაართვა თავი საქმეს. სიმღერა არ წყდებოდა, ჭიქები იცლებოდა. ისეთ სადღევრძელოებს ამბობდა, ყურში კი არა, შიგ ვულში გვხვდებოდა.

— აბა, სმენა იყოს, — თქვა მან ბოლოს. — ჩვენ მრავალი სადღევრძელო შევსვით დღეს — სუფრის წვერებისა სათითაოდ, ბავშვებისა, მშობლებისა, ჩვენი დიასახლისისა, ოჯახის უფროსისა. ახლა ერთი განსაკუთრებული სადღევრძელო მინდა დავლიოთ. პეტრე, შეწყვიტე თხილის მტვრევა, გეთაყვა, და მომისმინე.

— სიამოვნებით, ნეტა უფრო დიდი ყურები მქონდეს, მაშინ უკეთესად მოგისმენდი.

ვილაცამ ჭიქა შეუვსო პეტრეს. მან სინათლეზე გახედა ღვინოს:

— შესანიშნავი ღვინოა. გამდნარი ლალივითაა. იმედი მაქვს, კარგ სადღევრძელოს იტყვი, შალიკო — ამ ღვინოს რომ შეეფერება, ისეთს.

— სანამ შემაწყვეტივდნენ, გეუბნებოდით, განსაკუთრებული სადღევრძელო უნდა დავლიო-მეთქი, ჰოდა, ამ პატარა ჭიქით სამშობლოს გაუმარჯოს. ჩვენ გვიხარია, რომ ამ სუფრასთან ამდენ ამერიკელს ვხედავთ. განსაკუთრებით იმიტომ, რომ წინათ მათ პატივი გვცეს — თავიანთ ფართო სუფრასთან მიგვიწვიეს და გულუხვად გაგვიმასპინ-

ძლდნენ. ჩვენ ვცდილობდით კარგი სტუმრები ვყოფილიყავით და იმედი მაქვს, ვიყავით კიდევ. მათ გარდა, მრავალი სხვადასხვა ეროვნების ადამიანი შევიკრიბეთ აქ — ქართველები, რუსები, ბერძნები, ლატვიელები, ესტონელები, ირლანდიელები — ნამდვილი ასამბლეა. მე ვსვამ ყველას სამშობლოს სადღეგრძელოს. და როცა ვხედავ, თუ როგორ

მშვიდობიანად ვსხედვართ ერთიმეორის გვერდით, მწამს, რომ მთელი მსოფლიო მოგვბაძავს. ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ ბედნიერი ცხოვრების ერთადერთი გზაა. მაშ ასე — სამშობლოს გაუმარჯოს!


— სიამოვნებით ვსვამ, — ვთქვი მე. — სამშობლოს გაუმარჯოს, სამშობლოს!..

ინგლისურიდან თარგმნა

ანდუყაფარ ჭეიშვილმა



ქრონიკა ზნაუნობი



მ შფოთვარედ გავატარე სამი დღე და ღამე. არ ვიცოდი, რა მოჰყვებოდა უბის წიგნაყისა და ჟურნალ-გაზეთების ჩამორთმევას. ჩემი მფარველი ობერლეიტენანტი იქ აღარ მყავდა, რომ ეშველა, მისი ასავალ-დასავალი ვერ გავიგე. ყველას ვეკითხებოდი, ამბობდნენ: სხვა ქალაქში გადაიყვანესო, ბერლინში წავიდა და ისევ დაბრუნდებაო, ფრონტზე გაგზავნესო. ვერც შარლოტამ გამიგო დანამდვილებით. მაქსსაც ვკითხე, ვითომ სხვათა შორის, პასუხი არ გამცა. ობერლეიტენანტს კარგი რომ არაფერი სჭირდა, ვგრძნობდი, მისთანა გერმანელები პიტლერელებს საკონცენტრაციო ბანაკებში ჰყავდათ გამოწყვდიული.

კომენდანტ მაქსთან ხშირად მოდიოდა ვიღაც პოლონელი ოფიცერი. მაქსი მას მხოლოდ საველდებულო ზრდილო-ბიანობით ლებულობდა. არავინ არ იცოდა, თუ რანაირად მოხვდა იგი გერმანიაში, ომამდე თუ ომის დროს. ვერ იყო მაინცდამაინც დალაგებული ჰქუის პატრონი, ბევრი ლაპარაკი უყვარდა, ლანძღავდა ბოლშევიკებსაც და ნაცისტებსაც, ვერ გაიგებდით, ვინ უყვარდა,

ვინ სძულდა, ან ვის სცემდა პატივს. ფრანგული და გერმანული ენები კარგად იცოდა, რუსულიც იცოდა გვარიანად, ჩამიგდებდა ხელში და რაც ვაეგონა, ყველაფერზე მელაპარაკებოდა. იმ დაულაგებელი ჰქუის პოლონელს დაავალეს ჩემთვის ჩამორთმეული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების შინაარსის გამორკვევა.

გამომიძახა მაქსმა, გამოვცხადდი, კალაბურა მასთან დამხვდა. მაქსი რალაცას წერდა, სათვლილად გადმომხვდა და წერა განაგრძო. მე მეგონა, ჩემზე წერდა რალაცას. ბანაკის გუშაგი, რომელმაც ბანაკიდან გამომიყვანა, გარეთ მიცილდა. მაქსმა გუშაგს რალაც დაავალა, წავიდა გუშაგი და მუდამ აღგზნებული პოლონელი ოფიცერი შემოვიდა, შინ წალბებული ჩემი წიგნები მაგიდაზე დააწყო და მაქსს უთხრა: შე კაცო, რა გამორკვევა უნდა ამ წიგნებს, ეს კაცი, როგორც ჩანს, წერა-კითხვის მცოდნეა, საკითხავ წიგნებს მოსკოვიდან ხომ არ გამოუგზავნიდნენ — ყველა გერმანიასა და საფრანგეთშია გამოცემული, აქ ისეთი არაფერიიაო.

სიხარულით გული ამიჩქროლდა. მაქსმა ასკერ კალაბურას შეხვდა და მოცილილი ხარო, უთხრა. წაიღე ისევ

გავრძელება. იხ. „ცისკარი“, № 2, 3, 4, 5, 6, 7.

შენი წიგნები, თუ გინდაო, — მომიბრუნდა და უბის წიგნაკი გამომიწოდა.

მოვხვიე ხელი წიგნებსა და ურნალ-გაზეთებს ბანაკში გადასაზიდად, ასკერ კალაბურამაც დახმარება დააპირა, მაგრამ ვუყვირე, შენი ჭუჭყიანი ხელები ჩემს წიგნებს არ მოჰკიდო-მეთქი. პოლონელმა კალაბურას მაგარი პანლური უთავაზა და გარეთ გამოავდო. ეს იყო ასკერ კალაბურას უკანასკნელი და მარცხიანი თავდასხმა, მას შემდეგ აღარაფერი გაუბედნია და ცდილობდა რაიმეთი ესია მოგუნებინა.

ავარჩიე რამდენიმე წიგნი და ილღი-აში ამოვიდე, დანარჩენი სინანულით გადავყარე ნავის ყუთში და ბანაკში დავებრუნდი, მაგრამ ვერ მოვითმინე, მინდოდა. მაქსი მარტო მენახა და მადლობა გადამეხადა. გუშავს ჭიშკარი ჩაეკეტა, მოვატყუე, მაქსმა დამიბარა-მეთქი. დამიჯერა, გამიშვა, შევედი მაქსთან. იგი გულხელდაკრეფილი იჯდა. მე რომ შევედი, წამწამიც არ დაუხამხამებია. გულწრფელი მადლობა მოვახსენე, ბოდიში მოვიხადე შეწუხებისთვის და გამოვედი.

ბინდებოდა. ჯერ კიდევ ადრე იყო დაწოლამდე. ბანაკში დაბრუნებულები თუკი ჩვენი ხმაურით ბანაკის გუშავებს არ შევაწუხებდით, დაწოლას არ გვაიძულებდნენ. რაც არ უნდა მომხდარიყო, მაინც ერთსა და იმავე დროს ვდგებოდი, ჭირის დღესავით მძაგდა მორიგე გუშავის დაძახება: „აუფშტენ“ (ადე-ქით).

ალარავინ იყო მოსასვლელი, გუშავს ჭიშკარი ჩაეკეტა და ბანაკს უვლიდა. მაქსი ოთახიდან გამოვიდა, ცოტა ხანს დადგა, მერე ჩვენსკენ წამოვიდა და ჭიშკართან გაჩერდა.

მაქსს არ უბრძანებია, ჭიშკარი გამოიღე, ბანაკში შესვლა მინდაო, მაგრამ გუშავმა იგრძნო, მაქსს რაც უნდოდა, გაულო ჭიშკარი და მაქსი ბარაკში შემოვიდა. იგი საწოლებისაკენ გაემართა. უკან გავყვი. იჭაურობას თვალი მი-

ავლ-მოავლო, ეტყობა, ბანაკის შემოწმება უნდოდა.

ჩვენი ბანაკი ორი განყოფილებისაგან შედგებოდა. მე პირველ განყოფილებაში ვიყავი და ამ განყოფილებაში პირველი ჩემი საწოლი იდგა. მაქსს არ უყვარდა ჩხრეკა. რომ ეთქვათ, ტყვეებმა ზარბაზანი შემოიტანესო და საცაა გვესერიანო, ყურადღებას არ მიაქცევდა. იგი მორიგე გუშავს ელოდებოდა, ალბათ მისი დახმარებით აპირებდა ბანაკში წესრიგისაგან შემოწმებას. არ მოდიოდა გუშავი, თვითონ კი საქმის დაწყება ეზარებოდა. ხანშიშესული მაქსი ბებერი ლომივით იდგა, ტყვეებს ეხუმრებოდა, ტყვეებს არ ეშინოდათ თვინიერი ბებერი ლომისა, შემოესოდნენ ირგვლივ და არაფრად ავლებდნენ კომენდანტს, რომელსაც თვალი კარისკენ ეჭირა.

მაქსი დინჯად მიადგა ჩემს საწოლს, დახედა, „ტიპ-ტოპ, ტიპ-ტოპ“, — თქვა თავისთვის, რაც ნიშნავდა, საწოლი კარგი გასწორებულიაო. შემდეგ დანარჩენების საწოლებს გადახედა, ბევრი დაიწუნა, ცოტა მოიწონა; აკრა ხელი ჩემს საწოლზე გადაფარებულ საბანს და ორი წიგნი გამოჩნდა. ერთი იყო ჰიტლერის მუქყავისფერყდიანი წიგნი „მაინ კამპფ“ და მეორე წითელყდიანი პატარა წიგნი „დას გეზიხტ დეს ბოლშევიზმუს“¹.

„მაქსი და ბანაკის გაჩხრეკა? ეს ხომ წარმოუდგენელია“, — გავივლე გულში. არც ერთი იმ წიგნის წაკითხვა არ იყო აკრძალული ტყვეებისთვის, თუკი ვინმე მსურველი აღმოჩნდებოდა. მე სულ სხვა რამ მაწუხებდა.

მაქსმა აიღო წითელყდიანი წიგნი „დას გეზიხტ დეს ბოლშევიზმუს“, გადმომცა და სიტყვის უთქმელად მაგრძნობინა: აი, ეს არის თქვენი ბოლშევიზმიო. დღემლით ჩამოვართვი წიგნი. შემდეგ „მაინ კამპფი“ აიღო, დახედა და

¹ ბოლშევიზმის არსი.

გიორგი ქავთარაძე
ჯარისკაცის ჩანაწერები

წაკითხა: „ადოლფ ჰიტლერ, მინ კამპფ“, მაგრამ ისე უბრალოდ, ისე ჩვეულებრივად წარმოსთქვა, ვერ გაიგებდით, მოსწონდა ჰიტლერის წიგნი თუ არა.

მაქსმა „მინ კამპფიც“ ჩემს საწოლზე დააგდო და განაგრძო დანარჩენი საწოლების გასინჯვა და თვალიერება. მესამე კაცის საწოლამდე ძლივს მიაღწია, ვეღარ გაუძლო, თავი მიანება, მძიმედ გადაავლო თვალი მისთვის მეტად ძნელსა და დაუშთავრებელ საქმეს და ბანაკიდან გავიდა.

მაქსი მართლაც ბანაკის გასასინჯად იყო შემოსული, მეტი არაფერი აინტერესებდა. ბანაკების კომენდანტები ვალდებულნი იყვნენ ყოველ დღე თუ არა, კვირაში ერთხელ მაინც გაესინჯათ სამხედრო ტყვეთა ბანაკები, მათი საცხოვრებელი ადგილები. გერმანელებს ძალზე ეშინოდათ უსუფთაობისა.

შარლოტას დახმარებით მეორე დღესვე ვიშოვნე ისეთივე გამოცემა ჰიტლერის „მინ კამპფისა“, ძველი კი დავეწვი, რადგან წიგნის არეებზე ისეთი მინაწერები იყო, კარგი დღე არ დამადგებოდა.

ეს „მინ კამპფი“ სამხედრო სკოლის ეზოს ნაგვის ყუთში ვიპოვნე.

ამ წიგნს სხვადასხვა ხელით თრთქმის ყოველ გვერდზე ჰქონდა მინაწერი: „Schwindel“,¹ „Bluff“² და კიდევ ბევრი ღირსეული ეპითეტი. ერთი ფურცლის არეზე კი ასე ეწერა: „უაზარმაში ვარ, გულადმა ვწევარ და ვისვენებ, ფიურერის „მინ კამპფს“ ვკითხულობ. ამბობენ: ცუდი წიგნის კითხვა დაეაძინებსო. მეძინებოდა, მაგრამ ძილი გამიფრთხო ამ წიგნმა. ძილის გაფრთხოება მხოლოდ კარგ წიგნს არა სცოდნია, ეს წიგნი გიყის ნაბოღვარია“...

მეორედ ნაშოვნი „მინ კამპფ“ ფურცელ-ფურცელ გადავათვალიერე. ამ წიგნში წითელი ფანქრით იყო გახაზული წიგნის ავტორის აზრები. რას ნიშ-

ნავდა ფანქრით გახაზული სტრუქტურები? მოწონებას თუ არ მოწონებას?

მაქსმა შევებულება აიღო და მშობლიურ ქალაქში გაემგზავრა. გვეწყინა, რადგან მის ნაცვლად დროებით სხვა უნდა მოსულიყო და ვინ იცის, ვინ მოვიდოდა.

მაქსის ადგილას დროებით ახალგაზრდა გერმანელი ოფიცერი დანიშნეს. განა ტყუილად გვეშინოდა მაქსის შევებულებაში წასვლისა? პირველად რომ შევხედეთ ახალ კომენდანტს, ვერაფერი ვერ შევამჩნიეთ, ყველაფერი ადამიანისა ჰქონდა, მაგრამ ვაი თქვენს მტერს — იყო, მაგრამ რა იყო...

როგორც კი შემოდგა ფეხი ბანაკში, ვინც კი ხელში მოჰყვა, იატაკზე გააგორა. მაინცდამაინც არაფერიც არ იყო გასაოცარი, ჰიტლერელებისაგან სხვას რას მოველოდით?! მერე გვიბრძანა, მთელი ჩვენი ჯგუფის სია ანბანზე დაწყობილი და სუფთად დაწერილი მისთვის მიგვერთმია. ეს საქმე მე ვიცისრე, ძველი სიიდან გადავეწერე და მივუტანე. დახედა თუ არა, მაშინვე რიგიანად მითაქა.

— ეს რა არის, — დაიღრიალა, — ფრანგი ხომ არ გგონივარ, ლათინური შრიფტით რომ მიწერ და მოგაქვს!

გადავეწერ გოთური შრიფტით და მოგართმევთ-მეთქი, მოვასხენე, მაგრამ აღარ დამანება.

საღამოთი შემოვარდა ცოფიანი მგელივით ბანაკში, მწყრივებად მოგვაწყო და ჩემი ჩამოწერილი სიის მიხედვით დაიწყო ამოკითხვა:

— აშურმატოვ!

გადმოდგა ნაბიჯი წინ აშურმატოვმა. თხლაშ, — გაარტყა პირისახეში აშურმატოვს გერმანელმა ოფიცერმა. აშურმატოვი დაბარბაცდა, თხლაშ, გაართყა ახლა მეორედ — ერთი დარტყმით ვერ წააქცია.

— აბღუნაზაროვ!

გადმოდგა ნაბიჯი წინ აბღუნაზაროვმა.

თხლაშ და იქვე დაეცა აბღუნაზაროვიც.

¹ თავბრუდახვევა (გერმ.).

² მკეხება, ტრაბახა (გერმ.).

— ალაბერგანოვ!

გადმოდგა ნაბიჯი წინ ალაბერგანოვმა.

ისიც ერთი გარტყმით წააქცია ახალმა კომენდანტმა და ასე გაუმეორა დაახლოებით ათ კაცს, დანარჩენებს კი მეორე და მესამე საღამოს გაუმასპინძლდა.

ახალმა კომენდანტმა რამდენიმე რუსული სიტყვა იცოდა, განსაკუთრებით უყვარდა ერთი სიტყვა: „Бегом“. სამუშაოს დამთავრების შემდეგ, როგორც კი მოვიყრიდით ერთად თავს ბანაკში, არ გვასვენებდა.

„Бегом“, — მოგვაძახებდა და დაგვარბენინებდა ბანაკის ირგვლივ. ასე გვაწამა თითქმის მთელი ერთი თვე, სანამ მაქსი შვებულებიდან არ დაბრუნდა.

მოახლოვდა გაზაფხული. დასავლეთ გერმანიაში არ იცის მკაცრი ზამთარი. მხოლოდ ნესტიანი ამინდია შემაწუხებელი.

დნებოდა თოვლი. სამხედრო სკოლის ბაღში მარტო ვმუშაობდი, ხეების გარშემო მიწას ვბარავდი. ასეთი საქმიანობა სამშობლო მხარეშია კარგი, როცა ბუნება იღვიძებს და კვირტები თვალებს ახელებს. ყველგან კარგია გაზაფხული, მაგრამ სამშობლოში სულ სხვაა.

ვიდექი და ჩემთვის ვოცნებობდი, ჩემი ფიქრები ხან ტკბილი იყო და ხან მწარე, არ მახარებდა გაზაფხული უცხო ქვეყანაში, გული სევდით მეგსებოდა. სამშობლო მომენტარა.

„დააცადე, ლექსმა გულში კიდევ დაიზამთროს, ხვალ ვინ იცის, სად ინატრებ საქართველოს ღრუბელს?..“

ნუთუ მისთვის შემრჩა ხსოვნაში ეს სტრიქონები, რომ ამდენი ხნის შემდეგ უცხო ქვეყანაში მომგონებოდა?

ამ მარტოობასა და ოცნებაში სამშობლოს ისეთი ძლიერი და ტკბილი სიყვარული ვიგრძენი, რაც აქამდე არასოდეს განმეცადა. შემაშინა ამ სიყვარულმა. გავიფიქრე: იქნებ იმიტომ გან-

ვიციდი ჩემი სამშობლოს ესოდენ ძლიერ სიყვარულს, რომ ახლა ვკარგავ, ნუთუ ჩემს ქვეყანას ველარასოდეს ველარ ვიხილავ-მეთქი.

„მე კი ვიდექ წყალთან საღამომდე, სადაც მღვრიე ირეოდა ღვარო, უცხო ქვეყნად მარტოობას გრძნობდე, ნეტარება არის რაღაცგვარი“...

გალაკტიონის ეს სტრიქონები ყოველთვის მიყვარდა, მაგრამ რომ გეკითხნათ, თუ რატომ მიყვარდა, ვერ გეტყვოდით, მხოლოდ უცხო ქვეყანაში ვიგრძენი და განვიცადე ასე კარგად და ღრმად.

თვალწინ მედგა ჩემი ქვეყნის ნაცნობი ადგილები, ჩემი ნაცნობ-მეგობრები, ერთი ცული ადამიანიც კი ვერ გავიხსენე.

ჩემი ბავშვობის დროს ჩემს სოფელში მათხოვრად ქცეული აისორები მოდიოდნენ ხოლმე. ის საწყლები ცხოვრების აგმა ქარიშხალმა აქ გამოიყარა. ყოველთვის მებრალეობოდნენ, მიყვარდა მათი დაპურება. ერთი მოხუცი კაცი შემომეჩვივა, აღდგომის დღესასწაული იყო, უკანასკნელად რომ მოვიდა. ვასვი და ვაჭამე, იქვე, ჩემს ეზოში, მუხის ძირას მივიძინა. საღამომდე იძინა. თავთან წითელი კვერცხები დავულაგე, გაეღიმა, დამლოცა.

— ჟორჯ! — შემომესმა ჩემი სახელი. შევკრთი, ვილაც უცნობი ქალის ხმად მომეჩვენა. შარლოტა მეძახდა, უცბად ვერ ვიცანი. შარლოტა ერთ ცალთვალა ჩეხთან იღგა, ხელით მანიშნა, არსად წავსულიყავი. მომეჩვენა, თითქოს თვალყურს გვადევნებდნენ. არავინ ჩანდა, არ გავნძრეულვარ, ხელის ურიკაზე შემბმულ მავთულს დაუწყე შესხნა, რამდენჯერმე შეეხსენი და ისევ შევავი.

შარლოტა პალტოწამოსხმული იდგა, ეტყობოდა, ჯერ არ აპირებდა შინ წასვლას. გვერდით ჩამიარა, ჩემს წინ რგოლზე ასხმული გასადებები დაავლო

გიორგი ქავთარაძე
ჯარისკაცის ჩანაწერები

თუ დაუვარდა, დაიხარა და თან ჩამილაპარაკა:

— ნახევარი საათის შემდეგ ჩემთან შემოდი!

თან გამეხარდა და თან შევეშფოთდი, ნეტავ რა უნდა ამ დროს? თუ უნდოდა რამე მოეცა, რატომ აქ არ მომიტანა, ან რატომ ხელის ურიკაზე არ დაავდო, როგორც იცოდა ხოლმე. ათასი რამ გავიფიქრე ერთ წამში. იქნებ ჯაშუშია შარლოტა. არ მინდოდა ეს ფიქრი გულში გამეველო, მაგრამ გავიფიქრე და რაღას ვიზამდი.

შეგებულებიდან დაბრუნებული მაქსი სულ გახარმაცდა, ტყვეების სამუშაოზე განაწილების საქმეს მცველს ანდობდა; თუკი ზოგჯერ მოეხსენიებოდა ტყვეების განაწილება, ჩემს საქმეში მაინც არ ერეოდა, იცოდა, სადაც მივდიოდი და რასაც ვაკეთებდი.

სანამ სამუშაო დრო დამთავრდებოდა, ბანაისკეენ გვევშურე, მაგრამ ბანაკში არ შევსულვარ, შევედი ტყვეების სამზარეულოში, რომელიც ბანაის წინ იყო მოთავსებული და ჩვენს მზარეულებს კარტოფილის გადარჩევაში მოვეხმარე.

მოაღწია პემანის დრომ. უმთვარო და ღრუბლიანი ღამე იყო, შუქშენილების გამო სინათლე არსაიდან გამოდიოდა. გაჭირვებით მივიკვლევდი გზას. ორიენტაცია დავკარგე, გზა ამერია. მერე თანდათან შევაჩვიე თვალი ბნელ ღამეს, მაინც ვერ მივაგენი იმ სახლს, სადაც შარლოტა მუშაობდა, რადგან ერთნაირი სტანდარტული კორპუსები იყო და თუ ნომერი არ იცოდით, დღისითაც კი გაგიძნელებოდათ გარჩევა.

მომავონდა, რომ იმ კორპუსთან, სადაც შარლოტა მუშაობდა, ფანჯარასთან ერთადერთი ნაძვი იდგა. სალამოობით რომ გავხედავდი, მისი ტოტები შარლოტას ფანჯარას სწვდებოდა.

ვიდექი ნაძვის ძირში, ცისა და მიწის სიბნელე შეერთებულიყო და შავი ღამე ბნელ თვალებს ახამხამებდა. ვერ დაუძახებდი. ავედი, კარები მოვსინჯე, დაკეტილი დამხვდა, გამოვბრუნდი და გულდაწყვეტილი ბანაკში დავბრუნდი.

დილაა, მზიანი დილა. ყველანი ბანაკში ვართ, სამხედრო სკოლის ეზოში ჩოჩქოლია, გარბიან და გამორბიან გერმანელები, ზოგიერთები ჯგუფ-ჯგუფად დგანან და გაცხარებით ლაპარაკობენ. ეტყობა, რაღაც მოხდა. გავიგებ, აუცილებლად გავიგებ, თუ მეყო მანამდე მოთმინება. სული მიმდის. ორი გუშავი ბანაის წინ დგას, ორი უკან, ერთი სულ ცალკე. შეჯგუფდებიან, წაულაპარაკებენ ერთმანეთს და ისევ გამორდებიან.

სამხედრო სკოლის ეზოში ჩოჩქოლი ძლიერდება. მაქსი თავისი ბინის წინ დგას, სივარას აბოლებს და ვერ გაიგებ, ამ ახალ ამბავზეა დაფიქრებული, თუ თავისი საფიქრალითაა გარინდებული.

რატომ არ გავყავართ სამუშაოდ? მაქსი მორითგ გუშავს ეძახის, გუშავი მირბის მასთან და უცდის მის ბრძანებას, მაქსს მგონი დაავიწყდა, გუშავს რომ უხმო, მგონი ვერც ხედავს მის წინ გამოქიმულ გუშავს, ბოლოს რაღაცას ეუბნება, გუშავი ჩვენსკენ მოდის და ბანაის ჭიშკარს ადებს. სწრაფად გამოვდივართ, ერთმანეთს ვეჯახებით. ბანაიდან გასვლა წუთიერად ტყვეობიდან გათავისუფლებას უდრის. ალბათ ყველა ჩემსავით ფიქრობს, ყველანი ქალაქისკენ მივემართებით.

ჰიტლერზე თავდასხმის შემდეგ გერმანელების ფსიქოლოგია საგრძნობლად შეიცვალა. ჰიტლერი თუმცა დროებით გადარჩა, მაგრამ მის თაყვანისმცემლებსა და მთელ გერმანიაზე მნიშვნელოვნად იმოქმედა იმ ამბავმა, რომ მათს ფიურერზე ხელი აღმართეს.

შაბათ საღამოს ჩვენს ბანაკში გაურკვეველი ეროვნების სამხედრო მოსამსახურეები შემოვიდნენ, მათ ვითომც დავალებული ჰქონდათ სამხედრო ტყვეთა ბანაკების დათვალიერება. მთელი ჩვენი ჯგუფი, გარდა ორი მზარეულისა, ერთად ვიყავით თავმოყრილი, გეგმას ვადგენდით: ამერიკის ჯარი უახლოეს ქალაქებს დიკავებდა თუ არა, რამდენსაც მოვახერხებდით, იმდენი

სურსათი მოგვემარაგებინა და გავქცეულიყავით. შეშაზე ტყეში მუშაობის დროს შესაფერისი ადგილები შერჩეული გვექონდა. ხმები დადიოდა: გერმანელები ტყვეების გაყვლტას აპირებენ საბჭოთა არმიისა და ამერიკელთა ჯარის შემოსვლამდეო.

ბანაკში შემოსული გაურკვეველი ეროვნების სამხედრო მოსამსახურენი კარგად ლაპარაკობდნენ რუსულად, ფრანგული და გერმანული ენებიც იცოდნენ, მაგრამ ლაპარაკის კილოზე ემჩნეოდნენ, რომ რუსები არ უნდა ყოფილიყვნენ.

ტყვეების უმრავლესობას უზბეკები წარმოადგენდნენ. ისინი განცალკევებულნი იყვნენ და მღეროდნენ. მეტად სევდიანი იყო მათი სიმღერა. ეს სიმღერა ერთმა ახალგაზრდა უზბეკმა შექმნა, სიმღერის ტექსტიც მას ეკუთვნოდა და მუსიკაც.

ჩვენს სტუმრებს აშკარად ემჩნეოდათ, რალაც საეჭვო საქმეზე იყვნენ მოსულნი. შემდეგ გერმანელი ოფიცრებიც შემოვიდნენ.

მზარეული გიორგი ლალუაშვილი ჩვეულებრივზე ადრე დაბრუნდა სამზარეულოდან. აუჩქარებლად შემოვიდა. მაგრამ მე კარგად ვიცნობდი ლალუაშვილს, შევატყვე, რალაც სათქმელი ჰქონდა. ჩემთან მოვიდა, ვითომც ნემსი და ძაფი უნდოდა, პიჯაკის ჩამოხეული ჯიბე მიჩვენა და მითხრა:

— ფრთხილად, საეჭვო პირები არიან.

— რამ დაგინია? — ვუპასუხე და ძაფი მივეცი. ნემსი თავის ქუდს გამოაძრო და ჩამოხეული ჯიბის მიკერება დაიწყო.

გერმანელებმა და უცნობმა სტუმრებმა თათბირი რომ მოათავეს, სომხე-

ბი და აზერბაიჯანელები წაიყვანეს და მეორე დღეს ისევ ბანაკში მოიყვანეს.

დაკითხვა უნდოდათ და აღარ დაგვითხესო, გვითხრეს დაბრუნებულმა ამხანაგებმა. მათი ერთი დღით წაყვანის მიზანი ჩვენთვის გამოუცნობი დარჩა. გერმანელები დაბნეულები იყვნენ და თვითონაც არ იცოდნენ, რას აკეთებდნენ. ლალუაშვილს ბევრი კარგი ნაცნობი ჰყავდა და დაპირდნენ, ყველაფერს გავიგებთ და გეტყვითო, მაგრამ მათაც ვერაფერი გაიგეს.

გიორგი ლალუაშვილი კიევში, დარნიცას სამხედრო ტყვეთა ბანაკში გაციანი და მაშინვე დაუუახლოვდი, მაშინ იგი ორმოცი წლისა იქნებოდა. ორმოცი წელი ბავშვობასა და ჭაბუკობაში ძალიან ბევრი მეგონა.

ლალუაშვილი საშუალო სიმაღლისა იყო. შიში და უიმედობა არ ეკარებოდა ამ კაცს. ამის გამო დიდ პატივს ვცემდი. როგორც მისი ფრთხილი ამხანაგები ამბობდნენ, იგი ომშიაც უშიშარი და ფრთხილი იყო.

იტყოდა ხოლმე: ღმერთმა იცის, რომ ჩემი სამშობლოს ერთგული ვიყავი და ვიქნებიო, და ცოცხალი თუ დავრჩი, კიდევ გამოვადგებიო. ტყვეობაში სიკვდილის უფლება არა მაქვს, უნდა დავბრუნდე, უსათუოდ უნდა დავბრუნდე ჩემს სამშობლოში, ჩემი სამი ვაჟი უნდა ვნახოო.

ლალუაშვილი და მე ერთად დავბრუნდით საქართველოში. ამქამდ ხაშურში ცხოვრობს, ერთ-ერთი საშუალო სკოლის მასწავლებელია. ხშირად ჩამოდის თბილისში და რაც არ უნდა ცოტა დრო ჰქონდეს, მაინც შემოვივლის ჩემთან.

მხატვარი კარლ შმიდტი

განათხულის მშვენიერი დილა იყო. ბანაკის წინ ჩამწკრივებულები ვიდექით. კომენდანტი მაქსი ტყვეებს სხვადასხვა სამუშაოზე თავისებური სიღინჯით ანაწილებდა. ტყვეები არ ემორჩილებოდნენ, მაგრამ მაქსი არ ბრახობ-

და; გაირინდებოდა და დუმდა, ირწეოდა, სიგარას აბოლებდა და ცის უსაზღვრო სივრცეს შეჰყურებდა.

გიორგი ქავთარაძე
ჯარისკაცის ჩანაწერები



ამ დროს ერთი გერმანელი მოქალაქე მოვიდა, ცოტა არ იყოს, დაბლერილი პირისახე ჰქონდა. ჩვენ გავვიღიმა და მშვიდობის დილა გვისურვა, ისე გავგახარა მისმა გულითაღმა სალაშმა, რომ როგორც ჯარშია მიღებული, ერთად ვუპასუხეთ: „გუტენ მორგენ!“ ისე ხმაშალა გამოგვივიდა საპასუხო სალამი, რომ ჩვენი მცველი დაფრთხა და გაბრაზდა, გერმანელი მოქალაქეც შეკრთა, თუმცა მოეწონა ჩვენი სალამი, მაქსს კი არაფერი დასტყობია.

გერმანელი მოქალაქე მაქსს მიუბრუნდა, ხელი ვანგებ ასწია ნაცისტურად, მეგონა, ხელის მალა აწევას „ჰაილ ჰიტლერს“ მიაყოლებდა, მაგრამ მშვიდად უთხრა: „გუტენ მორგენ!“ — „მორგენ“, — უპასუხა მაქსმა და ოდნავ თავი დაუკრა. გერმანელმა მოქალაქემ თვალი გადაგვაგლო და კომენდანტ მაქსს სთხოვა: ხუთი კაცი მჭირდება და როგორმე გამატანეთ. დაილაპარაკა თუ არა, სულ გადასხვაფერდა, მოღუშულ პირისახეზე ტყბილი ღიმილი დაეფინა.

მაქსი შეყოყმანდა, როგორც შევატყვე, უარის თქმას აპირებდა, მაგრამ თან ხათრი ჰქონდა თავისი თანამემამულესა. ვიდრე მაქსი პასუხს გასცემდა, გერმანელი მოქალაქე მიუახლოვდა, მხარზე ხელი მოუთათუნა და უთხრა: უსათუოდ უნდა გამატანო ხუთი კაცი, ძალიან მესაჭიროება, ადვილი სამუშაო მაქვსო და „შლოსპოფი“ ასენა. მაშინ არ ვიცოდი, რას ნიშნავდა „შლოსპოფი“. მხოლოდ ის ვიცოდი, რომ „შლოს“ ციხე-დარბაზს ნიშნავდა, „პოფი“ კი ეზოს. შემაშინა კიდევ „ცოხის“ გაგონებამ.

ჩემს ამხანაგებს არ გაუგიათ, ადვილ სამუშაოზე რომ თხოულობდა ხუთ კაცს გერმანელი მოქალაქე. მე თვითონ კაცი მომეწონა და მინდოდა სამუშაოდ წავყოლოდი, თუმცა სიტყვა „შლოს“ მაფიქრებდა, მაგრამ სამხედრო სკოლის ტერიტორიაზე ხშირად აღარ მიხდებოდა ყოფნა, ახალ სამუშაოს ვეჭვბდი, შარლოტასაც იშვიათად ვხვდებოდი, ქალაქში გავლაც მომენატრა.

„Schön“,¹ — აღირსა დაგვიანებულ პასუხი მაქსმა გერმანელს, ოთხი კაცი გამოიყვანა მწკრივიდან და უთხრა: აჰა, წაიყვანეთ.

გერმანელმა თვალი გადაავლო იმ ოთხ კაცს და მაქსს სთხოვა: იქნებ ერთი წერა-კითხვის მცოდნე კაციც მომცეთ.

მაქსმა უპასუხა: ოთხივე ინტელიგენტიო. გადახედა იმ ოთხ კაცს და კიდევ გაიმეორა მათ ვასაგონად: ოთხივე ინტელიგენტიო. გერმანელი მოქალაქე უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. არა, ოთხივენი კარგები არიან, მხოლოდ გერმანულად წერა-კითხვა თუ იციანო.

არავის სურდა მეხუთე კაცად წასვლა, რადგან არ იცოდნენ, თუ რა საქმისათვის სჭირდებოდა გერმანელს ხუთი კაცი. მაქსის მოსვლამდე ვინ გაბედავდა სამუშაოს არჩევას. მახინჯი კომენდანტი ძალღუბს მოგვისევდა და დაკბენილები, ტანისამოს შემოფლეთილები, სადაც გვეტყობდნენ, იქ ვავარბოდით ხოლმე.

გამოდო, მითხრა მაქსმა. მწკრივიდან გამოვედი და ოთხ კაცს შევუერთდი. გზას ვავუღეით.

ჩვენი ბანაკიდან იმ გერმანელი მოქალაქის სახლამდე ორი კილომეტრი თუ იქნებოდა. იმ დღეს ხუთი კაცისთვის მცველი არ იყო გათვალისწინებული, გერმანელმა მოქალაქემ იკისრა ჩვენი მეთვალყურეობა. ასეთი შემთხვევები აკრძალული იყო, მაგრამ დადგენილებას მაინც არღვევდნენ გერმანელები. დიდ გზაზე რომ არავინ შეგვხვედროდა, მთავორიანი ვაილბურგის დაკიდებულ ქუჩებში ნელ-ნელა მივდიოდით. ოთხი კაცი წინ გაუშვა და ჩვენ უკან მივმუსაიდვობდით.

ფრანგებზე ამბობენ: ერთ წუთში გავიცნობენ და მეორე წუთში დაგიმეგობრდებიანო. ის გერმანელი ფრანგით მოიქცა, სანამ დანიშნულ ადგილამდე მიგვიყვანდა, უკვე დამიმეგობრდა. ერთმანეთს ჩუბჩულოთ გავანდობდები ისეთი რამ, რისი თქმაც ყველ

¹ კარგი (გერმ.).

გერმანელთან არ შეიძლება. ეს ჩემი ახალი და შემთხვევით შექმნილი მეგობარი მხატვარი აღმოჩნდა, ასე სამოცი წლისა იქნებოდა. მისი სახელი და გვარი იყო კარლ შმიდტი.

კარლ შმიდტმა თავისი სახლი შორიდანვე დაგვანახა. მალე შევედით მუზეუმის მსგავს შენობაში, რომელიც მან კომენდანტ მაქსთან საუბარში „შლოსპოფად“ მოიხსენია. ასეთი „შლოსპოფები“ გერმანიის თითქმის ყველა დიდსა და პატარა ქალაქში გვხვდებოდა.

ის „შლოსპოფი“ სხვათა შორის ჩამოგდებულ ყუმბარას დაეზიანებინა. ჩვენ იმ დღეს მხატვარმა მიყრილ-მოყრილი ნივთების დასალაგებლად გამოგვიყენა. სამუშაო მართლაც ძალიან ადვილი იყო და მაინც სულ „ლანგზამ, ლანგზამს“ გაიძახოდა.

საქმეზე მეტი დრო ლაპარაკს მოვანდომეთ. კარლ შმიდტი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებით იყო დაინტერესებული. სადილად ოჯახში მიგვიწვია და კარგადაც გავვიმასპინძლდა. ტყვედ ჩავარდნის დღიდან, ობერლეიტენანტთან ეფემერული საუბრის გარდა სუფრაზე არ ვმჯდარავარ და სიტყვა „მიირთვით“ არ გამიფონია.

— ბიტე, ბიტე, — გულით გვეპატიებებოდა ჩვენი გერმანელი მასპინძელი. არაფერი იყო გასაოცარი და მაინც ყველაფერი მაოცებდა. ოქროს წყლით მოვარაყებულ საინებსა და ქათქათა ხელსახოცებს ისე მოკრძალებით ვუცქერდი, თითქოს მუზეუმის ძვირფასი ექსპონატები ყოფილიყოს და არა სახმარად მოტანილი ნივთები.

მე და კარლ შმიდტმა გაცნობის პირველ დღესვე მოვილაპარაკეთ, რამდენადაც მოვახერხებდით, ხშირად შევხვდებოდით ერთმანეთს. სულითა და გულით მივენდე და არც მოვტყუებულვარ. იმ დღეს რამდენჯერმე მითხრა: საქმეც რომ არა მქონდეს, შენთვის გამოვიგონებ და წავიყვან ბანაკიდან, თუ შენთვისაც სასურველი იქნებაო.

სიტყვამ მოიტანა და პიტლერი ვახსენეთ, ვერ გაგებდე პირველად მე მე-

გინებინა, დამასწრო და წამოიძახა: Bluff, Bluff არის პიტლერიო.

კარლ შმიდტმა მეორეჯერაც ხუთი კაცი წავგიყვანა, მას ჩემთვის მართლაც გამოეგონებინა საქმე. შლოსპოფთან დაწყობილი საღებავების ყუთები გადავადგილეთ და შემდეგ ისევ იმავე ადგილზე დავაწყეთ. ეს საქმეც რომ მოგვწყინდა, შინ შემიყვანა და რომ არავის მოესწრო, ცოლი, ქერივი რძალი და ქალიშვილი გააფრთხილა: სხვადასხვა სახელოსნო იარაღი მოამზადეთო; ვითომც ამ იარაღებისათვის ვიყავით შესული მის ოჯახში, დანარჩენი ოთხი კაცი შლოსპოფში დატოვა დამტკრებელი ყუთების შესაკეთებლად.

შლოსპოფს ათასნაირი ძვირფასი სურსათ-სანოვავის საწყობად იყენებდნენ. ყუთებზე მიკრული ეთიკეტებიდან ირკვეოდა, რომ ყველაფერი საფრანგეთიდან, იტალიიდან და სხვა დაპყრობილი ქვეყნიდან იყო შემოზიდული გერმანიაში.

ერთხელ სულ მარტო წამიყვანა; შლოსპოფი ფორმალურად გააღო, შოკოლადისა და ყავის სუნი მადის აღმძვრელად ტრიალებდა. შლოსპოფში არავითარი საქმე აღარ გვექონდა, ყველაფერი დანაშრული, დათვლილი და დაწყობილი ელაგა. ხანდახან მაინც ავაკვუნებდით ხოლმე ჩაქუჩებს. დასვენებისას შინ შემიყვანა და მთელი დღე მშვენივრად მორთულ სასტუმრო დარბაზში გავატარე. ვათვალიერებდი ცნობილ მხატვართა სურათებს, მაცნობდა და მიხსნიდა, არ მშორდებოდა. შინდისფერ ხვევრდის ყდაში ჩასმულ ერთ დიდ ალბომში საინტერესო სურათები ჰქონდა. მასპინძელს უხაროდა, ზოგი რამ მეც რომ ვიცოდი და გამეგონა დიდ მხატვართა ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.


ნასადილევს მხატვარი რადიოს მოსასმენად გავიდა, მე მხატვართა სურათების ალბომი დამიტოვა დასათვალიერებლად, არ მოგწყინდესო. მაგრამ მა-

გიორგი ქავთარაძე
ჯარისკაცის ჩანაწერები

ლე შემოვარდა: წამოდი, ჩქარა წამო-
დიო!

რადიოაპარატი ერთ პატარა ოთახში
ეღვა, ცალ ყურში კარგად არ ესმოდა,
რადიოს მიუჯდა და ყური მიადო: ჩვე-
ნი ჯარები გერმანიის ტერიტორიაზე
სწრაფად მოიწვედნენ. იმ დღეს პირვე-
ლად გავიგონე საბჭოთა არმიის სარდ-
ლების მალინოვსკისა და როკოსოვსკის
სახელები. კარლი ისე ნატრობდა მესამე
იმპერიის დამხობას, როგორც მე ტყვე-
ობიდან გათავისუფლებას ვნატრობდი.

გულიდან დარდი თანდათან მშორ-
დებოდა, მის ნაცვლად სიხარული მე-
უფლებოდა. კიდევ ბევრი მშფოთვარე
დღე მქონდა გადასატანი. კარგი ამბები
მესმოდა, შარლოტა ყოველდღე მიგ-
ზავნიდა ახალ გაზეთებს. თუ ვერ მოა-
ხერხებდა და რომელიმე ჩემს ამხანაგს
ვერ გამოატანდა, შეთანხმებული ვი-
ყავით: გერმანელ ოფიცერთა სამზა-
რეულოსთან დადგმულ მეხუთე სანაგ-
ვე ყუთში უნდა ჩაეგდო, მე თუ ვერ
მოვხვდებოდი სამხედრო სკოლის ტე-

რიტორიაზე არ შეიძლებოდა 
ლიმე ჩვენი ამხანაგი მაინც არ მოხვედ-
რილიყო. ყველამ იცოდა და მოჰქონ-
დათ. გაზეთებთან ერთად ბუტერბრო-
დებიცა და სიგარეტებიც იყო ხოლმე
და ნაგვის ყუთისაკენ ყველა კისრისტე-
ხით გარბოდა. ასევე კალაბურა ისე
გარდაიქმნა, რომ იმასაც კი მოჰქონდა
ჩემთვის გაზეთები.

გაზეთები ვერ მალავდნენ ფრონტის
ამბებს. მაინც წერდნენ: ბოლშევიკების
წარმატებები დროებითაო.

ჰიტლერზე თავდასხმის ამბავი გაგე-
ბული მქონდა, კარლ შმიდტმაც დაწვ-
რილებით მიაშო. ამ ამბის სათქმელად
მხატვარმა საქმე მოიმიზეხა და საგან-
გებოდ წამიყვანა. რადიოს მიუუჯე-
ქით. ჰიტლერი უნდა გამოსულიყო რა-
დიოთი.

კარლ შმიდტს ყური რადიოაპარატზე
ჰქონდა მიდებული და თვალი ჩემსკენ
ექირა, დაძაბული ყურადღებით უსმენ-
და. თქვა თუ არა ჰიტლერმა, უვნებლად
გადავჩიო, კარლმა წამოიძახა: „ტრაუ-
რიგ, ზერ ტრაურიგ!“¹.

მხატვარი ანონი

ჩვენს ბანაკსა და სამხედრო სკოლას
შორის ლამაზი გზატკეცილი მიემართე-
ბოდა. ბანაკის ეზოდან კარგად მოჩანდა
ყველა გამველ-გამომველი. როდე-
საც ტყვეები ბანაკში ვიყავით დამწყვ-
დეულები, სარკმლიდანაც კარგად ვხე-
დავდით ყველაფერს.

ყოველ შაბათ-კვირა საღამოს გზა-
ტკეცილზე გამოჩნდებოდნენ გერმანე-
ლი ქალიშვილები და სიცილ-კისკისით
შერბოდნენ ახალგაზრდა ოფიცერთა ყა-
ზარმაში.

ჩვენი კომენდანტი უკანასკნელად კი-
დევ შეცვალა ხანშიშესულმა გამხდარმა
ფელდფებელმა. მაქსი თუ იშვიათად
შემოდოდა ბანაკში, სამაგიეროდ ახალ
კომენდანტს სულ ჩვენთან ყოფნა უნ-
დოდა. დარბაისელი კაცი იყო, ტყვებ-
თან საუბარი უყვარდა. გვიანობამდის

რჩებოდა და ხანდახან კიდევ გამოიძი-
ნებდა ხოლმე ჩემს საწოლზე.

შაბათ-საღამო იყო. იმის ნაცვლად,
რომ შინ ადრე წასულიყო, დიდხანს-
დარჩა ბანაკში, სულ ოხრავდა, გვესა-
უბრებოდა, მერე საუბარიც მოსწყინდა
და დაწვა, საცოდავად ამოდო თავქვეშ
გამხდარი და დაძაბული ხელი. შემე-
ბრალა და თავისი მაზარა გადავახურე.
ვიღაც ქალის სახელი წამოიძახა, გაე-
ლვიძა და რაკი დარწმუნდა, თავის
ოჯახში არ იყო, წამოვარდა და ფარგა-
სავით გამხდარი კაცი ლანდივით გა-
ვარდა გარეთ. ისიც მუსიკოსი იყო,
კლარნეტზე უკრავდა.

როგორც შევატყვე, კომპოზიტორი
მაქსი არ უყვარდა: ძალიან ნიჭიერია,

¹ სამწუხაროა, დიდად სამწუხარო! (გერმ.).

მაგრამ სულელიაო. ამ ფელდფებელზე მაქსი არც ავს ამბობდა და არც კარგს. მაქსს იგი მუდამ ვაცხარებული ელაპარაკებოდა, მაგრამ მაქსი პასუხს არ აღეგნა, ისიც გაბრაზებული გარბოდა, მერე ისევ უკან ბრუნდებოდა საკამათოდ.

ფიცხი იყო, ვაცხარდებოდა, მაგრამ სწრაფად გაუვლიდა ხოლმე სიფიცხე. თუ კომპოზიტორი მაქსი იშვიათად გაგვეყვებოდა ტყვეებს სამუშაოზე, კლარნეტისტი ფელდფებელი სულ ჩვენთან დადიოდა.

მას ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდა, მზე და მთვარე მასზე ამოსდიოდა. სანამ მაქსი ჩვენთან იყო, ქალიშვილი ხშირად მოდიოდა მამასთან, ყველას რუსებად გვთვლიდა, რამდენიმე სიტყვა იცოდა და მისი ჭკუით, ვითომ რუსულად გველაპარაკებოდა. ლამაზი, გულკეთილი და ამავე დროს ექსცენტრულიც იყო, რატომღაც უზბეკებისა და ყირგიზებისაყენ უფრო მიუწევდა გული. საცოდავად ამახინჯებდნენ რუსულ ენას.

ერთხელ ჩვენს ბანაკში მოვარდა, მშვენიერი იები დაეკრიფა და დაგვანახა. ბარაკში შემოსვლა უნდოდა, გუშაგმა არ მისცა ნება: ჯერ ზრდილობიანად მიმართა და რომ ვერაფერი გააწყობო, ტუტუცი უწოდა. ვითომ მამამისთან მიდიოდა, თორემ ისე ჩვენთან სიახლოვის უფლება არ ჰქონდა. გუშაგისთვის ყურადღება არ მიუქცევია, გადაიკისკისა და გამოგველაპარაკა:

— აი, იები დაეკრიფე, მოთხარით, რა ჰქვია თქვენს ენაზე, დავიწერ და მეცოდინება. აბა მოთხარით! — მოგვაძახა და ფანჯარაცა და ქაღალდიც ჩვენ მოგვთხოვა. მივაწოდეთ.

ქართულად ია ჰქვია-მეთქი, ვუთხარი. გადაიკისკისა, არ დაიჯერა და არც ჩაიწერა, ძლივს დავარწმუნე, რომ ქართულად „ია“ ერქვა.

— რუსულად?

— Фиялка, — მიამძახა ვილაკამ.

მოეწონა იის რუსული სახელი.

ჩააწერინეს სომხურად, ლეკურად, თათრულად, მხოლოდ უზბეკური სახე-

ლი გამოგვრჩა. ბოლოს ხანში შესულ უზბეკს ვკითხე, თვალები გაუბრწყინდა და, „გიუნაპშაო“, მითხრა.

ქალიშვილი ისევ აკისკისდა და გაიქცა.

შაბათ საღამოს ჩვეულებრივად გამოჩნდნენ სამხედრო სკოლაში მიმავალი გერმანელი ქალიშვილები. კლარნეტისტი ფელდფებელიც ჩვენთან იყო.

ფელდფებელმა ხელი მოშკიდა და გამანაპირა. მოწყენილი იყო, რალაც აწუხებდა, რალაც უნდოდა ეთქვა. ბოლოს მკითხა:

— თქვენში ქალიშვილებს ჯარში იწვევენ?

— კი, ბატონო, იწვევენ.

— რას აკეთებენ ქალები ჯარში?

— ყველაფერს, რაც კი საჭიროა.

— მაინც?

— ექიმები არიან, ექიმის თანაშემწეები, მოწყალეების დები, სანიტრები და...

— სხვა მიზნით თუ იწვევენ?!

— იბრძვიან კიდევც...

— დაინახე თუ არა, ქალიშვილები რომ შევიდნენ ოფიცერთა სკოლის ყაზარმაში?

— დიახ, ყოველ შაბათ-კვირას ვხედავ.

— ჰოო, შენ ყველაფერი გცოდნია.

— არა, მე მეტი არაფერი არ ვიცი.

— იცი, რისთვის მიდიან? რისთვის დადიან?

მე უკვე დავეპვი, მაგრამ მაინც ვუპასუხე:

— არა, არ ვიცი.

— ყველა მობილიზებულია, რათა მომავალი ომისთვის პიტლერის საქმის განმგრძობი ახალი თაობა გაჩნდეს. შეიძლება ჩემი ქალიშვილიც გაიწვიონ, ჯერჯერობით კი გადავარჩინე, მაგრამ მერე რაღა მეშველება?

ვერაფერი ვუთხარი დამწუხრებულ მშობელს, თავჩალუნული ვუსმენდი.

გიორგი ქავთარაძე
ჯარისკაცის ჩანაწერები



როგორც ცნობილია, პირველად საბჭოთა ჯარები გერმანიის ტერიტორიაზე 1944 წლის სექტემბერში შევიდნენ, როდესაც აღმოსავლეთ პრუსიის საზღვარი გადალახეს.

მეორე ფრონტის გახსნისთანავე დაიწყო ამერიკელებმა საჰაერო თავდასხმები გერმანიის ქალაქებზე. ყველგან, ყველა ქალაქსა და სოფელში იყო გაკეთებული თავშესაფარი. ასეთი თავშესაფარი ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე იყო აშენებული და მოწყობილი. ყველა თავშესაფარს შესავალთან აშენების თარიღი ეწერა.

ვაილბურგში არავითარი სამხედრო ობიექტი არ იყო, თუმცა ვილა არჩევდა სამხედრო ობიექტს არასამხედროსაგან, ამ პატარა ქალაქში მხოლოდ რამდენიმე სამხედრო სკოლა იყო და თუ ამერიკელები შეამჩნევდნენ ამ სკოლებს, ოფიცრის ჩინი არც ერთ კურსანტს არ ეღირსებოდა. ჩვენი ბანაკი ერთ-ერთი სამხედრო სკოლის ახლოს იყო და არც ჩვენ დავვადებოდა კარგი დღე.

თანდათან ძლიერდებოდა ამერიკელთა საჰაერო თავდასხმები, ცხოვრება უფრო მშფოთვარე გახდა. ხალხი სასურსათო ბარათებით ცხოვრობდა. ისინი უღრტინეულად გარბოდნენ თავშესაფრებისაკენ, გარბოდნენ და ომს წყევლა-კრულვით იხსენიებდნენ.

ღილით რომ დაიწყებოდა საყვირების ღრიალი, Alarm!, — გადასძახებდნენ ერთმანეთს გერმანელი მოქალაქენი და თავშესაფრებისაკენ გარბოდნენ. დაბრუნებულებს ხშირად სახლ-კარი მიწასთან გასწორებული ხედებოდათ და რჩებოდნენ უბინაოდ ღია ცის ქვეშ. შვებულებიდან დაბრუნებული სამხედრო მოსამსახურენი და ომის ხეიბრებიც ვეღარ პოულობდნენ ზოგჯერ თავიანთი ოჯახის წევრებს, ვეღარ ცნობდნენ თავიანთ ყოფილ ბინას, სახლების წინ მდგარი ხეებით ვარაუდობდნენ, დაახლოებით აქ იდგა ჩვენი სახლიო.

¹ განვაში (გერმ.).

„ალარმ, ალარმ!“ — ისმოდა განუწყვეტლივ, დაფარებოდა ცა ამერიკელთა თვითმფრინავებით, სეტყვასავით ცვივოდნენ ყუმბარები, ზანზარებდა დედამიწა.

ერთ ღილით, შედარებით გვიან დაიწყო საჰაერო განგაში. იმ დღეს ფრანკფურტში მივდიოდით. ძლივს ჩავასწარით — ქალაქის დაბომბვა დაიწყო. თეთრმა თვითმფრინავებმა გადაათოტრეს ფრანკფურტის ცა.

თხუთმეტი კაცი ვიყავით და ორი გერმანელი მეთვალყურე გვახლდა. მეთვალყურენი თავქუდმოკვლეჯილები გაიქცნენ თავშესაფრისაკენ, სამხედრო ტყვეებს არ უშვებდნენ თავშესაფრებში და ღია ცის ქვეშ დავრჩით ღვთის ანაბარა. ჩვენს თვალწინ ინგრეოდა მაინის ფრანკფურტის გოთური სტილით ნაგები საუცხოო შენობები და არქიტექტურული ძეგლები, ინგრეოდა და იწვოდა გოეთეს მშობლიური ქალაქი.

ქუჩებში ადამიანების ჰაჭანება აღარ იყო, ჩემმა ამხანაგებმა თავშესაფრად ჩვენივე მანქანა გამოიყენეს. მანქანის ქვეშ შემძვრალიყვნენ, ვერ ეტოლდნენ, მხოლოდ თავები შეერგოთ. მე კი მანქანაზე შევრჩიე და გაცქპეროდი ცეცხლში გახვეულ ფრანკფურტს.

მანქანიდან ჩამოვედი და მოპირდაპირე სახლისაკენ გავემართე, არაფერი არ მიზიდავდა იქ და მაინც მივდიოდი. მეორე ქუჩაზე კიდევ გარბოდნენ თავშესაფრისაკენ შინ დარჩენილი გერმანელი მოქალაქენი, უმთავრესად ქალები და ბავშვები. მიჩანჩალებდნენ მოხუცებიც. უკან რომ ვბრუნდებოდი, კუთხის სახლიდან სახელდახელოდ შეკრული ხელბოლით გამოვარდა და წინ ჩამირბინა ვიღაც გერმანელმა ფრაუმ, მას უკან სამი თუ ოთხი წლის ბავშვი მისდევდა, ბავშვმა რაღაცას წამოკრა ფეხი, დაეცა და ატირდა. დედამ შეიღს მიხედა და შეჰკვილა: „ადოლფ!“, მაგრამ ყუმბარის აფეთქების ხმამ ადგილზე გააშეშა.

მეც გოგნებული შევცქეროდი. გერმანელი ფრაუ შეშლილივით აცეცებდა

თვალბს. არ ვიცი, ხელში დაჭერილი ძვირფასი ნივთების დარდი ჰქონდა, თუ შინ დარჩენილი, ანდა თავშესაფრისკენ გაქცეულთ შვილებისა, — იგი გამტრებული იღვა და სასოწარკვეთილი გაიძახოდა: „ფრიდა, ფრიდა!“. ვინ იყო ეს ფრიდა? ალბათ მისი მეორე შვილი იყო.

შზად ვიყავი მივშველებოდი გერმანელ ფრაუსს და ვერ ვებედავდი. მერე გონზე მოვედი და ბავშვთან მივევარდი. წამოძვდარიყო და დაშავებულ მუხლს დასცქეროდა. ისე უეცრად მივევარდი, რომ პირველად შეკრთა. ქერა, ბუთხუზა ბიჭი იყო. ხელი დავავლე და გავიქეცი. მუხლზე სისხლი აჩნდა, ფეხს ვეღარ ადგამდა. შიშისაგან დაბნეული დედისაკენ გავემართე, სიტყვის უთქმელად გავიქეცი და თავშესაფარში შევცვივდით.

— ახ, ფრიდა, ფრიდა! — ვერ ისვენებდა გერმანელი ფრაუ. მერე ერთი გოგონა მოვარდა და უთხრა, ფრიდა სხვას დაეუტოვე, შენ გეძებდიო. ახლა უფრო გულამოსკვნით ატირდა ფრაუ და ჩემსკენ მობრუნდა. დედამ რომ მადლობა გადამიხადა და მადლიერი თვალებით შემომხედა, ბავშვიც მომეკრა და ჩემს მკერდზე მტრედითვი მიინაბა. გაღვინიანი ფრაუ ლუიზას პატივისცემით მე აღარ დამატოვებინეს „წმინდა არიელთა“ თავშესაფარი, მეც აღარ მიმიტოვებია ფრაუ ლუიზა და როდესაც საშიშროებამ გაიარა, ბინამდის მივაცილე.

ბინამდის-მეთქი, სადღა იყო ბინა? მოპირდაპირე ქუჩას ცეცხლი ეკიდა, ფრაუ ლუიზას სახლს ყუმბარა დასცემოდა და კვამლი მადლა ადიოდა. სადარბაზო შესავალი ამოქოლილიყო. ხვეული კიბით მიაშურა ფრაუ ლუიზამ სახლის გადარჩენილ ნაწილს, პატარა ატატებული მყავდა. ბავშვი პაწაწა ფუნჩულა მკლავებით მომხეცოდა კისერზე და გული ბარტყივით უფართხალებდა. ჩვენი მეთვალყურე გერმანელები გაფანტული ტყვეების შეგროვებასა და დათვლას შეუდგნენ. გერმანელ მოქალაქეთა თხოვნით, ჩემი ამხანაგები

მათ დაახმარეს, მე კი ფრაუ ლუიზასთან დავრჩი.

მან ჯერ ხელები მიიფარა თვალბზე და მერე გაპარტახებულ ბინას თვალი მოავლო, თითქოს თვალს არ უჯერებსო. მძიმედ წამოდგა და ლასლასით მეორე ოთახისაკენ გაემართა, მაგრამ მეორე ოთახში არ შესულა, ისევ მძიმედ შემოტრიალდა.

— გოტ ზაინ დანკ, გოტ ზაინ დანკ, — გაიძახოდა ლუიზა და დაფეთებული აცეცებდა თვალბს.

ნეტავ რაღად უხდიდა ღმერთს მადლობას მორწმუნე გერმანელი ფრაუ?

იღვა და რაღაცას მიშტერებოდა გავგნებულთ. მერე ფეხაკრეფით გაემართა ღვთისმშობლის დამტვრეულ ქანდაკებისაკენ, პირჯვარი გადაიწერა, წამოაყენა თავწამტვრეული ღვთისმშობელი, ჩაიჩოქა, დაუტოვნა შიშველი ფეხები და ლოცვა დაიწყო.

ღიახ! ფრაუ ლუიზა, მახსოვს და მაგონდება ყველაფერი, დარწმუნებულთ ვარ, რომ თქვენც კარგად გემახსოვრებათ ფრანკფურტის ნგრევა, თქვენი გაპარტახებული სახლ-კარი, ჩამონგრეული ქერი და ძირს დანარცხებული ვეებერთელა ჭალი, ბროლის ნამტვრევები, კბილებჩამტვრეული რიბალი და დახოცილი მტრედებით მიმოფანტული ბეთჰოვენისა თუ მოცარტის მუსიკის პარტიტურები. ყველაფერს, რაც თქვენს ბინაში მომხდარიყო, ასე მეგონა, საღისტური სიამოვნებით დასცქეროდა კედელზე დაკიდებული სურათი ჰიტლერისა. თქვენ ხომ არა ერთხელ შეგიძახნიათ: „ჰაილ ჰიტლერ!“

ფრაუ ლუიზა! ახლა დასავლეთ გერმანიაში ალბათ ისევ გხვდებიან ქუჩებში მიმავალი გერმანელი ახალგაზრდა წვევამდელები, გხვდებიან ისევე, როგორც მეორე მსოფლიო ომის დროს გხვდებოდნენ. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მათს გულმკერდს აღარ „ამშვენებს“ სვასტიკა და თავისქალა. არც დროშებზეა ამოქარგული სვასტი-

გიორგი ქავთარაძე
ჯარისკაცის ჩანაწერები

კა. მაგრამ სინამდვილეში არაფერი შეცვლილა.

მე გეკითხებით თქვენ, ძვირფასო ფრაუ ლუიზა: თქვენი ვაჟი, რომელსაც მე ვუწოდებ და ფეხზე წამოვაცენე, ხომ არაა ახლა იმათ რიგებში, რომლებსაც ახალი ომისათვის ამზადებენ ნეოფაშისტები? უამბობთ თუ არა თქვენს ვაჟს განვლილი ომის საშინელებას?

თვითმფრინავებმა შეასრულეს თავიანთი დავალება და გაფრინდნენ. მხოლოდ რამდენიმედა ტრიალებდა ქალაქის თავზე.

სანამ ქალაქის ბომბარდირება დამთავრდებოდა, უცხოელი მოგზაურივით დავსვირნობდი ქალაქის დაცარიელებულ ქუჩებში. ამ ნაძალადევა სერიოზობამ კარგად დამანახა დასაღუპავად განწირული ქალაქი. ისეთი მარტოობა ვიგრძენი. რომ საინტერესოს ვეღარაფერს ვხედავდი ამ უდიდეს ქალაქში, მეგონა, სადღაც უდაბნოში ვიყავი დარჩენილი. ამ მარტოობამ შემაშინა და ამხანაგებს მივაშურე. ისევ ატყდა საფეხების სახარელი ღრიანი, ახალი ბომბდამშენები მოფრინავდნენ, მაგრამ მათ ფრანკფურტი აღარ დაუბოძბავთ, ალბათ სხვა ქალაქებისკენ მიფრინავდნენ. ისევ გაინახა ქალაქი, მხოლოდ განაპირა უბნებში ცვივოდა ყუმბარები და იქიდან ყრუ გრილი მოისმოდა.

გზა რომ შემემოკლებინა, სკვერი გადავჭერი. მაღალი იასამნების ბუჩქებში რალაცამ გაიშლივინა. შევეკრთი, წინ შევლმა და გარეულმა თხამ გადამირბინეს.

იტალია-აბისინიის ომის დროს, მგონი ქალაქ ადის-აბებაში, თურმე აბისინიელებმა ზოოპარკი გააღეს და ლომები და ვეფხვები მიუსიეს იტალიელებს. გავიფიქრე: აქ მარტო თხა და შველი კი არა, სხვა საშიში ნადირიც არ გამოვარდეს-მეთქი და ამხანაგებთან გავჩნდი.

ვაილბურგში ჩვენს გარდა კიდევ იყო სამხედრო ტყვეთა ორი ბანაკი, ბომბარდირების დროს მათ გამომწყვდეულებს ტოვებდნენ, ბანაკის კომენდანტი და გუ-

შაგები კი თავშესაფარში გარბოდნენ. ჩვენ ყოველთვის გვიშვებდნენ გარეთ—სადმე ახლომახლო უნდა შეგვეფარებინა თავი. ბანაკთან ჩვენ თვითონ გავაკეთეთ პატარა თავშესაფარი, რომელშიაც კომენდანტი მაქსი, ასკერ კალაბურა და კიდევ ორი კაცი თუ დაეტეოდლა.

საშიშროება რომ გაივლიდა, კომენდანტი მაქსი დათვით გამობაჯბაჯდებოდა თავშესაფრიდან, შევიდოდა თავის ოთახში, მიუჯდებოდა მაგიდას და წერდა, მერე დასასვენებლად გამოვიდოდა გარეთ და რალაცას ღიღინებდა, ალბათ ახალდაწერილ მუსიკას იმეორებდა.

ერთხელ რალაც საქმეზე შევედი მასთან, მაგიდას უჯდა. მივესალმე, მოვახსენე, რისთვისაც ვეახელი. ყურადღება არ მომაქცია, დიდხანს მალოდინა, ბოდოში მოვუხადე, უნებართვოდ ავიღე სიგარა, დავჯექი და გემრიელად გავაბოლე.

კიდევ გავუმეორე ჩემი სათქმელი კომპოზიტორს, სათვალე მოიხსნა, შემომხედა, სადირიერო ჯოხი ჩემი სკამის ზურგზე დააკაუნა და რალაც ქუხილის გამომხატველი ბგერები აღმოხდა: „ბრ-ბუმ-ბუმ, ბრ-ბუმ-ბუმ“.

— ბატონო კომპოზიტორო, უკანასკნელად გთხოვთ, მომისმინოთ, მხოლოდ მომისმინოთ, — მიემართე მაქსს. — თქვენ რომ თქვენი დაწერილი მუსიკალური ნაწარმოებები წაგართვათ ვინმემ, ხომ ვერ გაუძლებთ? გთხოვთ უბრძანოთ გუშავს, დამიბრუნოს ჩემი წიგნაკი, შიგ ჩემს სამშობლოზე დაწერილი ლექსებია!

მაქსი ადგა, გარეთ გამოვიდა და ერთ ადგილზე დაიწყო ტორტმანი ისე, როგორც იცოდა.

გუშავის გამოცვლის დრო აფეთქებასავით ახლოვდებოდა და მაფრთხობდა. დინჯად წავიდა მაქსი, მეგონა გუშავთან მიდიოდა, მაგრამ გვერდი აუარა, იმედი გამიცრუვდა, ბოდმა მასჩიბდა, რამდენი რამ გადავიტანე და ასეთ დღეში არ ჩავვარდნილვარ.

ერთი დიდი დაბომბვის დროს ჩვეულებრივად მარტო ვიყავი ბარაკში, გუშავი დამადგა თავზე და კიდევ ჩამომართვა უბის წიგნაკი. წელი მომწყდა, დამენანა და შემეშინდა: თუკი დიანტერესდებოდნენ, მთარგმნელსაც მოძებნიდნენ. ვაილბურგში რუს სამხედრო ტყვეთა ბანაკში ჩამოართვეს ორ ტყვეს ჩანაწერები, მათი ავტორები მაშინვე გააქრეს, ვინაიდან უბრალო ჩანაწერები არ აღმოჩნდა.

რომ გაევით, რას იტყოდნენ ჩემს ასეთ ჩანაწერებზე?

„დაიწყო გერმანელ ფაშისტთა განადგურება მათ ბუნავში. დღეს ამერიკელთა ავიაცია გამშავებით ბომბავს პიტლერულ გერმანიას. ვაილბურგში ვარ, ჩვენი არმია შეუჩერებლად მოიწვევს წინ, სულ წინ, კარლ შმიდტმაც მახარა. ევლარც ნაცისტები ფარავენ სიმართლეს, დღევანდელი „ფოლკიშერ ბეობანტერი“ მაინც წერს: „ბოლშევიკების წარმატება დროებითია“.

შარლოტამ გაზეთები გამომიგზავნა ტაჯიკ მაჰმუდ მომინოვის ხელით. იმ შტერმა საჯაროდ გადმოიტყა, კიდევ კარგი, გუშავებმა არ მიაქციეს ყურადღება.

დღეს შარლოტამ გვერდით ჩამიარა და ჩამილაპარაკა: ნუ გეშინია, ჩქარა გათავისუფლდები. ჩვენთან ხომ მოხვალ? ჩემს დედ-მამას შენი გაცნობა უნდა-თო...

ვერ იქნა და ვერ ვისწავლე ქკუა. რა ძალა მადგია, ასეთ საშიშ ჩანაწერებს რომ ვინახავ-მეთქი, ვფიქრობდი მაშინ, ახლა კი კმაყოფილი ვარ.

ცეცხლი მეკიდებოდა ჩემი უბის წიგნაკის ჩამორთმევის გამო. გამწარებული ისევ შეგვარდი მაქსთან და ვთხოვე, ებრძანებინა გუშავისათვის, დაებრუნებინა ჩემი უბის წიგნაკი. მისი ოთახი სავსე იყო პაპიროსის ბოლით, იგი განუწყვეტლივ ეწეოდა. ჩემმა მოულოდნელმა შევარდნამ შეაკრთო, მაგრამ არ სწყენია, ალბათ კმაყოფილი იყო დღევანდელი მუშაობით.

— მე რა ვქნა, — მიპასუხა თავაულებლად.

რა უნუგეშო პასუხი იყო. იგი ვეიცლიდა, თორემ ყველაფერი შეეძლო, ჩვენი ბანაკის გუშავები ხომ მას ემორჩილებოდნენ. უბის წიგნაკის ჩამორთმევი გუშავი ერთ საათში უნდა გამოცვლილიყო და რაღა მეშველებოდა? იგი ჩემს წიგნაკს სადაც საჭირო იყო, იქ გადასცემდა. კომპოზიტორი მაქსი კეთილი და მეოცნებე კაცი იყო.

მივატოვე მაქსი, მივირბინე გუშავთან და მისი სახელით ვთხოვე, დაებრუნებინა უბის წიგნაკი. აღიქმის დადგება მინდოდა, თუ დამიბრუნებდა, დამეხია და ვადამეყარა. გუშავმა აღმაცერად შემომხედა, მუნდშტუკში რაღაც გაკვეხებოდა, მისი გამოღების ცდით იყო გართული, მაგრამ უბერავდა სულს, ლოყები მეზურნესავით ებერებოდა, იგინებოდა და იწყევლებოდა, ბოლოს გამოვადლო მუნდშტუკში გაკვეხებული რაღაც ნამცეცი და ძალზე გაუხარდა.

ბანაკისკენ გავეშურე. წინ გუშავი შემხვდა და უკან მიმახედა, მაქსი პირველ გუშავთან იდგა და ჩემი უბის წიგნაკი ხელში მალლა აღმართული ეჭირა. მივუახლოვდი და დავდექი.

მაქსმა გუშავს შეხედა, „ჰაი ვეკ“¹, — წარმოთქვა ამოხვრით და ჩემი უბის წიგნაკი თეატრალურად გადმოიტყა. ხეს მიეყრდნო და გულხელდაკრფილმა თქვა: საწყალი „გროსდოიჩლანდ“ რა დღეშიაო. მინდოდა რაღაც მეპასუნხა, ვერაფერი მოვინახე შესაფერისი.

დიდხანს იდგა ჩაფიქრებული, მე გუშავით ვადექი თავზე. დასალუბავად განწირულ სამშობლოზე ფიქრს თავი დაანება, მომიბრუნდა და მითხრა:

— წამიკითხე მაინც, რა წერია მაგ წიგნაკში! რა სასაცილო წერა სცოდნიათ ქართველებს, სტენოგრაფიას მაგონებს. აბა წამიკითხე ერთი ლექსი, რომელიც შენ ვინდა!

გადავშალე წიგნაკი და შიგ ჩაწერილი ლექსი კი არ წავიკითხე, ის წავიკითხე.

¹ სამშობლოს სევდა (გერმ.).

გიორგი ქავთარაძე
ჯარისკაცის ჩანაწერები

რომელიც ენაზე მომადგა, ისე თითქოს წიგნაკიდან ვკითხულობდი.

ალარ დამაცალა მაქსმა ლექსის წაკითხვა, ყურებზე ხელები მიიფარა და მითხრა: კმარა, კმარა, მეტი აღარ შემიძლია მოსმენა, ნუ დამტანჯავო. არ მოეწონა ქართული ლექსის მუსიკალობა.

ის ღამე მოუსვენრად გავატარე, დილით თავბრუ მეხვეოდა. გადავწყვიტე, მეთხოვა მაქსისთვის სამხედრო სკოლის ტერიტორიაზე გავეგზავნე სამუშაოდ. ავადმყოფობა რომ მომეგონებინა, ბანაკში დამტოვებდა, რა გამაჩერებდა, თუ მართლა არ ვიყავი ავად, არც ვიგონებდი ხოლმე, მუდამ მქონდა იმედი ჩემი ჯანმრთელობისა და არც უღალატნია.

დილით განვუცხადე მაქსს ჩემი სურვილი, ორი კაცი უნდა გავეგზავნა სამხედრო სკოლის ტერიტორიაზე და მესამე კაცად მეც გამაგზავნა.

დასვენების დროს ბანაკში რომ ვბრუნდებოდი, შარლოტა შემხვდა. ორივემ გავიხარეთ, ორივემ საყვედურები ვუთხარით ერთმანეთს, მაგრამ ორივენი რომ მართლები ვიყავით, ესეც კარგად ვიცოდით. სამუშაოს დამთავრებამდე უნდა მივსულიყავი მასთან: მეორე ოთახში გადავიღვიართ, მომეხმარე, დღევანდელ საქმეში ჩაგეთვლებათ.

ნასადილეგს, სამუშაოს დასამთავრებლად რომ გავდიოდი ბანაკიდან, მაქსი შემხვდა. გვერდი ავუარე, სანამ დიდ გზაზე გადავიდოდი, რატომღაც უკან მოვიხედე, მაქსმა ხელი დამიქნია, დავბრუნდი, მივუახლოვედი და დავდექი.

— რა გნებავთ? — ვკითხე მაქსს. იგი თავისი ოთახისაკენ წავიდა. უკან გავყევი. ნელი სიარული იცოდა, სანამ შინ შევიდოდა, მე ჩემი დამემართა. შევყევი, დაჯდა, ჩემთვის არ უთქვამს დაჯექიო, მაინც დაჯექი უნებართვოდ. ყურადღება არ მიუქცევია. ორივენი ვდუმდით, ისევ მან დაარღვია დუმილი და მკითხა:

— თუ გყავთ ქართველებს დიდი მწერალი?

— გვყავს.

— პოეტია თუ ბელეტრისტი?

— პოეტი. ასეთი პოეტი შეიძლება ხუთამდეც ვერ ჩამოთვალათ მთელ მსოფლიოში.

— მე სერიოზულად გვეკითხები.

— მეც სერიოზულად მოგახსენებთ, — ვუპასუხე მშვიდად.

— ვინ არის, რა გვარია?

— რუსთაველი.

— რუსთაველი, — გაიმეორა დამახინჯებულად.

— რუსთაველი, — გავუსწორე დამარცვლით.

— რუსთაველი. რით არის დიდი, რა დაწერა მნიშვნელოვანი?

— რუსთაველი უდიდესი პოეტი იყო, მეთორმეტე საუკუნეში ცხოვრობდა, დავეიტოვა პოემა-რომანი: „Der Mann im Tigerfelle“¹. გერმანულადაც არის თარგმნილი ნაწილი პოემისა თქვენი გერმანელი მწერლის არტურ ლაისტის მიერ. არტურ ლაისტი საქართველოში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, იქ გარდაიცვალა და იქვე განისვენებს, მას ძლიერ უყვარდა საქართველო.

— ვინა? არტურ ლაისტერ?!

— არა, არტურ ლაისტი.

— გერმანიაში არაა დიდად ცნობილი. გამიგონია, მაგრამ მისი არაფერი წამიკითხავს. საქართველოში მარხია?

— დიახ, ჩემს სამშობლოში მარხია.

„Der Mann im Tigerfelle“ . კარგი სათაურია, სათაურს დიდი მნიშვნელობა აქვს, — თქვა და მოჰყვა გოეთეს „ფალსტის“ ქება-დიდებას. მერე მუსიკაზე გადავიდა, მაგრამ ამ დროს შარლოტას უშუალო უფროსი და ორი უცხო გერმანელი ოფიცერი შემოვიდნენ: სამივენი მაქსზე უფროსები იყვნენ თანამდებობითაც და სამხედრო ჩინითაც. მაქსი ვერ იტანდა სამხედრო ცერემონიებს, მაგრამ მაინც შეიშმუშნა, მოუხერხებლად გაისწორა შილიფად გახსნილი მუნდირი და ხელები ჩაუშვა. არ ესიაშოვნა ასეთი საუბრის დროს მათი მოსვლა.

¹ „ვეფხისტყაოსანი“ (გერმ.).



— ჰაილ ჰიტლერ! — მიესალმნენ მაქსს შემოსვლითანავე.

— ჰაილ ჰიტლერ! — უპასუხა მაქსმა.

აღარ მინდოდა დავრჩენილიყავი მათთან. წასვლის ნებართვა ვითხოვე. როგორც კი ხმა ამოვიღე, სამივემ ყურები ცქვიტა. მიბრძანეს, დავრჩენილიყავი. რიგრიგობითა და ზედიზედ დამაყარეს შეკითხვები. მათი შეკითხვები საბჭოთა კავშირის ცხოვრებას შეეხებოდა: სადაური ვიყავი, რა ეროვნებისა, სახელი და გვარი, პროფესია და დედის გვარიც კი მკითხეს.

ბოლოს ყველაზე უფროსმა ოფიცერმა მკითხა: რას იტყვი, ვინ გაიმარჯვებს, თუ იცი, გერმანია თუ რუსეთიო. მეორე ოფიცერმა მაქსის მაგიდიდან რაღაც ნივთი აიღო, ხელში აათამაშა და ჩემს მაგივრად უპასუხა: რაღა დროს გამარჯვებაზე ფიქრია, ხომ ხედავთ, მტრები ირგვლივ შემოგვერტყნენო.

გაკვრით დაწყებულმა პოლიტიკურმა საუბარმა მოულოდნელად მეტად სერიოზული ხასიათი მიიღო. მე ზედმეტი ვიყავი მათ წრეში, რადგან ისეთ საკითხებს შეეხენ, რომლებიც გარეშე აღაშინებდა და მით უმეტეს ტყვესთან არ შეიძლება და თქმულიყო.

გაოგნებული ვიჯექი და შევყურებდი გერმანელ ოფიცრებს. ამ დროს კიდევ შემოვიდა ორი გერმანელი ოფიცერი და მათ შარლოტა შემოჰყვა.

— ჰაილ ჰიტლერ! — მიესალმნენ შემოსულები ხელის მაღლა აწევით.

— ჰაილ ჰიტლერ! ჰაილ ჰიტლერ! — ზედიზედ უპასუხეს დამხედურებმა.

შარლოტამ თვალი მოავლო იქაურობას და თვალებით გამიღიმა.

შარლოტას ოთახიდან ოთახში მაგიდისა და საბეჭდი მანქანის გადატანა სურდა. გაჰყევი და მოეხმარეო, — მიბრძანა მაქსმა. ჩემმა გულმა ჩიტივით შეიფრთხილა.

— დანკე შიონ, — ყველას გადაუხადა მადლობა შარლოტამ და გავიდა. მეც უკან გავყევი. რამდენი სასიხარულო ამბავი დამატყდა თავს!.. გარდუვალი და-

მარცხების მოლოდინით სასოწარკვეთილი ნაცისტური არმიის ოფიცრები ვნახე, ჩემი უბის წიგნაკიც ისევ უბეში მედო და შარლოტასთანაც პირველად ვიყავი ასე უშიშრად.

ორივეს გვიკვირდა, ასე თამამად რომ მივდიოდით. რა მოკლე მანძილი გვექონდა გასავლელი!.. ჩვენი ბანაკიდან სამხედრო სკოლამდე ერთი მეოთხედი კილომეტრი თუ იქნებოდა. რა ჩქარა უნდა დამთავრებულიყო ჩემი ბედნიერება.

დაბალი ხმით მეღალაპარაკებოდა შარლოტა, საიდუმლოს კი ჩურჩულით მეუბნებოდა და პატარა გოგონას ემსგავსებოდა: მამჩამეს ძალიან უნდა თქვენი გაცნობა, ომი ჩქარა დამთავრდება, ჩვენთან ხშირად უნდა მოხვიდეთ, ჩვენ ბევრი რუსული წიგნი გვაქვსო.

სანამ ადგილზე მივიდოდით, ვერაფერი ვუთხარი მადლობის ვარდა. შევედით მის ოთახში, დავავლე ხელი საბეჭდ მანქანას და სანამ მეორე ოთახში გადავიტანდი, გერმანელი ჯარისკაცებიც მოვიდნენ მოსახმარებლად. მთელი ავეჯეულობა იყო გადასატანი. ჩქარა დავამთავრეთ საქმე, გამოვედი და ბანაკისაკენ გავემართე. მივიღიოდი და თან შარლოტაზე ვფიქრობდი.

სამხედრო სკოლის ტერიტორიაზე ხეტიალის უფლება არა მქონდა, გავბოდი და თან უკან-უკან ვიხედებოდი, — იმაზე ვფიქრობდი, გამოვიდოდნენ თუ არა ახალგაზრდა ჯარისკაცები, შარლოტასთან რომ დარჩნენ. რაღაც სულელური ფიქრები ამეკვიატა და არ მასვენებდა.

მაქსთან ჯერ კიდევ არ დამთავრებულიყო თათბირი. გიორგი ლალუაშვილი იღვა და უსმენდა მათს ლაპარაკს, მანიშნა, ხმა არ გაიღოო. გერმანია იღუპება, ბოლშევიკები მოვლენ და დიდინ-პატარიანად ამოგვბოცავენო, — გავგონა ლალუაშვილს. ჩვენი სამხარეულო კომენდანტ მაქსის ოთახთან ახლოს იყო. მეც მივიყუე და ყველაფერი გავიგონე.

გიორგი ქავთარაძე
ჯარისკაცის ჩანაწერები



თითქოს მე მელოდნენო, ჩქარა გამოვიდნენ, მე მათ ახალმოსულივით წინ შევეგებე. ბანაკის დათვალიერება მოისურვის. გულუბრყვილო მაქსმა ცალი თვალის ჩაკვრა რომ ვერ მოახერხა, ორივე თვალთ მანიშნა, დავწინაურებულეიყავი, რომ ბანაკში უწყესრიგობა არ ენახათ.

მაშინვე შევეარდი ბანაკში. გუშაგმა ჭიშკარი დაკეტა, მეც ეს მიხდოდა. გერმანელი ოფიცრები მაქსის ოთახის წინ იდგნენ და საუბრობდნენ, ბანაკში შესვლას არ ჩქარობდნენ. სანამ ისინი საუბარს დაამთავრებდნენ და გუშაგი ჭიშკარს გააღებდა, ჩვენი საცხოვრებელი ბინა მივაღაგ-მოვაღაგე.

ასკერ კალაბურას მაზარა გაეფინა და ზარმაცი ნაგაზივით სარკმელთან მხეზე წამოწოლილიყო. წამოვავდე ზეზე, ვაოცებული მიყურებდა, ნაძინარევი თვალეები გამობლეტოდა. როცა კომენდანტი მაქსი და გერმანელი ოფიცრები ბანაკში შემოვიდნენ, მაშინ მოვიდა გონზე. კალაბურა საქციელწამდარი დაბორილობდა. ამაზე უკეთეს შემთხვევას მე ვეღარ ვიშოვნიდი, კალაბურას მივაძახე: აქედან მოშორდი, თვალში ნუ მეჩხირები-მეთქი, რადგან მისგან ვერაგობა მაინც მოსალოდნელი იყო.

ფაშისტი ოფიცრები რომ ბანაკიდან გადიოდნენ, დაბნეული კალაბურა კიდევ შეგვეფეთა.

ოფიცრებმა იკითხეს: რატომ არის უსაქმოდ ეს ერთი ტყვეო. პასუხი მაქსს უნდა გაეცა, ენა დაება და მე მოვასწარი: ეს ერთი კაცი ავად არის-მეთქი. როგორც მოგეხსენებათ, სამი დღე ნებადართულია ავადმყოფი ტყვის ბანაკში გაჩერება-მეთქი. მაქსს გაეხარდა, უხერხულობიდან რომ გამოვიყვანე.

მეორე დღეს მთელი ბანაკი სამხედრო სკოლის ტერიტორიაზე გაგვიყვანეს, ახალგაზრდა ოფიცრების ბარგი-ბარხანას ვაწყობდით მანქანებზე, სადღაც მიდიოდნენ თუ გადადიოდნენ. მერე გამოირკვა, რომ ნაადრევად დაემთავრებინათ სამხედრო სკოლა, ფრონტზე მიდიოდნენ. გამოუცდელი ახალ-

გაზრდები ომის ამბებს გვეკითხებოდნენ. ვეუბნებოდით: აღარ მოგიხდებათ ომში ყოფნა, ომი ჩქარა დამთავრდებათქო. უხაროდათ, ჩვენც გვიხაროდა მათი ნაადრევი აბარება. მაინც დაღვრემილები იყვნენ, გულმოდგინედ ვეხმარებოდით და გვიხაროდა. ჩვენს სიხარულს შორეული ყრუ გუგუნიც აძლიერებდა.

ნაშუადღევს დიდი საპაერო თავდასხმა მოხდა, საგანგაშო ნიშანიც კი არ მიუტიათ ცის გუშაგებს. გერმანელები და ტყვეები ერთმანეთში ავირით და აღარ ვიცოდით, ვის საღ შეგვეფარებინა თავი.

იმ დღეს ჩვენმა მზარეულებმა საღილი ვეღარ მოგვიშადაც, საპაერო თავდასხმის დამთავრების შემდეგ შეუდგნენ საქმეს. მაქსის ბრძანებით სხვა ამხანაგებიც დაიხმარეს მზარეულებმა. მშინერი ტყვეები უმ კარტოფილს ახრამუნებდნენ და ჯიბეებშიაც ილაგებდნენ.

თანდათან იკრიბებოდნენ ბანაკში თავის გადასარჩენად მიმალული ტყვეები. ბანაკის ჭიშკარი ღია იყო, გერმანელი გუშაგები ჯერ არ დაბრუნებულეიყვნენ საგუშაგოებზე. მე სამხედრო სკოლის სამზარეულოსკენ გავუტეე. მშინოდა. ვიფიქრე: იქნებ რამე ვიშოვნო-მეთქი. მივირბინე ჩვენთვის განკუთვნილ კასრთან. ჩავიხედე, ცარიელი კასრი უფსკრულივით მომეჩვენა, შემდეგ ნავის ყუთებს დავეტრიალდი, მაგრამ პურის ნატეხიც ვერ ვიპოვე. თანდათან აფორდებოდა შიმშილი, აღარაფერი მიხდოდა, აღარაფერი მახსოვდა პურის გარდა, აღარც დასჯის მეშინოდა. გულშემოყრილი დავეჯექი, უიმედოდ გავცქეროდი ჩამწყრივებულ ნავის ყუთებს. ბანაკში დასაბრუნებლად წამოვდექი, ეზოში გავედი.

ბრიგინ-ბრიგინით ჩამოირბინა შარლოტამ კიბე, ეზოში გამოვარდა და პირდაპირ მე მომამურა, ქალღღმში შეხვეული პური და ძეხვი მომცა და ხმისამოუღებლად მიმატოვა. მაშინვე ვეცი და შეეკამე, სული მოვიტყვი და ბანაკში დავბრუნდი.

რედაქცია "ორი ზეპუაქი"

სათავადასავლო ორგანიზაცია

სივარულსა მალა უნდა...

სოციალური სანახავი იყო შორიდან სოფელი მიმისი.

წერილად ამართული მთა მასარა ამაყად დასცქეროდა მიდამოს. თუმცა კავკასიის მთავარ ქედს რაღაც ოთხი თუ ხუთი საათის სავალი გზა აშორებდა, მაგრამ ზამთარშიც მწვანედ იყო შემოსილი. დასაგლეითი სწრაფი და განიერი მდინარე ხანდრა ჩაუდიოდა. ამ მღვრიე, მოყვითალო წყლიდან ასეთივე ფერის ვიწრო ჯეჯი ისე ადიოდა და მთას გარს ისე უვლიდა, თითქოს მღვრიე მდინარის ტოტი მასარას კორტობისკენ მიცოცავსო. ეს ბილიკი იყო მთის საქორჩესკენ მიმავალი ერთადერთი გზა.

სწორედ ამ მთას ჩახუტებოდა სოფელი მიმისი, სოფელში თხუთმეტი კომლი თუ ცხოვრობდა. ტაფობზე ხალიჩასავით ეფინა დიკით დაფარული ორმოციოდე ქცევა მინდორი. დუბეს იქით ნეკერჩხლითა და ცაცხვით, კოპიტითა და მუხით დაბურული გორაკები ამაყად გადამდგარიყო ძირუნახვ უფსკრულზე. უფსკრულს იქით კიდევ მთა იყო, მიუვალი, მასარაზე უფრო მაღალი.

ამბობდნენ: მასარას ჭალას პირველად თემსმორიდებულნი, გაბახებულნი ქალი

მიმი შეეფარაო. პატივადილს ცოდვის მონანიება და ტანჯვაში სულის დაღევა განეზრახა, მაგრამ მის შემცდენელს სიყვარულმა თუ სიბრალულმა გაუთბო გული, ვაჟმაც მასარას მიაშურა და ქალს პატიება თხოვა თურმე. ჭაბუკი მასარას სიღიადეს დაუტყვევებია და ძირს ჩამოსვლა აღარ მოუსურვებია. ამ ქალმა და ვაჟმა მთის ტაფობზე ფაცხა დადგეს. სიცოცხლის მახარობელი ბოლი ავარდა ცაში. ფაცხას ფაცხა ამოუდგა გვერდით, მერე კიდევ ფაცხა და შთამომავლობამ მიმისი უწოდა სოფელს იმ ადამიანის მოსაგონებლად, რომელიც პირველი შეეფარა ამ მთის უბეს.

დრომ უფრო ღამაში და მიმზიდველი გახდა მიმისი. მისასვლელი ბილიკიც თანდათან გაგანიერდა და ბოლოს ხარებმა ურემი აიტანეს სოფელში.

ტაფობზე წყარო ამოჩუხჩუხებდა და ნაკადულად მიედინებოდა. წყაროსთან გაშლილი ქოლგასავით იდგა უზარმაზარი ცაცხვის ხე. ეს ხე მიმის დარგულიყო, ამბობდნენ. ახლაც მიმის ხეს ექახდნენ ამ ცაცხვს. დასაგლეითი, წყაროს ახლოს იდგა ძველი ჩაღურნი. ამბობდნენ, მიმი აქ დასახლდაო. ამ ქობი-

დან იწყებოდა დასახლება. ოღები, ჩა-
ლურები, ფაცხები გარს ეკვროდნენ წყა-
როსა და მიმის ხეს და ისეთ სანახაობას
ქმნიდნენ, თითქოს წყაროსა და ცაცხვის
სილიადით გარინდულანო.

მიმისელებს ბევრი მსხვილფეხა და
წვრილფეხა საქონელი დაუდიოდათ მა-
სარას ფერდობებზე. გაზაფხულზე მიმი-
სელი სიმინდს წელზე თოკობშული
სთესდა ციცაბოზე, ასევე თხნიდა, მაგ-
რამ მაინც მთელი წლის სარჩოს ჰყრიდა
ბედელში. აქვე, წყაროსთან სალი ქვი-
საგან ნაშენი პაწია ეკლესია იდგა. მის
გვერდით ფინიასავით ჩაცუცქულიყო პა-
ტარა საწვრილმანო. გათენებამდე ას-
წევდა მედუქნე ალაჩუხის წინაღარაბას
და ვინ იცის, რას არ ჩამოჰკიდებდა ზედ:
თუნუქის ტოლჩას თუ ძაბრს, უტარო
ბარს თუ ნაჯახს, თხს, წითელარშიან
სარკეს, შუშის მძივებს, ხელისა თუ
ყელის სამკაულებს. დუქანს საახალწლო
ნაძვის ხესავით მორთავდა. მედუქნე ერთი
თუ ორი საათი წაივაჭრებდა და ეგ იყო:
მუშტარიც კმაყოფილი იყო და მჭეწ-
რილმანაც გულნაჯერი.

ამრიგად, მიმისელს ჰქონდა ყველაფე-
რი, რასაც მისი თვალი და გული ისურ-
ვებდა. სოფელი ბარისკენ არც კი იხე-
დებოდა — მას არც ჰაერი მოსწონდა
იქაური, არც მიწა და არც წესი. მიმი-
სელს არასოდეს არ ჰყოლია თავადი, მე-
ბატონე. არც საკანონე გადასახადი იყო-
და და არც დრამის ფული. თუმცა სამ-
ლოცველო სოფლის საპატიო ადგილზე
იდგა, მაგრამ ამ სოფელში არც მღვდე-
ლი გამორჩენილა და არც ზარები აუწვრი-
ალებია ვინმეს სამრეკლოზე.

მიმისის თხუთმეტოდე კომლი ისე
ცხოვრობდა, როგორც ერთი, მტკიცედ
შეკრული ჯალაბობა. აქ ერთის ღხინი
ყველას ღხენა იყო, მწუხარება — ყვე-
ლას დარდი.

თუ ვინმეს ბარში გაუჭირდებოდა ან
ფათერაკს გადაეკიდებოდა, მიმისისკენ
ვარბოდა. აქ სულს მრწთქვამდა და ხელს
მოიმართავდა.

როცა საბურას ქალს ჯერ ხეელა აუ-
ტყდა, მერე თავის ტკივილი დაეწყო,
თავბრუ დაესხა და წამოჭარხლდა,

რაზმელებმა გუდაუთიდან ექიმი მოი-
ყვანეს. მკურნალმა თქვა, ფილტვებში
ხიხინი აქვს, ტყეში, თუნდაც კარავში მი-
სი გაჩერება არ შეიძლება, სადმე თბილ
ადგილას დააბინავეთო, დაიბარა, წამ-
ლები გამოუწერა და ისევე უჩუმრად
წავიდა, როგორც მოვიდა.

სწორედ მიმისი იგულა საიმედოდ და-
თა ბუკიამ და იმავე ღამეს წაიყვანეს მა-
რია იმ სოფელში.

ცუცა ანთია პატრონად გაჰყვა ავად-
მყოფს.

ორ კვირაზე მეტი იავადმყოფა კაზა-
კის ქალმა, მაგრამ ავადობამ მშვიდო-
ბით ჩაიარა. რაღაც სამ-ოთხ დღეში მა-
რია რაზმში უნდა დაბრუნებულიყო კი-
დეც, როცა ბუკიამ მიიღო პარტიის სა-
ოლქო კომიტეტის ბრძანება რაზმის
ადგილსამყოფელის გამოცვლის შესახებ.

...იმ დღეს მარიას ადრე გამოეღვიძა.
კარგ ხასიათზე იყო და მაშინვე აივანს
მიაშურა. კარს ფრთხილად წაეტანა, მე-
გობრის საწოლისკენ არც კი გაუხედავს,
ფანჯრის საგდულის გაღება არც უფიქ-
რია, ძილი არ დაგუფრთხოო, და ოთახი-
დან ლანდივით გაძვრა.

— მე კი მზეს ავასწარი, — კისკისით
შემოეგება ცუცა.

— და მე არ გამაღვიძე?!

— შენ ახლა დასვენება და ძილი
გჭირდება.

— ოჰ, ეს ნიავი! — აღტაცებულმა
ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა.

სოფელი იღვიძებდა. ცის ნამით და-
ფიფქულ, აღმასივით მზზინავ ბალახში
ჭივჭივი ტანს იბანდა, ნებფრობდა. ტყე
ხმაურობდა. კაკასიონის ქედიდან მთის
არწივმა გადმოიშურდულა, გარემო გაი-
ნაბა წუთით. ქორიცა და შევარდენიც
ტყეში ქვასავით ჩავარდნენ. სანამ ფრინ-
ველთ მეფე არ მიიმალა, თითქოს სიოც
არ შერჩეულა. მერე ტყეც ახმაურდა,
აქისინდა ნიავი, ფრთოსანი აჭიკტიკდა.

ცის კაბადონზე შევარდენიც გამოჩნდა.
ორღობიდან დაძრული ნახირი ფერ-
დობისკენ გაემართა, ლორთქო ბალახს
მიაშურა.

მარიამ თვალეში დახუჭა და ისე გა-
აქრკოლა, თითქოს ცივი წყალი გადაას-

ხესო. შებრუნდა და ოთახში შევიდა. ცუცაც შეჰყვა ფერმიხდილ ქალს, რა მოგივიდაო, ჰკითხა ტახტზე უღონოდ მოკეცილს.

— ამ ავადმყოფობამ ისე მომშალა, არ ვიცი, ღმერთს გეფიცები... — ჩაილაპარაკა და ქათქათა ბალიშზე მიდო თავი.

ცუცას მანც ეგონა, რომ კაზაკის ქალს ახლა ყველაზე მეტად სწყუროდა სულ ცოტა ხნით მანც დამტკბარიყო საყვარელ ადამიანთან ყოფნით, ცოტა ხნით მანც დაეწყებოდა მიტოვებული სამშობლო, დაღუპული მშობლები, შემადრწუნებელი ბრძოლები, სისხლი, ტყვეობა. ყველაფერმა ამან გახადა შფოთიერი საბურას ქალი. მერე? რა არის აქ გასაკვირი?

რა თქმა უნდა, არაფერი.

თუმცა ბედმა ეს კეთილი ქალი ცხოვრების თავდაღმართზე უმოწყალოდ დააგორა, მანც ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულა, ნამდვილად ბედნიერ ვარსკვლავზე, რომ დათა ბუკიამ, რჩეულთა შორის რჩეულმა ვეჟაკმა, ბედისაგან განწირულ კაზაკის ქალზე შეაჩერა მზერა და განუყრელ მეგობრად გაიხადა.

ცუცამ მძიმედ ამოიოხრა და იმავე ტახტზე, მეგობრის ფეხებთან მოიკეცა. მარიამ თვალი მილულა და პირი კედლისკენ მიზრუნა. ცუცამაც თავი მის მუხლებზე ჩამოდო და მოხერხებულად მოკალათდა.

პოდა, დათა ბუკია ცუცას ცოდვილ გულში მის დაუკითხავად სამუდამოდ ჩასახლდა და ფეხი საოცარი ძალით მოიკიდა. პო, ჩაიკირა, მაგრამ რა მოხდა? განა ანთიას ქალს არ შეუძლია თავის გულს უპატრონოს?! შეუძლია. ამ პაწაწინა გულს კი არა, კონიაშვილის თავზეხელაღებულ ყაჩაღს ისე გაუმჟღავდა, წარბიც არ შეუხრია. განა მისი ბრალია, ეს ბრგე ვეჟაკი ძილშიაც თუ თავს აგონებს?

მარია საბურა წმინდა გულით შეითვისა ცუცამ — სიყვარულის ღირსი რომ არ ყოფილიყო, განა დათა შეიყვარებდა?!

იქნებ მათს შეუღლებამი სიყვარულს სიბრალული სჭარბობდეს, იქნებ დათას

კეთილმა გულმა ღვთის ანაბარად დარჩენილი ადამიანი ჯერ შეიცოდა და მერე შეიყვარა კიდევ. ჰმ, ასეთი სიყვარული... თორიასადმი სიძულვილმა, მისი ჩაწიხვლის სურვილმაც თუ უბიძკა ტყედ გასულ ბუკიას. ეჰ, ვინ იცის, რა ამბებმა შეუწყვეს ხელი ამ წყვილის შეუღლებას?

დათას თუ მარია უყვარს, ცუცასაც უნდა უყვარდეს ეს კეთილი და თვალსაამო ქალი.

მართლაც არაფერია უცვლელი, თორემ ცუცა ახლა მიწას არ უნდა ამძიმებდეს. რატომ?! აბა, ეგ რა საკითხავია? განა შეეძლო ეფიქრა ანთიას ქალს, რომ ის თვალხილული ივლიდა მას შემდეგ, რაც მიწას მიაბარა ტყვეით განგმირული ტაგუ. თავისი პირველი სიყვარული, იმედი და სიხარული?! მას ხომ ტაგუ აყვარებდა ამ ქვეყანას, სიცოცხლეს...

ქალიშვილობაში შედგა ფეხი თუ არა, ეს ღამაში და ოქროპირი ჭაბუკი იპოვა ცუცამ. მერე მურყნარში პირველი კოცნა. მთვარიან ღამეს რუს ჩუხჩუხი და ათრთოლებულ ბაგეთა ჩურჩული, ერთგულების ფიცი, ფრთებშესხმულ ოცნებათა ქარავანი.

მარიამ მოხრილი მუხლები გაშალა და ანთიას ქალიც გამოერკვა, წამოდგა, მაგრამ თვალი არ გაუხელია, საამო მოსაგონარს ჩაბლაუჭებულმა, თვალდამრტილივით ჩაუარა მაგიდას და თავის ტახტზე წამოწვა.

ტაგუ მეორე დღესვე შეიცვალა. ისევ მოდიოდა დანიშნულ დროს პაემანზე, ისევ ტკბილი აღერსი, ისევ ერთგულების ფიცი, მაგრამ ვაჟის გული არ ხმაურობდა ძველებურად.

ერთმა კვირამ განვლო. ტაგუმ პაემანზე დაიგვიანა. მიზეზი არ უთქვამს. გულდამძიმებული ოხრავდა რატომღაც. მეორე დღესაც უნდა მოსულიყო, მაგრამ არ მოვიდა. ათი დღის შემდეგ მარიამობის დღესასწაულზე ტაგუმ ცუცას არც კი შეხედა, ზურგი ისე შეაქცია, თითქოს

ორდღე დგებუაქე ჩაძირული „თოლია“



არასოდეს არ ენახოს. ტაგუმ გაბედა და შეყვარებულს ზურგი შეაქცია...

ვინა თქვა, რომ დათა, ეს ბევრის მნახველი, გამოჯაგული ვაკაკი სამულამოდ მარიას კაბის კალთას მიეკრება და სიკვდილამდე ამ ქალის ერთგული დარჩება?! — ცუცა შეიშმუნა, ეს კი მეტი მომივიდაო, იფიქრა. ბალიში მოკეცა, თავი აიმაღლა, თვალი მილულა, მაგრამ კიდევ უარესი — ისეთი რამ წარმოუდგა, რასაც ის ჭირივით უფრთხობდა: ის მტლად დაედებოდა ბუციას, მის ჩრდილსაც კი თვალის ჩინივით გაუფრთხილდებოდა და მერე... ვინ იცის, იქნებ დათამ საბურას ქალს ცუცა...

ანთიას ქალს გააქრკოლა. თუნდ გაუძლოს ამ სირცხვილს ანთიას ქალმა, თუნდ შეუბღუე კამეჩის ტყავი აიფაროს, თვალენი დახუჭოს. ტაგუ!

...როცა გახელებული, ნაბადში გახვეული გოგონა ბედაურს ტყისაკენ მიაქროლებდა, ეს ღვთისაგან შთაგონებული ეგონა. ვინ იცის, რამდენი ჯაფა, რამდენი წვალემა დასჭირდათ ცუცას მშობლებს, რომ ქალიშვილისათვის პირი მოეზანათ, დაერწმუნებინათ სოფელი, რომ ტაგუმ მოსტაცა ანთიებს ქალი და არა ანთიას ქალმა გაიტაცა საქმროდ მიჩნეული ჭაბუკი.

მართლაც, გაუგონარი რამ ჩაიდინა მანამ ამ ქალმა. აბა, სხვა რა უნდა ექნა?! მთელი სიცოცხლე ეკვნესა? ტაგუს მშობლების ნებას შესწირვოდა?! მან ხომ კარგად იცოდა, რომ ტაგუს არ სძულდა იგი, სძულდა კი არა, უყვარდა, მაგრამ ჭაბუკს გამბედაობამ უღალატა და...

რა აწუხებდა ტაგუს მშობლებს? განა ცუცას ეშხი და სილამაზე აკლდა! ჯანი არ ერჩოდა? თვითონ იყო სახელგატყენილი თუ ოჯახი ჰქონდა შელანძღული? არა, ამ მხრივ ყველაფერი რიგზე იყო. ტაგუს მშობლებს ჩვეულებრივი ამბავი აწუხებდათ: ისინი ანთიებზე უფრო მეტად აღუბუნდნენ. უმზითვო პატარძალს სახლში არ შემოვიყვანათ, შემოთვალეს. ესეც რომ არ იყოს, ქალს თუ სახელი გაუტყდაო... და ვინ იცის, რა არ უთქვამთ მეზობლებში.

სახელის გატყევაზე, შერცხვენაზე-პარაკობდნენ თურმე, მაგრამ არც კი თხოულობდნენ, ვინ გაუტყება ცუცას სახელი, ვინ შერცხვინა ეს მოკრძალებული გოგონა...

ტახტზე სამად მოკეცილი ქალის ყურებში ქარი ახლაც წიოდა. თითქოს თქემი არც ახლა ახელინებდა თვალებს. თივთიკის ყაბალახი გასაწური იყო, ნაბადსაც სისველემ გაატანა ბეჭებთან, მაგრამ დაითხილი ბედაური თავისი ძიძიშვილის სახლისკენ მიაქანებდა ცუცას.

გულფიცხ ტარასის ელდა ეცა, როცა ღამე, საშინელ თავსხმაში, დედამისის გაზრდილი და ოჯახის საფიცარი ქალი გაჭურად ამხედრებული დაინახა. სხვასთან არც შეეძლო ცუცას მისვლა. ტარასი იყო მისი ნუგეში, მხოლოდ მას, ძმაზე ახლობელს შეეძლო გააღმასებული ქალის გულისწყრომის შესმენა. მას შეეძლო ცუცას პატრონობა, მისთვის თავის დადება.

— რა გაგვირდა?! — ჰკითხა შემფოთებულმა ტარასიმ, სანამ ცხენოსანს უნაგირიდან გადმოსვამდა.

— ჯერ შინ შევიდეთ, ძმაო, — ქალმა ნაბადი ძუძუმტეს მიუჯდო და ოდასახლის კიბე სწრაფად აირბინა.

ცხენს ზურგზე ბოლი ასდიოდა. მოსართავეებიც კი ტალახში იყო ამოსვრილი. ტარასიმ ბედაურს ნაბადი გადააფარა და ფარდულისაკენ წაიყვანა.

ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა. სამზადში ქალები ფუსფუსებდნენ. დეკეული ბოძთან თოკს ეჭიდებოდა. ოჯახის თვალისჩინის გამოჩენამ მოსუცი მორღუსე კი წამოაყენა. შუაცეცხლზე გობივით კეცი შეადგეს, საქათმე ახმაურდა. მაგრამ ტარასიმ დეკეული აუშვა, ქათმებსაც თავი დაანებებ, მოსალხენი დრო არ არისო, უთხრა დიასახლისს და წინა ოთახის კარი მიიხურა. ცუცა ბუხართან მესტებსა და წინდებს ამრობდა, ძიძიშვილს ცრემლიან თვალებს არიდებდა...

ძიძიშვილმა ისე მოუსმინა დობილს მისი გაჭირვების ამბავი, რომ წარბიც არ შეუხრია. არაფერი უკითხავს: არც ის, თუ რად მოაშურა მის სახლს ამ წყევარამ-

სა და თავსხმაში; იციან, თუ არა მისი ამბავი შინაურებმა...

ოთახში ერთ ხანს სიჩუმე იდგა.

ტარასი ხმას არ იღებდა, გაჭვავებულ-ღვივით იჯდა და დობილს ისეთი თვალეზით შესცქეროდა, თითქოს ეკითხებოდა: ან თავი რად არ შეიცოდე, ან ჩვენ რად არ შეგვიბრალო, მერე წამოდგა, ცუცას ნიკაპზე ხელი სათუთად მოჰკიდა, თავი აუწია, აკოცა, დაწყნარდი, ყველაფერი კარგად იქნება, ღმერთთა მოწყალეო, უთხრა და მეორე ოთახში გავიდა.

მალე შემოვიდა იარაღსხმული. ჩოხა ჩაიყვია, მხარზე გრძელბეწვიანი ნაბადი მოეჯდო, თავი ყაბალახით წაეკრა. ჩაიცვი, გვაგვიანდებო, უთხრა ქალს და გრძელბეწვიანი „სმიტ-ვისონი“ იქვე ტახტზე დაუჯდო. რევოლვერი არ დაგრჩეს, იჩქარე, ფარდულში გიციდო, უთხრა და ოთახიდან გავიდა.

თითქოს შებნა იგრძნო ცუცამ. ახლა გაახსენდა, მისი წამოსვლის ამბავი რომ არაფერ იყო. ახლა მიხვდა, თუ როგორ დაიზაფრებოდა დედა, საყვარელ ქალიშვილს ლოგინში რომ ვერ იპოვნიდა.

ძმა? რას ეტყოდა ის, როცა ერთადერთი, საყვარელი და უზოუკვლოდ გაქრებოდა? გახელდებოდა გულადი შაბუკი.

ცუცას ბიძაშვილებიც სანდონი იყვნენ, მაგრამ ახლა რატომღაც ყველაზე საიმედოდ ტარასი მიიჩინა...

ძიძიშვილს მალე ცუცაც გაჰყვა, მაგრამ სად მიჰყავდა ის ტარასის, არ იცოდა. არც ის იცოდა, რას ფიქრობდა ვაჟკაცი, რა ჰქონდა გულში. არ იცოდა და არც აპირებდა კითხვას, სანამ თვითონ არ იტყოდა სათქმელს. უხმოდ ამხედრდნენ. იქნებ ერთი-ორი დღე დამაგვიანდესო, დაუბარა ტარასიმ მეუღლეს და ცხენს ქუსლი ჰკრა.

ერთ ხანს მდუმარედ იარეს. ახლა წვიმა თქეშად არ მოდიოდა, ცრიდა. ცუცას თბილად ეცვია. ნაბადი კარგად შემოეხვია, ყაბალახშიც ვერ ატანდა წვიმა, მაგრამ რატომღაც მაინც კანკალებდა. რა ღმერთი გამიწყნარო, ეკითხებოდა თავის თავს. უფრო მაგრად ეხვეოდა

ნაბადში, მაგრამ სიცივე ძვალ-რბილში ატანდა. ბოლოს მიხვდა, რომ არც წვიმა აცივებდა და არც ნიავეპარი. თურმე ტარასის შეუცნობელი განზრახვა სულს უხუთავდა, გულს უმძიმებდა და მოკუნტულ სხეულს ვერც თევთიკის ყაბალახი შეელოდა და ვერც ბუხარით თბილი ნაბადი.

წინ მიმავალმა ძიძიშვილმა თემშარიდან ნაცნობ შუკაში შეუხვია და პირი ცუცას სოფლისაკენ იბრუნა.

ახლა უკვე ვეღარ ითმინდა ანთიას ქალი. ეპ, რა უცნაური, რა შეუცნობელი ყოფილა ადამიანის გული! წინანდელი გრძნობით ხომ არ უყვარს ცუცას შეურაცხყოფელი? თუ არ უყვარს, რაღა აღელვებს, რაღა აკანკალებს? საითაც უნდა, იქით იაროს ტარასიმ. იქნებ ტაგუსსაკენ მიუწივდეს გული, იქნებ სამაგიერო უნდა მიუზღოს. პო, იყოს ასე. მერე რა? ღირსი არ არის?!

კარგა ხანს იარეს. გალურსული ტყეც უჩუმრად უთვალთვალებდა ცხენოსნებს. ტარასიმ ბედაური მდინარეში შეაგდო. წყალმა უნაგირამდე უწია და მხედარმაც სადავე მოზიდა. ხარბად დაეწაფნენ ცხენები წყალს.

— სად მივდივართ, ტარასი? — ჰკითხა ქალმა თანამგზავრს გაბზარული ხმით.

— ტაგუსთან. — იყო პასუხი ისეთი ცივი, როგორც სადავეს მიყინული ქალის თითები.

— რატომ? რად გინდა ის წყეული?!

— ქვეყანამ უნდა გაიგოს, რომ ის ქალაჩუნაა, რომ ის უსინდისო ბოზოლა მამის ყურმოჭრილი მონაა.

— არ ვიცი რას ამბობ, ძმაო!

— შენ უნდა მოიტაცო ის, უნდა მოიტაცო ისე, როგორც თავგამეტებული ვაჟკაცი უმწეო გოგუცუნას. ქვეყანამ უნდა გაიგოს, რომ ის გულნამცეცია, ლაჩარი და მერე თუ ინდომებ, შენი ნებაა, თუ არა და სადმე მივასიკვდილებ და ეკ იქნება.

ორდღე დგებოდა ჩაძირული „თოლია“

— რას ამბობ, ტარასი! — წამოიძახა ქალმა, ძიძიშვილმა არაფერი უპასუხა და ცხენი დაძრა. ცუცას ზედაურმაც აიღვა ფეხი.

ახლა უკვე იცოდა ქალმა, თუ რას აპირებდა მისი ძუძუმტე. წუწუნის უნაყოფო იყო. გული უნდა გაემგებინა.

საოცარია! გულიც მიეყრდა თანდათან. ხელები გათბა. ფეხის თითებიც თავისუფლად ამოძრავდნენ უძიროებში. თვალეში სინათლე ჩაუდგა ქალს. ყაბალახის დახვეული ტოტები აიწია, შუბლი გამოაჩინა. ცუცას ერთი რამ არ სჯეროდა. არა, ტაგუ ლაჩარი არ იყო... მისიკედლივება! უმალ ცუცა მიუშვერდა მკერდს ძიძიშვილის ტყვიას.

ტარასის ზედაურმა მკერდით შეალო დიდი ეზოს ქიშკარი. ნაგაზი აივნიდან გაღმობტა, მაგრამ იცნო კარის მეზობელი.

ტარასიმ კიბე აირბინა, ჩქარა მომყევით, ანიშნა ცუცას და ოთახში შესასვლელ კარს წიხლი ჰკრა. მკლავივით მსხვილი ურდული კიწაწივით გადატყდა. ცუცას ხელი ლამპისკენ გაექცა, პატრუქი ამოსწია.

ადექი, ჩაიცვიო, ჩაესმა საწოლზე ჩამოხდარ, გაფითრებულ ტაგუს და ყველაფერს მიხვდა, ყველაფერში გაერკვა. მის წინ რევოლვერით ხელში იდგა ქალი, ვისი დავიწყებაც ეწადა, მაგრამ ამბოდ.

არა, ყველაფერი ეს სიზმარია! ცუცა... რევოლვერი! შეუძლებელია!

ტარასი მეორე ოთახში გავიდა.

ადექით, რაღას უყურებთო, ახლა ტაგუს დაბნეულ მშობლებს შეუტია ცუცას ძიძიშვილმა და მერე ხმადაბლა დასძინა — თუ შვილის სიცოცხლე გინდათ, ჩუმიდ იყავითო.

ახლა კი ტაგუ დარწმუნდა, რომ ეს სიზმარი არ იყო და წამოდგა, ტანსაცმელს სწვდა.

თავლაში ტარასი შეჰყვა მორჩილად თავდახრილ ჭაბუკს. ცხენი შეკაზმეს.

როცა ეზოდან სამი ცხენოსანი გავიდა, ტაგუს დედ-მამამ პირჯვარი გადაიწერა. თვალი სად გავახილო, ვის ვუთხ-

რა, ქალმა ვაჟი მომტაცათ, — შვილს ცრემლიანი თვალი გააყოლა მამამ.

შუკიდან ტყეში შეუხვიეს, მუხნარს შეეფარნენ. ალიონამდე უხმოდ იარეს. ტარასიმ ზედაური წყაროსთან შეაყენა. ტაგუს ზედაურიც შედგა. ცუცამაც მოსწია სადავე ცხენს. ყაბალახჩამოშლილს თვალი არ გაუმართავს. სწუხდა, გულს ათასი აზრი უჩხვლევტდა. ცუცამ თავი მაშინ ასწია, როცა: თუ მართალი ხარ, ხმა ამოიღე, ელაპარაკეო, უთხრა ტაგუს ძუძუმტემ. ტყეში შემოპარული გარიჟრაჟი სევდით მონისლულსა ჰგავდა. წვიმას გადაედო. ხის ფოთლებიდან ჩამონაჭონი წყლის წვეთები ზალახს ელამუნებოდა. სიო ტოტებს აშრიალებდა, ყრულ გუგუნებდა ტყვრი.

ცუცა წელში გაიმართა, ღრმად ჩაისუნთქა და ტაგუს თვალი თვალში გაუყარა.

— გიყვარდი თუ მატყუებდი, ტაგუ, მართალი თქვი და თუ არა... კარგი... ღმერთმა ხელი მოგიმართოს...

— მიყვარდი, — იყო პასუხი მტკიცე, მაგრამ მორიდებულნი.

— თუ გიყვარდი, რად შემატყვი ზურგი, რად გამექცი?

— მშობლებს ვუფრთხილდებოდი, თავს მოვიკლავო, ამბობდა დედაჩემი.

ტარასიმ გესლიანად გაიღიმა, ახლა თუ გიყვარსო, ჰკითხა გულმშვიდად. ახლაც მიყვარსო, უპასუხა ტაგუმ და თვალეები დამნაშავესავით გაუმართა ტარასის...

— თუ ასეა, შენი დედ-მამის წამალი მე მკითხე, — ჩაილაპარაკა ძიძიშვილმა და ცხენი შეაბრუნა.

წინ მიმავალს გაჰყვა ქალ-ვაჟი. ტაგუს წაბლამ დარიგებულებით აუჩქარა ნაბიჯს, ქალის ზედაურს გაუსწორდა. ერთ ხანს ხელიხელჩაკიდებული წყვილივით იარეს ცხენებმა. ტაგუ მორიდებულად გადაიხარა და საცოლეს ცალ მხარზე ჩამოცურებული ნაბადი აუწია, არ შეგვიცვდესო, უთხრა მზრუნველი კილოთი.

ტყე მოიღიეს. თემშარას დაადგნენ. გათენებულზე ტარასი წითელი კრამიტით გადახურულ ოდა-სახლის ქიშკარს

მიადგა. ეზოში არავინ ჩანდა. არც სამ-
ზადის სახურავიდან ამოდით კვამლი.
სანამ ტარასი ჭიშკარს შეაღებდა, ერთი
ტანმორჩილი დედაკაცი გამოჩნდა ეზო-
ში. ქალმა საქათმის კარი გააღო, უთვა-
ლავე დედალ-მამალი, ვარიები და ყვინ-
ჩილები გამოცვივდნენ ეზოში.

დედაკაცმა სიძინდით სავსე კალთა
დანიბრტყა და ტარასიმაც ხმა მიაწვდი-
ნა. ტანმორჩილმა დედაკაცმა ჭიშკარს
მიაშურა. ტარასიმ მოძღვარი მოიკითხა.
ჯერ არ ამდგარაო, უთხრა დამხვდურმა.
სულიერმა მამამ მომაკვდავი ცოლი უნ-
და მიზიაროსო, უთხრა ცხენოსანმა და
ცხენი ეზოში შეავლო.

მღვდელმა არ დააყოვნა, სასწრაფოდ
შეკაზმა ცხენი და ეკლესიას მიაშურა,
ზიარება უნდა წამოედო. ხუცესი გაც-
და, როცა ტარასიმ ქალ-ვაჯი სამლოცვე-
ლოში შეიყოლია და ამ ახალგაზრდებს
ჯვარი უნდა დასწეროო, უთხრა. შეშინ-
ებულ მღვდელს არაფერი უკითხავს.
არც წესი გახსენებია და არც კანონი.
მალე ჯვარდაწერილი ქალ-ვაჯი ეკლესი-
იდან გავიდა და ამხედრდა, ტარასი კი
მოძღვარს არ მოშორებია, სანამ საეკლე-
სიო წიგნში შეუღლებულთა სახელი და
გვარი არ ჩააწერინა. მერე ცნობაც აი-
ღო. ქალაღზე ეკლესიის გუმბათიანი
ბეჭედი საგულდაგულოდ იყო გამოყვა-
ნილი. ძიძიშვილმა მღვდელს მადლობა
უთხრა და გამოსამშვიდობებლად გამო-
წვდილ ხელში ოქროს ხუთმანეთიანი
ჩაუღო.

ტარასიმ ნეფე-პატარძალი სამი დღე
და ღამე ამყოფა უსიერში, მეგობარ მე-
ტყევის ქოხში.

ტავუს მამა თავის კანში არ ეტყოდა:
ვაითუ ხალხმა გაიგოს, შვილი რომ ქალ-
მა მომტაცა და ქვეყნის სასაცილო გავ-
ხდეთ, ფიქრობდა და ქვეყნის გასაგონად
ყვიროდა, ტავუმ ანთიას ქალი მოიტაცა,
შემარცხვინა, აბუჩად ამიგდოო.

არც ტარასის უთქვამს, რა მოხდა. არც
პატარძალი იტყოდა, საქმრო მოვიტა-
ციო, და ყველაფერი მოგვარდა.

ტავუმ ცოლი წმინდა გულით შეიყვა-
რა. ვაჟის მშობლებმაც შეითვისეს თვალ-
ტანადი, კეთილი რძალი. მერე ტავუმ

თავისი ბედი ბოლშევიკებს დაუკავშირა
სოფლიდან სოფლად სიარული. აგი-
ტაცია. პროკლამაციები.

და ბოლოს... ტკბილი მოგონება და-
ბინდულ ნისლში ჩაიძირა. სიზმარში წა-
სულ ქალს თავზე მაჯლაჯუნა დაადგა.

საცოდევად ამორგდა ცუცა. სცადა
სიზმარს გაქცეოდა, მაგრამ თითქოს ქუ-
თოთოებზე ლოდა ჩამოკიდესო, ვერა და
ვერა, თვალი ვერ გაახილა. იქნებ დავი-
ყვიროო, იფიქრა, მაგრამ მაჯლაჯუნამ
სუნთქვა შეუკრა.

ბედს შეურიგდა ანთიას ქალი: აბა, ამ
დევით უქმურს ვინ გაუძღვებსო, იფიქ-
რა და სიცოცხლეზე ხელი ჩაიქნია, სი-
კვდილს დანებდა. მაგრამ დახე! საბუ-
რას ქალი გამოჩნდა. მარიას ხელში დაშ-
ნა ეჭირა. მოიქნია მახვილი და უჯმა-
ჯური სიბნელეში გაუჩინარდა. კაზაკის
ქალმა ხელი მოხვია მეგობარს, გულში
ჩაიკრა.

...ცუცამ თვალი გაახილა. სასთუმალ-
თან მარია ეჯდა. დაოფლილ შუბლს
ცხვირსახოციტ წმენდდა. სული მოითქ-
ვა ანთიას ქალმა, წამოდგა. მეგობარმა
ჭიქით წყალი მიაწოდა, მაგრამ არ და-
ლია. არაფერი მიჭირსო, ჩაილაპარაკა
და ფანჯარას მიაშურა. მზე თოხის ტარ-
ზე იღვა. ცა ისევ ფირფიტისფრად გამოი-
ყურებოდა. ყორეს გადაღმა საქანელა-
სავით ირწეოდა ქრისტესისხლა.

მარიამ ცუცას მკლავზე ხელი მოჰკი-
და, მაგიდასთან მიიყვანა, დაჯექიო,
უთხრა ტკბილი ხმით და ხონჩას ქათ-
ქათა ხელსახოცი გადახადა. რა ხანია
საუზმე შემოიტანეს, მაგრამ არ გავა-
ღვიძეო, უთხრა კაზაკის ქალმა ცუცას.

მაგიდას მიუსხდნენ. არც მარია იყო
გუნებაზე რატომღაც. მეორე ოთახში ვი-
ლცამ ჩონგურის სიმებზე თითები ჩა-
პოჰკრა. აღუღუნდა საკრავი. მოღუშული
შუბლი გაეხსნა ანთიას ქალს. მარიას
ოდნავ შესამჩნევმა ღიმილმა გადაურბი-
ნა ბაგეზე, თავი ასწია, ცუცას შეხედა:
მეგობარს სახეზე ნისლი გადაწმენდოდა
და მონატრებული თვალებით იმ კედლი-

ორღე დგებუაძე
ჩაძირული „თოლია“



საკენ იმზირებოდა, საიდანაც საკრავის საამო ხმა გამოდიოდა.

მასპინძლის ქალიშვილი უკრავდა ჩონგურზე. მალე გოგონას წყრიალა ხმაც გაისმა და ქალები გაისუსნენ.

...სისხლი ჩოხას შეახოცა,
ფაფარაყრილ ლომსა ჰგავდა,
თოფი ხეში გადატყორცნა,
როცა ტყვია გაუთავდა.

ლოდს ეძგერა იქვე მდგარად,
გულფიცხი და მუხლმბაგარი,
დალაზერული კლდეზე შედგა,
აიშოლტა, ვით ჭადარი.

მოიქნია ლოდი ისე,
კლდეს გაუჩნდა დიდი ბზარი,
მტერი ფერდობს დაასრისა,
დააყენა სისხლის ღვარი.

ანთიას ქალს სახე გაბადროდა. ამ გოგონას სიმღერა არა ერთხელ სმენია, მაგრამ ასეთი სიხარული ჯერ არ განუცდია, ასე არ აღტაცებულა. ამ ლექსმა ყველაფერი დაავიწყა, ყველაფერი, გარდა... და მართლაც, ვინ უნდა ყოფილიყო ასეთი რაინდი? ვის შესახებ შეიძლება ითქვას: „ფაფარაყრილ ლომსა ჰგავდა“, „გულფიცხი და მუხლმბაგარი“?

თუ სულს მიჰყიდი ვიღაცას, სხვას რას იყიდი უკეთისს?!

სანაპიროზე ერთი პატარა სასაუზმე ეგულეებოდა ბექვეს. სოხუმში გათენებამდე ჩასულმა სწორედ ამ სასაუზმეს მიაკითხა. „ხელმარდს“ ესიამოვნა, როცა ამ პატარა ნაგებობის ფანჯრიდან კარგად დაინახა სახლი, სადაც დათას სიტყვით, ღუდას ბიძა ცხოვრობდა.

„ხელმარდს“ წვერულვანში ჭადარა ჰქონდა. დათოვლილი გრძელი თმა ყურებამდე ჩამოშლოდა. შალის ძველ ხალათზე ძველი ჩოხა გადაეცვა, წელზე თასმა შემოეკრა. თავზე გახუნებული სვანური ქუდი ეხურა, ფეხზე შინნაქსოვი უხეში წინდები და გაცვეთილი ქალამნები ეცვა.

თავს არხეინად გრძნობდა ბექვე, ბევრმა ნაცნობმა ჩაუარა ახლოს, ღუქანშიც შემოიხედეს, მაგრამ „ხელმარდს“ პარი-

ბუკიას, დათა, ის არის, ის... ახლა ამ საზღაპრო ვაჟკაცთან მხოლოდ თხელი კედელი აშორებს ცუცას. ეს გულისწამლები მეზღვური ჭადარივით აშოლტილა და უზარმაზარი ლოდით მტრის გასრესას ლამობს. მკერდიდან სისხლი გადმოსდის და თან ილიმება, ცუცას უღიმის... რატომ ცუცას, როცა აქვე, გვერდით, ზის მისი სიყვარული, კანონიერი ცოლი.

ჩონგური ისევ ისე ხმიანობდა, მღეროდა გოგონა, მაგრამ ეს გულში ჩამწვდომი ხმა, საკრავის კეთილხმიანობა ასპიტის სისინად გადაექცა ცუცას. ზეზე წამოიჭრა, აივანზე ხელნაკრავივით გავარდა. შეერთა მარია, მეგობარს გამოუდგა. ანთიას ქალი ბოძს მიკვროდა. კაზაკის ქალმა ხელები მოხვია, შემოაბრუნა. ცუცას თვალეში ცრემლები უბრწყინავდა.

— რა იყო, რა მოგივიდა?! — ჰკითხა შემოთვებულმა მარიამ.

— არაფერი, დაო, უბედური ტაგუ მომაგონდა, ეს სიმღერა ძალზე უყვარდა, — უპასუხა და მეგობარი გულში ჩაიკრა, აქვითინდა.

კი და გლეხური სამოსი საიმედოდ იცავდა.

დილის ათი საათი იყო, როცა ფანჯარასთან მდგარ პატარა მაგიდას მიუჯდა და დახლიდარს მოხარშული თართი, მჭადი, მჟავე კიტრი და ერთი ბოთლი „გულდაუთური“ შეუკვეთა.

იმ სახლს, რომელსაც ბექვე უთვალთვალეებდა, ალაყაფის კარს ზემოთ რვიანი ეწერა. ეზოში კრამიტით გადახურული აგურის ორსართულიანი კოხტა სახლი იდგა. ქვის მაღალი გალავანი და რკინის ლამაზად დახლაკნილი ჭიშკარი კვიპაროსებითა და ქადრის ხეებით იყო დანრდილული.

— ვისია ის მშვენიერი სახლ-კარი? — ჰკითხა მიმტანს ბექვემ, როცა მაგიდაზე

მჭავე კიტრი, მჭადი და ღვინის ჭიქები დაუღეს.

— კაპიტან ჩიჩუასია, ჩემო ბატონო, — უპასუხა მიმტანმა და ბექვეს ეშმაკურად შეხედა. — რაო, მოგეწონა? ყიდვას ხომ არ აპირებ? — ნახევრად შებრუნებულმა მუშტარს ახედ-დახედა და აწკეპილ უღვაშებში დამცინავად ჩაიღიმა.

ბექვე მჭავე კიტრს წაეიტანა. თითქოს ვერ შენიშნა მიმტანის ავღებული კილო და გამოხედდა, თავმოსაწყყლებულად ჩაილაპარაკა:

— ვიყიდო?!.. რაო მარტონ, შესვლას გავბედავ?!
 ვილაცამ გაიციან, მიმტანი იხმო, დანახარჯი მიიღეო, უთხრა.

ბექვეს თართი და ღვინოც მოუტანეს. დაღერემილი „ხელმარდი“ უსიტყვოდ იჯდა და ლუქმას უგებურად ღეშავდა. მალ-მალე ფანჯარაში იცქირებოდა, ჩიჩუას სახლისკენ აპარებდა თვალს.

სასმელს საერთოდ არ ემდუროდა ბექვე, განსაკუთრებით უყვარდა სურნელოვანი „გულდაუთური“, მაგრამ დღეს რატომღაც ეს ფაქიზად დაწურული ღვინო არ იზიდავდა. თითქოს ვერც გემო შეიგრძნო მისი.

თუ ღუდა მომსველელი იყო, აქამდეც უნდა გამოჩენილიყო. ნუთუ დათა მოატყუა, სხვაგან წავიდა, სხვაგან... იქნებ თორია... მაგრამ არა, როგორ იქნება! ღმერთმა ნუ ქნას.

ჰო, ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ სანამდე უნდა იჯდეს ბექვე ამ ჭერდაბალ და ბოლით საფეხ სასაუზმეში.

კიდევ ერთი ბოთლი ღვინო მოუტანეს.

— თუ მარლი გაწყდა, ზღვის წყალში მინც მოგეხარშათ ეგ თევზი, — უსაყვედურა დახლიდარს ვილაცამ.

— მარლის ვემო კიდევ არ დაგვიწყნია? — ჰკითხა დაციწვით დახლიდარმა უკმაყოფილო მუშტარს და ბექვეს გადახედა, შენც ხომ არ მოგინდა მარილიანი კერძო, შეეკითხა უსიტყვოდ და თვალი ჩაუკრა. უმარლოს პირში არაფერს იღებდა „ხელმარდი“, მაგრამ

აქამდე არც კი უგრძენია, თართში რომ მარლის ნატამალიც არ იყო.

ისევ ჩიჩუას სახლს გახედა ბექვემ. გული აუფართხალდა.

ცხენიდან მარდად გადმოხტა ღუდა. სადავე ჭადრის ტოტზე შეაგდო და ეზოს ჭიშკარი თამამად შეაღო.

თვალეები აუციმციმიდა „ხელმარდს“, გაფაციცდა: გასახარია, ეს ლამაზი, დარღმანდი, გაბედული ყმაწვილკაცი რომ მოღალატე არ ყოფილა. აბა, როგორ შეიძლებოდა, ასეთი თვალმოსაკიდი ჭაბუკი, რომლის ძმაც სატყევესო საქმისათვის ციხეში იტანჯება, ძმისა და ქვეყნის მოღალატე ყოფილიყო.

არა, ასე როგორ უნდა გაფუჭდეს კაცი. დათა მეტისმეტი ეშვიანი გახდა ამ ბოლო დროს. რატომღაც ახლა არავის ენლობა. სიუხიზლე კარგია, მაგრამ ვინც რაზმში მოვა, ვინც იტყვის, თქვენთან ერთად ამ უხერხემლო მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლეთო, ყველას შესწავლა, მათი გამოცდა, ეპეე, სად წავგიყვანდა? ანდა ვინ იქნებოდა ისეთი თავმოძულეებული, გაბედოს ღალატი, როცა დღეს თუ ხვალ ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკები უნდა ჩადგნენ. არა, ასეთი ღვაგამყრილი კაცი აღარც იქნება ქვეყანაზე.

დათასაც კარგად ესმის, რომ ეს ასეა, მაგრამ ეშმაკს არა სძინავსო, გაიძახის და რაც უფრო ახლოვდება გამარჯვების დღე, მით უფრო ფრთხილი და მიუხდობელი ხდება.

ბექვეს გაგვირგება აღებეჭდა ანაზღად. თვალდაუხამხამებლად მიაშტერდა ფანჯარას. ჩიჩუას სახლის ჭიშკართან ეტლი შეჩერდა. ეტლიდან ჯერ ვილაც ჩოხიანი ტანმალალი კაცი გადმოვიდა. ამ კაცს ხმალი და დამბაჩა ეკიდა. გალიმეზულს ნაცრისფერი გალიბანდი ეხურა და მსხვილად დაგრესილ შავ უღვაშზე ხელს კმაყოფილებით ისვამდა.

„ხელმარდი“ მაშინ გაოცდა, როცა ჩოხიანის თანმხლები ეტლზე წამოიმართა და ცალი ფეხი გადმოსასველელად

ორღე დგებუაძე
 ჩაძირული „თოლია“

ჩამოდგა. ამ კაცს ფართო ფარფლებიანი მიხაკისფერი ქუდი ეხურა, ინგლისური ყაიდის გიმნასტურა ეცვა.

ეს კაცი სადღაც უნახავს ბექვეს. იცნობს, ნამდვილად იცნობს.

დააკვირდა. ეს ხომ გიორგია, გიორგი თორია?!

მეორე? მეორე ალბათ ღუდას ბიძაა, ჩიჩუა... ჰო, ჩიჩუაა, მორჩა, გათავდა, ისინი ღუდა ჩიქას უნდა შეხვდნენ. დიახ, ღუდას... რამდენ ვერცხლად უნდა გაგვიდოს ნეტავ იუღამ? ეშმაკისთვის სული მიუყიდაა უბედურს.

აი, თვალმოსაკიდი, გაბედული, კობტა, თავმომწონე ჭაბუკი. რბორ მოსწონდა ეს ეშხით სავსე ყმაწვილკაცი, როგორ გაეხარდა, დროზე რომ გამოჩნდა აქ. ის კი თურმე... ბექვემ თავი მაგიდაზე დადო. ერთ ხანს თავი არ აუწევია, მერე ღვინით სავსე ჭიქას სწვდა, გადაჰკრა, იქვე ახლო მდგარ მიმტანს მიუბრუნდა: ალბათ, ამ მშვენიერი სახლკარის პატრონი ის არისო, ჰკითხა და ჭიშკარში შესულ მაღალ კაცზე მიუთითა. მიმტანმა ფანჯარაში გაიხედა და შუბლი ისე შეიკრა, თითქოს რაღაც ეწყინათ. მერე უკეთურად გაიღიმა: დიახ, ჩოხიანი ის არის, ჩიჩუაა, მაგრამ ამ დამთხვეულს რა უნდა მასთანო, ტუჩზე იკბინა. კი, ნამდვილად ის არის, თორიაა, არ შეემცდარვართ, გაიფიქრა „ხელმარდმა“, ვინ დამთხვეულიო, იკითხა ისე, სხვათა შორის.

— ვინ და ის მეორე კაცი, ინგლისელს რომ ჰკავს, საგანგებო რაზმის უფროსია, თორიაა, თუ გაგიგონია. იმ რჯულძაღლის მათრახი ზურგზე დღესაც მარჩია.

ბექვეს მეტი არაფერი უნდოდა.

რაც შეიძლება ჩქარა უნდა გაჩენილიყო დათასთან. დღესვე უნდა სცოდნოდა მეთაურს, რომ ღუდა მოღალატეა. ბექვემ საჩქაროდ გადაიხადა დანახარჯი და ღუქნიდან ხელნაკრავივით გაგარდა.

სანამ სიბნელე არ ჩამოწვა, ჯოკია ქეცბას მიმისიდან გამზავრება არც კი უფიქრია.

წინაღმით სოფელში შემოდგომის სიცივე ჩამოწვა, მაგრამ გათენდა და თოხის ტარზე აწეულმა მზემ ნისლი შემოიდნო, მალე ისე დათბა, როგორც ახალგამოდარებულ დღეს იცის აპრილის თვეში.

საღამოს ცა ვარსკვლავებით მოიჭედა.

ჯოკია შებინდებულზე გაუდგა გზას. თოკივით დაკიდულ ბილიკზე ექვსი ცხენოსანი გაბაწრული მიჰყვებოდა ერთმანეთს: ჯოკიას საბურას ქალი მისდევდა, საბურას — ცუცა, ხოლო ცუცას — ჯერ ერთი და მერე მეორე რაზმელი. სულ ბოლოს — სოფლის ახალგაზრდა ასისთავი მოაგელვებდა ბედაურს. ასისთავს ერთადერთი ფონი უნდა ეჩვენებინა მგზავრებისათვის.

სანამ ბილიკი არ მოლივის, ხმა არავის ამოუღია.

გაივაცეს. ჯოკიამ მარჯვნივ ჩაუხვია. ერთ ხანა ჭალაზე იარეს. მალე ასისთავი მოექცა თავში. ძლივს აკავებდა თავადერილ ბედაურს. მერე ცხენი შეაყენა, ეს არის ფონიო, გადაულაპარაკა უკან მომავალ ქეცბას.

ჩამორჩენილ ქალებს დაელოდნენ.

— კეხს ხელი ჩასჭიდე. არ გადმოვარდე! შენი ცხენი მე უნდა ვატარო. — უთხრა ჯოკიამ კახაკის ქალს და წაბლას ლაგამს ხელი ჩაავლო.

ნაბღები აიტოტეს. ჯერ ასისთავის ბედაური შევიდა წყალში, მხედარმა სადავე მოზიდა. ერთ ხანს გულდასმით ათვალეირებდა სწრაფ მდინარეს, მერე ორიოდ ნაბიჯით მარცხნივ ჩასწია ბედაური და ჯოკიას მიუბრუნდა:

— ეს ფონი ძალზე ვიწროა. ამბობენ, აქ იყო, დედა-დეგს საჩიჩელი წყალში რომ ჩაუვარდაო.

— მერე საჩიჩელია ფონად გადებულნი?

— დიახ, იმ საჩიჩელის კბილებზე დავდივართო, იტყვიან ძველები.

— იქნებ ასედაც იყოს, — უპასუხა ჯოკიამ ღმილით. — თუ მიაგენი საჩიჩელის კბილებს? — ჰკითხა ასისთავს.

— მივაგენი, მაგრამ იცოდეთ, მე მომყვებით. ნაბიჯი განზე არ გადადგათ.



— ჰო, კარგი, იარე.

გამყოფმა ცხენი მდინარეში შეაგდო. ცოტა მანძილი გაიარეს, წყალმა უნაგირის მოსართავი დაფარა, მერე ბალიშს გაეთამაშა, ასისთავი მეორე ნაპირზე გავიდა და პირუფარი გადაიწერა. ჩამოქვეითდნენ. მამაკაცები ტყეს შეფარდნენ, ფეხსაცმელი და შარვლები გაიხადეს, გაწურეს.

ცუცამ მარიას სველი წინდები გახადა, გაცივებული ფეხი დაუზილა, სანამ არ გაუთბო, გულში ჰქონდა ჩაკრული. მერე მშრალი წინდები ჩააცვა.

ამხედრდნენ. ჯოკიამ ასისთავს მადლობა გადაუხადა. სანამ უკანდაბრუნებულმა გამყოფმა მდინარე მშვიდობით არ გადალახა, მგზავრები ადვილიდან არ დაძრულან.

თემშარა ვიწრო იყო, მოსახლეობაც იშვიათი. ისლით გადახურული ჯარგვლეხა ჩასაფრებულ აგაკებსა ჰგავდნენ. კანტიკუნტად ისმოდა ძაღლების ხმა. აქა-იქ ქრატის მჭკუტავი სინათლე მოჩანდა. წინ მიშავალ ჯოკიას გვერდით ერთი რაზმელი მიჰყვებოდა; მერე ქალები მიდიოდნენ, მესამე რაზმელი შორი-ახლო მისდევდა ცხენოსნებს. რუს მიადგნენ. ჯოკიას ცხენმა სიღრმე მოძებნა, წყალს დაეწაფა. შეგროვდნენ. გზად თუ ვინმე შემოგვეყაროს, ქალებმა ხმა არ ამოიღოთ, ნაბდები აიწიეთ, სახე დაიფარეთო, ჩაილაპარაკა ჯოკიამ და ფეხადგმული ბედაური ნებაზე მიუშვა.

ორი მხედარი შემოხვდათ. ჯოკიამ დაასწრო სალამის მიცემა. შემხედრთ არც კი შეუხედავთ ცხენოსნებისთვის. ასეთ დროს ალბათ არც ისინი გრძნობდნენ თავს მშვიდად. საღამზე ცივად უპასუხეს და ცხენებს აუჩქარეს.

კიდევ ათიოდე ვერსი გაიარეს. ყამირ-გზაზე გადაუხვიეს.

შეუსვენებლად იარეს. უღრანში ღრმად შეიჭრნენ. ჯოკიამ ცხენი შეაჩერა, შეგძლიანთ თუთუნი მოსწიოთო, უთხრა რაზმელებს. ერთმა ძველი გაზეთის ნახევრე შეხახვა თამბაქო. მეორემ თამბაქოს დანამულ ფოთოლზე გაშალა ყვითელი გლარჯა. ჯოკიამ ახალუხის ჯიბიდან ჩიბუხი ამოაძრო. ატკაცუნდა

საკვეცი და მგზავრებმა თამბაქო მადიანად გააბოლეს.

გზა განაგრძეს. მხედრები ახლა აღარ აჩქარებდნენ ცხენებს. მეთაურს სადავე დუნედ ეჭირა, დანარჩენებიც ნელი, აწყობილი ნაბიჯით მიჰყვებოდნენ უკან.

„კუჩხა ბედინერი“ წამოიწყო ხმადაბლა ჯოკიამ, მაგრამ სიმღერა მალე გაწყვიტა და მარიას მოხედა, გაიღმა, ეშმაკურად ჩაახველა.

ცხენების თქარათქური არღვევდა სიჩუმეს. უღრანიც ისე გალურსულიყო, თითქოს დევნილთ უფრთხილდებო.

მარია მიხვდა, რომ ჯოკიამ „კუჩხა ბედინერი“ მას უმღერა.

— რაო, რას მღეროდა ჯოკია? — ჰკითხა მან გვერდით მოშავალ მეგობარს, მაგრამ ანთიას ქალმა რატომღაც არც კი მიხვდა. გაუკვირდა მარიას, მაგრამ არაფერი უთქვამს, ალბათ ისეც ტაგუზე ფიქრმა გაიტაცაო, იფიქრა.

„საცოდავი ცუცა! მარტის თვესაგით ეცვლება გუნება. მიმისიდან გამომგზავრების მოლოდინში მოუთმენლობა ეტყობოდა. შებინდებას სულწასული ელოდა. საღამოთი, როგორც კი ამხედრდა, სახე სიხარულით გავებდრა. მის შემდეგ ღიმილი არ მოშორებია. მაგრამ ახლა ასე ჩქარა რამ შეცვალა!“ — ფიქრობდა კაზაკის ქალი.

მართლაც, ჯოკიას „კუჩხა ბედინერი“, მარიასკენ მიხედვა, ეშმაკური ჩახველება, — და ანთიას ქალმა თვალი გულშეღონებულივით დახუჭა და ცხენიდან რომ არ გადმოვარდნილიყო, კეხს ჩაეჭიდა. ასე იარა ერთ ხანს, მერე თვალი ძლივს გაახილა, მწარედ გაიღიმა. სულელო, ასე რამ გამოგატვინაო, წასჩურჩულა თავის თავს, ბეჭევი გაშალა და შენ რაღაც მკითხეო, უთხრა მარიას. არ ვიცი, არ მახსოვსო, — უპასუხა საბურას ქალმა და ვარსკვლავებით მოჭედლი ცას თვალი არ მოაშორა. ცუცამ ქურდულად მოიხედა. რაზმელი შორი-ახლო მოჰყვებოდა ქალებს, თამბაქოს არხინად მოაბოლებდა.

ორღე დგებუაძე ჩაძირული „თოლია“



— მარია!

— ჰო, რა იყო?

— რაზემელი წინ გავუშვათ, ჩვენ გავყვით უკან.

— კარგი იქნება.

ქალების საუბარს ჯოკიამ ყური მოპკრა, ცხენი შეაჩერა.

— არ გინდათ, უკან მოგყვებოდნენ, გიკავდნენ? — ხუმრობის კილოთი ჰკითხა მეთაურმა ქალებს.

— უკანგამოყოლილი თოფიანი კაცი ბევრ უსიამოვნო დღეებს მაგონებს, — უბასუხა მარიამ და ცხენი გვერდზე მიაცენა, რაზემელს გზა დაუთმო. ჯოკიამაც: ჩვენთან იარეო, უთხრა ხელქვეითს და ცხენს ქუსლი ჰკრა.

ისევ უხმოდ განაგრძეს გზა. წინ მიმავალთ ქალები კარგა მანძილით ჩამორჩნენ.

ცუცამ დაარღვია სიჩუმე:

— თუ გყვარებია ვინმე?

— რომ არა, რა ფასი ექნებოდა სიცოცხლეს. ალბათ თავს მოვიკლავდი აქამდე.

— განა არ არიან ასეთები?!

— არა... ტყუილია. მხოლოდ ისეთები ამბობენ, არ მყვარებიაო, რომლებმაც არ იციან სიყვარულის ფასი და სათაკილოდ მიაჩნიათ ამ დიდი გრძნობის გამომჟღავნება.

— შეიძლება. მაშ განსაკუთრებული ადამიანი ვყოფილვარ.

— რატომ?

— მე ხომ არავინ მიყვარს. არც მგონია შემიყვარდეს ვინმე მას შემდეგ, რაც ტაგუ წავიდა ამ ქვეყნიდან, — ცუცა წამოჭარხლდა, სახე მოარიდა გვერდით მომავალს.

— შენ ხომ გიყვარდა. გიყვარდა კი არა, ამ კეთილმა და ყველაფრისშემძლე გრძნობამ რა არ გაფიქრებინა, რა არ გაგაბედვინა.

— ეგ მაშინ, მაგრამ ახლა?

— რა ახლა?

— ახლა გული ცარიელია. ის გრძნობა, რომელსაც შენ ყოვლისშემძლეს ეძახი, ტაგუმ თან წაიღო. — აქ უკვე ხმა ოდნავ გაებზარა ცუცას, რატომღაც სიმ-

ტიკე მოაკლდა, სუნთქვა უწყვეტად ხშირ-ხშირად.

— ზოგს პირველი სიყვარული ესტუმრება და ამით თავდება ყველაფერი. თუ ამ სიყვარულმა უმტყუნა, ახალი გრძნობის დაბადებისა არაა სჯერა. — მარიამ ღრმად ამოისუნთქა. — მაგრამ ესეც დროებითი მოვლენაა: თუ ვინმე ისეთი ვამოჩნდა, რომელიც თვალს გაახელინებს, სადაღაც გულის სიღრმეში ჩაძირული გრძნობა იღვიძებს და ისევ ახალი განაფხული, ახალი ყლორტები...

— ასეთი ბედნიერებიც არიან, ამბობენ.

— დიახ, ბედნიერები არიან ისინი, რომლებიც ამ ცხოვრებას ფართოდ გახელილი თვალებით უცქერიან. ერთმა უმტყუნა, მეორეს ეძებენ, ეძებენ ისე, როგორც ნავი ავდარში საიმედო მისადგომს.

— მართლაც რომ ბედნიერები არიან ისინი, — ჩაილაპარაკა ცუცამ და უცებ მოზიდა სადავე.

— რა მოგივიდა? — ჰკითხა მარიამ.

— გავგიჟდები. — ცუცამ ყაბალახში ხელი შეჰყო, შუბლი მოისრისა, მერე თვალებზე აიფარა, — ფიქრებმა სულ სხვაგან გამიტაცა... და ისევ ტაგუ... — შეკრთა ქალი, შეკრთა და ენაზე იკბინა, მერე სახეზე აღმური მოედო, სირცხვილი გულს წაეტანა. «ტაგუ, ტაგუ... მე, წყალწაღებულს, როცა ეშმაკს ტატიტ მიეყვები, ჩემი წმინდა სიყვარულის სახელი არ უნდა მეხსენებინა», იფიქრა.

ჯოკია და რაზემელები ძალზე დაწინაურდნენ. გაყურებულ ტყეში მათი ცხენების ფეხის ხმაც კი არ ისმოდა.

— ვიჩქაროთ, ჩამოვრჩით, ცუცა! — კახაიის ქალის ამ სიტყვებში სითბოსა და მოკრძალებასთან ერთად რაღაცნაირი მზრუნველობის კილოც იგრძნობოდა: მარია ამჩნევდა, მეგობრის სულში ყველაფერი რიგზე რომ არ იყო. დინჯად და გონივრულად მომუსაიფე ცუცა შეკრთა მაშინ, როცა სიტყვა ავზორცობაზე ჩამოვარდა. — იქნებ ამ საცოდავი ქალის გულში ახალმა მაცოცხლებელმა შუქმა

შეანათა და ტაგუს კეთილი ხსოვნა მის-
დაუნებურად იჩრდილება?!

„იქნებ“ კი არა, ეს ასე უნდა იყოს.
მერე რა! რა არის ამაში გასაკვირი?!
არაფერი. არაფერი, მაგრამ საიდან უნ-
და გამოკრთოდეს ეს შუქი?

თუ მართლა ახალმა ნათელმა გაასხი-
ვოსნა მისი გული, შე, მის ერთადერთ
მეგობარს ამას რად უნდა მიმალავდეს?
კდემამოსილება? სიამაყე?

განა შეიძლება ცუცვამ, ამ უშიშარმა,
ამ ლაღმა ქაღმა არ იცოდეს, რომ ბუნე-
ბას დაუძღვევლი კანონები აქვს; არ იცო-
დეს, რომ ნორჩი გული სიყვარულმა თუ
გაათბო და ააძგერა, ვეღარაფერი შეა-
ჩერებს. თუ ანთიას ქალი ამ ახალმა
გრძნობამ დადაბა, ვინ უნდა იყოს ის,
რომელმაც გული აუფრთხილა?

შეუძლებელია ტაგუს ტრაგიკულ სი-
კვდილამდე სხვა ვინმე ყოფილიყო ცუ-
ცას ყურადღების ღირსი. ხოლო ამ უიღ-
ბლო კაცის შემდეგ მას ხომ დათა ბუ-
კიას და მისი რაზმელების გარდა არავინ
უნახავს? ჰოდა, თუ ვინმე ასეთი • არსე-
ბობს, მარია თუ არ სცდება, ეს ვინმე აქ,
ჩვენში უნდა ვეძიოთ.

მერე რა! იყოს ჩვენში, ერთსაც და
მეორესაც განგებამ თავისუფლება მია-
ნიჭოს, ღმერთმა ხელი მოუშარტოს. რას
იხამ! ვინც კვდება, ის არის ცოდვა, თო-
რემ სიცოცხლე ისეთი ღამაზია, ისეთი
მშვენიერი, რომ გაბოროტებულ გულსაც
არ ძალუძს მისი შეგინება. აი თუნდაც
თვითონ მარია საბურა: მან ხომ უსა-
ყვარლესი მამა დაჰკარგა, დაჰკარგა და
მერე როგორ! საშინელი სიკვდილით.
ოჯახი, მამა-პაპათა ნაამაგარი მტერმა
ნაცარტუტად უქცია. ბედმა ესეც არ აკ-
მარა და სამშობლოდან გააძევა. ეჰ, რამ-
დენი ჭირი და ვარამი! სამშობლოს მი-
ტოვება... გაქცევა. მერე „თოლია“. სა-
შინელი ღამე. ბობოქარი ზღვა. გული
თითქოს უკუნეთში იძირებოდა. თითქოს
დავრდომილ სხეულს სული ამძიმებდა,
მაგრამ გულის სიღრმეში პატარა იმედი
მინც ბეჭტავდა...

ყველაფერი ეს — შიში თუ წუხილი,
უიმედობა თუ რწმენა — სიცოცხლე
იყო. ახალდაბადებულივით თვალების

გახელა. გულის ჩურჩული სიცოცხლეზე,
სიყვარულზე, მომავალზე.

მერე დათა. დიდი სიყვარული.
ქათქათა მთვარის შუქი ხშირ ტყეში
მზის ნათელივით ატანდა. საღღაც ძალ-
ლის ყეფა სიზმარივით გაისმა. მძიმედ
სუნთქავდნენ დევებივით აყუდებული ხე-
ები. ცხენოსნები წინ მიიწევდნენ და ეს
ბუტბუტი ყურს უფრო მეტად ეძალებო-
და — მდინარე სალსა და ღორღს ჩეხდა
იქ, საღაც გზა ილეოდა.

რაზმელები ქალების მოლოდინში ჩუ-
მად იდგნენ. როცა მარია და ცუცვა გა-
მოჩნდნენ, ჯოკიამ ცხენი მარცხენა მხა-
რეზე შეაბრუნა, საცალფეხო ბილიკს აპ-
ყვა.

ორად განტოტებული ქეჯის ერთი
შტო თავდაღმართს მიჰყვებოდა. სწო-
რედ იქიდან ისმოდა მდინარის შხუილი,
და ეს შხუილი ტყის ბუტბუტის შთაბეჭ-
დილებას ქმნიდა. ღარივით გაწოლილი
მეორე შტო იქითკენ მიემართებოდა, სა-
იდანაც კენტად მოლიფლიფე სინათლე
მოჩანდა.

მდინარის გამაყრუებელ შხუილს ძალ-
ლის ყეფის ხმაც ერთფერა ხანდახან. ჯო-
კია დაღმართზე დაეშვა. მალე მდინარეს
მიადგა.

განიერი მდინარიდან გადადებულ
ვიწრო ტოტი მარჯვენა მხარეს ეშვებო-
და და წისქვილის კობტა ღარს წყლითა
და ქაფით ავსებდა. იქვე, ხევში ჩასაფ-
რებული ოჩოკოჩივით იდგა ისლით დამ-
ძიმებული წისქვილი. ბილიკი, რომელიც
წისქვილს ჩაუდლიოდა, მოკლე აღმართით
ადიოდა ფართო გზაზე და მერე ისევ
უღრან ტყეში იკარგებოდა.

ჯოკია წისქვილს გაუსწორდა, ცხენს
ქუსლი ჰკრა, რომ უფერად წისქვილის
კარიც გაიღო, ჭრაქის სინათლეზე ადა-
მიანის სილუეტი გამოჩნდა.

— პაი, საით, ბიჭებო! — გაისმა მა-
მაკაცის ჩახლეჩილი ხმა.

წინ მიმავალმა ჯოკიამ პედაური შეა-
ყენა. ცხენოსნები შექუჩდნენ.

— მარტო ხარ? — ჰკითხა წისქვილის

ორდღ დგებუაძე
ჩაძირული „თოლია“

კარში გაჩხერილ კაცს და პასუხს დაელოდა.

— მარტო ვარ. თუ დაღლილები ხართ, შეისვენეთ. თუ გშიათ, მჭადსა და ყველს მოგართმევთ. თუ შეციებულები ხართ, არაყსაც მოვნახავ.

ჯოკიამ თანამგზავრებს გადახედა. მხედრები სადავეს მაგრად ჩასჭიდებოდნენ, უცნობს დაკვირვებით შესცქეროდნენ.

— შევისვენოთ? — იკითხა მეთაურმა, მაგრამ სანამ თანამგზავრები დასტურს იტყოდნენ, ცალი ფეხი უშანავიდან გამოაძრო.

ჩამოქვეითდნენ. ქალებიც ჩამოსვეს. ცხენები იქვე, ძელზე მიაბეს.

აფუსფუსდა მეწისქვილე, წისქვილის მტვრისაგან თეთრად გადაპენტილ საკარცხულს და ჯორკოებს ჩვარი გადაუსვა. იატაკიდან ჭრაქი აიღო. კედელზე ჩამოჰკიდა და ჯოკიას „აქა მშვიდობას“ „თქვენი გამარჯვება“ შეაგება.

ტანდაბალი, კაფანდარა კაცი იყო მეწისქვილე. სამოცი წლის კაცის იერი ჰქონდა ჭადარა წვერ-ულვაშით შებარდნილს. მოუსვენარი, ჭროლა თვალები ნაბერწყალივით უელავდა. ფეხზე კოხტად შემოთასმული ქალამნები ეცვა, თავზე საფტავის მტვრით დაფარული სვანური ქუდი ეხურა. თუმცა ბევრ ადგილზე იყო დაკერებული, მაგრამ შვენივლია შინაქსოვი შავი დანოსის ხალათ-შარვალი. ჭადარა წვერი და სქელი ულვაში ბაკეს უფარავდა. პირში გაჩრილ ჩიბუხის ტარს თეთრი კბილებით კვეცივით ღეჭავდა და თან აბოლებდა.

მგზავრებს მოხარშული გოგრის სუნი ეცათ წისქვილში შესვლისთანავე. კართან ახლოს, კუბრივით შავ და ქვასავით მაგარ სოხანზე ცეცხლი ენთო; ცეცხლზე სამფხვა, სამფხვაზე ხოჭოსფერი კარდალი. კარდალიდან აქლემის კუზივით იმზირებოდა გოგრის ნაჭერი. კედელთან ერთ მხარეს ფიცრები ეწყო, ფიცრებზე კი სიმინდითა და ფქვილით გამოტენილი ტომრები. გულდამძიმებული ჭირის-უფალივით მოსთქვამდა დოლაბი. სარეკელა კოდალასავით აკაკუნებდა ქვანუ ნისკარტს.

მეწისქვილეს არ გააკვირვებია მეწისქვილების მორთულობა, მათი შაშხანები, დამბაჩები, ხანჯლები, მაგრამ ნაბდიან სტუმრებში როცა ქალებიც შეიცნო, უხერხულად შეიმშუშნა, გაიკვირვა. ერთ ხანს სიბრალულის მსგავსი გრძნობა გამოეხატა სახეზე, მაგრამ როცა ცუცამ ნაბადი გადაიგდო და წელზე „მაუზერი“ გაისწორა, შეცბა, შუბლი შეიკრა.

ანთიას ქალმა წყალი თხოვა მასპინძელს. მეწისქვილემ ჩაიხიხითითა და იქნებ ღვინო ინებოთო, უპასუხა, ყვეა მოიფხანა, ყელშესველეშული დოქი და ტოლჩა გადმოიღო თაროდან.

ცუცამ წყურვილი მოიკლა, შენც ხომ არ დაღვეო, ჰკითხა მარიას რუსულად.

მასპინძელმა ახლა საბურას ქალს შეხედა გაკვირვებით. მარიას მეწისქვილის გაკვირვება არ გამოჰპარვია, კეთილად გაულიმა მასპინძელს, არა, არ მწყურიაო, მეგობარს უპასუხა. ცუცამ დოქი და ტოლჩა თაროზე შემოდგა, იქნებ სხვებს სწყურიათო, ჩაილაპარაკა მასპინძელმა.

— წყალზე გვეპატივები, შე კაი კაცო?! — უპასუხა ჯოკიამ ხუმრობის კილოთი და თოფი კედელზე მიაყუდა, ნაბადი გადაიგდო.

მასპინძელმა კუთხეს მიაშურა; მოზრდილი ხელადა გამოიღო, მერე გობივით მრგვალი მჭადი ხელში თავმომწონედ შეათამაშა და კროჭის თავზე შემოდგა.

ჯოკიამ თამბაქო შეახვია. რაზმელებმაც გააბოლეს. მეთაური ცალკე იჯდა ერთ ჯორკოზე, მეორეზე ორი რაზმელი მოკეცილიყო ზურგშეკცევით.

ქალებმა საკარცხულზე ნაბადი გაშალეს. მასპინძელმა გოგრის ფოთლებზე ყველი დაჭრა, მჭადი დატეხა. ნაგვიანევი ბოლოკომბალა კიტრი და პრასიც გაჩნდა. მერე მასპინძელი ცეცხლზე მოთუხთუხე ქვასს მიუბრუნდა, გრძელპირიანი დანით გოგრის ნაჭრები ამოალაგა, ოხშვივარით დაბურული ჯამი თაროზე შემოდგა.

სახელდახელო სუფრა გაიშალა. ძალზე კმაყოფილი იყო მეწისქვილე, იღიმებოდა, ჭაბუკივით ფუსფუსებდა. როცა საქმე მოილია, შუაცეცხლთან წელში

გამართა, ჭერი დამილოცეთო, უთხრა სტუმრებს და თან ქალებს გადახედა.

— ოჯახს ულოცავენ ჭერს, ჩემო ძმარო, — უპასუხა ჯოკიამ.

— ჩემი ოჯახიც ეგ არის და ჩემი კერიაც!

საიდანღაც კატა გამოძვრა, ნამგალა კუდი თავმომწონედ ჰქონდა შემართული და პატრონისკენ დინჯად მიიწევედა.

— აი, ერთადერთი სულიერი, რომელიც ჩემს ოჯახს პატრონობს, — განაგრძობდა სახეგაბადრული მასპინძელი, — ეს რომ არა, ვირთხა შემჭამდა ნამდვილად, — გულიანად ჩაიხითხითა მასპინძელმა, ჩიბუხი ხელისგულზე დაიბერტყა და მერე გულის ჯიბეში ჩაიდო. ხატაურმა პატრონს ახედა, მიეხახუნა, ფეხებშუა გაუძვრა.

— შენია ეს წისკვილი? — შეეკითხა ჯოკია და თვალი იქითკენ გააპარა, საიდანაც მოხარშული გოგრის დამატკობელი სუნი მოდიოდა.

— ჩემია! როცა სხვა არაფერი გამაჩნია, ეგეც საზიარო?! — მასპინძელმა ჯერ თაროს ახედა, მერე კროჭს შეავლო თვალი და: — აბა, აქეთ მოიწით, თითო არაყი და ცხელი გოგრა... იქნებ მჭადი და ყველი მიირთვათ, მგზავრობაში მოგშვიდებოდათ.

ჯოკია წამოდგა, რაზმელებიც წამოიმართნენ. მეწისქვილემ საკარცხულთან კუნძი მიაგორა. მჭადი და ყველი, კიტრი და პრასა, ხელქილათი არაყი და ორი ნაჭერი გოგრა დაატია ძირკვზე და სტუმრებს შეეხვეწა ისიამოვნეთო.

ქალებმა მჭადი და არაყი იუარეს, არც კიტრს შეხედეს, არც პრასას — გოგრა ინებეს.

მამაკაცებმა ჭერი უდღევრძელეს მასპინძელს, თვითონაც უსურვეს კარგად ყოფნა. როცა მეწისქვილემ კონჩხა მესამედ შეავსო, ჯოკიამ ხელი ასწია, არ დაეღვეთო, თქვა და რაზმელებს გადახედა:

— ღამეა, შორი გზა გვაქვს, ფრთხილად უნდა გიყვეთ, — დასძინა და სათუთუნე მოძებნა.

მასპინძელმა კონჩხა მინც პირამდე აავსო, თვითონ ინება დაღევა. ჯერ ქა-

ლები ადღევრძელა, მორიდებულად ენაწყლიანობდა, რაღაცას უფრთხობდა, ვითუ რამე ზედმეტი წამომცდეს და ამ უჩვეულო ქალბატონებმა იწყინონო, ფიქრობდა; მერე, როგორც იყო მიკიბ-მოკიბა და ბოლოს უთხრა: თქვენმა სიმართლემ და პატიოსნებამ გაცოცხლოთ და გაგახაროთო.

კონჩხა გაანახევრა და ჯოკიას მიუბრუნდა:

— კაცს თუ არ უჭირს, დამე ტყეში თოფით ხელში არ იგლის, ჩემო ბიძიკო. მე არ ვიცი, თქვენ ვინა ხართ, იცავთ თუ ებრძვით ჩვენს მთავრობას, მაგრამ ვიცი, რომ ჩვენებურები ხართ. ღმერთმა ამქვეყნად ჩემსავით კენტად არ დაგტოვოთ, გიცოცხლოთ ოჯახის შვილები, კეთილები, — სასმისი მოიყუდა, მოსევა, მჭადი მოიშველია, დიდთავიან პრასს კუდი აავლიჯა. — ისე კი უწინ სოფლიდან საფუქვავს თუ ჩამოიტანდნენ, თორემ ამ შუკაში კაცის ჭაჭანება არ იყო. ახლა... რა ჯურის კაცი გინდა, ამ ტყეში არ ნახო. თოფიანს, უთოფოს, ჩოხიანს, ბუშლატიანს, — კონჩხაში ჩაიხედა, ჩაფიქრდა წამით, მერე თვალები მოჭუტა, ღრმად ამოისუნთქა და ჯოკიას თვალებით უთხრა, სულ ერთია მინც ჩემი დასალევიათ, სასმისი მოიყუდა, გადააბრუნა და არაყი ტურნებზე წვეთებდა დაიწურა.

— თოფიანებიც დადიან? — გაფაციცდა ჯოკია. გახსნილი სათუთუნედან ამოდებულთი თამბაქო ისევ ქისაში ჩაღო.

— ჰო, დადიან თოფიანები, — ახლა გოგრას მისწვდა მასპინძელი, — ახლახან მთელმა რაზმმა ჩაიარა, ამბობენ, ბუკიას რაზმიათო.

ბუკიას ხსენებაზე ცუცა ოდნავ შეკრთა, შეიშმულნა, მარიას შეხედა, უფერულად გაუღიმა, მერე რაზმელებს თვალი გადაავლო და გოგრის ნაჭერს უკბინა.

— ვინ ბუკიასი?

— ბუკია არ იცი? — ეჭვით შეხედა ჯოკიას, მერე თვალი დახარა, ოდნავ შე-

ორღე ღვებუაძე
ჩაძირული „თოლია“



სამწინემა ღიმილმა გადაურბინა სახეზე, — ბოლშევიკია, ზღვიდან გამოტყეული ყაჩაღი, — ცეცხლთან მივიდა, ჩაიმუხლა, განახევრებულ მუგუზაღს ხელი წაჰკრა. — ჰო, ყაჩაღიათ, ამბობენ, თორემ მე რა ვიცი, იქნებ, ყაჩაღი კი არა, ანგელოზია.

— ხალხს ძარცვავსო?

მეწისქვილემ ახლა გაკვირვება ვერ დამალა. ისეთი თვალთ შეხედა ჯოკიას, თითქოს ჰკითხა, მართლა არ იცი ვინ არის ბუკია, თუ განგებ მეკითხებიო! მერე მოუთმენლად წამოიძახა:

— არა, რას ამბობ, ბოლშევიკები ხალხს როდის ძარცვავენ?

— აბა რა მინდაო ბუკიამ?

გესლიანად ჩაიცინა მასპინძელმა: აბა, რა ვიცი, ეგ ბუკიას ჰკითხეო, უპასუხა და, როცა მუგუზაღი აბრიალდა, წამოდგა, კუთხეში მიმალული წყლის სურა აიღო, იქვე, კედლიდან ტოლჩა დინჯად ჩამოხსნა.

— მაინც რას ამბობენ, რა უნდაო ბუკიას? — არ ეშვებოდა ჯოკია.

— რაც მენშევიკებს უნდათ, ბოლშევიკიკებსაც ის უნდათ! ბუკია ბოლშევიკი არისო.

— განა ბოლშევიკებს ის უნდათ, რაც მენშევიკებს?

— ხალხის დარდი არც ერთს აწუხებს და არც მეორესო, — ტოლჩაში წყალი ჩაასხა, სურა ისევ კუთხეში მიდგა. — ბუკიას კომისრობა უნდაო.

ჯოკიამ გულიანად გაიცინა. ისევ ამოიღო ქისა, თავი მოხსნა. ცუცასაც გაეცინა. მარიამ ჯერ ჯოკიას შეხედა, მერე ანთიას ქალს მიუბრუნდა, რა გაციინებთო, ჰკითხა მუნჯურად. რაზეღებო იცინოდნენ. ცუცა მარიას ერურჩულებოდა რაღაცას, ორთავე იღიმებოდა.

მეწისქვილე გაწითლდა, შევრცხვიო, გაიფიქრა და ქალებს უხერხულად გადახედა. ტოლჩა მოიყუდა, გამოცალა და იქვე, სურასთან ისე დააგდო, თითქოს ხელიდან გაუვარდაო.

— სასაცილო არაფერია, — იწყინა მასპინძელმა. — აბა, ვის უბრძოლია, ვის დაუღერია სისხლი და მერე სახელი და სახრავი სხვისთვის მიუცია? აა?

— მაშ, ხალხი სულელი ყოფილა, ვიღაცის კომისრობისათვის თუ სწირავს თავს, — უთხრა ჯოკიამ მეწისქვილეს და შეხვეული თამბაქოს კიდეს ენის წვერი ჩამოუსვა.

— ვირს მარილს აზიდვინებდნენ, მაგრამ არ ალოკინებდნენო, აი, რა არის ხალხი. — წელში თამამად გაიმართა მასპინძელი, გაგულისდა — თქვენი მენშევიკები არ ყვიროდნენ, ჩვენ ხალხისთვის მებრძოლი ვართ, ხმა ჩვენ მოგვეციო? მიწას გლეხებს მივცემთ, ქარხანას მუშებს, ყველას თანასწორს გავხდითო, არ ამბობდნენ? მერე? — ისევ ჩაიმუხლა, ჩიბუხზე ნაკვერცხალი შეაგდო, გააბოლა, მაგრამ თვალი სტუმრებისკენ ეჭირა, ხელი ისე ჰქონდა აწეული და თითებს ისე შლიდა, თითქოს კიდევ რაღაც უნდა თქვას, მაგრამ სიტყვა ყელში გაეჩხირაო. მერე, როცა ჩიბუხი გაღვივდა, განაგრძო: — მერე? მერე რაც მოხდა, ყველამ კარგად იცით, მაგრამ თქმისა გეშინიათ რატომღაც, გეშინიათ და სწორედ ეს შიში ღუბავს ქვეყანას.

— შენ ხომ ამბობ...

— მე რა! ერთს და ორს რა შეუძლია, ყველა რომ ერთად ვიტყოდეთ, სხვა ამბავია...

— რა მოხდა მაინც, არ ვიცი! — ჯოკიამ ეშმაკურად გაიღიმა.

— ვითომ არ იცი, მე უნდა მალაპარაკო? კაი საქმეა, ღმერთმანი. არ იცი, რა მოხდა? თუ არ იცი, გეტყვი. მოხდა ის, რომ გაბრიყვებულ ხალხს რაც ჰქონდა, ისიც წაართვეს. მოკალათდნენ მთავარმართებლის სასახლეში და ჩვენი პურმარილით ხან ინგლისელებს უმასპინძლდებიან და ხან ფრანცუზებს.

— ჰო, ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ შენ ეს მითხარი: ბუკიას რაზემის გარდა კიდევ თუ დაღიან ტყეში თოფიანები?

მასპინძელმა ჩიბუხის ტარით წვერი მოიფხანა, წამით ჩაფიქრდა. მარიამ რაღაც წასწურჩულა ცუცას; ანთიას ქალმა გაუღიმა, წამოდგა, კუთხეში მიდგმული სურა მოუტანა და წყალი დააღვეინა.

— მართალი ვითხრა, პირადად მე დღემდე არაფერ მინახავს, ისე კი ამბობდნენ, დადიანო.

— ვინ ამბობდა?

— აბა, რა გითხრა, წისქვილში მილეთის ხალხი დადის.

ცუცამ სურა ისევ კუთხეში მიდგა და ისევ მარხას მიუჯდა გვერდით.

— შენ ვინ ნახე დღეს? — არ ეშვებოდა ჯოკია.

— დღეს? ჰო, დღეს, მზე კიდევ ჩასული არ იყო, დუქნიდან წავთი მომქონდა. სოფლის გადასახვევთან ხუთი მხედარი შემომხვედა, ქვეიდან ამოვიდნენ, ათანასე ასისტავის სახლი იკითხეს.

ჯოკია გაფაციცდა, ერთი რაზმელი წამოვდა. ცუცამ თავი ასწია, გაილურსა.

— ვინ არის ათანასე?

— ათანასე სოფლის ასისტავია, მთავრობის ერთგული კაცი. ნიკოლოზის დროს მამასახლისი იყო. ახლა წელებზე ფეხს იდგამს, წინ წაწევა უნდა. არაგის არ იწივებს. არ ვიცი, რას უშიზნებს, კომისრობას თუ ერთობის თავმჯდომარეობას. ჩვენს მთავრობასაც ეგ უნდა... — მაგრამ თითქოს რაღაც მოაგონდაო, დადუმდა. სტუმრებს მორიდებულად გადახედა და, — კარგი კაცია ათანასე, რა წინას, ვის პურსაც სჭამს, იმის ხმალსაც იქნებს. ასეთია ეს ცხოვრება და ჩვენი ათანასეც თავს არ იზოგავს, მაგრამ ვისაც ზურგი შეუშვია, ყველამ დიდი ქება დაადო მაგ საცოდავს. აქაოდა, ჩვენი ერთგულიყო, არ ასვენებენ, ყველა დაწინაურებას ჰპირდება, მაგრამ...

ჯოკიამ შეატყო, თუ მასპინძელს ნებაზე მიუშვებდა, წისქვილიდან დილამდე ვერ გავიდოდა და არ დააცალა:

— ჰო, ვიცი ათანასე ვინც არის, გამიგონია. შენ ის მითხარი, ის თოფიანები ათანასეს სახლს კითხულობდნენ?

ჯოკია ახლა მოუთმენლობას ვერ მალავდა. კედელზე აყუდებულ თოფს შეხედა. მერე ქალებს ისეთი თვალით გადახედა, თითქოს ეუბნებოდა, ნეტავ თქვენ აქ არ იყოთო.

— კი, ათანასეს სახლს, — მეწისქვილემ ჯოკიას მოუსვენრობა შეატყო და იმედიანი ხმით განაგრძო: — მაგრამ თქვენ არაფერი გაქვთ საფიქრებელი, ისინი ყაჩაღებს არ გვანდნენ, თქვენი ხალხი იყო, ნამდვილად თქვენი, მთავ-

რობის, — ანუგემა სტუმრები და ჩიბუხი არხეინად გააბოლა.

— რა იცი, რომ ჩვენ მთავრობის ხალხნი ვართ? — გადაუჯდო კითხვა მასპინძელს ჯოკიამ, რაზმელს ანიშნა, ალექიო და თვითონ ნაზადისკენ გაიწია.

— აბა, როდის იყო ყაჩაღები ქალეზით ტყეში დადიოდნენ, ისიც ღამე.

ჯოკიამ რატომღაც ნაზდის ალება არ ისურვა, თოფს გახედა, ნაბიჯი გადადგა. ცუცაც წამოვდა, მარხას ხელი გაუწოდა, წამოაყენა და...

წისქვილის კარი ისე შემოღეწა ვილაცამ, თითქოს ქარიშხალმა კედლები შემოანგრიაო და გააფთრებული მამაკაცი შემოიჭრა.

მარცხენა მხარზე ნაბადი ჰქონდა მოვლებული, შავი გალიბანდი წარბებამდე ჩამოეწია, პრიალა მაუზერი სათამაშო ფიშტოსავით შეემართა და ისე გულმშვიდად და თამამად იყურებოდა, თითქოს ამ ჰერქვეშ მის გამოჩენას სიხარულით მოელოდნენო. მაგრამ ეს მხოლოდ წამით, სანამ ჯოკია და რაზმელები გაოგნებულნი იდგნენ, სანამ მეწისქვილეს მაღლა აწეული ჩიბუხიანი ხელი არ გაეღწა და მარხამ საზარელი ხმით არ შეჰკვილა:

— გიორგი!

ეს საამო აღნაგობის კაცი მართლაც გიორგი თორია იყო. თუმცა მარხასათვის არაერთხელ უთქვამს, უშენოდ ვერ გავიხარებ, შენი დარდი დამასწელებსო, მაგრამ ახლა ფერ-ხორციით სავსე იყო და უფრო კისკასად გამოიყურებოდა. გიორგის თვალები უელავდა, ნესტოები ქამანდაშებულნი უხედნელივით დაბერვოდა, მაგრამ ვერც შეკრული შუბლი და ვერც ჩახმახშემართული მაუზერი ფარავდა რაღაცნაირ თბილსა და ადამიანური სინანულის გამომხატველ მზერას. რატომ?

ეს მშვეტავი სითბო ალბათ მისდა უნებურად ამოატივტივა ერთ დროს საყვარელი ქალის ხილვამ.

ორღე დგებუაჲე ჩადირული „თოლია“



მას შემდეგ, რაც მარია ფოთში იმ წვიმიან ღამეს გაუჩინარდა, შურისძიების სურვილი უნათებდა. გზას გიორგი თორიას.

საბურთაოს ქალმა შეპკივლა, მაგრამ არ შემკრთალა, არც დაბნეულა: ხელი კაბის შიდა ჯიბისკენ წაიღო — იქ დათას ნაჩუქარი, ვაზნებით სავსე დამბაჩა ეგულეზოდა. გიორგის არ გამოპარვია მარიას მოძრაობა, მაგრამ გაინაბა...

მარია დამბაჩის ტარს წაეტანა ჯიბეში, ამოსწია კიდეც, მაგრამ სანამ ამოიღებდა, ცუცას ნასროლმა ჯამმა ჭრატს შურდუღივით ჩაუქროლა და პატრუქზე მოციმციმე ალი ჩააქრო.

წისქვილში სიბნელე დასადგურდა. კარებთან მაუზერი აკაკანდა. ვიღაცამ დაიკივლა. რაღაც მძიმე ყრუდ დაეცა მიწაზე.

ახლა გარედან მოურიდებლად იხედებოდა ღამე. წისქვილის ლაფაროში კარაბინებისა და დამბაჩების ლულები ელავდა.

«ეჰ, ნეტავ გარეთაც ისე ბნელოდეს, როგორც წისქვილში, მაშინ მუხლი და თვალი იტყოდა სათქმელს, მაგრამ ეს ვიწრო ვასასვლელი საფლავის პირს მაგონებს», — ფიქრობდა ჯოკია.

ერთ ხანს არც წისქვილიდან გაგარდნოდა თოფი და არც გარედან. არც ხმას იღებდა არავინ. მხოლოდ დოლაბი ოხრადა, წისქვილში ჩასაფრებულთა გულს უკაკუნებდა სარკველა. ცოტა ხანიც და წისქვილის ქვამ ღონემიხდილივით ამოიხვნეშა და დადგა. ღარში წყალს გზა გადაუკეტეს გარედან.

ახლა კარგად ისმოდა, ვიღაც რომ მძიმედ კვნესოდა კუთხეში.

— რომელი ხარ, რა გაკვნესებს, — იკითხა ჯოკიამ.

— მე ვარ, მე... რას მერჩოდნენ ეგ უღმერთოები... ისინი არიან, ისინი... დღეს რომ შემხვდნენ ტყეში, — კვნესოდა მეწისქვილე.

მარია დაჭრილთან გაჩნდა, ჭრილობა მაჩვენებდა, უთხრა. ჯერ სახეზე მოუფათურა ხელი, მერე მხრებზე, გულ-მსუცევიც მოუსინჯა.

— არა, შეგლო, შენ კი არა, ქრისტე რომ ჩამოვიდეს, ის ვერ მიშველის, — წამოჟღერდა, კედელს წაეტანა, გაიმართა.

— დაწევი, მოგკლავენ, — შეუძახა ჯოკიამ.

— მე ისედაც მკვდარი ვარ. ახლა თქვენ გინდათ შეველა, რომ ავ ძაღლის-შვილებს სამაგიერო მიუზღოთ.

გარეთ სიჩუმე იდგა. სადღაც ჭოტი კიოდა. შორს მოზარე ქალებივით მოთქვამდნენ ტურები.

გამოცოცხლდა მეწისქვილე, როგორც იყო წელი აითრია, კედელს გაჰყვა, კარს მიუახლოვდა.

— სად მიდიხარ?! — ჰკითხა შეშფოთებულმა მარიამ.

— დაწევი-მეთქი, არ გესმის?! — უთხრა ჯოკიამ ჩურჩულით, მაგრამ მკვახედ.

— ჩუ, ჩუმად, — ჩურჩულითვე უპასუხა მეწისქვილემ, — ორი ნაბადი მომეცით, — დასძინა მერე.

— რად გინდა ნაბადი?

— თითო ხელში თითო ნაბადს დავიჭერ, უკანასკნელ ძალ-ღონეს მოვიკრებ, მკლავებს გავშლი და გავიქცევი. გავალ თუ არა, წისქვილს მარჯვენა მხრით მოვუვლი, ხევში დავეშვები: აქვია, ორი ფეხის ნაბიჯზე, მკვდარიც რომ ვიყო, დაგვორდები... იმ სულძაღლებს სიბნელეში ნაბდებიც ადამიანები ეგონებათ და ცეცხლს ჩემზე გადმოიტანენ, თქვენ კი...

— არა, ეგ არ შეიძლება, კეთილი კაცო! — ხმა შეუკრთა ჯოკიას და ღია კარისკენ გაჩოჩდა, თოფის ლულა ზღურბლზე ჩამოლო.

— არ შეიძლება?! — ისე დაიხრიალა მეწისქვილემ, თითქოს ყელში ხელი წაუჭირესო, და კედელთან მიგდებულ ნაბდებს სწვდა.

ღრუბლებიდან წუთით გამომძვრალმა მთვარემ ისევ ღრუბელში შეჰყო თავი. ჩამოხნედა. ჩამოხნედა და მეწისქვილეს კარიდან შურდუღივით გაგარდა, ისე სწრაფად უგანა, რომ ჩასაფრებულეზმა სროლა ვერ მოასწრეს. მერე, როცა ხევში მოწყვეტით ჩაეშვა, წავიდნენო, დაიყვირა ვიღაცამ და რამდენიმე უაზრანამ ერთად დაიშეკა.

— მარია, ცუცა, თქვენ აქ დარჩებით. იცოდეთ, თავი არ წამოჰყოთ, — უბრძანა ჯოკიამ.

— თქვენ?

— ჩვენ უნდა გავიდეთ აქედან, მობირდაპირე ფერდობს დავიკავებთ და თქვენც გაგიყვანთ ამ ხაფანგიდან.

კარებთან ასვეტილი ჯოკია ზღურბლს გადაენტო და მუხლგანიერ ხეს ამოეფარა.

იმედით აეგსო გული. ცეცხლი დაუშინა საგანგებო რაზმელებს, თავის აწევა არ აცალა. ჯოკიამ ხელყუმბარა ისროლა, აფეთქების გამაყრუებელმა ხმამ და სვეტად ავარდნილმა ბოლმამ საგანგებო რაზმელებს თვალი დაუბნელა, წისქვილს ორი რაზმელი გამოეყო. აბა, ფერდობისკენო. უბრძანა მეთაურმა და შაშხანის სავაზნეზე მჭიდს დააწვა.

ჯოკია კარგად ხედავდა, თუ სად იყვნენ ჩასაფრებულნი, საიდან ესროდნენ, და ისიც ცეცხლს უშენდა იმ ადგილს, საინამ მისი ამხანაგები ფერდობზე, თხრილში არ მოკალათდნენ. ახლა ჯოკიას რაზმელებმა გახსნეს ცეცხლი, რომ მეთაური ფერდობზე მშვიდობით ასულიყო.

რამდენიმე სწრაფი ნახტომი და ჯოკიაც ამხანაგებს გვერდით მიუჯდა. ახლა ის კარგად არჩევდა როგორც მოწინააღმდეგეთა განლაგებას, ისე წისქვილში შესასვლელ ერთადერთ კარს. გაფაციცებული აღეწებდა თვალყურს ამ შესასვლელს, ეს კარი უნდა დაეფარა მტრისაგან. ვაზნებს მოუფრთხილდითო, უბრძანა ამხანაგებს და სროლა შეწყვიტა.

ახლა თორიას ბიჭებმა გახსნეს ცეცხლი, მაგრამ უშიზნოდ, უთავბოლოდ. ალბათ მიხვდნენ მეწისქვილის ოინს, მიხვდნენ, რომ ხევე არავინ იყო ისეთი, რომელსაც წინააღმდეგობის გაწევა შეეძლო. კარგად ხედავდნენ, რომ მხოლოდ ფერდობზე განლაგებული იყვნენ საშიშნი და სანამ ისინი იქ ისხდნენ, წისქვილში შესვლა თუ ქალების ხელში ჩაგდება შეუძლებელი იყო.

ჯოკიამ ის ადგილი ამოიღო ნიშანში, საიდანაც შაშხანის ლულის წვერი უფრო ხშირად ელავდა.

ორღე დგებუაძე
ჩაძირული „თოლია“

გაგრძელება იქნება



ამ ნარკვევში მოთხრობილია
გორის ბამბაულის კომბინატის
ახალბაზრდა მუშათა
საქმიანობაზე.

ბიძო

ქრისტეს

კვლევები

მა გინი სად მიდის?

საქმიანობა

სოფიო და ჯულიეტა გაჩერებასთან ავტობუსს ელოდებოდნენ. ჯულიეტამ თვალი მოჰკრა მათკენ მომავალ მოხუც ქალს. შორიახლო მოხუცს ყმაწვილი მოჰყვებოდა.

— შეხედე, სოფიო, დეიდა ნინო! სოფიომ მოხუცისაკენ გაიხედა. — გახსოვს, გოგო?!

ვისაც კი გორის საფეიქრო სასწავლებელში უსწავლია, იმას როგორ დაევიწყებოდა დეიდა ნინო?!

დეიდა ნინო საერთო საცხოვრებელში მაშინაც დამლაგებლად მუშაობდა უსუფთაობას და უწესრიგობას ვერ იტანდა. სადაც კი ასეთ რამეს შეამჩნევდა, სხვების გასაგონად სულ იწყევლებოდა. გოგოები დეიდა ნინოს წყევლას ისე შეეჩვივნენ, როგორც დედის წყევლას.

ერთხელ ჯულიეტამ კედლის გაზეთში წერილი გამოაქვეყნა დეიდა ნინოს ხელმოწერით: განა გულით გწყევლით, განა მართლა გიჯავრდებოდით, მე შინ ჩემს შვილებსაც ასე ვწყევლიო.

დეიდა ნინომ ეს წერილი რომ წაიკითხა კედლის გაზეთში, მაშინვე მი-

ხედა, გოგოების ოინი რომ იყო. მერე ისიც გაიგო, რომ ეს ჯულიეტამ გააკეთა. მივიდა ჯულიეტასთან, მკერდზე მიიხუტა და უთხრა:

— შენ გაიხარე, შვილო, ჩემი გულისნადები როგორ გადმოგილაგებია იმ წერტილში!

წყევლა მერეც არ შეუწყვეტია დეიდა ნინოს. ანცი გოგონები ხშირად გაახსენებდნენ ხოლმე იმ წერილს.

ჯულიეტამ ახლა ეს შემთხვევა მოაკონა სოფიოს.

დეიდა ნინომ გაჩერებასთან დაინახა თუ არა ჯულიეტა და სოფიო, მაშინვე მათ მიმართა:

— გოგოებო, — დეიდა ნინომ ყმაწვილზე მიუთითა გოგოებს, — ეს ბიჭი უნდა მომიწყოთ კომბინატში. ამაზე უმცროსები კიდევ ექვსი ჰყავს ადრე დაქვრივებულ დედამისს. თქვენთან მომყავდა ახლა. მე სხვაგან მივდივარ და ბარემ აქვე დაგიტოვებთ ამ ბიჭს...

ამასობაში ავტობუსიც მოვიდა. — კარგი, კარგი, დეიდა ნინო, ყველაფერს გავაკეთებთ — მიაძახეს გოგოებმა და ყმაწვილი ავტობუსში შეიტაცეს.

კომბინატის კართან მათ გრძელუღვაშიანი დარაჯი გადაეღობა წინ.

— ეგ ბიჭი სად მიდის?!

— ჩვენთან, კომკავშირის კომიტეტში.

— არ ვიცი მე კომიტეტი, საშვი მაჩვენეთ!

სოფიო ბიჭს მიუბრუნდა:

— რა გჭკია?

— გიორგი.

— გვარი?

— რაზმაძე.

სოფიო გაიქცა. ცოტა ხნის მერე ბიჭს საშვი მოუტანა.

გრძელუღვაშიანი დარაჯი საშვეს დააჩერდა, კიდევ წაახია, ბიჭს დაუბრუნა და გაატარა.

...ახლა გიორგი მზეთავად მუშაობს სართავ საამქროში. გამრჯე ყმაწვილი ამ ერთი თვის წინ კომკავშირშიც მიიღეს.

კომბინატში შესასვლელი მუდმივი საშვი აქვს გიორგის. ალყაფის კართან ყოველ დილას გაუწოდებს გრძელუღვაშებიან ახოვან დარაჯს და ხშირად აგონდება მისი მრისხანე სიტყვები:

„ეგ ბიჭი სად მიდის!“

„ელვა“

ცვლამ ისე დაამთავრა მუშაობა, სართავი დაზგების გამაყრუებელი გრუზუნნი არ შეწყვეტილა. გოგონები ნელ-ნელა გაეშურნენ საამქროს კარისკენ.

ჯულიეტა და სოფიო საამქროში შევიდნენ. სოფიო მაშინვე სკამზე შედგა და კედელზე ქაღალდი გააკრა. ქაღალდზე ლამაზი ასოებით წერია: „ელვა“. ქვევით უფრო გამოკვეთილი ასოებით იწყება: „სირცხვილი“... და გამათრახებულია ერთი მრთველი, რომელსაც სართავი დაზგა არ გაუშმენდია, ცვლის განმელობაში უსაქმოდ ყოფილა და დღიური ნორმა ვერ შეუხსრულებია.

გოგონები „ელვას“ მიაჩერდნენ. ზოგი ხმამალა კითხულობს. ელვის უსწრაფესად მოედო მთელ საამქროს ზაირას სახელი.

— ჯერ წერა ისწავლეთ და მასეთი რამეები მერე დაწერეთ, — ხმა არ აუმაღლებია, ისე უთხრა სოფიოს განაწყენებულმა ზაირამ.

სოფიო „ელვას“ მიაჩერდა. უცებ წამოწითლდა. ისევ სკამზე შედგა და ერთ სიტყვაში გამოტოვებული ასო წითელი ფანქრით ჩაამატა.

— კი მაგრამ ჩემს მეტი ვერავინ ნახეთ უქნარა?! — სკამზე შემდგარ სოფიოს ასძახა ზაირამ.

— მაგაზე ნუ ფიქრობ, ჩვენი პროექტორის სხივები ყველა უქნარას მიწვდება, — უპასუხა სოფიომ.

სოფიო პაპაშვილი პროექტორის შტაბის უფროსია. პროექტორის შტა-

ლადო სულაბერიძე
ბიძია ქრისტოს გოგონები



ბი ფხიზლად ეძებს კომბინატში ნაკლოვანებებს და მაშინვე ამჟღავნებს მათ.

მოდევებს შეუმჩნეველად თავს წაადგა ახოვანი აგებულების, ასე ოცდაოთხთემეტი წლის კაცი, პირველი სართავი საამქროს ცვლის უფროსი, ოსტატი ქრისტეფორე დვალისძე.

— ენად ნუ გაიკრიფე, ზაირა, — დათვის თათივით ფართო და ტლანქი ხელი მხარზე დაადო ზაირას და მზრუნველად უთხრა, — გოგო, ამათ გული შესტკივით საერთო საქმეზე. შენ კი გაწყვეტილ ძაფებსაც ვერ შველი თავის დროზე. რამდენჯერ გაგაფრთხილეთ?! რითა ხარ სხვაზე ნაკლები?!

ზაირამ თავი ჩაქინძრა და ხელებში შერჩენილ თავსაფარს დაუწყო კმუჭენა.

— ჯან-ღონით სავსე გოგო ხარ, — განაგრძო ოსტატმა, — თითისტარებს თვალს არ უნდა ამორებდე. შენ კი, ვისთან მიტუნტულდე და ვინ გაუბრო, სულ იმას ფიქრობ. სწორად დაუწერიათ. სირცხვილია, სირცხვილი!

ზაირამ უცებ ორივე ხელით თავსაფარი თვალებზე მიიფარა. აქვითინდა.

ჯულიეტა ბადაგაძე კომბინატის კომკავშირის კომიტეტის მეორე მდივანია. მანამდე ეს პატარა გოგონა ფეიქრად მუშაობდა. დებივით უყვარს მკლავებზე წაკაპიწებული და წინსაფრიალი გოგონები, მათი ტყვილი საკუთარ ტყვილად მიაჩნია. ხანდახან მკაცრიც არის ზოგიერთი მათგანის მიმართ, მაგრამ ამხანაგის ცრემლებს გულგრილად ვერ შეხედავს.

ქრისტეფორემ ზაირას მხრებზე მკლავი შემოპხვია, დამშვიდდი და დაფიქრილი, დაუყვავა გოგონას და საამქროდან გაიყვანა.

ჯულიეტა და სოფიო მათ გამოყვნენ. ზაირა თავდახრილი მიჰყვებოდა ქრისტეფორეს და პატარა თითებით ცრემლიან თავსაფარს კმუჭენდა.

ბიძია ბრისტო

ქრისტეფორე საამქროში დაბრუნდა. მაღალთლიან, გრძელ და განიერ სამამქროში სართავი დაზგების ისეთი ხმაური დგას, ხმას თუ არ აუწიე, კაცს ვერაფერს გააგონებ. მაღალ და ზორბა ქრისტეფორეს არ სჭირდება ხმის ამალღება. მისი ბარატონი ქუხილივით იმის.

— ბიძია ქრისტო!

გოგონები ასე ეძახიან საყვარელ ოსტატს, ქრისტეფორეც კარგა ხანია შეეჩვივა ამას.

ქრისტეფორე გოგონასთან მივიდა.

— აგერ, ერთი თითისტარი გაჩერდა.

გრძელ სართავ დაზგაზე არფის სიმებივით ჩამწყრივებული თეთრი ძაფები ავტომატურად იგრინება და სწრაფად მბრუნავ თითისტარებს ეხვევა. 1296 თითისტარს ემსახურება ყოველი მრთველი.

ოსტატი გაჩერებულ თითისტარს დააჩერდა, დაზვის რომელიღაც ნაწილს

ხელი შეახო და თითისტარი კვლავ დაზბრიალდა.

დაზგები ავტომატურად მუშაობენ. მრთველები მხოლოდ ძაფებს შესტკივრიან და გაწყვეტილი ძაფების ბოლოებს აბამენ.

ახლა ერთი ხელით ხდება ჩაბმა. ეს მეთოდი ახალია. პირველად ეს მეთოდი ქალაქ ივანოვოს კომბინატის მრთველმა ზაიცევამ შემოიღო. მანამდე ორი ხელით ხდებოდა ძაფის ჩაბმა. ამ ახალი მეთოდით ჩაბმისას ძაფი არ ფუჭდება და დროც ნაკლები იხარჯება.

ქრისტეფორემ თითისტარი გაასწორა თუ არა, გოგონამ გაწყვეტილი ძაფის ბოლოები თითებში მოიგდო და ოსტატურად გადააბა თან მიმავალ ქრისტეფორეს კისკისით მიაძახა:

— მაღლობთ, ბიძია ქრისტო!

ქრისტეფორეს უკან აღარ მოუხედავს.

ხუთმეტი წელია ამ კომბინატში მუშაობს ქრისტეფორე დვალისძე. გო-

რის ბამბეულის კომბინატს ხუთმეტრი წლის ისტორია აქვს. 1948 წელს ჩაეყარა მას საფუძველი. ქრისტეფორე პირველივე დღიდან აქ მუშაობს. მზეთავად დაიწყო მუშაობა ჰაბუკმა კომკავშირელმა და ახლა გამოცდილი ფეიქარია, პირველი სართავი ფაბრიკის ცვლის უფროსი ოსტატია.

კარგად ახსოვს ქრისტეფორეს 1951 წლის მარტი.

საამქროებში დაზგების მონტაჟი მიმდინარეობდა. სართავი მანქანების 14 დანადგარი უკვე მზად იყო და ამუშავებს კიდევ. ციოდა. რა დაავიწყებს ქრისტეფორეს, ცეცხლი რომ ერთოთ დაზგებთან, ხელებს ითბობდნენ და ისე მიიღეს პირველი პროდუქცია, — სულ რამდენიმე კილოგრამი გორული ნართი.

პირველი სართავი ფაბრიკის კორპუსი უკვე მზად იყო. საბერტყ-საჩეჩ, საარშიე, საფთილე და საგრეხ მანქანებს დგამდნენ. ტანსკენტიდან ახალდაბრუნებული დაოსტატებული ახალგაზრდა სპეციალისტები ენერგიულად ჩაებნენ

მუშაობაში. მერე მეორე სართავი ფაბრიკაც ამუშავდა. ამას ორი საქსოვი და ერთი გამომყვანი ფაბრიკაც მიემატა და ახლა აქ ვეებერთელა კომბინატია.

წელს კომბინატმა გეგმის ზევით 30 ტონა ნართი, 400 ათასი მეტრი ხაში და 500 ათასი მეტრი მზა ქსოვილი უნდა გამოუშვას.

მაგრამ ქრისტეფორეს არასოდეს დაავიწყდება ის რამდენიმე კილოგრამი გორული ნართი, რომელიც 1951 წლის მარტში მიიღეს გორელმა ფეიქრებმა.

ის პირველი ძაფები, თითქოს იმ დიდი სიყვარულის ძაფებია, რომლითაც ასე არის დაკავშირებული ქრისტეფორე ამ კომბინატთან.

კომბინატში სულ 5 800 ფეიქარია. საქართველოში ალბათ არც ერთ კომბინატში არაა ამდენი ახალგაზრდა მუშა.

ქრისტეფორეს თვალწინ ზაირას ცრემლიანმა თავსაფარმა გაიფრიალა.

არიან ასეთებიც. მაგრამ...

პირველი დღე

სართავ საამქროში რომ შეიყვანეს, გულოს ელდა ეცა. დაზგების გამაყრუებელმა ხმაურმა შეაკრთო და მისდაუნებურად ყურებზე ხელები მიიფარა. თვალი მოჰკრა თუ არა დაზგებთან მდგარ მის ტოლ გოგონებს, ხელები მაშინვე ძირს დაუშვა.

ოსტატმა გულოს დაზგის მხოლოდ ერთი მხარე ჩააბარა. გულომ ეს-ეს არის საფეიქრო სასწავლებელი დაამთავრა, მაგრამ ახლა, პირდაპირ დაზგასთან რომ დადგა, გულმა რეჩხი უყო: ამდენ ძაფს ყურადღებას ვინ მიაქცევს.

მაშინ სოფიოც მრთველად მუშაობდა. მის გვერდით დააყენეს გულო. სოფიო ყურადღებით ადევნებდა თვალს გამოუცდელ გულოს, გაუჭირდებოდა თუ არა, მაშინვე მასთან მიიბრუნდა, უხსნიდა და შველოდა.

რამდენიმე დღეს ასე იმუშავა გულომ. ვერა და ვერ მიეჩვია ძაფის სწრა-

ვად ჩაბმას. სანამ ერთ ძაფს ჩააბამდა, მეორეს უკვე შველა უნდოდა.

ნერვიულობდა გულო.

— ეს დაზგა არ ვარგა, სხვა დაზგაზე გადამიყვანეთ, — უთხრა ერთხელ მან ცვლის უფროს ოსტატს.

ოსტატმა დაზგა დაათვალიერა.

— მშვენიერი დაზგაა, რა აზრი აქვს სხვა დაზგაზე გადაყვანას. ნუ ღელავ, დაუკვირდი.

წავიდა თუ არა ოსტატი, ერთბაშად რამდენიმე ძაფი გაწყდა. გულოს თავზარი დაეცა.

— არ შემიძლია, არ შემიძლია! — იყვრა გულომ, დაზგა მიატოვა და სირბილით საამქროდან გარეთ გავარდა.

მეორე დღეს გულო სამუშაოდ აღარ მოსულა.

ლადო სულაბერიძე
ბიძია ქრისტოს გოგონები

სამუშაოს დამთავრების შემდეგ სოფიო რამდენიმე მეგობართან ერთად საერთო საცხოვრებელში მივიდა გულოსთან. გულო იწვა.

— რა მოგივიდა, გოგო?! — საწოლთან სკამზე ჩამოჯდა სოფიო.

— თავი დამანებეთ! — თქვა კედლისკენ პირშექცეულმა გულომ, — არ შემძლია! არ მინდა!

— დამშვიდდი, გულო! შეუძლებელი რა არის, გოგო! — დაუყვავა სოფიომ, — ჩვენც გვიჭირდა პირველად. მერე შევეჩვიეთ. შენც შეეჩვიე.

— არა, არა!

— დაგეხმარებით, გოგო, — არ მოეშვა სოფიო, — შენთან ვართ ყველანი.

— არ მინდა! არ მინდა! — გაძალიანდა გულო, — თავი გამანებეთ!

სოფიო წამოდგა. გოგოებს ეწყინათ ასეთი გაჯიუტება.

— კარგი, აბა, — ძლივს ამოდერლა სოფიომ და მეგობრებთან ერთად ოთახიდან გავიდა.

რამდენიმე დღემ გაიარა; გულო არ ჩანდა. გოგონებმა გადაწყვიტეს, სულ არ გაკარებოდნენ გულოს. იცოდნენ, მარტო დიდხანს ვერ გაძლებდა.

ბევრი იფიქრა გულომ. შინ წასვლა ვერ გაბედა. რა ეთქვა მშობლებისთვის, ნაცნობ-მეგობრებისთვის! ვერ შევძელიო?! ხომ სასაცილოდ აიგდებდა მთელი სოფელი! მარტო იყო. არავინ ეკარებოდა. ბევრჯერ ინანა: რატომ სოფიოს არ დავუჯერეო. ახლა თავმოყვარეობა აჩერებდა. ინატრა: ნეტა კიდევ მომაკითხავდნენო.

და ერთ დღიას, ცვლის დაწყებამდე დარცხვენილი გულო საამქროში შევიდა. გოგონები მაშინვე შემოეხვივნენ, სიყვარულით გადააკოცნეს, გაამხნევეს მეგობარი.

ყველაზე კარგ მრთველებთან დააყენეს გულო.

ახლა იგი ერთ-ერთი საუკეთესო მრთველია. ხანდახან მეგობრები პირველ დღეს გაახსენებენ, თავი რომ ვერ გაართვა საქმეს. გვერდით მომუშავე გოგონები ზოგჯერ გასძახებენ გულოს:

— გულო, ძაფი გაგიწყდა!

— სიყვარულის ძაფი არ იყოს, გოგო!

— ჩქარა!

გულო სიცილით კვდება.

კომპაგვირული კომპლექტი

ქრისტეფორე დიდ გასაქირში ჩავარდა. მართალია, ზოგიერთი ტექნიკური მიზეზიც უშლიდა ხელს გამოცდილი ოსტატის კომპლექტს: ფთილები და მასრები აკლდათ, ზოგიერთი მანქანაც არ მუშაობდა კარგად, მაგრამ გეგმა გეგმაა. თეორიი და კვარტალური გეგმები ვერ სრულდებოდა და ეს აშფოთებდა ქრისტეფორეს.

სექტემბერში, ერთ კრებაზე კომბინატის დირექტორმა ვახტანგ სორდიამ მკაცრად გააკრიტიკა ქრისტეფორეს კომპლექტი.

კრების შემდეგ სოფიო და გულიყო კაკაუტიძე ერთად წავიდნენ შინისაკენ. გულიყო კომპლექტის კომპაგვირის პირველადი ორგანიზაციას მდივანი იყო.

— გოგო, პირდაპირ მრცხვენია, სულ ჩვენს კომპლექტზე რომ ლაპარაკობენ ასე მკაცრად, — უთხრა სოფიოს გულიყომ.

— ვმუშაობთ, ვმუშაობთ და ზოგიერთების გამო ჩვენ ვილანძღვებით.

— უნდა გადავიდე სხვა კომპლექტში. მანდ არაფერი გამოვა.

— გადასვლა უშველის საქმეს?! — მკლავი მკლავში გაუყარა სოფიომ მეგობარს, — იცი რა, გულო, ერთ რაღაცას ვფიქრობ, მოდი ვცადოთ.

— რა?!

— რა და, კომპაგვირული კომპლექტი შეეკმნათ.

— როგორ?

— როგორ და ვუთხრათ ქრისტეფორეს, ჩვენს კომპლექტში მხოლოდ კომ-

კავშირელი გოგონები გადმოიყვანოს. პირობა დაედოთ, რომ საქმეს მალე გამოვასწორობთ.

— ეგ კარგი იქნება, მაგრამ დირექტორია?!

— ჯერ ნურაფერს ვეტყვით დირექტორს. ხვალ კომკავშირის ბიუროს სხდომა მოიწვიე, იქ ვილაპარაკოთ. თუ ეს აზრი მოეწონებათ და მხარს დაგვიჭერენ, ყველაფერი მოხერხდება.

— კარგი, ვცადოთ. ბიურომ მოიწონა სოფიოსა და გულიკოს წინადადება.

გოგონები მაშინვე ქრისტეფორესთან მივიდნენ და გაანდეს თავიანთი გადაწყვეტილება. ცვლის უფროს ოსტატს ქუთაში დაუჯდა გოგონების აზრი.

ქრისტეფორემ სართავი ფაბრიკის გამგის მხარდაჭერით რამდენიმე კომკავშირელი გადმოიყვანა კომპლექტში: იამზე ხარატიშვილი, მედეა ლაბაძე, ლიანა არჯევანიშვილი, მზია ჩაჩავა, ლიანა ზარქუა, ყუყუნა არჩვაძე. ამ გოგონებმა მაშინვე აიყოლიეს კომპლექტის ყველა მრთველი.

ჯერ დირექციას ნუ გავაგებინებთ, ვცადოთ, რა გამოვაო. ორი კვირა იმუშავეს. კომპლექტში ბევრი ცუდი მრთველიც იყო. გოგონები მხარში ამოუღდნენ მათ. პირველ დღეს 800 კილოგრამი ნართის ნაცვლად 700 კილოგრამი ნართი მიიღეს. მეორე დღეს ერთი საათით ადრე მოვიდნენ, ზედმეტი საათი იმუშავეს და საღამოს დღიური

ნორმა ზუსტად შეასრულეს. მეორე გეგმასაც გადააჭარბეს.

გოგონების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

ერთ დღეს ფაბრიკის კომკავშირის პირველადი ორგანიზაციის საერთო კრება მოიწვიეს. თავიანთი აზრი კრებას გააცნეს და ახალგაზრდებს მიმართეს: ვის სურს კომკავშირულ კომპლექტში მუშაობაო.

ბევრმა განაცხადა თანხმობა.

მეორე დღეს სოფიო, გულიკო და ლიანა დირექტორთან შევიდნენ. მოახსენეს ეს ამბავი და თხოვეს, კომკავშირული კომპლექტის შექმნის ნება დაერთო.

დირექტორი დაეჰვედა.

— კი, მაგრამ შეძლებთ მაგ საქმეს?!

— პირობას ვიძლევი, — დაყინებით განაცხადეს გოგონებმა.

— კარგი, — დაეთანხმა დირექტორი, — მე ყოველმხრივ დაგეხმარებით, ოღონდ პირობა პირობაა!

და პირველი ოქტომბრიდან მუშაობა დაიწყო კომკავშირულმა კომპლექტმა. ბრიგადირად ლიანა არჯევანიშვილი აირჩიეს.

თვის ბოლოს გეგმა 103%-ით შეასრულეს. შემდეგ თვეში — 115%-ით.

ახლა პირველი სართავი ფაბრიკის კომკავშირული კომპლექტის გოგონები მთელ გორში ცნობილი მრთველები არიან.

მართი ბათვანი

ეს-ეს არის ცვლა დამთავრდა. გოგონები დაზგებს ასუფთავებენ.

ქრისტეფორე ვიღაც ქალთან ერთად რუსუდან ჯიოევას დაზგასთან შეჩერდა.

— რუსუდან! — დაუძახა გოგონას.

რუსუდანმა ძაფისა და ბამბის ფთილები მოაქუჩა, წინსაფარზე დაიყარა და ოსტატისაკენ გაემართა.

შეხედა თუ არა ქრისტეფორესთან მდგარ ქალს, აკეცილ წინსაფარს ხელი უშვა. ბამბის ფთილები ისევ ძირს მი-

მოიბნა. რუსუდანი ქალს მივარდა და ორივე ხელით კისერზე ჩამოეკიდა.

— დეიდა დარო! — სიხარულისგან აზღუქუნდა რუსუდანი.

— კარგი, კარგი, გოგო! — მღიმარე ქალმა თავზე გადაუსვა ხელი რუსუდანს.

მეგობარი გოგონები შემოეხევივნენ რუსუდანს და უცნობ ქალს.

ლადო სულაბერიძე
ბიძია ქრისტოს გოგონები

რუსუდანმა ცრემლიანი თვალები სახელოთი მოიმშრალა.

— ახლავე, დეიდა დარო... მუშაობა უკვე დავამთავრე. ჩემთან წავიდეთ.

— რა დაამთავრე, გოგო, — ღიმილით ეუბნება მოსული, — ბამბის ფთილები რომ მოახბიე, ვინ ახვეტავს!

რუსუდანმა მაშინვე მოაქუჩა ბამბის ფთილები და საგანგებო ყუთში ჩაყარა. მერე წელზე ხელი შემოჰხვია უცნობ ქალს და მეგობარი გოგონების თანხლებით სააშქროდან კომბინატის ეზოში გავიდა.

ახლა გაახსენდა რუსუდანს მეგობრები.

— გოგოებო, გაიცანით, ეს ის დარო მასწავლებელია, ჩემი აღმზრდელი, წერილებს რომ მწერს.

გოგოებმა ხელი ჩამოართვეს დაროს.

— ახლა ჩემთან წავიდეთ, დეიდა დარო, ვისადილოთ, ვიმუსაიფოთ.

— არა, შენი ჭირიმე, — იქვე გრძელ მერხზე ჩამოჯდა დარო, — მეჩქარება და იმიტომ გამოვიარე აქ.

გოგოები იქით-აქეთ მიუსხდნენ დაროს, თხოვეს, ცოტა ხნით წამოზრძანდითო.

— როგორა ხარ, რუსუდან? ხომ არაფერი გიჭირს?

— არა, დეიდა დარო, კარგად ვარ.

— დედა როგორ არის?

— ვერ არის კარგად. შაბათ-კვირას სოფელში ვარ, დედასთან.

— ვალია და მედეა?

— როგორც მოგწერე. ვალია აქ სწავლობს პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხელს ვუწყობ. მედიკო თბილისში მუშაობს ტრიკოტაჟის ფაბრიკაში.

რუსუდანი თვლებში მისჩერებია დაროს. ერთი წამით მისი პატარა, წარსულთი ცხოვრება აგონდება.

მაშა არც კი ახსოვს, ისე ადრე გარდაეცვალა რუსუდანს. დედას შვიდი ცეროდენა ბავშვი დარჩა. ისედაც ავადმყოფს, გაუჭირდა სახლ-კარისა და წვრილ-შვილის მოვლა.

გუჯარეთის სოფლის საბჭომ სპეციალურად იმსჯელა ამის თაობაზე:

სურდათ როგორმე დახმარებოდნენ თებროს.

გადაწყვიტეს: სამი და — რუსუდანი, ვალია და მედეა ახალციხის საბავშვო სახლში მიებარებინათ.

თებროს ეძენლა შვილების მოშორება, მაგრამ რა ექნა, სხვა გამოსავალი არ იყო.

ახალციხის საბავშვო სახლში რუსუდანის აღმზრდელი დარიკო ბერიძე იყო. რუსუდანმა მესამე კლასში განაგრძო სწავლა. ვალია და მედეა პატარები იყვნენ და სხვა აღმზრდელს მიანდეს.

დარიკო ბერიძემ დედობრივი ზრუნვით მალე მიიჩვია რუსუდანი. ისე დამთავრებინა რვა კლასი, ბავშვს უღედობა არ უგრძენია. დედას არ ჰქონდა იმის საშუალება, რომ ხშირად ენახა შვილები.

რვა კლასის დამთავრების შემდეგ რუსუდანმა ახალციხეშივე, სამედიცინო ტექნიკუმში ჩააბარა გამოცდები, მერე რუსუდანი და მისი დები სურამის საბავშვო სახლში გადაიყვანეს.

ცრემლებით გამოეშვიდობა რუსუდანი თავის მეორე დედას, დარიკოს.

სურამის საბავშვო სახლში ველარ გასძლო რუსუდანმა და მეგობარ გოგონასთან ერთად გორში ჩამოვიდა ტექნიკურ სასწავლებელში. ფეიქრის სპეციალობას დაეუფლა და კომბინატში დაიწყო მუშაობა.

განშორების შემდეგ დარიკოს არ გაუწყვეტია რუსუდანთან კავშირი. ხშირი მიმოწერა აქვს მასთან, ყოველი წერილი დედობრივი აღერსითა და დარიგებებით არის გამთბარი. აქ, ტექნიკუმში სწავლის დროსაც რამდენჯერმე ჩამოაკითხა რუსუდანს.

ახლაც მხოლოდ ამიტომ გამოიარა გორში.

ყოველივე ამან წამიერად ჩაიჭროლა რუსუდანის თვალწინ და დაროსთან მხიარულად მოსაუბრე გოგონებმა ვერც კი შეამჩნიეს, როგორ მოუწყლიანდა თვალები რუსუდანს.

აგრემლებულ გოგონას დარომ მკლავი მოჰხვია და მკერდზე მიიკრა.

— რატომ ტირი, შენი ქირიმე? იქნება რამე გიჭირს და მიძალავ?

— გიძალავთ, გიძალავთ, დეიდა დაბრო! — კისკისით წაწიძახა თამარმა.

— რას მიძალავს?

— ერთი კი ბიჭი უყვარს და...

— შერე?

— შერე და, ის ბიჭიც და მაგიც იმიტომ ტირიან ახლა, ქორწილი სად მოაწყონ, არ იციან.

დარო მიხვდა, გოგონები ხუმრობდნენ და თვითონაც აპყვა მათ.

— ბინას მისცემენ.

— კი, აძლევენ, მაგრამ ერთი ოთახი ქორწილისთვის არ გვეყოფათ.

ახლა კი ვეღარ შეიკავა ღიმილი რუსუდანმა.

— კარგი, თამრო, სულ ხუმრობის გუნებაზე როგორ ხარ?

— რის ხუმრობა, რა ხუმრობა, — შეუტია თამრომ რუსუდანს, — დღეს თუ არა, ხვალ მაინც წაგავლებს ვინმე ხელს. საერთო საცხოვრებელში ხომ არ ვამართავ ქორწილს?

— თამრო მართალია, — თქვა დარომ, — კომკავშირელები ხართ, მოითხოვეთ! ერთი კომკავშირული კლუბი თქვენს კომბინატს მართლაც რომ დაამშვენებდა. კომკავშირული ქორწილები! ახალგაზრდული გართობანი!

გოგობმა ერთმანეთს გადახედეს.

— სწორია, გოგობო! — შუბლზე თითი მიიღო და წამოიძახა მედეამ, — გულიკო, შენ ჩვენი ფაბრიკის კომკავშირ ხარ, უცოლო ბიჭების და გასათხოვარ გოგობების სახელით დასვი საკითხი, სადაც ჯერ არს!

დარო წამოდგა. გოგობები წამოიშალნენ.

— რუსუდან, გენაცვალე, ახლა წავალ, უკვე მატარებლის დროა. მომწერე, თუ რამე დაგჭირდეს. ჭკვიანად იყავი! — უთხრა დარომ რუსუდანს.

გოგობმა სადგურამდე გააცილეს დარო. რუსუდანი აცრემლებული გამოემშვიდობა საყვარელ აღმზრდელს.

„ოლილე, ოლილე“

კომბინატში ხშირად მოდიან უცხოელი სტუმრები, მაგრამ სოფიოს ყოველთვის განსაკუთრებით სასიამოვნო მოგონებად დარჩება შარშან ოქტომბერში ლიტველი ახალგაზრდა ფეიქრების სტუმრობა. სტუმრები საათობით იდგნენ დაზგებთან და ყურადღებით შესცქეროდნენ ქართველ კოლეგებს.

პირველ დღეს შეხვედრა მოუწყვეს მათ. შერე დიდი ბანკეტი გაუმართეს.

ბანკეტზე სუფრასთან სოფიო სტასის კმჩენავიჩიუსის გვერდით აღმოჩნდა. თავაზიანი ახალგაზრდა იყო სტასისი. მისმა განსაკუთრებულმა ყურადღებამ ოდნავ უხერხულობაში ჩააყენა მორცხვი სოფიო.

— თამამად, გოგო! — სტუმრის შეუმჩნეველად უთხრა მოპირდაპირე მხარეს მჯდომმა ჯუღლიეტამ.

სოფიოც თანდათან გათამამდა; შეეჩვია უცხო სტუმრის თავაზიან მოპყრობას. ბევრი ისაუბრეს. შერე ისიც

უთხრა, ჩვენი წესია, სადღეგრძელო ბოლომდე უნდა დაილიოსო! სოფიოს ცქრიალა თვალებით და გულთბილი ღიმილით მოხიბლულმა სტასისმა ბოლომდე გამოსცალა რამდენიმე ჭიქა.

სტუმრებმა მშობლიური სიმღერა წამოიწყეს. სიმღერაში ხშირად ისმოდა რეფრენისებური „ოლილე, ოლილე“. სტასისმა სოფიოს სთხოვა „შენც აგვევიო“. ქართველმა გოგობმა და ვაჟებმა მაშინვე ალღო აუღეს ლიტვურ მელიოდის და სტუმრების სიმღერას აპყვენენ.

ქართულმა სიმღერებმა და ცეკვებმა სტუმრები მოხიბლეს. ეს იყო ლიტველი და ქართველი ახალგაზრდა ფეიქრების ნამდვილი მეგობრული ღზინი.

სტუმრები აღფრთოვანებულნი წავიდნენ გორიდან.

ლადო სულაბერიძე
ბიძია ქრისტოს გოგონები

ცოტა ხნის მერე სოფიომ სტასისის წერილი მიიღო ლიტვიდან. სახეზე სიწითლემ გადაუარა და წერილი ჩაიკითხა.

„გამარჯობა, სოფიო!

აქ ჩვენს მეგობრებს ვუამბებთ თქვენთან ყოფნის ამბავი. ახლა ისინი ჩვენ გვეძახიან „ჩვენი ქართველებიო“. როცა ერთმანეთს დაეშორდით, იმ დამეს მე

ძალიან ბევრი ვიფიქრე. მსურდა კიდევ გაგრძელებულიყო ჩვენი შეხვედრა. მე არასოდეს დამავიწყდება შენი ღიმილი. ძალიან მინდა კიდევ ჩამოვიდეთ და გნახო. ალბათ ეს ასეც მოხდება“.

საპასუხო წერილს რომ წერდა, სოფიოს შორეული ტკბილი ჰელოდის ხმები უამებდა ყურთასმენას:

„ოლილე, ოლილე“.

ვაზების ხეივანში

სადაც ახლა გორის ბამბეულის კომბინატის კორპუსებია აღმართული, ხუთმეტრი წლის წინათ ტინისხიდის ვენახები იყო გაშლილი. აჰკაფეს ის ბებერი ვაზები. მათი ფესვები მიწაში ჩარჩა და კომბინატის ბალავარი იმ ფესვებზე დაყრდნობილი.

თითქოს კვლავ გახარებულა ამ მადლიან მიწაში ჩარჩენილი ვაზის ფესვები. კომბინატის გასწვრივ ახალი სახლებია პატარ-პატარა ეზოებით. ფეიქრების ეზოები კვლავ ვაზებმა დაფარა. ტალავერებზე ვაზის მწვანე ფოთლები შრიალებენ.

ვაზების ხეივანში სამი ყმაწვილი ნელი ნაბიჯებით მიემართება კომბინატი-საკენ. ერთს კომბინატის გაზეთი გაუშლია და ხმამაღლა კითხულობს:

„იცი თუ არა შენ...“

...რომ გორელი ფეიქარი რაციონალიზატორები შეიდწლედის ფონდში შეიტანენ მილიონ ხუთასი ათას მანეთ ეკონომიას?

...რომ ჩვენმა დესინატორებმა შექმნეს ახალი სახის ქსოვილები, საკაბე „ზაფხული“, საკაბე-საკოსტუმე „ვარძია“, საკაბე „გორი“?

ყმაწვილებს ჯულიეტა და სოფიო წამოეწიენენ. „სამნი ძმანი მზეთავე-ბიო“, ჩაილაპარაკა ჯულიეტამ.

საფეიქრო სასწავლებლის ეზოდან დეიდა ნინომ მოჰკრა მათ თვალი და გოგოებს გასძახა:

— ისწავლა რამე მაგ დასამიწებელმა?!

ჯულიეტამ გიორგის გადახედა და დეიდა ნინოს მიუბრუნდა:

— დეიდა ნინო, კაცი დაწყევლის ახლა ამისთანა ბიჭს!

კომბინატის შესასვლელთან მდგარი გრძელლუვაშებიანი დარაჯი აღარ ამბობს გიორგიზე, „ეგ ბიჭი საით მიდისო“. გიორგის უკვე კომბინატის მუშის მუღმივი საშვი აქვს და დარაჯმა კარგად იცის, საით მიდის ეს შავტუხა ბიჭი.





ბიოგრაფიული ნაშრომი

უკრაინული ლიტერატურის სიამავე

დიდი უკრაინელი პოეტი ქალის ლესია უკრაინკას გარდაცვალებასთან დაკავშირებით ბოლშევიკური გაზეთი „რაბოჩია პრავდა“ („პრავდა“) ნეკროლოგში წერდა: „ლესია უკრაინკა ახლო იდგა განმათავისუფლებელ მოძრაობასთან და კერძოდ პროლეტარულ მოძრაობასთან, და მთელი თავისი ძალა მას შეაღია. ლესია უკრაინკა გარდაიცვალა, მაგრამ მისი გამამხნეებელი შემოქმედება კიდევ დიდხანს მოგვიწოდებს ბრძოლისკენ“. ასეთი მაღალი შეფასება შესანიშნავმა პოეტმა თავისი უაღრესად მრავალფეროვანი და ღრმა-შინაარსიანი შემოქმედებით და ცხოვრებით დაიმსახურა.

ლესია უკრაინკა (ლესია პეტრეს ასული კოსაჩი) დაიბადა ძველ, ისტორიულ ქ. ნოვოგრად-ვოლინსკში 1871 წლის 10 მარტს. ბავშვობა გაატარა ვოლონის სოფელ კოლოდიაევში, აქ გაეცნო ის

სოფლის ცხოვრებას, ადგილობრივ ფოლკორს, მშობლიური ენის სიმდიდრეს.

ლექსების წერა ადრე დაიწყო. 8 წლის გოგონამ დიდი მწუხარება განიცადა: მისი მამიდა ელენე კოსაჩი დაატუსაღეს და ოლონეცის გუბერნიაში გადაასახლეს, ამასთან დაკავშირებით ლესიამ დაწერა ლექსი „იმედი“. 13 წლისა იყო, როდესაც მისი ლექსები უკვე იბეჭდებოდა ჟურნალში. ლექსების გარდა მან დაწერა მრავალი პოემა, დრამა. მოთხრობა. აგრეთვე წერილები, სადაც ამხელდა ბურჟუაზიული მწერლების სიყალბესა და გამყიდველობას.

და აი, ლესია უკრაინკას გარდაცვალების 50 წლის თავზე მთელი ქვეყნის პროგრესული კაცობრიობა იგონებს და პატივს სცემს მის ხსოვნას.



თავისი გენიალური შემოქმედებით ლესია უკრაინკა ემსახურებოდა ხალხების გამათავისუფლებელ მოძრაობას, მოუწოდებდა მუშებს ინტერნაციონალური სოლიდარობისაკენ.

ლესია უკრაინკას გარდაცვალებიდან, როგორც ვთქვით, ნახევარი საუკუნე გადიდა. მაგრამ მისი შეხედულებანი ხელოვნებაზე, კერძოდ, პოეზიაზე, მის დანიშნულებაზე დღესაც უაღრესად აქტუალურია. ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს დიდი უკრაინელი დემოკრატიკული რევოლუციონერი მწერალი ი. ფრანკო ასე ახასიათებდა ლესია უკრაინკას შეხედულებებს პოეზიის დანიშნულებაზე: „პოეზია, ლესიას აზრით, დამატებითა თავისუფლებისა და ადამიანური უფლებებისთვის ბრძოლისაკენ მგზნებარე მოწოდებაა. ყველგან და ყოველთვის პოეზია — ცხოვრების საპირობებთა მსახურია, მსახურია იმ უმაღლესი იდეური წესწყობილებისა, რომელსაც ადამიანები მიჰყავს მოქმედებისკენ, პროგრესისკენ, თავისი ბედის გამოსწორებისკენ“.

ასე ესმოდა ლესია უკრაინკას პოეზია, რომელსაც მან მთელი თავისი სიცოცხლე და სულიერი ენერგია შეაღწია. პოეტს სწამდა, რომ თავისუფლებისაკენ მომწოდებელი მისი სიმღერა საპირო იყო რევოლუციისათვის, საპირო იყო მშრომელი ხალხისათვის. ეს ავადმყოფი ადამიანი, რომელსაც ჯერ კიდევ რვა წლის ასაკში ძვლების ტუბერკულოზი აღმოაჩნდა, არ ზოგავდა თავს, არ ეშუებოდა ტკივილებს და ყველაფრით ეხმარებოდა მშობელ ხალხს, თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში.

ივანე ფრანკო წერს: „შეგჩენკოს ლექსის შემდეგ „დამმარხეთ და წამოდეთ“ უკრაინას არ მოუსმენია ასეთი მძლავრი, მსურვალე პოეტური სიტყვა, როგორც ამ სუსტი, ავადმყოფი გოგონას პოეზიაა. როდესაც კითხულობ თანამედროვე ახალგაზრდა უკრაინელი მამაკაცების ნერვიულ ნაწერებს და აღარებ ლესია უკრაინკას მხნე, თამამ, ძლიერ და ამავე დროს უბრალო, გულწრფელ სიტყვებს, უნებურად ფიქრობ,

რომ ეს ავადმყოფი, სუსტი გოგონა თითქმის ერთადერთი ვაჟაცაია მთელს თანამედროვე უკრაინაში“.

რევოლუციის ერთგული ლესია უკრაინკა დიდი პრინციპული ადამიანიც იყო და თავის დღეში არავის არ აპატიებდა ბრძოლის გზიდან გადახვევას. 1896 წელს საფრანგეთში მიიწვია ნიკოლოზ მეორე. ლესია უკრაინკამ თავის წერილში სასტიკად გაამათრახა საფრანგეთის კულტურის მუშაკები, რომლებიც აღფრთოვანებით, გულლიად მიეგებნენ რუსეთის მეფეს. იგი წერდა: „ზიზღი პირფერ ქნარს, რომლის მლიქვნელი სიმებიც მუსიკით ავსებდნენ ვერსალსი...“

* ივანე ფრანკო დიდი მეგობარი იყო ლესია უკრაინკასი. პოეტი ქალი მას დიდი პატივისცემით ეპყრობოდა და თავის მასწავლებლად სთვლიდა. მაგრამ აი, ერთხელ ივანე ფრანკომ ერთ თავის წერილში პოლიტიკური შეცდომა დაუშვა. ლესია უკრაინკამ ეს დიდად მახლობელი და პატივცემული ადამიანიც არ დაინდო და ვრცელი წერილით გაილაშქრა მის წინააღმდეგ, საქვეყნოდ ამხილა მისი შეცდომა.

ლესია უკრაინკა ყოველთვის მკიდროდ იყო დაკავშირებული თავისი ხალხის პოლიტიკურ ცხოვრებასთან და ეს აძლევდა მის პოეზიას დიდ რევოლუციურ აღმადგენას. მრავალი ენის მცოდნე ლესია უკრაინკა კარგად ერკვეოდა ევროპის ლიტერატურაში. თავის წერილებში ის ამბობდა, რომ თანამედროვე ლიტერატურაში არსებობს ორი შეუპოვებელი ბანაკი: დემოკრატიული, რომელიც იბრძვის ხალხების უფლებებისთვის, და ბურჟუაზიულ-დეკადენტური, რომელიც მმართველი წრეების ინტერესებს ემსახურება. რევოლუციონერისა და დემოკრატიკული პოეზიებიდან მან სასტიკად გაანადგურა დასავლეთ ევროპის დეკადენტების, კერძოდ, იტალიისა და პოლონეთის მწერალთა „დამამტკიცებელი საბუთები“ პოლიტიკისაგან მწერლის „თავისუფლების“ შესახებ. იგი ამბობდა, რომ

ქეშმარიტი, მაღალიდებული, ხალხური ხელოვნება უნდა ემსახურებოდეს შრომელი ხალხის გათავისუფლებას, ახალი საზოგადოების, ახალი ქვეყნის შექმნას, სადაც აღარ იქნებიან მჩაგვრელები და ჩაგრულები.

თავის დროზე მან დაჰგმო იტალიური ფუტურიზმი და მათი მეთაური დანუნციო, რომელიც შემდეგ იტალიური ფაშიზმის იდეოლოგი გახდა.

სიცოცხლის უკანასკნელი წლები ლესია უკრაინკამ საქართველოში გაატა-

რა. ეს წლები მისი შემოქმედების საუკეთესო წლები იყო. მისი რევოლუციური ქნარი აქ უფრო მძლავრად ჟღერდა. სწორედ აქ დაწერა მან თავისი ბრწყინვალე „ტყის სიმღერა“.

დღეს კულტურული კაცობრიობა მადლიერების ვრძნობით იხსენებს დიდ პოეტს და ფართოდ აღნიშნავს მისი გარდაცვალების ორმოცდაათი წლის-თავს.

გიორგი ნამორაძე
უკრაინული ლიტერატურის სიამაყე



6166 ჩიხლაძე

ნოე ჩიხლაძე

დაბადებიდან 80 წლისთვის გამო

ოთხმოცი წელი შესრულდა ცნობილი ქართველი პოეტის ნოე ჩიხლაძის დაბადებიდან. რევოლუციამდელ ქართველ პოეტთა შორის მას განსაკუთრებული ადგილი უკავია.

პოეტი თავისი მებრძოლი კალმით მუდამ მხარში ედგა მუშათა კლასს. თავისი საუკეთესო ლექსებით იგი სწორედ მშრომელ ხალხს უმღეროდა და მის ფიქრსა და მისწრაფებებს გამოხატავდა.

ნოე ჩიხლაძის მშფოთვარე პოეტური სული დიდი ოსტატობით გადმოსცა ალ. აბაშელმა მისადმი მიძღვნილ ლექსში.

„...ქვესკნელს დასთხრიდნენ შენი ფესვები,
მიწას პოეტად რომ არ ეშობე“.

ნოე ჩიხლაძე მართლაც ქეშმარიტი, ჩაგრული ხალხის პოეტი იყო მთელი თავისი არსებით. მას ნამდვილად ჰქონდა უფლება, ეთქვა: „მე საყვირი ვარ საქართველოს დაჭრილ გულისა და ფარხმალი დაჩაგრულისა“. მთელი მისი ცხოვრება და შემოქმედება ამ სიტყვების დადასტურებაა.

ნოე ჩიხლაძე დაიბადა 1883 წელს სოფელ დიდ ჯიხაიშში, ღარიბი გლეხის, ალექსი ჩიხლაძის ოჯახში. სიღარიბე, გაჭირვება პატარაობიდანვე დაეხმობოდა მისთვის პოეტს.

ათი წლის ნოემ მებატონე მიქელაძის კარზე სამსახურის დროს საკუთარ თავზე გამოსცადა ჩაგრულთა მძიმე ხვედრი და სოციალური უთანასწორობა. დაჩაგრულის გამოსარჩლება ბავშვობიდანვე მისი სტიქია იყო.

ნოე ჩიხლაძე ვერც ფოთის სამოქალაქო სასწავლებელში გამეფებულ მკაცრ რეჟიმს შეეგუა, ბიუროკრატ მასწავლებლებთან უთანხმოება მოუვიდა და სასწავლებლიდან დაითხოვეს.

მაღე საარსებო წყაროს საძებრად იგი ბათუმში მიდის. იქ პოეტი ბათუმის მუშათა არალეგალურ წრეებს უკავშირდება.

1904 წელს ნ. ჩიხლაძე გაზეთ „რევრიანი“ აქვეყნებს თავის პირველ, რევოლუციური ხასიათის ლექსს. მუშათა რაიონებში გატაცებით კითხულობენ ნ. ჩიხლაძის ლექსებს, მიმართულს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

იწყება 1905 წლის რევოლუციის ქარიშხლიანი დღეები. ოცდაორი წლის ნ. ჩიხლაძე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, თავის უახლოეს სულიერ მეგობრებთან — ირ. ევდოშვილთან, ქლომთათიძესთან და სხვებთან ერთად აქტიურადაა ჩაბმული რევოლუციურ მოძრაობაში.

რევოლუციამი მონაწილეობისათვის პოეტი იჯდა ქუთაისისა და ქიათურის ციხეებში.

ნოე ჩიხლაძის შემოქმედებაში მკვეთრად აისახა მუშათა კლასის ცხოვრება.

რევოლუციამდელი ლიტერატურული კრიტიკა თავიდანვე აღფრთოვანებით შეხვდა ახალგაზრდა ნიჟიერი პოეტის გამოჩენას. შესანიშნავი ლექსების — „მქედლის“, „ბოგანოს“, „მონა ქალის“ ავტორი მეტად პოპულარული გახდა.

ნოე ჩხიკვაძემ, როგორც პიროვნებამ და პოეტმა, მისი უფროსი თანამოქალმისა და მეგობრის, ირ. ევლოშვილის დემოკრატიული იდეების ცხოველყოფილი გავლენა განიცადა. ამ გავლენის მიუხედავად, პოეზიაში იგი მეტად თავისებურ ფიგურად დარჩა.

ნოე ჩხიკვაძის შემოქმედებაში ლექსს „N-ს“ განსაკუთრებული ადგილი უკავია. ჩვენ არ შეგვიხებიათ ამ ლექსის დაწერის ისტორიას, რადგან ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში იგი საკმაოდ აცნობილი. ამ ნაწარმოების ღრმად შთაბრუნებული სტრიქონებიდან მარტოდ დარჩენილი ადამიანის სულიერი ღაღადისი გვესმის.

„ვინ მკითხულობს?... ვინ დამეძებს?..“

ვის ვუყვარვარ მე? ატრემლებულ თვალთ ვაცეცებ, მოდი ხმა გამე, ირგვლოვ ცივა... სისხლიანი ღამეა, ღამე; გული მტკივა, სანუგეშო მითხარი რამე!“

ეს ლექსი ერთ-ერთი საუკეთესოა არა მარტო ნ. ჩხიკვაძის შემოქმედებაში, არამედ მთელს ქართულ პოეზიაში.

ნოე ჩხიკვაძე ლექსების გარდა სწერდა პოლემიკური ხასიათის წერილებსა და კორესპონდენციებს. იგი დაუნდობლად ამატრახებდა გლეხობის მყვლეფელ მოხელეებს, ჩინოვნიკებს, სოფლის წურბელებს.

ნოე ჩხიკვაძის პოპულარობას ხელი იმანაც შეუწყო, რომ პოეტი ჩინებული ორატორი იყო. მის სიტყვას მსმენელებზე დიდი შთამაგონებელი ძალა ჰქონდა.

ნოე ჩხიკვაძის თანამედროვეთ ახლაც ახსოვთ პოეტის გამოსვლა ჭოლა ლომთათიძის დასაფლავების დღეს, როცა დაკრძალვა მეფის საწინააღმდეგო მიტინგად გადაიქცა და ნოეს სიტყვის ზეგავლენით ყაზახებმა თოფები დაყარეს. უსამართლობასთან ასეთი შეურიგებელი ბრძოლის გამო პოეტის სიცოცხლე მუდამ საფრთხეში იყო. მას არასოდეს არ ჰქონია დალაგებული პირადი ცხოვრება, ოჯახური მყუდროება. მიუხედავად დიდი გაჭირვებისა, მას თავისი მარწამსისთვის არასდროს არ უღალატნია და კალამი არ გაუყვია.

პოეტის ახლო მეგობარი, მწერალი ქალი ლიდია მეგრელიძე წერს:

„როცა ახალგაზრდა ნოე ჩხიკვაძემ სატირული ლექსი დაწერა, ლეონიდე ბისკოპოსის კანცელარიის შესახებ, შეურაცხყოფილმა ეპისკოპოსმა ავქსენტი მეგრელიძის ხელთ ერთი ქისა ოქრო გაუგზავნა პოეტს, რომ ამოეშალა თავისი ლექსიდან ყველაზე სუსხიანი ადგილები.“

ნოემ ამაზე ასე შეუთვალა სულიერ მამას — მგოსანი არასოდეს სულს არ გაყიდისო!“.

უდროოდ ჯანგატიხილი პოეტი გარდაიცვალა 37 წლის ასაკში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ერთი წლით ადრე. იგი სიცოცხლეში ვერ მოესწრო მშობელი ხალხის ბედნიერებას, მაგრამ ღრმად სწამდა მისი ნათელი მომავალი. პოეტი წინასწარ გრძნობდა მონობის ხუნდების დამსხვრევას.

„დაჰკრეს ეამი მეხს დააფრქვეს წარღვნის ქარი. შენს ნანგრევზე ახალ ყოფის ხალხი მოვა. აყვავდება გარუჯული მთა და ბარი და დიდების, სიყვარულის მზე ამოვა.“

რეაქციის მძიმე წლებში პოეტს უიმედო განწყობილება, მწვავე პესიმიზმი ეუფლებოდა. არსებული სინამდვილით შეშფოთებული ნ. ჩხიკვაძე ასე გამოხატავდა გულისტკივილს:

„მე ვერ ვპოულობ ნეტარებას სინამდვილეში, სინამდვილეში გული ჩემი სევლით მკვდარია, ბედნიერება არ მინახავს სინამდვილეში, ჩემი სიცოცხლე მხოლოდ ტანჯვა, გლოვა-ზარია!“

მაგრამ ეს არ ყოფილა საბოლოო სასოწარკვეთა და რაინდული სულის პოეტი უსამართლობის დასამბობად კვლავ ბრძოლის ტინით იცეზებოდა.

ნოე ჩხიკვაძის დაძაბული, ხანმოკლე ცხოვრება, მისი მგზნებარე პოეზია ხალხის უანგარო სამსახურის შესანიშნავი მაგალითია.

ნინო ჩხიხლაძე
ნოე ჩხიკვაძე

ივანე იმნაიშვილი

მხატვრული ენის ზოგიერთი საკითხი

I

მხატვრული ენის ანალიზსა და შესწავლას სხვადასხვა დარგი იჩემებს თავის საგნად. ზოგის აზრით იგი, როგორც ენა, ენათმეცნიერების კომპენტენციაში შემოდის და ამ მეცნიერებამ უნდა განიხილოს და შეისწავლოს; ზოგის შეხედულებით მას უნდა სწავლობდეს ლიტერატურათმცოდნეობა, რამდენადაც ამ შემთხვევაში ლაპარაკია არა ჩვეულებრივს ენაზე, არა იმ მასალაზე, რასაც ლინგვისტიკა იკვლევს, არამედ მხატვრულ ენაზე, ენის საშუალებით მიღწეულ მხატვრულ გამომსახველობაზე, ერთი სიტყვით, მხატვრულ, პოეტურ საშუალებებსა და გზებზე, რომლებსაც მხატვრულ ნაწარმოებებში იყენებენ. მესამენი საჭიროდ თვლიან, რომ მხატვრული ენის შემსწავლელი დისციპლინა ცალკე გამოიყოს, როგორც მეცნიერების სხვა, ახალი დარგი. რასაკვირველია, ამ საკითხების დაწვრილების განხილვას ახლა ჩვენ ვერ შეუვდგებით, ეს სპეციალისტების საქმეა. ვიტყვით მხოლოდ, რომ სიმართლის გარკვეული ნაწილი სამივე შეხედულებაშია. ამ საფუძველზეა, რომ ნაწარმოების მხატვრულ ენას გარკვეული თვალსაზრისით ენათმეცნიერიც სწავლობს და ლიტერატურათმცოდნეც; მათ თავ-თავიანთი კუთხე და საზომი აქვთ, ისინი სხვადასხვა მხრიდან უდგე-

ბიან ერთსა და იმავე საკითხს და სხვადასხვა თვალსაზრისით და სხვადასხვა მიზნით განიხილავენ. ექვი არაა, ნაწარმოების მხატვრული ენა, უპირველეს ყოვლისა, მაინც ენაა, ის ყველა იმ კანონს ექვემდებარება, რომელიც ენაში გვაქვს, იცვლება ამ ენის ცვლილებასთან ერთად, ვითარდება და იხვეწება ამ ენის საერთო წინსვლასთან ერთად, მდიდრდება და სრულყოფილი ხდება, როგორც თვით ენა. ნაწარმოების, მწერლის მხატვრულ ენას ვერ მოვწყვეტთ სალიტერატურო, სალაპარაკო ენას. ის ამ უკანასკნელის საფუძველზე უნდა განვიხილოთ. ამიტომ მხატვრული ენის განხილვა და შესწავლა, მისი ანალიზი და თავისებურების გარკვევა დიხაბც რომ ენათმეცნიერებსაც ევალებათ. მხატვრული ენის გარკვეული ენობრივი თვალსაზრისით შესწავლა ენათმეცნიერების აუცილებელი და შეუვალაი საქმეა. რასაკვირველია, ჩვენ არ ვამბობთ, რომ მხატვრული ენის სპეციფიკის შესწავლა ენათმეცნიერული ანალიზით უნდა იწყებოდეს და მთავრდებოდეს. არა. ენათმეცნიერს აქ აქვს თავისი, ენათმეცნიერული მიზნები და ამოცანები, მას სურს მხატვრული გამოსახვის წმინდა ენობრივი. საშუალებების გამოკვლევა, ამ საშუალებების ლინგვისტური ანალიზი. ლიტერატურათმცოდნეობას რჩება თავისი სფერო, თავისი კუთხე წმინდა მხატვრული თვალსაზ-

რისით კვლევისათვის. ამნაირად, მხატვრული ენის კვლევის საქმეში ენათმეცნიერები თავის კუთვნილ წილს ითხოვენ და მას წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისით განიხილავენ.

II

ამჟამად ჩვენ გვინტერესებს, ჩვენი თვალსაზრისით განვიხილოთ რ. თვარაძის მიერ შესრულებული ქართული თარგმანი ავეტიქ ისააკიანის პოემისა „აბუ-ლალა-მაარი“ („მნათობი“, № 5, 1962, გვ. 70-79). ეს თარგმანი საერთოდ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. მთარგმნელმა ძალიან კარგად გადმოსცა ორიგინალის თავისებური განწყობილება, ნაწარმოების გმირის მაღალი მისწრაფება და ბოზობა სული. როცა რ. თვარაძის ამ თარგმანს კითხულობთ, ხელშესახებად გრძნობთ ცხოვრების უსამართლობითა და ადამიანთა დაცემულობით ამხედრებული გმირის მღელვარე სუნთქვას, მის მძიმე სულისკვეთებას, ცის ლაქვარდებში მჭროლავ შერუჯულ სახეს. არსებულ პირობებთან და ბედთან შეურიგებლობით ეს ნაწარმოები მოგვაგონებს ნ. ბარათაშვილის „მერანის“ საერთო განწყობილებას. ეს თვით ავტორმაც აღნიშნა, როცა ამ პოემის პირველი ქართული თარგმანის გამოსვლასთან დაკავშირებით თქვა: „მონარული ვარ, შეძლება მაქვს განვაცხადო, რომ ჩემი უფროსი ძმა ნიკო ბარათაშვილი იყო ამ პოემის შთაგონება“ (ავ. ისააკიანი, აბუ-ლალა-მაარი, თარგმანი ტიციან ტაბიძისა, 1931, გვ. 11)¹.

რ. თვარაძის ამ თარგმანთან დაკავშირებით ჩვენ გვინდა რამდენიმე საკითხს შევხებოთ. ერთ-ერთი ამ საკითხთაგანია

¹ არსებობს ქართულ ენაზე ამ პოემის შესამე მხატვრული თარგმანი. ის ეკუთვნის სომხური ენის სპეციალისტს დოც. ივ. შილაკაძენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით გამოქვეყნებული არაა.

შესაძლებელია ასე გამოვხატოთ: შეიძლება თუ არა თანამედროვე პროზასა და პოეზიაში, ნათარგმნი იქნება იგი თუ ორიგინალური, გამოვიყენოთ ძველი ქართული ენა: გავაცოცხოთ ზოგი ზმარებიდან გასული სიტყვა, აღვადგინოთ ზოგიერთი სპეციფიკური ფორმა და გამოთქმა, რომ ნაწარმოებს მიესცეთ ძველებური ელფერი და სურნელება? (ძველ ქართულზე აქ ლაპარაკია ფართო გაგებით და მოიცავს პერიოდს V—XVIII საუკუნეებისას). თუ რ. თვარაძის აღნიშნული თარგმანის მიხედვით ვიმსჯელებთ, ამ კითხვაზე გაცემულია უყოყმანო დადებითი პასუხი. და რამდენადაც ასეთი ოპერაციის შედეგი, ჩვენი აზრით, უეჭველად დიდი და მნიშვნელოვანია, არ შეიძლება მთარგმნელის ამ ნაბიჯს ანგარიში არ გავუწიოთ და ჩუმად გვერდი ავუაროთ. მაგრამ ჯერ ვნახოთ, როგორაა აქ წარმოდგენილი და რა ვითარებაშია გამოყენებული ძველი ქართულის სიტყვები და ფორმები.

აბუ-ლალა-მაარი... დიდხანს ცხოვრობდა ხალიფების ბრწყინვალე ქალაქში შვებითა და დიდებით **მორკმული** 0,4¹.

დიდგვაროვანთა და ჩინებულთა ნადიმებზე **მეინახედ** მჯდარა 0,5.

და ვინაიდან არ ჰყავდა ცოლი და არც მემკვიდრე **ესვა** 0, 13.

მიაქციეთ ყურადღება, როგორი ძნელად დასაჰერი ნიუანსია ფორმებში **ჰყავდა** და **ესვა** (არ **ჰყავდა** ცოლი, და არც მემკვიდრე **ესვა**) და რამდენად უფრო ღარიბი და ნაკლებფექტიანი იქნებოდა ფრაზა, მთარგმნელს **ესვა** რომ არ შემოეთქანა: და ვინაიდან არ ჰყავდა

¹ მძიმის წინ დასმული 0 პროლოგს აღნიშნავს, 8 — ეპილოგს, 1,2,3,4,5,6,7 — თავებს, ხოლო მძიმის შემდეგ წარმოდგენილი რიცხვები — სტრიქონებსა (პროლოგში) და სტროფებს (ყველა სხვა შემთხვევაში).

ცოლი და არც მეგვიდრე!¹ ამ ესვა-
სთან დაკავშირებით ყველა განათლ-
ებულ ქართველს მოაგონდება რუსთვე-
ლის უკვდავი სტრიქონი: სხვა ძე არ
ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტო ასუ-
ლი. და ეს ცუდი როდია.

იღუმალ დააგდო ქალაქის კარიბჭე
0,17.

და ეღვრებოდა შემოგარეებს

უტკბეს გალობად ზილი ზარების 1, 2.

მერმე ხელახლა ზილი ზარების

მთვლემარე ველებს გაეხმიანა 1, 23.

ნ. ბარათაშვილის „შემოგარენის“ შემ-
დეგ ამ სიტყვის აღდგენა და გამო-
ყენება სრულიად კანონიერია. აქ იგი
მშვენიერ გარემოცვაშია ნახმარი. „ზი-
ლი ზარების“, ასე დაეინებით რომ
ხმარობს მთარგმნელი სხვადასხვა აღგი-
ლას, შემთხვევითი არაა: აქ ზილ-ის
აღდგენასთან ერთად ყურადღებას იქ-
ცევს ზენების ნაზი ალიტერაცია: ზილი
ზარების. ეგ ზ იმავე II სტროფში პირ-
ველსავე სტრიქონში მეორდება ორჯერ:
მიირწეოდა, გზას მიზომავდა.

ასეთი მითქვამს გულს ზენაარი 1,8.

უდაბნო თვალშეუღღამი 1,9.

თვალშეუღღამი... თავისუფლება 7,4.

და უდაბნოს თვალშეუღღამი

ცეცხლად აღანთო სივრცე ყოველი
7,9.

ურვა და დრტვინვა სახლეულთაგან
ყრუ უდაბნოში მომწვედეს აღარა
1, 10.

ვეტრფოდი მოყვანს, ტოლებს, მეგობ-
რებს 1,11.

სალ კლდეებს შორის, ნადირთა თანა
1,15.

რომელსაც წრფელი და უბოროტო
ვაგლან, შევეტრფოდი მოუწყინარედ
1,17.

¹ დედანში არის: „და ვინაიდან არ ჰყავდა
ცოლი და ბავშვები“. ესარგებლობ ივ. შილა-
კაძის მიერ შესრულებული პუკარედით. პოემის
პუკარედი და მხატვრული თარგმანი სარგებ-
ლობისათვის თავაზიანად დავკითხო მთარგმნელ-
მა, რისთვისაც მას გულწრფელ მადლობას მო-
ვასსენებთ.

არად ვინდომო კაცთა სიახლე,
მათთან სერობა არ მოვინატრო 1, 19.
ვიდრე ირწმუნო დიაცის ფიცი —
ეშმაკეულის ავი ცდუნება 2, 5.
რადგან მიცენია მოდგმა კაცისა
ნიღაბით მოსილ ეშმაკეულად 6,6.
რომელიც ისვრის და წამოგრაგნის
ერთუბრის მგესლავ გველის წიწი-
ლებს 2, 14.

როსმე აღერსი თუ მომინდების 2, 18.
აღარ დავბრუნდე მუნ მისთანავე
2, 17.

ტკბილი სიზმარი ვერ შეიწყნარეთ
3, 14.

მუნ მივაშუროთ, სად სიმარტოვის
შორნი ნათობენ სანაპირონი 3, 18.
ფიქრს მისცემოდა, გონს იუნჯგებდა,
სანახებს ვლიდა არდახანებით 2, 24.
გადავიღიდა უცხო სანახებს 6, 30.
ერთუბრის რომ აშთობთ და ამ ქვეყა-
ნას

იქმთ ჯოჯოხეთად და გენიად 3, 12.
მოვალს ქამი და წარხოცავს ყოველს
3, 13.

არ შეიმოკლო გზა, ქარავანო,
მარადის გესავ მგზავრი გვიანი 3, 17.

ეს ზმნა (გესავ), სამწუხაროდ, დღეს
დაკარგულია. მისი შინაარსის ერთი
სიტყვით გადმოცემა შეუძლებელია.
გესავ ნიშნავს „შენი იმედი მაქვს“, „შენ
ვიმედოვნებ“ (ან: „შენს თავს ვიმედოვნ-
ებ“). ამ ზმნის ძირია ს, რომლიდანაც
სა-ო აფიქსებით ნაწარმოებია სა-ს-ო
„იმედი“, „საიმედო“ (ისე, როგორც:
სა-ზრდ-ო, სა-ნდ-ო, სა-რწმუნ-ო,
სა-ტრფ-ო...), ხოლო ამ უკანასკნელისა-
გან — სასოება. სასო დღეს მხოლოდ
კომპოზიტშია შემონახული „სასოწარ-
კვეთილი“ (იმედდაკარგული, უიმედო),
ხოლო სასოება იშვიათად იხმარება
(„სასოებამ ფრთა გაშალა, გულსა მკრა
და ამიძგერა“ — აკაკი). გესავ და მის-
თანა ფორმების (გესავ, ესავს, ვესავდი,
ესავდი, ესავდა...) გაცოცხლება და შე-
მოტანა სალიტერატურო ენაში ფრიად
საქირო და სასარგებლოა, შეიძლება
ითქვას, აუცილებელიცაა, რამდენადაც
მისი შემცვლელი ორპირიანი ზმნა დღეს
არ გავაჩნია.

ის არის ჩემი გულზე მიმრქმელი 4, 10. სავანედ გზა და კმარის მეგობრად გამოყოლილი გზას ქაზავანი 4, 11. სხვა არ სწყუროდა, არად მიაჩნდა თავმისადრეკი ბინა, სავანე 6, 26. ჩამომხობილი მრუმედ ცარგვალი ძნელი მგზავრობის იყო ნიშანი 4, 19. აჰა, აღსრულდა, განეხვენ ცანი, ჩამომხობილნი მრუმე ღრუბლებად 7, 4.

გიმუხთლებს ბედი, შეგქმნის უპოვარს 5, 7.

და უპოვართა ცრემლი ღვარული 5, 8. თემი, თემობა? — მოთემეთ ჯოგი, აღმდგარი ბრძოლად კაცის კაცადის 5, 10.

აქ, ალბათ, ძველი ქართულის კაცად-კაცადი იგულისხმება (თითოეული, ყოველი, каждый). მთარგმნელს ახლებურად გადაუკეთებია ეს კომპოზიტი. აზრი სავსებით გასაგებია.

დამსხენი მხეცურ ძალაუფლებას და მის სამართალს მხსემი მგოსანი 5, 21.

ვხედავ — ჩამსხდარნი გორებს გადაღმა

ლომნი მიმზერენ მოშამზნარენი 6, 4. მიმზერენ აქ ნახმარია ძველი ქართულის მიმზირიან-ის შინაარსით, რაც ნიშნავს: მითვალთვალბენ (ნაწარმოებია სახელიდან მზირი = მოთვალთვალე, მზვერავი, ჯაშუში). ამ აზრს კარგად შეეფერება წინა სტრიქონის შინაარსი: ვხედავ — ჩამსხდარნი გორებს გადაღმა. მოთვალთვალე, მზვერავი, თუ ჯაშუში სწორედ რომ ჩამსხდარია სადმე დამალულ ადგილას, გორების გადაღმა იქნება, თუ იქვე ახლო. თვით ლომების მზირა (თვალთვალე) ცნობილია ძველი ქართულის პავიოგრაფიულ ძეგლებში. მაგალითად, „მამათა სწავლაში“ (ილ. აბულაძის გამოცემა, 1955, გვ. 175, 15) ერთგან იკითხება: „იხილე, უბადრუკო, რამეთუ ლომი იგი გიმზირის შთანთქმად“. მთარგმნელს ამ ზმნის ძველი შინაარსი ახალი ფორმით გადმოუცია, და ნურაივინ დაინახავს ამ მიმზერენ-ში ასეთ აზრს: მიცქერენ, მიყურებენ, смотреть. რაც შეეხება მოშამზნარენ-ს, იგი წმინდა

რუსთველური ფორმაა, კარგად ცნობილი „ვეფხისტყაოსანში“ (სალაცა ნახის, დახოცის ლომ-ვეფხნი მოშამზნარენი: 1330,4) და აქ იქიდანაა გადმოტანილი. დავსძენთ აქვე, რომ სარიტმავი სიტყვა არენი-ც იქიდანვეა ნასესხები. ამას მთარგმნელი გარკვეული მოსაზრებით ჩადის, რაზედაც ქვემოთ შეეჩერდებით ცალკე.

ჩემს ხორცზე ხადილს ნუ აგვიანებთ 6, 5.

და აჰა, ვეტყვი სამხრეთს და ჩრდილოს,

აღმოსავლის და დასავლის მხარეს 6, 13.

დაგმე სიცრუის ვრცელი ყაფანი, ბილწი ხამზერი და სამყოფელი, შორს განერიდე ცოდვილთა ნადიმს შლეგთა, მემთვრალეთ ღზინის მგმობელი 6, 17.

დავგმე სოფელი და გამოვრიდე 7, 19. დაგმე თემობა და სამართალი სისხლმოწყურებულ კაცთა სერიოვ 6, 18.

აღმოხდა მნათი — მზე დიდებულა 7, 9.

ცეცხლოვან ამბორს, ელვარე ალერსს შეგვევდრები შენი მიჯნური 7, 18.

თუ აქ შეგვევდრები ძველი მნიშვნელობით არის ნახმარი (=თავს შეგაფარებ), პოემისა და სტროფის აზრს ძალიან უხდება, მაგრამ ამ შემთხვევაში კარგად არ იქნება თავის ადგილზე წინა სტრიქონი „ცეცხლოვან ამბორს, ელვარე ალერსს“; მაგრამ თუ შეგვევდრები აქ დღევანდელი გაგებით არის გამოყენებული (გთხოვ, გვევდრები), მაშინ „ცეცხლოვან ამბორს, ელვარე ალერსს“ ძალდატანებით შეიძლება მას დაუკავშირდეს, რადგან ეს ზმნა ორპირიანია და მესამე პირს ვერ იგულებს. ჩვენ მაინც გვგონია, რომ მთარგმნელი აქ შეგვევდრები-ს I დაშვებით ხმარობს და „ცეცხლოვან ამბორს, ელვარე ალერსს“ შენ სიტყვას ენაცვლება: შეგვევდრები შენ, ე. ი. შენ — ცეცხლოვან ამბორს, ელვა-

ივანე იმნაიშვილი.
მხატვრული ენის ზოგიერთი საკითხი 99

რე ალერსს“. ეს კი საუცხოოდ უდგება საერთო განწყობილებასაც და სტროფის აზრსაც.

აქ ჩვენ წარმოვადგინეთ ძირითადად ძველი ქართული **სიტყვები**, რომელთა აღდგენა და სალიტერატურო ენაში შემოტანა საჭიროდ მიუჩნევია მთარგმნელს. მაგრამ უნდა დავსძინოთ, რომ მთარგმნელი ამ სიტყვებს ახალ გარემოცვაში ხმარობს, მათ ახალ ელფერსა და ნიუანსებს სძენს, ერთი სიტყვით, აახლებს, მექანიკურად კი არ შემოაქვს, არამედ ახალი სიცოცხლით აცოცხლებს, ახლად ბადებს და ახლად უდგამს სულს. ზოგჯერ ფორმას უცვლის (მიმზერენ — მიმზირიან), მაგრამ მნიშვნელობას ძველს უტოვებს.

ამათ გვერდში უდგას იმავე ძველი ქართულიდან აღებული **ფორმები** და სპეციფიკური **გამოთქმები**, რაც გაცილებით უფრო ადვილი გასაგები და შესათვისებელია თანამედროვე განათლებული ქართველისათვის; ზოგი მათგანი მე-19 საუკუნისა და თანამედროვე მწერლობაშიც არაიშვიათად არის გამოყენებული. მაგრამ რ. თვარაძის ამ თარგმანში ასეთი ფორმები და გამოთქმები გაცილებით უფრო ფართოდაა წარმოდგენილი. მათ აშკარად ეტყობა, რომ მთარგმნელი მას ხშირად და დაბეჯითებით მიმართავს, როგორც ერთ-ერთ პოეტურ ხერხს. ეს შეგნებული არქაიზაცია, ჩვენი აზრით, აქაც სრულიად გამართლებულია და სავსებით ეგუება პოემის საერთო მისწრაფებასა და კილოს. საერთოდ შევნიშნავდით კი, რომ საჭირო ზომიერების დაცვა აქაც აუცილებელია.

ჩვენ აქ ვუჩვენებთ ძველი ქართულის ფორმებსა და გამოთქმებს:

იმ საოცართა ალთა ანთებით 1,5; 3,15.

გასწი, ვიდოდე 1,8 (=წაღი, იარე). ეს ზმნა დღეს უზმნისწინოდ ჩვეულებრივ არ იხმარება. აქ წმინდა ძველი ფორმაა.

ასწილ მომძაგდა იგი სოფელი 1, 11.
ნეტა ვინ შეთხზა იგი ზღაპარი 3, 6.
და მოგუგუნე იგი გრიგალი 3, 14.

ამბორი იგი — სიცრუის ბადე 4, 16.
ფეხდაფეხ დაგვდექს იგი ჯალათი 5, 18.

ვინ მოვიბოძათ ეგე მახვილი 5, 20.
და გაფრენილი ელვარე მზისკენ იგი მხედარი დაუშურველი 8, 10.

ამ მაგალითებში ივარძნობა ძველი ქართული ნაწევრის ერთგვარი სტილისტიკური გამოძახილი. ამის მსგავსი პოეტური გამოხმაურება ძველი ქართულის სათანადო მოვლენებთან გვხვდება ილ. ჭავჭავაძის პოეზიაში, განსაკუთრებით „განდგეილში“.¹

და უდაბნოს ყვითელი სილა ქარდაქარ შორეთს მიიხვეტება 1, 18.

აქ ი-ს შენარჩუნება ერთი მარცვლის ასანაზღაურებლად (მოსამატებლად) ჩადენილი სრულებით არ არის; ამას მთარგმნელი სხვა საშუალებითაც ადვილად შესძლებდა (თუნდაც ასე: და იმ უდაბნოს ყვითელი სილა). არა, უდაბნოს აქ არქაიზაციის გამოა ნახმარი. აიკიდევ მეორე ასეთი მაგალითი:

და უდაბნოს თვალმუუდგამი ცეცხლად აღანთო სივრცე ყოველი 7, 9.

მირჩვენის — მხეტა ვახლდე უდაბნოდ 1, 19.

მირჩვენის გავხდე ნადირთა წერა 1, 20.

ქალის სხეული — ავი, ავხორცი, სატანისეულ საქმეთ ქურჭელი 2,9.
როგორ დაკარგეს გონიერთ გონი 2,10.

შორთა ვარსკვლავთა მხოლოდ მჭერტელი 2, 23; 6, 27.

და მოგუგუნე იგი გრიგალი თქვენს სამარეებს მიმოჰქენს არეთ 3, 14.

და მიუხმობდნენ სხვა საუფლოში ცისიერ სივრცეთ წაღმა წარებით 3, 25.

კაცთა გულმხეტთა მომძაგებია მძვინვარება და ფუჭი ვენებები 4, 8.
შმაგი გრიგალი სძრავდა გარემოს, ეტკინებოდა შორეთს მარებთა 4, 18.

¹ ი. იმნაიშვილი. „ნაწევარი ძველ ქართულში“. თბ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 61, 1955, გვ. 273—275.



ყველა ამ შემთხვევაში მრავლობითობის თა-თ სუფიქსის გამოყენება არქაიზაციის ძლიერი სურვილით არის გამოწვეული. ზოგჯერ მსაზღვრელში თა-ს გაჩენას ავტორის მიერ ინვერსიული წყობის არჩევა იწვევს (კაცთა გულ-მხეცთა), მაგრამ თვით ეს ინვერსიული წყობაც არქაიზმის ერთ-ერთი ნიშანია.

მამამან ჩემმან დიდად შემცოდა 2, 16.
როსმე ალერსი თუ მომინდებეს 2, 18.
მისთვის ზღაპარი ახლად ითხრობის 3, 9.

ბრბო არასოდეს შემეგებების 4, 8.
კმარის მეგობრად 4, 11.
ისევე კაცი მეგულვის კიდეც 6, 14.
არ მოვინატრო ქალის ალერსი, აღარ დავბრუნდე მუნ მისთანავე 2, 17.

არ მოვინატრო, აღარ დავბრუნდე აქ თხრობითი კილოს გაგებითაა ნახმარი, როგორც ძველ ქართულში, და მომავალ დროს გამოხატავს: არ მოვინატრებ, არ დავბრუნდები. მისთანავე კი დღეს იქნებოდა მასთანავე (ძველად თანა თანდებული ადამიანის აღმნიშვნელ სახელებში ნათესაობითს ითხოვდა, ახლა ყველა შემთხვევაში მიცემითს ითხოვს).

მყო უნუგემოდ ამ კეჟანმა 2, 21.
ხან ეფარვოდა ღრუბლებს მიმქრალი 3, 2.

დღეს გვექნებოდა: ეფარებოდა.
და დაპგალობდნენ ბნელში ფრინველნი

ნაზად, ნელიად და ნარნარებით.
(აქ, ვარდა ამისა, მიაქციეთ ყურადღება ალიტერაციას: ნაზად, ნელიად და ნარნარებით).

მოვალს და წარვალს კვლავ ნათესავი 3, 7; 3, 10.

მოვალს ჟამი 3, 13 (ორჯერ).

მოვალს და წარვალს ძველი და სწორი ფორმაა, ახალ ქართულში დაიკარგა მესამე პირის ნიშანი **ს**, რომელსაც ფუძისეული **ლ-ც** მიჰყვა: მოვალს — მოვალ — მოვა.

I და II პირში ლ შენახულია: მოვალ, მოხვალ.

რაც შეეხება ნათესავს, იგი აქ ნიშნავს ხალხს, თაობას, ტომს, ჩამომავლობას. ასე იყო ძველადაც, საიდანაც მთარგმნელს აღებული აქვს ის.

ჩვილის **შობითვე** 3,9 (=შობიდანვე). უფრო ხშირია ისეთი ფორმების ხმარება, რომელთაც ძველი ქართული უცხო ენათა ინფინიტის გადმოსაცემად იყენებდა — ვითარებითს ბრუნვაში დასმული საწყისი:

აწვე გაქრობად ხართ განწირული 3,13.

დღეს ვიტყოდით „გასაქრობადო“. საინტერესოა **აწვე-ს** ძველებური აზრით ხმარებაც: **ახლავე**.

და **შერკინებად** შეიბ მახვილი 4, 13.
აღმდგარი ბრძოლად კაცის კაცადის 5, 10.

...მახვილი, ამოწვართული მუსრვად ლატაკთა 5, 13.

ჩასაფრებული ყაჩაღი ძარცვად 5, 16.

...ელვათა კრთომად

გადმომადფინე სხივთა კონები 7, 21.
იყო დანთქმული ხილვათა წვდომად 8, 9.

კვრეტად საქნელო და სასურველი 8, 10.

თუ რომ ცოცხალ ვარ 3, 20.

...სადაც ოდითგან

არვის უხილავს ძე ხორციელი 4, 12.
განაძე ყველა — მტერიც, მოყვარეც, შენად მეგობრად თავის მსახველი 4, 13.

დაგმე, დასწყევდე, მტრად მიითვალე 5, 2.

ჩემად მეგობრად შენ გიტყვი მხოლოდ 5, 3.

მზეო დიადო, გიტყვი სამყაროს.

დიად ზეიმად და სიხარულად 7, 12.

წმინდა რუსთველური გამოთქმაა: ამ ზმნაში ობიექტად I და II პირები სხვაგან არ გვხვდება. შდრ. „ვეფხისტყაოსანი“:

მზესა ეტყვის: მზეო, გიტყვი თინათინის ლაწვთა დარად 955, 1.
ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან

ივანე იმნაიშვილი
მხატვრული ენის ზოგიერთი საკითხი

ფილოსოფოსნი წინანი 837, 1.
და აღმაფრენა რომელს დაცალდის
5, 10.

რომლით მთარბევთ ვარეშემოსა 5, 20.
ელავდა ელვა და ღრუბლით გამო
იყო ჰეჰა და მესთატეხილი 5, 22.
ოქროხურვებულს ჰგვანან არენი 6, 4.
მოდიოთ, მოვიხმობთ გულშემუსვრი-
ლი 6, 5.

სალამი შენდა, ცხოვრების წყარო,
დედაო ტკბილო, მძლეთამძლე მზეო
7, 10.

მოვედ, შთამასხი მწყურვალე სულში
შენი უხრწნელი ღვინო ღვარულად
7, 12.

იძლიოს ბნელი და ბნელსა შინა
ნათელი შენი გარდამოვიდეს 7, 16.

აღსრულდებოდა... ყველა ოცნება
8, 5.

და აღავსებდა სივრცეს სრულიად
8, 9.

ასეთია ფაქტობრივი მასალა რ. თვა-
რადის თარგმანში. რა დასკვნები შეიძ-
ლება გამოვიტანოთ აქედან? ჩვენ ვაყე-
ნებთ დებულებას, რომ ისეთ მხატვრულ
ნაწარმოებებში, რომლებშიც ასახულია
წარსულის, განსაკუთრებით, შორეული
წარსულის სურათები და ცხოვრება,
საესები გამართლებულია და ზოგჯერ
აუცილებელია ძველი ქართული სიტყ-
ვებისა და ფორმების გაცოცხლება და
გამოყენება. ასეთ სიტყვებსა და გამო-
თქმებს თხრობაში შეაქვს ძველი ყო-
ფის დამახასიათებელი სურნელება, ენის
გარეგანი სამოსელიც გვასუნთქებს ძვე-
ლი პაერიოთ. მეორე: ზოგჯერ სასურვე-
ლი და საჭიროა სამუდამოდ აღვადგი-
ნოთ მკვდრეთით სხვადასხვა მიზეზით
ხმარებლად გამოსული სიტყვები და
გამოთქმები, რომელთაც დღეს ზუსტი
შემცველი არ მოეპოვება (ესაც, მეი-
ნახე, სანახები, შემოგარენი, სერობა...).
ასეთი სიტყვებისა და გამოთქმების შე-
მოტანა და დამკვიდრება სალიტერატუ-
რო ქართულში დიდად შეუწყობს ხელს
მის გამდიდრებასა და განაყოფიერებას,
გაგვიზრდის სიტყვათა მარაგს. საგანთა
და მოვლენათა სახელების სიმრავლე და
მრავალფეროვნება კი უტყუარი ნიშანია

ცხოვრების, ენის, შემოქმედებისა და
აზროვნების მაღალი დონისა. ზემოთ
თქმული თანაბრად ეხება როგორც
თარგმნილი, ისე ორიგინალური ნაწარ-
მოების მხატვრულ ენას.

აი, ამ საკითხის დასმის აუცილებ-
ლობას იწვევს რ. თვარადის მიერ მეტად
გულდასმით და თავისებურად შესრუ-
ლებული თარგმანი ა. ისააკიანის პოე-
მისა „აბუ-ლალა-მარია“. საჭიროა ამ
საკითხზე ფართო მსჯელობა და აზრთა
გულახდილი გაზიარება მოეწყოს, რომ
წამოყენებული საკითხები დაზუსტდეს
და საბოლოოდ გადაიჭრას. ჩვენი ცდა
შეიძლება სათანადო საბაზი გახდეს.

III

მეორე საკითხი, რაც ყურადღებას
იქცევს რ. თვარადის აღნიშნულ თარგ-
მანში, ეხება წარსული დროის პოეტე-
ბის შემოქმედებიდან ცალკეული გამო-
თქმებისა და ფრაზების გადმოტანასა და
გამოყენებას თარგმანში შესაფერისი
სიტუაციების შექმნის დროს. მთარგმ-
ნელი ამ შემთხვევაშიც დადებითად
წყვეტს საკითხს და როდესაც თარგმნის
დროს ის წააწყდება ადგილს, რომე-
ლიც მოგვაგონებს ძველი პოეტების
ნაწარმოებთა ანალოგიურ მდგომარეო-
ბას, უყოყმანოდ ესესხება ამ უკანას-
კნელს და შემოაქვს იქიდან ცნობილი
გამოთქმები და ფრაზები.

ჩვენ ზემოთ გაკვრით აღვნიშნეთ,
რომ ა. ისააკიანის პოემა „აბუ-ლალა-
მარია“ საერთო მისწრაფებით ნ. ბარა-
თაშვილის „მერანს“ მოგვაგონებს. აზ-
სებული პირობებით უკმაყოფილება,
ბედთან შეურვივებლობა, ამ ქვეყნიდან
გაქცევა და ცის სივრცეებისაკენ შმაგი
სწრაფვა და მთელი რიგი სხვა მოქნ-
ტები საერთოა ორივე ნაწარმოებისა-
თვის. განსხვავება მათ შორის ძალიან
დიდია, მაგრამ ახლა მხოლოდ მსგავსე-
ბა გვინტერესებს. აი ამ მსგავსების
გამო მთარგმნელი სათანადო შემთხვე-
ვაში ხშირად მიმართავს ნ. ბარათაშვი-
ლის „მერანს“ და იქიდან იღებს საჭირო
გამოთქმებსა და ფრაზებს, ან კიდევ

ბარათაშვილის ამ გენიალური ლექსის ყაიდაზე ქმნის სათანადო გამოთქმებს. მოვიყვანოთ მაგალითები:

გასწი, ვილოდე 1, 8; 2, 2.
 გასწი ამაყად, გაიჭერ შორეთს 1. 15.
 გასწი, არ შედრკე 2, 3.
 გასწი, გაფრინდი, არსად შეჩერდე და შენს მგზავრობას არ ჰქონდეს ბოლო 513.

გასწი, გაფრინდი, მგზავრი ყარიბი ქვეყნად ნურცა რას დაემონება 5, 5.
 გაპკვეთე ქარი, გასწი, გაფრინდი 6, 2.
 გასწი, გაფრინდი მოუბრუნებლად 6, 16.

გასწი, გაფრინდი და გადათქერე, რასაც სამართლად სახავდა ერი 6, 19.
 გაფრინდი შორეთს 3, 17.

გაჭროლდი მზისკენ, იქ დამეფერვლოს მზის გულში გული დაუბერები 1, 9.
 ნუმც მომაგონდეს მამის სამარე, სიყრმის წლები და დედის ქალარა 1, 10.

ოღონდ არ მომწვდეს ადამიანის გესლი და შხამი — ასკეც მზარავი 1, 16.

აღარ ვიხილო ოღონდ მეგობრის მზაკვრული ლიქნით პირი მცინარე 1, 17.

შავი სამარე სად გაითნრების 3, 9.
 არ შეიმოკლო გზა, ქარავანო 3, 17; 4, 6.

ნუ შეიმოკლებ გზას, ქარავანო 6, 16;
 შენთა ვარსკვლავთა ხმებით, ზეცაო, წყლულებისაგან განმკურნე მგზავრი 3, 19.

დამჭროლოს ქარმა, მოსკდეს გრიგალი 4, 7.
 არამც დავბრუნდე მშობლიურ სახლში 4, 9.

მოვკვდე, შევიქნე ნადირთა წერა, ზარით, ღრიალით მწეწდნენ ქარები 6, 20.

ასეთი ადგილები სხვაც მოიპოვება ამ თარგმანში. აქ მოყვანილია მთავარი და უფრო დამახასიათებელი. არის შეხვედრა ნ. ბარათაშვილის სხვა ლექსთანაც:

შენ — საწყაულო აღუვსებელი 1, 11.

ამ მაგალითებიდან კარგად ჩანს, თუ რა სიუხვით იყენებს მთარგმნელი ნ. ბარათაშვილის სათანადო ფრაზებს, გამოთქმებს, ცალკეულ ფორმებს, რომ შექმნას მისი „მერანისა“ და საერთოდ მისი ბედთან შეურიგებელი სულისათვის დამახასიათებელი ბოზოქარი სულიერი მღელვარება და შეუკავებელი სწრაფვა ცის სივრცეებისაკენ.

სათანადო შემთხვევებში ცნობილი გამოთქმები და ფრაზები მოყვანილია სხვა მწერლების ნაწარმოებებიდანაც. მაგალითად:

არად ვინდომო კაცთა სიახლე 1, 19.
 შდრ. რ. ერისთავი: არა ვინდომო ეგენი. მირჩევნის გავხდე ნადირთა წერა 1, 20.

შდრ. რ. ერისთავი: მირჩევნის ორსაც თვალზედა.
 და აწ ჰვრეტადაც ებილწებოდა 2, 20.

შდრ. რუსთველი: მას ყმასა თავი არ მისცა,

ჰვრეტადაცა ებილწებოდა 232, 1.
 და მოუხმობდნენ სხვა საუფლოში ცისიერ სივრცეთ წალმა წარებით 3, 25.

შდრ. რუსთველი: ვისგან ნაკრავნი გვინახვან
 მხეცნი ვერ წალმა წარებით 80, 4.

გავპრიღვარ ველად ქარის პირის-პირ 4, 7.
 შდრ. რუსთველი: მით გაპრიღვარ ხელი ველად 928, 2.

ასეთია ამ სახის მაგალითები. რა შეიძლება ითქვას ამის შესახებ? თუ კარგად დაუპკვირდებით აქ მოყვანილ მაგალითებს და შეგუდარებთ ნაგულისხმევ მწერალთა ნაწარმოებების სათანადო ადგილებს, ადვილად დავინახავთ, რომ საუხვებით დამთხვევას არსად არა აქვს ადგილი. ეს იმას ნიშნავს, რომ მთარგმნელი მსგავსი სიტუაციების განმეორებისას იყენებს წინაპირთა გამოთქმებსა და ფრაზებს, გარდაქმნის მათ, ცვლის, აკლებს, უმატებს, ძველ ფორმას ახალ სახეს აძლევს (ჰვრეტადაც-

ივანე იმნაიშვილი
 მხატვრული ენის ზოგიერთი საკითხი

კვრეტადაც). ერთი სიტყვით, ჩვენს წინაშეა გარდაქმნილ-გადამუშავებული და თანამედროვე ვითარებასა და ენასთან შეფარდებული, შეზრდილი და შენორცებული მასალები. მოყვანილ მაგალითებში ყველგან ივარძნება პირველმოქმელი, მაგრამ ასევე ყველგან რელიეფურად ჩანს აღნიშნულ ფორმათა და გამოთქმათა გარდამქმნელი და ახლად შემქმნელი.

მთარგმნელის ეს ხერხი მიზანს უქველად აღწევს. იგი ქმნის დიდ შთაბეჭდილებას. ამიტომ მთარგმნელის ეს მეთოდი ჩვენ სავსებით მისაღებად მიგვაჩნია. რასაკვირველია, ზომიერება და სიფრთხილე აქ ყველაზე ადრე უნდა ახსოვდეს მთარგმნელს. დავსძენთ ბოლოს, რომ თუ ასეთი ხერხის გამოყენება თარგმანში მისაღებია, ორიგინალურ შემოქმედებაში მას ნაკლები გამართლება ექნება.

IV

მესამე საკითხი, რასაც აქ გვინდა მკითხველის ყურადღება მივაპყროთ, არის რითმა — ქართული ლექსის ერთ-ერთი უძირითადესი და უმნიშვნელოვანესი ელემენტი. თვით სასულიერო მწერლობის სხვადასხვა დარგის ნაწარმოებში, რომლის ცალკეული ადგილებიც გალექსილია, ამ ძველ ლექსს აკლია თანამედროვე ლექსის ბევრი ელემენტი, ან ისინი პრიმიტიული სახით არის წარმოდგენილი, მაგრამ რითმა — ქართული ლექსის ეს მთავარი ბურჯი კარგად განვითარებული სახით არის მოცემული. რითმის გარეშე ჩვეულებრივ ვერ წარმოგვიდგენია ქართული ლექსი. ამიტომ ბუნებრივია, თუ თანამედროვე ლექსში მას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

გვერე უნდა ითქვას ლექსითი თარგმანის რითმაზე. თუმცა თარგმნისას მთარგმნელი ერთგვარად შებოქილია სასურველი სარიტმავი სიტყვების არჩევაში, თუმცა აქ მისი შემოქმედებითი შესაძლებლობა და ფანტაზია უფრო

მეტად საგრძნობ დაბრკოლებებს ხვდება, ვიდრე ლექსის სხვა აქსესუარის გამართვისას, მაგრამ საერთოდ თარგმნილი ლექსის რითმასაც ისეთივე მკაცრი მოთხოვნები უნდა წავუყენოთ, როგორც ორიგინალურისას.

როგორია ამ მხრივ რ. თვარაძის მიერ თარგმნილი პოემის რითმები? პასუხი იქნება მხოლოდ ერთი: სავსებით გამართული, საუკეთესო. მიუხედავად იმისა, რომ ეს რითმები სხვა ენიდან გადმოთარგმნილ ლექსშია, ისინი ფრინად დამაკმაყოფილებელია. რ. თვარაძე ამ საქმეში ამკლავებს დიდ მომთხოვნელობასა და მაღალ კულტურას. ის ეძიებს და დიდი შრომითა და რუღუნებით პოულობს კიდევ ისეთ რითმებს, რომლებიც ყოველი თვალსაზრისით არის აწონილ-დაწონილი და რომელთაც თვით უმკაცრესი კრიტიკოსიც ვერ მოუძებნიდა ნაკლს, აღფრთოვანებული კი ბევრი დარჩებოდა. რ. თვარაძის მიერ მოძებნილი და გაწყობილი რითმები მკითხველს სიამოვნებით უკლავს ესთეტიკურ წყურვილს და უღვიძებს სურვილს, სულგანაბული ელოდოს, თუ რა სიტყვას მონახავს მთარგმნელი რითმის პირველი ცალისათვის (ვთქვათ, სიტყვისათვის **წკარუნით**). და როდესაც ამ იშვიათად ძნელი სარიტმავი სიტყვის ცალად მკითხველი დაინახავს და გაიგონებს სიტყვას **წყარონი**, იგი უთუოდ კმაყოფილი დარჩება. აქ მთარგმნელი მკითხველზე ახდენს განუზომლად დიდ ესთეტიკურ შთაბეჭდილებას, მას დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას გვრის. უნდა ითქვას, რომ რ. თვარაძის რითმების დიდი ნაწილი ასეთი მოულოდნელობითა და მაღალი ესთეტიკური გემოვნებით ხასიათდება. რ. თვარაძის რითმებში თქვენ იშვიათად შეგხვდებით ძველი, გაცვეთილი, სხვების მიერ მრავალჯერ ნახმარი ბანალური რითმები. მარად ძიება, სიახლე და მოულოდნელობა, რაც ძირითად მოთხოვნად უნდა წავუყენოთ რითმას, რ. თვარაძის რითმების განუყრელი დამახასიათებელი

თვისებაა. ამნაირი რითმების ნიმუშებად შეიძლება დავასახელოთ შემდეგნი:
 წყარუნით — წყარონი 1, 1; 1, 19;
 3, 1.

სევტებად — მიხვეტება 1, 18.
 ჭურჭელი — ვერ გადურჩები 2, 9.
 სალამურს — სამსალამო 2, 21.

მკვრეტელი — გულდაწყვეტილი
 2, 23; 6, 29.

გსმენიათ — გეენიალ 3, 12.
 მზარავდეს — მარადის 3, 23.
 შემზარავად — ქარავანს 4, 1.
 შეგეგებების — ვნებები 4, 8.

ცილით — ძეხორციელი 4, 12.
 დასდასი — ახალგაზრდასი 5, 19.
 შემუსვრა — გარეშემოსა 5, 20.
 სრულიად — ქალწულია 6, 10.
 გადაატანა — სატანა 6, 12.
 მალალი — აყალმაყალი 6, 24.
 ვერშემიჯნული — მიჯნული 7, 18.
 შრიალი — კაეშნიანი 8, 3.

და ბევრი სხვა.

თანამედროვე რითმისათვის წასაყენებელი ერთი ძირითადი პრინციპია: რითმები აკუსტიკურად ერთნაირი ან რაც შეიძლება მსგავსი უნდა იყოს, ხოლო სემასიოლოგიურად, შინაარსის მიხედვით, აგრეთვე მორფოლოგიურად — სხვადასხვა. თუ ერთ ცალში სახელია, კარგი არაა, მეორეშიც სახელი იყოს (გული — სული, ხეები — დღეები), თუ ერთ ცალში ზმნაა, კარგი არაა, მეორეშიც ზმნა იყოს (ციოდა — ციოდა, ყეფდა — კრეფდა...).

თუ პოეტი იძულებულია ეს პრინციპი დაარღვიოს, კარგი მერითმე იმას მაინც იზამს, რომ სახელების ხმარებისას სხვადასხვა ტიპის სახელი გამოიყენოს, ან სახელები სხვადასხვა რიცხვისა და ბრუნვის ფორმით წარმოგიდგინოს, ან კიდევ ისინი სხვადასხვანაირად იყენენ ნაწარმოები. ასევე ითქმის ზმნების შესახებაც. ერთი სიტყვით, ყველგან მრავალფეროვნება, ბრძოლა ერთფეროვნებას — აი რითმის სული და გული.

ეს პრინციპიც მკაცრადაა დაცული რ. თვარაძის თარგმანში. ჩვენს მიერ

ზემოთ მოყვანილი რითმებიდან (სევტებად — მიხვეტება) პირველში ერთი ცალი სახელია, მეორე — ზმნა; ებ სუფიქსი, რომელიც აკუსტიკური ერთგვარობის შექმნაში მონაწილეობს, პირველში მრავლობითობის ნიშანია, მეორეში — თემის ნიშანი; ბოლო ა პირველში ვითარებითი ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ნაწილია, მეორეში — მესამე სუბიექტური პირის ნიშანი. სულ სხვადასხვაა აგრეთვე ძირეული მასალა: სე-ეტ — ხე-ეტ. დაესქენ ბოლოს, რომ ორივე ცალში გვაქვს ერთნაირი საყრდენი თანხმოვანი ვ: ს-ევტებად — მიხ-ვეტება. არ იქნება ურიგო მოვიგონოთ, რომ ამ ტიპის რითმების გამოყენება ძალიან უყვარდა რითმების უბადლო ოსტატს ალ. აბაშელს (შდრ. მისი: ისტამბება — ამბებმა, ეამბორება — გორებმა, შეიკუმშება — მუშებმა, ზვირთებად — ჰპირდება...).

ახლა ვნახოთ, თუ რა ოსტატობას იჩენს მთარგმნელი, რომ სხვადასხვა განმასხვავებელი ნიშნით წარმოგიდგინოს რითმები, როცა იგი იძულებულია ორივე ცალში სახელი იხმაროს:

სალამურს — სამსალამო
 შემზარავად — ქარავანს
 ცილით — ძეხორციელი
 ბოროტი — ამბორითვე
 შემუსვრა — გარეშემოსა
 ვერშემიჯნული — მიჯნული
 შრიალი — კაეშნიანი.

აქ თქვენ ვერსად ვერ ნახავთ სრულ დამთხვევას. პირველ შემთხვევაში ერთი სახელი მიცემითში დგას (სალამურს), მეორე — მოთხრობითში (სამსალამ), თანაც ამ უკანასკნელს სხვათა სიტყვის ო აქვს დართული, რაც პირველი ცალის უს (ურს) ეხმაურება. ვინ იფიქრებდა, რომ **სალამური** და **სამსალა** სარიითმავად გამოდგებოდა, ნამდვილად კი ამით მთარგმნელმა შექმნა რითმა. ამ რითმის აკუსტიკური ჩონჩხი შემდეგს დაქტილს გვაძლევს: **სალამუ**

ივანე იმნაიშვილი
 მხატვრული ენის ზოგიერთი საკითხი



(რს) — **სალამო**, სადაც ყველაფერი ერთნაირია, გარდა ბოლოკიდური ხმოვნებისა (უ-ო), მაგრამ უ-სა და ო-ს მონაცვლეობა (კონსონანსი) კიდევ უფრო აძლიერებს შთაბეჭდილებას. ამ ხერხს (მსგავსი ხმოვნების შენაცვლებას: ი-ე, უ-ო) გ. ტაბიძეც ხშირად მიმართავდა.

მეორე შემთხვევაში რითმის ერთი ცალი მიმღეობაა (შემზარავად), მეორე — არსებითი სახელი. სადიფერენციაციოდ ესეც საკმარისი იყო, მაგრამ აქ მთარგმნელი არ ჩერდება: პირველ მათგანს ვითარებითში სვამს (შემზარავად), მეორეს — მიცემითში. აქ ყოველგვარი უხერხულობა მოხსნილია და მიღწეულია მაღალი მხატვრული დონე.

მესამე შემთხვევაში ერთმანეთის პირისპირ დგას ერთი სახის საწყისი (ციალით), რომელიც არსებითის ფუნქციონაც იხმარება და გაარსებითებული ზედსართავი (ძეხორციელი); ამასთან, პირველი მოქმედებითს ბრუნვაშია დასმული, მეორე — სახელობითში. მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ კლაუზულის მეორე ხმოვნები არაა ერთნაირი, არამედ ერთგვარად მსგავსია: ციალით — ძეხორციელი. ესეც ცოტაა: კლაუზულებს საყრდენი თანხმომავანი ერთნაირი აქვთ: ც: ციალით — ძეხორციელი. ამგვარად აგებული ციალით — ... ციელი აგრეთვე ერთ-ერთი საუკეთესო რითმათავანია.

მეოთხე შემთხვევა გაცილებით უფრო რთულია. აქ სარიტმავად გამოყენებულია ზედსართავი **ბოროტი** და გაარსებითებული საწყისი **ამბორი**, პირველი სახელობითში, მეორე — მოქმედებითში; ამ უკანასკნელს ვე ნაწილავთ ახლავს, რომელსაც თ-ზე დართვით ევალება „ბოროტი“-ს ტი-ს შეეხმიანოს: **ბოროტი** — **ამბორითვე**. ვ ამ უკანასკნელში სუსტად გამოითქმის, რის გამოც რჩება თე-ს აქუსტიკური შთაბეჭდილება, თე და ტი კი კანონზომიერი მონაცვლე ფონეტიკური ელემენტებია. დავგრჩენია დავსძინოთ, რომ კლა-
106

უზულის შუა ხმოვნები (ო, ი) სხვადასხვაგვარია.

მესხეთე შემთხვევაში შერიომულია საწყისი (შემუსგრა) და გაარსებითებული ზედსართავი, თუ ზმნიზედა (გარე-შემოსა): პირველი სახელობითს ბრუნვაში დგას, მეორე — მიცემითში, რომელსაც მაერცობი ა ემატება. სწორედ ეს ა არის, რომ პირველი ცალის საწყისის მაწარმოებელ ა-ს ეხმაურება; პირველი ცალის ძირისეული ს მეორე ცალში მიცემითს ბრუნვას აღნიშნავს: უ და ო ხმოვანთა ჩვეულებრივი მონაცვლეობა აქაც გვაქვს. ამგვარად მიღებული რთული რითმული ერთეული (**შემუსგრა** — [გარე] **შემოსა**) აგრეთვე მთარგმნელის დიდ ხელოვნებაზე ლაპარაკობს.

მეექვსე შემთხვევაში რითმებად გვაქვს მიმღეობა და არსებითი: [ვერ შე] **მიჯნული** — **მიჯნური**. ნარნარა თანხმომვნების მონაცვლეობა (რ-ლ) უფრო მოსაწონს ხდის ამ ისედაც საინტერესო რითმას.

დასასრულ, მეშვიდე შემთხვევაში ერთმანეთთან შერიომულია იმავე ტიპის საწყისი — არსებითი (შრიალი), როგორც ზემოთ გვქონდა ციალი, და მიმართებითი ზედსართავი (კაეშნიანი). ეს უკანასკნელი არსებითი სახელისაგან (კაეშანი) იან სუფიქსით არის ნაწარმოები. გარდა ამისა, კლაუზულებში ადგილი აქვს ნარნარა ბგერების (ლ-ნ) ცნობილ მონაცვლეობას: შრ-იალი — კაეშნ-იანი. ამნაირვე მონაცვლეობაა (რ-ნ) საყრდენ თანხმომვნებშიც.

შრიალი — კაეშნიანი, ასეა მიღებული ეს ერთ-ერთი საუკეთესო რითმათავანი.

მსგავსი მაგალითები შეგვიძლია ბევრი სხვაც დავასახელოთ, მაგრამ ჩვენი მიზნისათვის ესეც საკმარისია: როცა მთარგმნელი რითმის ორივე ცალში ერთნაირ მეტყველების ნაწილებს წარმოკვიდგენს, ის ასხვავებს მათ ბევრი სხვადასხვა ნიშნით და ამით თავს აღწევს ერთფეროვნებას. ამ სხვადასხვაგვარი სემასიოლოგიური და მორფოლოგიური განსხვავებებით იქმნება ისევ ის

მრავალფეროვნება და მაღალი ხარისხის პოეტური პროდუქცია, რომელიც მკითხველს ხიბლავს და ატყობს ღრმა ესთეტიკური ემოციებით.

*

როგორია ეს რითმები სიგარძე-სიმოკლის, ან, რაც იგივეა, მარცვალთა როდენობის მიხედვით? სრულიად უნაკლო. პოემაში სულ 178 სტროფი და ამდენივე რითმაა, აქ ჯვარედინი რითმა არა გვაქვს: თარგმანი კვალდაკვალ მისდევს ორიგინალს. ესაა მხოლოდ, რომ ორიგინალში სტროფი ორ-ორ სტრიქონადაა გაწყობილი, ამიტომ იქ რითმები მიჯრითია. თარგმანში, ქართული ლექსის ბუნების მიხედვით, სტროფი 4 სტრიქონადაა წარმოდგენილი, რითმა კი ისევ იმდენია, რამდენიც ორიგინალში. ეს თარგმანის ღირსებაა და არა ნაკლი, როგორაც ის შეცდომით მიუჩნევიდა თავის რეცენზიაში ა. მხითარაძის («Вечерний Тбилиси», № 253, 25. X. 1962). ამ 178 რითმიდან არც ერთი არაა ვაჟური. ქალურია მხოლოდ 30¹, ხოლო დანარჩენი 148² დაქტილური და ზედაქტილურია (ეს უკანასკნელი ათიოდეც არ იქნება, ისიც სადავოა). რითმათა აბსოლუტური უმრავლესობის დაქტილურად გამართვა უდავოდ დიდი მიღწევაა და მთარგმნელის მაღალ მხატვრულ გემოვნებაზე ლაპარაკობს.

მიანც რა შემთხვევაში მიმართავს მთარგმნელი ქალურ რითმას? გაჭირვების შედეგი ხომ არ არის ის? არავითარ შემთხვევაში. ქალური რითმა რ. თვარაძის თარგმანში გვაქვს მკაცრად განსახლვრულ შემთხვევებში: ესაა მაშინ, როცა ერთ-ერთ (ან ორივე) სარიტმევ ერთეულად გვაქვს ორმარცვლიანი ტერფი (ქორე). ბუნებრივია, ასეთ ორმარცვლიან ტერფებში რითმაც ქალური (ორმარცვლიანი) გვექონდეს. დავსძენთ აქვე,

რომ მთარგმნელს არ უყვარს ე. წ. შედგენილი რითმა, რომ ამ ორმარცვლიანი ტერფის წინა სიტყვაზე მიწებებით დაქტილური რითმა შეაკოწიწოს. ამას მთარგმნელი უკიდურეს შემთხვევაში მიმართავს და ეს აქაც აუცილებლობით არის გამოწვეული: პოემის გმირის სახელი აბუ-მარია ისეთი სიტყვაა, რომელიც, ცხადია, პოემაში ხშირად მეორდება და სადღაც-სადღაც რითმაშიც უნდა მოხვდეს. ეს სამჯერ ხდება. ერთ შემთხვევაში მას ერთიმება ძველი ქართულის ზენაარი (1,8), ორ სხვაში შედგენილი რითმა გვაქვს: აბუ-მარია — გზა არი (4,6), აბუ-მარია — ზღვა არი (6, 2). რადგანაც ამნაირი აგებულების სხვა სიტყვა ქართულში ან სულ არაა, ან აქ არ გამოდგება, ამიტომ, რომ მთარგმნელი იძულებულია აქ შედგენილ რითმის მიმართოს. ახლა გასაგებია, თუ რატომ ტოვებს მთარგმნელი ამ 30 შემთხვევაში ქალურ რითმებს. წინასწარ უნდა ითქვას, რომ ყველა ეს 30-ვე ქალური რითმა სავსებით დამაკმაყოფილებელია.

- აი რამდენიმე მთგანი:
- მარად — დარად 1, 13; 7, 20
 - ბრწყინავს — ბინა 1, 15
 - მზირი — ძირი 2, 11
 - მისი — გაუძლისი 2, 22; 6, 28; 7, 19
 - გული — განწირული 3, 13
 - არეთ — შეიწყნარეთ 3, 14
 - მგზავრი — ჯავრი 3, 19
 - ზარი — დარი 4, 4
 - უნდა — გუნდად 4, 14
 - მხოლოდ — ბოლო 5, 3
 - ძალა — შეიწყალა 5, 14
 - ბადეს — ადევს 5, 17
 - მოდგმა — მოთქმა 6, 9
 - კაცმა — ჯვარცმა 6, 11
 - მხარეს — ქარებს 6, 13
 - მზეო — ზეობ 7, 10
 - ღვინით — ღვინი 7, 11
 - დედა — დღეთა 7, 17; 7, 22
 - მწირი — პირით 8, 6
 - მზერით — ჩქერი 8, 8

¹ ხუთ შემთხვევაში რითმა მეორდება (სამი ორ-ორჯერ, ერთი — სამჯერ). ამის ჩათვლით 35 იქნებოდა.

² რამდენიმე განმეორებული რითმა აქაც გვაქვს.

ივანე იმნაიშვილი
მხატვრული ენის ზოგიერთი საკითხი



რითმათა უდიდეს ნაწილს ე. წ. ზუსტი რითმა წარმოადგენს. ამ შემთხვევაში რითმის მთელი შემადგენლობა მახვილიანი ხმოვნიდან ბოლომდე აბსოლუტურად ერთნაირი შედგენილობისაა. ასეთი რითმების სიჭარბე, ცხადია, მისი ძირითადი ღირსებაა. აი, რამდენიმე მაგალითი:

დაქტილური:

- კარავი — მზარავი 1, 16
- დროშანი — შროშანი 2, 6
- ქინმორეული — სხეული 2, 8
- ფრიადი — წყვდიადი 4, 2
- მერანი — ვერანი 4, 3
- მოელოდება — გოდება 4, 5
- გრივალი — შეურივალი 4, 7
- დარხეული — წყეული 4, 16
- ფარული — სიყვარული 4, 17
- ნოშანი — ჭვიშანი 4, 19; 5, 24; 6, 3;

7, 7.

- ქონება — დაემონება 5, 5
- გადაატანა — სატანა 6, 12
- გვიანი — აღერსიანი 6, 25
- ცხოველი — ყოველი 7, 9

და სხვა.

ქალური:

- გზირი — ძირი 2, 11
- მარად — დარად 1, 13; 7, 20.
- მგზავრი — ჯავრი 3, 19
- ზარი — დარი 4, 4
- ძალა — შეიწყალა 5, 14
- ბნელი — ძნელი 7, 15 და სხვ.

საკმაოდ დიდი როლდენობით გვხვდება ე. წ. არაზუსტი რითმები. აქ ცალკე უნდა შევჩერდეთ ე. წ. ასონანსებსა და კონსონანსებზე, ე. ი. ისეთ შემთხვევებზე, როცა სარიტმო კლავზულებში ა) ყველა ხმოვანი ერთნაირია, მაგრამ თანხმოვნები სხვადასხვაგვარია (რაიმე ნიშნით მსგავსია), ბ) ყველა თანხმოვანი ერთნაირია, მაგრამ ხმოვნები სხვადასხვაგვარია (მსგავსია). არაზუსტი რითმების გამოყენება ზუსტი რითმების გვერდით დღევანდელი პოეზიის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნილებაა. როდესაც ლაპარაკია არაზუსტ რითმზე

და მასში სხვადასხვა ხმოვნებისა თანხმოვნების გამოყენებაზე, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს პოეტს შეუძლია რითმაში ერთი რომელიმე ხმოვნის ნაცვლად სხვა, ნებისმიერი ხმოვანი იხმაროს (ვთქვათ, ი-ს ნაცვლად ა ან ო და უ) და ერთი თანხმოვნის ნაცვლად სხვა, ნებისმიერი თანხმოვანი (ვთქვათ, ბ-ს ნაცვლად გ, დ, ზ, თ, ქ, ც, წ, ჭ...).

არა. ასეთი თვითნებობა კარგს არაფერს მოიტანს. მაგრამ ეს არც ისე უნდა გავიგოთ, თითქოს რითმები ერთმანეთს აღარ ეთანხმებიან, ერთი სულ სხვაა, მეორე — სხვა, დარღვეულია კეთილხმოვანების პრინციპი და სხვა. არა. რ. თვარაძის თარგმანში არაზუსტი რითმა მკაცრ მეცნიერულ საფუძველს ეყრდნობა, მას მისდევს და იშვიათად გადაუხვევს მისგან. რა საფუძველია ეს? ზშირად, ესეც მრავალფეროვნების გამო, ერთნაირი ხმოვნებისა და თანხმოვნების ნაცვლად რითმაში წარმოდგენილია მსგავსი, მისი მონათესავე და ახლობელი ხმოვანი და თანხმოვანი. აქ ავტორი ზუსტად მისდევს ფონეტიკაში დადგენილ წესებს. ხმოვნებში ასეთი ახლობლებია: ი, და ე, უ და ო.

ა ცენტრალური ხმოვანია (ხმოვნები ასეა დალაგებული: ი, ე, ა, ო, უ) და მას კავშირი აქვს ორივე — მარჯვენა და მარცხენა — მეზობელთან: ა-ო, ა-ე. მაგრამ ეს უფრო იშვიათად გვხვდება. გაცილებით მეტ მრავალფეროვნებასა და სიმდიდრეს თანხმოვნები გვიჩვენებს. აქ მსგავსებია

სამეულები:

- ბ, პ, ფ (მქლერი, ყრუმკვეთრი, ყრუ-ფშვიციერი),
- ღ, ტ, თ; ძ, წ, ც.
- ჯ, ჰ, ჩ; გ, კ, ქ.

წყვილეულები:

- ზ, ს; ქ, შ; ლ, ხ. შეიძლება ამას მიემატოს ყ.
- ნარნარა თანხმოვნები: რ, ლ, ნ.
- ახლოა ერთმანეთთან ვ და მ, რომელთაც ზოგჯერ ბ-ც ეკედლება.

აი, ეს მონათესავე ხმოვნები და თან-ხმოვნებია, რომ ერთმანეთს ენაცვლებიან და განსაკუთრებულ მრავალფეროვნებასა და კეთილხმოვნებას ქმნიან. ეს არის, ვიმეორებ, ჩვენი დღევანდელი პოეზიის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი და ესთეტიკური ტკბობის წყარო. აბა ი-ს ნაცვლად უ-ს გამოყენება, პ-ს მაგივრად ქ-ს ხმარება და ა. შ. დისპარმონიას შექმნიდა მხოლოდ.

ენახოთ ახლა, როგორაა ეს წესი განხორციელებული რ. თვარაძის თარგმანში. ჯერ ავიღოთ ხმოვნები:

ო — ე (ე — ო):

- მინდობილი — მხმობელი 1, 7; 2, 7.
- ნაბირი — არაფერი 2, 3
- გვიანი — გეხშიანე 3, 17
- თარეში — გარეშე
- მზარადეს — მარადის 3, 23
- შახვილი — მსახველი 5, 13
- მოლაღატე — ჯალათი 6, 7
- სავანე — ქარავანი 6, 26
- მჭკრეტელი — გულდაწყვეტილი 2, 23; 6, 29

გპოვებდეს — გარდამოვიდეს 7, 16.
 რასაკვირველია, ყველა ეს რითმა საესეებით ერთი ყალიბისა არ არის. ერთი საერთო მათ ისა აქვთ, რომ სამი ხმოვიდან შენაცვლება არასოდეს არ ხდება პირველში, ეს ხმოვანი ყველგან ურყევია. ეს გასაგებია: სამმარცვლიან სიტყვებში მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალს (თავიდან პირველ მარცვალს) ხვდება და ის ხელშეუხებელი უნდა იყოს. ასეც არის აქ; შენაცვლება ხდება მეორე (უფრო ხშირად) და მესამე (უფრო ნაკლებად) ხმოვნებში: მინდობილი — მხმობელი, თარეში — გარეშე. მეორე: ხან ე-ს ცვლის ო (მოლაღატე — ჯალათი), ხან, პირიქით, ო-ს ნაცვლად ე გვაქვს (მახვილი-მსახველი). მესამე: ხმოვნების შენაცვლებასთან ერთად ზოგჯერ ადგილი აქვს თანხმოვნების მეტნაკლებობას: ერთ-ერთ ცალში მეტია ესა თუ ის თანხმოვანი (ცხადია, მეორეში ნაკლებია იგი), ამასთან, ამ თანხმოვნის პოზიცია ისეთია, რომ ის ძალიან მსუბუქად წარმოითქმის და ხელს არ უშლის საერთო ერთნაირ ქლერადობას:

გპოვებდეს — გარდამოვიდეს, ბოროტი — ამბორითვე. მეოთხე: ხანდახან ხმოვნებთან ერთად თანხმოვნებიცაა შენაცვლებული (ნაბირი — არაფერი). მაგრამ ასეთ შემთხვევებზე ქვემოთ ცალკე გვექნება ბაასი.

უ — ო (ო — უ):

წკარუნთი — წყარონი 1, 1; 2, 19; 3, 1

შემუსვრა — გარეშემოსა 5, 20.

როგორც ვთქვით, გაცილებით მეტი მრავალსახეობა და მოსალოდნელ ფორმათა სიმდიდრე გვაქვს თანხმოვნების მხრივ. თანხმოვნების მონაცვლეობა ბევრად უფრო მრავალფეროვანია და მეტი ემოციური ძალისაა, ვიდრე ხმოვნებისა. ქართულში ხმოვნები ძალზე მცირეა (სულ ხუთია), თანხმოვნები კი — შეუდარებლად ბევრი და მრავალფეროვანი (28). ამათგან რითმებში მონაცვლეობას თითქმის ყველა მათგანი ეწევა (მხოლოდ 3 არ ღებულობს მონაწილეობას: სიტყვები, რომლებშიც 3 შედის, ძალზე ცოტაა).

როდესაც ლექსის მკითხველი შეჩვეულია ზუსტ რითმას, მან იცის, რომ, მაგალითად, გოდება სიტყვის შესართავად იქვე უნდა გამოჩნდეს სიტყვა, რომელსაც დაბოლოებად ექნება... **ოდება** (კლაუზულა ო-თი იწყება), ვთქვათ: **გოდება, წოდება, მოლოდება, ლოდებად, ზოდებად** და სხვა, სადაც კლაუზულის I თანხმოვნად უმჯველად დ უნდა იყოს, ხოლო მეორე თანხმოვნად — **ბ**. მაგრამ როცა ის გაიგონებს და დაინახავს, რომ **დ-ს** ადგილას მისი მონაცვლე და მოქმე **ტ** არის, ესთეტიკური შთაბეჭდილება ერთ-ორად მატულობს: მუსიკალური მხარე დაცულია (ესაა მთავარი), გრაფიკული — განსხვავებული: მოდება — გაბოროტება (2, 12). შეიძლებოდა **დ-ს** ნაცვლად **თ-ც** ყოფილიყო (მაგრამ არც ერთი სხვა თანხმოვანი!): მოდება — აღშფოთება. ესეც იმავე შთაბეჭდილებას შექმნიდა. თუ რომელს შეარჩევს მთარ-

ივანე იმნაიშვილი
 მხატვრული ენის ზოგიერთი საკითხი

აი, ეს მონათესავე ხმოვნები და თან-ხმოვნებია, რომ ერთმანეთს ენაცვლები-ან და განსაკუთრებულ მრავალფეროვნე-ბასა და კეთილხმოვნებას ქმნიან. ეს არის, ვიმეორებ, ჩვენი დღევანდელი პოეზიის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი და ესთეტიკური ტკბობის წყარო. აბა ი-ს ნაცვლად უ-ს გამოყენება, პ-ს მაგი-ვრად ქ-ს ხმარება და ა. შ. დისპარმო-ნიას შექმნიდა მხოლოდ.

ენახოთ ახლა, როგორაა ეს წესი განხორციელებული რ. თვარაძის თარგ-მანში. ჯერ ავიღოთ ხმოვნები:

ი — ე (ე — ი):

- მინდობილი — მხმობელი 1, 7; 2, 7.
- ნაპირი — არაფერი 2, 3
- გვიანი — გაეხმინე 3, 17
- თარეში — გარეშე
- მზარადეს — მარადის 3, 23
- მახვილი — მსახველი 5, 13
- მოღალატე — ჯალათი 6, 7
- სავანე — ქარავანი 6, 26
- მჭკრეტელი — გულდაწყვეტილი 2, 23; 6, 29

გპოვებდეს — გარდამოვიდეს 7, 16.

რასაკვირველია, ყველა ეს რითმა სავსებით ერთი ყალიბისა არ არის. ერთი საერთო მათ ისა აქვთ, რომ სამი ხმოვიდან შენაცვლება არასოდეს არ ხდება პირველში, ეს ხმოვანი ყველგან ურყევია. ეს გასაგებიცაა: სამმარცვლი-ან სიტყვებში მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალს (თავიდან პირველ მარცვალს) ხვდება და ის ხელშეუხებელი უნდა იყოს. ასეც არის აქ; შენაცვლება ხდე-ბა მეორე (უფრო ხშირად) და მესამე (უფრო ნაკლებად) ხმოვნებში: მინდობი-ლი — მხმობელი, თარეში — გარეშე. მეორე: ხან ე-ს ცვლის ი (მოღალატე — ჯალათი), ხან, პირიქით, ი-ს ნაცვლად ე გვაქვს (მახვილი-მსახველი). მესამე: ხმოვნების შენაცვლებასთან ერთად ზოგჯერ ადგილი აქვს თანხმოვნების მეტნაკლებობას: ერთ-ერთ ცალში მეტია ესა თუ ის თანხმოვანი (ცხადია, მეორეში ნაკლებია იგი), ამასთან, ამ თანხ-მოვნის პოზიცია ისეთია, რომ ის ძალიან მსუბუქად წარმოითქმის და ხელს არ უშლის საერთო ერთნაირ ქღერადობას:

გპოვებდეს — გარდამოვიდეს, ბორო-ტი — ამბორითვე. მეოთხე: ხანდახან ხმოვნებთან ერთად თანხმოვნებიცაა შენაცვლებული (ნაპირი — არაფერი). მაგრამ ასეთ შემთხვევებზე ქვემოთ ცალკე გვექნება ბაასი.

უ — ი (ი — უ):

- წყარუნთ — წყარონი 1, 1; 2, 19; 3, 1
- შემუსვრა — გარეშემოსა 5, 20.

როგორც ვთქვით, გაცილებით მეტი მრავალსახეობა და მოსალოდნელ ფორ-მათა სიმდიდრე გვაქვს თანხმოვნების მხრივ. თანხმოვნების მონაცვლეობა ბევრად უფრო მრავალფეროვანია და მეტი ემოციური ძალისაა, ვიდრე ხმოვ-ნებისა. ქართულში ხმოვნები ძალზე მცირეა (სულ ხუთია), თანხმოვნები კი — შეუღარებლად ბევრი და მრავალფე-როვანი (28). ამათგან რითმებში მონაც-ვლეობას თითქმის ყველა მათგანი ეწე-ვა (მხოლოდ 3 არ ღებულობს მონაწი-ლეობას: სიტყვები, რომლებშიც 3 შე-დის, ძალზე ცოტაა).

როდესაც ლექსის მკითხველი შეჩე-ულია ზუსტ რითმას, მან იცის, რომ, მაგალითად, გოდება სიტყვის შესართ-მავად იქვე უნდა გამოჩნდეს სიტყვა, რომელსაც დაბოლოებად ექნება... **ოდება** (კლაუზულა **ო**-თი იწყება), ვთქვათ: **გოდება, წოდება, მოლოდება, ლოდებად, ზოდებად** და სხვა, სადაც კლაუზულის I თანხმოვანად უეჭველად დ უნდა იყოს, ხოლო მეორე თანხმოვ-ნად — **ბ**. მაგრამ როცა ის გაიგონებს და დაინახავს, რომ **დ**-ს ადგილას მისი მონაცვლე და მოძმე **ტ** არის, ესთეტი-კური შთაბეჭდილება ერთი-ორად მა-ტულობს: მუსიკალური მზარე დატულია (ესაა მთავარი), გრაფიკული — განსხვა-ვებული: მოდება — გაბოროტება (2, 12). შეიძლება **დ**-ს ნაცვლად **თ**-ც ყოფილიყო (მაგრამ არც ერთი სხვა თანხმოვანი!): მოდება — აღშფო-თება. ესეც იმავე შთაბეჭდილებას შექმნიდა. თუ რომელს შეარჩევს მთარ-

ივანე იმნაიშვილი
მხატვრული ენის ზოგიერთი საკითხი

გმნელი ასეთ შესაძლებელ სიტყვათაგან, ეს სათარგმნი მასალის შინაარსზეა დამოკიდებული. ასევე ითქმის სხვა თანხმოვნების შესახებაც. აქედან ჩანს, თუ რა ფართო და ამოუწურავი შესაძლებლობა ისახება პოეტის წინაშე, როცა ზემოთ აღნიშნულ კანონს მიჰყვება და მას წარმატებით იყენებს ლექსის შენებაში. მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, არაზუსტი რითმები, როგორც კარგიც უნდა იყოს ისინი, თავის ცხოველმყოფელობას ინარჩუნებენ მხოლოდ ზუსტი რითმების გვერდით და მათთან თანაარსებობაში. თუ ყველგან არაზუსტი რითმები გვექნებოდა და ზუსტ რითმებს აღარ ექნებოდა დათმობილი თავისი კუთვნილი ადგილი, მაშინ ეს არაზუსტი რითმები თვითმიზნად გადაიქცეოდა და ერთფეროვნებას ვერ ასცდებოდა. ზუსტი და არაზუსტი რითმები თავისუფლად და დაუბრკოლებლად უნდა ცვლიდნენ ერთმანეთს, ისინი ერთად უნდა ცოცხლობდნენ და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. მხოლოდ მაშინ შეასრულებს ორივე მათზე დაკისრებულ დიდ მხატვრულ ფუნქციას.

რ. თვარაძის აღნიშნული თარგმანი ამ მხრივც იმსახურებს ჩვენს ყურადღებას. არაზუსტი რითმები აქ წარმოდგენილია ფონეტიკური კანონების ზუსტი შესატყვისებით. ყველა შემთხვევას ვერ გამოვეყიდე, განვიხილოთ ზოგი მათგანი.

ბ — ფ (ფ — ბ):

- ფერებით — დაუბერები¹ 1, 9
 - ახლობელი — სოფელი 1, 11
 - სამყოფელი — მგობელი 6, 17
 - ღრუბლებად — თავისუფლება 7, 4
- პ — ფ:**
- ზღაპარი — ნაფარი 1, 6; 3, 4
 - ნაპირი — არაფერი 2, 3
 - სანაპირონი — საფირონი 3, 18
- ღ — თ (თ — ღ):**
- დავიდე — იმთავითვე 2, 16
 - გსმენიათ — გეენიად 3, 12
 - მარბთა — ხარხარებდა 4, 18

- მოდგმა — მოთქმა 6, 9
- სერთოვე — განერიდე 6, 18
- უედემონი — მოთემენი 6, 23
- დედა — დღეთა 7, 17; 7, 22
- წვდომად — კროთა 8, 9

ტ — თ:

- ბრილიანტები — ანთებით 1, 5; 3, 15.
- ბოროტი — ამბორითვე 4, 15
- გადაემეტა — მოთემეთა 5, 11
- მოდლატე — ჯალათი 6, 7
- დაკეტილი — კეთილი 6, 8.

ტ — დ (დ — ტ):

- მოვინატრო — უბინადრო 1, 19
- მოდგმა — გაბოროტება 2, 12
- ვერმოიმედე — გამოიმეტეს 3, 7

ძ — წ (ყ):

- ძალა — შეიწყალა 5, 14
- ც — წ (ყ):**
- მცინარე — მოუწყინარედ 1, 17
 - იცილებს — წიწილებს 2, 14

ჭ — ჩ

- ჭურჭელი — ვერ გადურჩები 2, 19

გ — ჭ:

- მოდგმა — მოთქმა 6, 9
- კონები — გონება 7, 21

ღ — ხ (ხ — ღ):

- ღვინით — ლხინი 7, 11
- სიხარულად — ღვარულად 7, 12

ღ — ყ (ყ — ღ):

- ჩამოდვარული — სიყვარული 3, 20
- სიყვარულიც — ღვარული 5, 8
- მაღალი — აყალმაყალი 6, 24

ხ — ყ:

- დარბეული — წყეული 4, 16
- ცხოველი — ყოველი 7, 9.

ჯ — ს (ს — ჯ):

- დას-დასი — ახალგაზრდასი 5, 19
- რ — ლ (ლ — რ):**
- სასწაულით — ვერსაცნაური 3, 6
 - მხილველი — პირველი 3, 8
 - იქუფრება — თავისუფლება 7, 5
 - ვერ შემოჯნული — მიჯნური 7, 18.

ნ — ლ (ლ — ნ):

- წკარუნით — ფარული 5, 1
- შრიალი — კაეშნიანი 8, 3

რ — ნ:

- შრიალი — კაეშნიანი 8, 3.

¹ აქ და ქვემოთ მხედველობაშია მიღებული საყრდენი თანხმოვნებიც.

ამ წესს, როგორც აღვნიშნეთ, ავტორი თითქმის არსად არ არღვევს. მხოლოდ ერთჯერ გვხვდება ლ-ს ნაცვლად ბ: ქურჭელი — ვერ გადურჩები (2, 19), მაგრამ ეს ნაკლი ანაზღაურებულია რითმის დანარჩენი ელემენტების უჩვეულო სიმდიდრით (ურჭე-ი — ურჩე-ი).

მაგრამ არაზუსტ რითმას მარტო მსგავსი თანხმოვნების მონაცვლეობა არ განსაზღვრავს. თანამედროვე პოეტები რითმათა გამრავალფეროვნების მიზნით მიმართავენ კიდევ ერთ ხერხს: ზოგჯერ რითმის ერთ-ერთ ცალში ნაკლებია ერთი, ან ორი თანხმოვანი (მაშასადამე, მეორე ცალში მეტია ისინი). უმრავლეს შემთხვევაში ეს თანხმოვნები ისეთ გარემოცვაშია, რომ სალაპარაკო ენაში არ გამოითქმის, ან თითქმის არ ისმის. ამის ერთი კარგი მაგალითი ზემოთ სხვა საკითხთან დაკავშირებით იყო მოყვანილი: დას-დასი — ახალგაზრდასი (5, 19).

აქ რითმის II ცალში მეტია რ. მაგრამ რ თანხმოვნებს შორის არ გამოითქმის, ან ძალიან სუსტად გამოითქმის. ხალხში სწორედ ახალგაზდა იხმარება. ხშირია აგრეთვე ასეთი ფორმები: შენ გაზდას, შენმა გაზდამ. ეს კარგად იცის პოეტმა და ასე გაბედულად აუღლებს ამ სიტყვებს: დას-დასი — ახალგაზრდასი. ერთადერთი, რაც აქ ყურს ეჩოთირება, მორფოლოგიური წესის დარღვევაა: ნათესაობითში უნდა ახალგაზრდასი და არა ახალგაზრდასი. მაგრამ ეს პოეტური ლიცენცია გადაჭარბებით ანაზღაურებს მცირე შეცოდებას.

რითმაში თანხმოვანთა ასეთი მეტნაკლებობის ნიმუშებია (მეტ თანხმოვნებს შავად ვაწყობთ):

- მოუბრუნებლად — ცდუნება 2, 5; 5, 4; 6, 16
- ბროლფიქალი — მიმქრალი 3, 2
- მზარავდეს — მარადის 3, 23
- ბოროტი — ამბორითვე 4, 15
- ბადეს — ადევს 5, 17 (საყრდენ ბ-ს ხმაურება)
- შემუსვრა — გარეშემოსა 5, 20
- მზარეს — ქარებს 6, 13
- სიალე — ჩამოსრიალებს 6, 15
- სერიოვე — განერიდე 6, 18

ფარავდეს — მარადის 7, 8
გბოვებდეს — გარდამოვიდეს 7, 16

რითმა იწყება ხმოვნით და ხმოვნითვე თავდება. რაც ამ ხმოვნებს წინ უსწრებს, თუ ბოლოს მოსდევს, აუცილებელი არ არის რითმისათვის, მაგრამ სასურველი და კარგია მათი ერთნაირობა. აქ ლაპარაკი გვაქვს განსაკუთრებით ბოლო ხმოვნის შემდეგ არსებულ მასალაზე. ფაქტიურად აქა გვაქვს ერთი ან ორი თანხმოვანი (ძალზე იშვიათად სამიც შეიძლება იყოს). ყველაზე ხშირია ერთი თანხმოვანი. უნდა ითქვას, რომ ეს ბოლოკიდური თანხმოვანი რითმაში ან არ წარმოითქმის, ან ძალიან სუსტად. რაკი რითმის უკანასკნელი ხმოვანი წარმოითქვა, რითმა არსებითად დასრულდა, რაც იმის იქით არის, იმას არა აქვს დიდი მნიშვნელობა და, როგორც ვთქვით, მისი წარმოთქმა სუსტად ხდება, ან ლექსის ჩქარი წარმოთქმისას თითქმის არ ისმის. რაკი, მაშასადამე, რითმის უკანასკნელი ხმოვნის შემდეგ არსებულ ბგერას (ბგერებს) ლექსის აკუსტიკური მხარისათვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, თანამედროვე პოეტები ხშირად ქმნიან ისეთ არაზუსტ რითმას, რომლის ერთ-ერთ ცალშიც ბოლო ხმოვნის შემდეგ მეტი იქნება ერთი (ან ორი) თანხმოვანი (მაშასადამე, მეორე ცალში ნაკლები იქნება იგი). არაზუსტი რითმის ეს სახე ძალიან გავრცელებულია დღეს და პოეტები მას ხშირად მიმართავენ. ესეც ხელს უწყობს მრავალფეროვნების მიღწევას. ამ სახის არაზუსტი რითმები ბლომად გვხვდება რ. თვარაძის თარგმანშიც.

აქ ვუჩვენებთ ზოგ მათგანს და გვერდზე მივწერით რითმის სათანადო ცალის მეტ თანხმოვნებს:

- ბრწყინავს — ბინა 1, 15 ვს —
- მცინარე — მოუწყინარედ — დ
- სვეტებდალ — იხვეტება დ —
- მოუბრუნებლად — ცდუნება 2, 15; 5, 4; 6, 16
- გონი — ღონის 2, 10 — ს

ივანე იმნაიშვილი
მხატვრული ენის ზოგიერთი საკითხი



შებენად — უფსკრულებიდან
 2, 15 ვს — 5
 უნანავეს — მისთანავე 2, 17 ბს —
 მომინდების — ავქვითინდები
 2, 18 ს —
 წყარუნით — წყარონი 1, 1;
 2, 19; 3, 1 თ —
 დაუჩქარები — ზარების 1, 2 — ს
 ფერებით — დაუბერები 1, 9 თ —
 ტუჩებით — უჩვევი 1, 22 თ —
 გულგაუხარად — სამწუხარო 2, 2 დ —
 ყვავილნარები — ნარნარებით
 3, 3 — თ
 სასწაულით — ვერსაცნაური
 3, 6 თ —
 ვერმოიმედ — გამოიმეტეს 3, 7 — ს
 ბრილიანტები — ანთებით 1, 5;
 3, 15 — თ
 ჩამოღვარული — სიყვარულით
 3, 20 — თ
 სიმძიმის — ღიმილით 3, 24 ს — თ
 წარებით — ზარები 3, 25 თ —
 შემზარავად — ქარავანს 4, 1 დ — ს
 შემეგებების — ვნებები 4, 8 ს —
 მახვილი — მსახველიც 4, 13 — ც
 ციალით — ძეხორციელი 4, 12 თ —
 უნდა — გუნდად 4, 14 — დ
 წყარუნით — ფარული 5, 1 თ —
 მხოლოდ — ბოლო 5, 3 დ —
 სიყვარულიც — ღვარული 5, 8 ც —
 ველი — ნელით 6, 1 — თ
 ნუ აგვიანებთ — ადამიანებს
 6, 5 თ — ს
 ეშმაკეულად — წარმონთხეულა
 6, 6 დ —
 კიდითი-კიდ — კიდევ 6, 14 — ვ
 სიაღ — ჩამოსრიალებს 6, 15 — ბს
 გამო — ტრამალ 6, 27 — ლ
 არდახანებით — მგვანები 6, 30 თ —
 მოუწყინარედ — წინარე 7, 1 დ —
 ღრუბლებად — თავისუფლება
 7, 4 დ —
 ღვინით — ღვინი 7, 11 თ —
 ნეტარებით — ზარები 7, 13 თ —
 ფერებად — ბედნიერებას 8, 4 დ — ს
 მწირი — პირით 8, 6 — თ
 მზერით — ჩქერი 8, 8 თ —
 წვდომად — კრთომა 8, 9 დ —

აქედან ჩანს, რომ 48 შემთხვევადან¹¹
 ორი თანხმოვანი მეტია მხოლოდ 5 მა-
 გალითში, სხვა ყველა 43 ნიმუშში რით-
 მის ცალები ერთმანეთისაგან განსხ-
 ვავდებიან მხოლოდ თითო თანხმოვ-
 ნით. მეორე: ყველა 43 შემთხვევი-
 დან რითმის ორივე ცალს ერთდროუ-
 ლად აქვს სხვადასხვა თანხმოვანი აგ-
 რეთვე 5 შემთხვევაში, სხვა ყველა 38
 ნიმუშში მეტ (ან ნაკლებ) თანხმოვანს
 შეიცავს მხოლოდ თითო ცალი. ასე
 რომ, შეიძლება ითქვას: აქ ჩვენ არსე-
 ბითად საქმე გვაქვს რითმის ერთ-ერთ
 ცალში ერთი თანხმოვნის მეტ-ნაკლე-
 ბობასთან. აბსოლუტურად უმეტეს
 შემთხვევაში ეს თანხმოვნებია თ, დ, ს;
 ამათგან პირველი მუდამ მოქმედებითი
 ბრუნვის ნიშნისეული ელემენტია (წყა-
 რუნ-ი-თ), მეორე აგრეთვე მუდამ ვითარ-
 რებითი ბრუნვის ნიშანია, ან მისი ნაწი-
 ლი (შემზარავ-ად, წვდომ-ად), მესამე
 (ს) ხან მიცემითის ნიშანია (ადამიანებს),
 ხან ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ნაწი-
 ლი (ზარებ-ი-ს), ხან კიდევ ზმნის მესამე
 სუბიექტური პირის ნიშანია (შემეგებე-
 ბის). შეიძლება განვავიხადოთ, რომ ამ
 მეტ-ნაკლები თანხმოვნების სახით წარ-
 მოდგენილია სახელის ბრუნვისა და
 ზმნის პირის ნიშნები, ე. ი. ენაში ყვე-
 ლაზე ხშირად ხმარებული აფიქსები. ეს
 ასეც უნდა იყოს. სწორედ იმათი დარ-
 თვა-დაურთველობით მორფოლოგიუ-
 რად განსხვავდება ერთმანეთისაგან სი-
 ტყეები, რომელთაც ისინი ახლავს, მაგ-
 რამ ფონეტიკურად (აკუსტიკურად) იმა-
 თი შესუსტება სიტყვის აბსოლუტურ
 ბოლოში ქმნის თანაბარ ელერადობას
 და იძლევა მაღალი ხარისხის რითმების
 შექმნის დაუშრეტელ წყაროს.
 ზემოთ რითმასთან დაკავშირებით
 წამოყენებული დებულებები საფუ-
 ძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ რ. თვა-
 რაძის მიერ თარგმნილი პოემა „ბაუ-
 ლალა-მარა“ ამ თვალსაზრისითაც სა-
 ნიმუშოა. იგი გვერდში უდგას ჩვენი
 თანამედროვე საუკეთესო ახალგაზრდა
 პოეტების ორიგინალურ ლექსებს.

ჩვენ განვიხილეთ რითმასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი ცალცალკე. მაგრამ სინამდვილეში ბევრი მათგანი მოცემულია ერთად, ერთდროულად. მაგალითად, რითმაში ფერებით — დაუბერები (1, 9) საყრდენად გამოყენებულია მსგავსი თანხმოვნები: ფ—ზ; მეორე მხრივ, პირველს მეტი აქვს ბოლოკიდური თ; ვერმოიმედ — გამოიმეტეს გვიჩვენებს კლაუზულაში მსგავსი თანხმოვნების შენაცვლებას: დ — ტ; რითმის მეორე ცალს მეტი აქვს ს, კლაუზულის წინ ორივე ცალს ემატება მო ელემენტი და ქმნის ოთხმარცვლიან ღრმა რითმას; წკარუნით — წყარონი მრავალმხრივია საყურადღებო: ერთი საწყისური წარმოშობის სახელია (წკარუნი), მეორე — არსებითი; ერთი მხოლოობითში დგას, მეორე—მრავლობითში; ერთი მოქმედებითს ბრუნვაშია დაყენებული, მეორე — სახელობითში; ადგილი აქვს უ და ო ხმოვნების შენაცვლებას, რაც წესს მისდევს ზუსტად; საყრდენად გამოყენებული აქვთ წკ და წყ პარმონიული ჯგუფები, რომელიც თითქოს ერთ გრძელ ბგერად ისმის; რითმაში მოვინატრო — უზინადრო შეწყვილებულია ზმნა და სახელი; შენაცვლებულია ტ და დ თანხმოვნები; საყრდენად გამოყენებულია მსგავსი თანხმოვნები: ვ — ზ; ამის წინ მოცემულია

მსგავსი ხმოვნები უ — ო, რის განიაც რითმა ოთხმარცვლიანი გამოდის; წყვილში შემეგებების — ვნებები პირველი ზმნაა, მეორე—სახელი; პირველი მხოლოობითს რიცხვშია, მეორე—მრავლობითში; პირველში კლაუზულის პირველი ებ ძირისაა, მეორეში თემის ნიშანია; პირველში მეორე ებ თემის ნიშანია. მეორეში — მრავლობითობისა; პირველში ბოლოკიდური ი მეორეული თემის ნიშანია, მეორეში — სახელობითი ბრუნვისა; პირველს ბოლოხმოვნის შემდეგ ს თანხმოვანი აქვს, მეორეს — არა; პირველი ძველი ფორმით არის ნახმარი, მეორე — ახლით. სხვადასხვა ხერხის ერთდროული წარმოდგენა ერთსა და იმავე რითმაში ქმნის კიდევ მეტ მრავალფეროვნებას და აძლიერებს ლექსის განმცდელობითს ძალას, მისი შინაარსის აღქმას.

ახალი, მოულოდნელი, ორიგინალური რითმების გამოყენება ნიშნავს ერთად დიდ შრომასა და განუწყვეტელ ძიებას მოითხოვს. ამიტომ ვისაც სურს, რომ გაუცკეთლო, სურნელოვანი, ღრმად ემოციური და ქდერადი რითმები უშმვენებდეს ლექსებს, იგი მუდამ უნდა ეძიებდეს მათ, რამეთუ რომელი ეძიებდეს, მან პოვოს.

ივანე იმნაიშვილი
მხატვრული ენის ზოგიერთი საკითხი



სასარგებლო ნაშრომი

სკკპ XXII ყრილობის, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს მიერ 1953—1962 წწ. სოფლის მეურნეობის საკითხებზე მიღებულ დადგენილებებში ხაზგასმითაა აღნიშნული მარცვლეულის წარმოების სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა, დასაბუთებულია მარცვლეულის მეურნეობის განვითარების აუცილებლობა, გამოვლენილია მარცვლეულის წარმოების გადიდების რეზერვები, დასახულია მათი გამოყენების გზები. ამ მიმართულებით დიდ მცენიერულ ინტერესს შეიცავს ცალკეული საბჭოთა რესპუბლიკების მარცვლეულის მეურნეობის მონოგრაფიულად შესწავლა.

ბექირბი ხასიას ნაშრომი „სოციალისტური მიწათმოქმედების განვითარება საქართველოში“, გამოცემული საქართველოს სსრ მცენიერებათა აკადემიის მიერ 1962 წელს, რესპუბლიკის მარცვლეულის მეურნეობის ისტორიისა და ეკონომიკის საკითხების კომპლექსური შესწავლის პირველი ცდაა.

სარეცენზიო წიგნი 9 თავისაგან შედგება. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მარცვლეული მეურნეობის განვითარების ძირითადი ეკონომიკური მიზნებიდან განსაკუთრებული წიგნის I და II თავებში.

ნაშრომის ამ ნაწილში საინტერესოა მარცვლეული კულტურების სადაურობის შესწავლა ძველი ქართული წყაროების მიხედვით. აკად. ივანე ჯავახიშვილისა და პროფ. პაატა გუგუშვილის შრომებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მარცვლეული კულტურების წარმოშობისა და გავრცელების საკითხებს ბ. ხასიას დაწვრილებით შესწავლილი არსებული წყაროები, ასტროლოგიური

თხზულებები, ქართული შედგინის ძეგლები, ქართული პავოგრაფიული ძეგლები, რამაც შესაძლებლობა მისცა მეცნიერულად აეხსნა ზოგი დღემდე გაურკვეველი პრობლემა. აკად. კორნელი კეკელიძის მიერ გამოცემული ძეგლის „ცხოვრება და განგება ნისიმესი, რომელი იყო ასული მეფისა ეგვიპტელისა და იქმნა მამასახლის უდაბნოს მოძღუართა ზედა რიცხვი ოთხასთა წმინდათა მამათა“ — გულისხმიერი შესწავლის საფუძველზე ბ. ხასიამ დაადგინა: „ზანდურის თვისება, რომ მისგან გამომცხვარი პური ღიბხანს არ ხმეზოდა, საერთოდ, მაღალი თვისებით ხასიათდებოდა, მომენტი, რომელმაც იგი პოპულარული გახადა და მერმე კი ხორბლის დაღქვისათვის გაღებული გადასახადის „სასიმინდოს“ სახელწოდება მიიღო, ხოლო მერმისში კი სიმინდის მცენარის სახელად მოგვევლინა“ (გვ 66).

ბექირბი ხასიამ უარყო დღემდე გავრცელებული შეხედულება, თითქოს სიმინდი ჩვენში ფქვილად შემოეტანათ. იგი წერს: „...ის მოსახრება რომ სიმინდი საქართველოში ჯერ თითქოს ფქვილის სახით ყოფილიყოს შემოტანილი, მოკლებულია დამაჯერებლობას: იგი არ შეიძლება იყოს სწორი შემდეგი მიზეზების გამო: ჯერ ერთი, სატრანსპორტო საშუალებათა განვითარების იმპონინდელ დონეზე შეუძლებელი იყო ეწარმოებინათ სიმინდის ფქვილის ექსპორტი; მეორე, არამც თუ მაშინ, არამედ XIX ს. 80-90-იან წლებშიც კი, ევრც ერთი ქვეყანა ვერ ახერხებდა სიმინდის ფქვილის ექსპორტს. სიმინდი საუკუნეების მანძილზე იფქვებოდა კანიან-გულიანად და ამიტომ იგი ჩქარა ფუჭდებოდა XX ს. 20-იან წლებში ამერიკელებმა მიღწეის იმას, რომ სიმინდი იფქვის უკანოდ და უგულოდაც“ (გვ 63) ამით მიღწეული იქნა სიმინდის ფქვილის ექსპორტი

სიმინდის კულტურის ისტორიის შესასწავლად საჭირო შეიქნა სიმინდის ბეგარა-ვადასახადების

1 ბექირბი ხასია, სოციალისტური მიწათმოქმედების განვითარება საქართველოში, I, 1962, თბ., გვ. 485 (რედაქტორი პროფ. ა. ნუცუბიძე).

ვაშკოვსკი. მარცვლული კულტურების ზეგარა-გადასახადების საფუძვლიანმა შესწავლამ სარეცენზო წიგნის ავტორი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ „სიმინდის გადასახადი გვხვდება მხოლოდ XVIII ს. II ნახევრიდან... აქ ვადაშწვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ზეგარა-გადასახადები საუკუნეების მანძილზე უცვლელი რჩებოდა და ამიტომაც სიმინდის კულტურის შემოსვლის დროიდან ერთაშად შეუძლებელი იყო შეეცვალათ მათი გაბატონებული კულტურების გადასახადი, შემოვლოთ სიმინდის გადასახადიც, როგორც ჩანს, ეს მოხდა მას ვერმე, რაც ღომის კულტურა თითქმის ამოვიარდა მის ადგილას სიმინდის კულტურა აბსოლუტურად გაბატონდა...“ (გვ. 72). ჩვენი აზრით, ეს მოსაზრება საყვებით სწორია.

ნაშრომში (გვ. 73—108) მოცემულია მარცვლულის მეურნეობის განვითარების ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი. აქ ყურადღება გამახვილებულია საქართველოს პურ-ფურცის ბალანსზე XVIII ს. დასასრულსა და XIX ს. დასაწყისში. ილია ჭავჭავაძის, ივანე ჯავახიშვილისა და პაატა გუგუშვილის მიერ თავის დროზე წამოყენებულ დებულებებზე დაყრდნობით ბეჭიბი ხაზიამ ცხადყო — პურ-ფურცის ბალანსის დეფიციტთანაა მნიშვნელოვნად ამცირებდა ის გარემოება, რომ საქართველო წარმოადგენდა მრავალწლიანი ნარგავების (ვაზის, ხეხილის და სხვ.) კლასიკურ ქვეყანას, რომ პურის ნაკლებობისას ძველ საქართველოში ხალხი ყურძნითა და ხილით იკვებებოდა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ღვინოსაც. საყურადღებოა ისიც, რომ XIX ს. რეფორმამდე პერიოდშიაც მოუსავლიანობისა და შიმშილობის დროს მოსახლეობის მიერ გაზაფხულ-ზაფხულში ვაზის გამოწოვა ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

ნაშრომში წამოყენებულია და დასაბუთებულია ის აზრი, რომ საქართველოს ხორბლის მეურნეობაში საქონლური წარმოება უმნიშვნელო იყო, რაც შეეხება სიმინდის მეურნეობას, აქ მიწათმფლობელებმა ფართო სავაჭრო ხასიათი მიიღო მხოლოდ ქუთაისის გუბერიაში. ამ გუბერნიიდან ყოველწლიურად გაჰქონდათ უცხოეთში 6 მლნ ფუთზე მეტი სიმინდი.

XIX ს. დასასრულსა და XX ს. დასაწყისში საერთოდ მიწათმოქმედება, კერძოდ, მარცვლულის მეურნეობა საქართველოში ეყება. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის ჩამორჩენილი ტექნიკა. ქართულ პრესაში ჩაღდება კამათი მიწათმოქმედების ჩამორჩენილობაზე. მის მიზეზებსა და სოფლად მწარმოებლურ ძალთა განვითარების გზებზე.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, საერთოდ საკომლექსური წყობილების გამარჯვების პრობლემა საქართველოში მონოკრატულიად დღემდე არ ყოფილა შესწავლილი. სარეცენზო წიგნში ნაჩვენებია აგრარული საკაცის გადაწყვეტის მნიშვნელობა სასოფლო-აღმურნეო წარმოების გასავითარებლად.

ამ საკითხის განხილვისას წიგნში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ვ. ი. ლენინის მოძღვრებას მიწათმოქმედების სოციალისტურ ფორმებზე და საქართველოში ვ. ი. ლენინის კოოპერაციული გეგმის განხორციელების საკითხს.

ვ. ი. ლენინის კოოპერაციული გეგმის განხორციელებისა და საერთოდ საქართველოში კოლექტივიზაციის თავისებურებათა ახსნისათვის საჭირო იყო ქართული სოფლის სოციალისტური ნომიკური სტრუქტურის შესწავლა. სარეცენზო შრომაში დაწერილებითაა გამოკვლეული სოფლის ანატომია, გაანალიზებულია ძველისა და ახლის განწყვეტელ პრიდილი წარმოშობილი ახალი ეკონომიკური პროცესები. პირველ რიგში ყურადღება გამახვილებულია მეურნეობათა ჯგუფებზე ნათესი ფართობის მიხედვით, რომლებიც ავტორის დასკვნით მიწმომენ იმას, „რომ საქართველოში, ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებთან შედარებით, ყველაზე ცოტა იყო დიდი ნათესების მქონე მეურნეობანი ასეთი მეურნეობები შედარებით მეტი იყო სომხეთში და რამდენჯერმე მეტი აზერბაიჯანში.

მეორე მხრივ, საქართველოში ყველაზე მცირე იყო უნათესო — ან 0,09 დეს. ნათესის მქონე მეურნეობანი. საქართველოში მეურნეობათა 2,53% მოდიოდა იმ მეურნეობაზე, რომელთაც ჰქონდათ ნათესი 0,6 — 1,0 დესტინამდე. საერთოდ საქართველო მთელს ამიერკავკასიაში ყველაზე წვრილი გლეხური მეურნეობის ქვეყანა იყო“ (გვ. 127).

ამის შემდეგ ავტორი ადარებს უკრაინის, ბელორუსიისა და აზერბაიჯანის მაჩვენებლებს და დაასკვნის: „საქართველოში ნათესი ფართობის მიხედვით ვერ მივიღებთ სრულ სურათს გლეხური მეურნეობის სიმძლავრის შესახებ არა მარტო იმიტომ, რომ აქ დიდი ხვედრ-წონით არის წარმოდგენილი მრავალწლიანი ნარგავთა მეურნეობა, არამედ იმიტომაც, რომ აღმ. და დას. საქართველოში, აფხაზეთსა და აჭარაში არსებითად განსხვავებულია თვით ნათესის სტრუქტურა. მავალითად აფხაზეთში ტექნიკური კულტურების წარმოებაში დასაქმებულია მეურნეობათა 30,5%.

ვ. ი. მისდევნ თამბაქოს მოყვანას. ამავე დროს ცნობილია ისიც, რომ ერთი ჰექტარი თამბაქოს პლანტაცია იძლევა რამდენიმეჯერ მეტ შემოსავალს, ვინემ ხორბლის ან სიმინდის ნათესს... ეს მომსახტები, როგორც საცეფიკური საქართველოსათვის, გათვალისწინებული უნდა იქნას ელენის მეურნეობის სიმძლავრეზე მსჯელობისას“ (გვ. 122—133).

შემდეგ გამოკვლეულია გარე საშოვარზე გაცვლის ეკონომიკური საფუძვლები და ნაჩვენებია მათი ლიკვიდაციის გზები.

ალექსანდრე ბრეგვაძე, ელგუჯა ჩაღუნელი
სა' არგებლო ნაშრომი



სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაცია და მის ბაზაზე მწარმოებლურ ძალთა მძლავრი განვითარება სოფლად, ნაშრომში ამოწურავდა წარმოდგენილი.

ამ საკითხის განხილვისას პირველ რიგში უნდა აღინიშნოს საქართველოში კოლექტივიზაციის თავისებურებათა პრობლემის წამყვანება და მისი შეცნობილი გასაქმება.

ნაშრომიდან (გვ 165) ვიკებთ, რომ 1938 წელს საქართველოში ყველა სხვა რესპუბლიკაზე უფრო დაბალი იყო კოლექტივიზაციის პროცენტი. ასე, მაგალითად, იგი უდრიდა: რსფსრ — 93,1, უკრაინაში — 96,2, ბელორუსიაში — 89,9; აზერბაიჯანში — 90,3, საქართველოში — 78,7, სომხეთში — 91,9, თურქმენეთში 96,9, უზბეკეთში — 98,8, ყაზახეთში — 97,9 და ა. შ.

საქართველოში ყველაზე დაბალი იყო აგრეთვე კოლექტივიზაციის პროცენტი ნათესის მიხედვითაც, ეს მაჩვენებელი 1938 წელს შეადგენდა: რსფსრ — 93,5, უკრაინაში — 99,7, ბელორუსიაში — 97,9, აზერბაიჯანში — 95,2, საქართველოში — 86,9, სომხეთში — 95,5, თურქმენეთში — 99,8; უზბეკეთში — 99,8, ტაჯიკეთში — 99,2, ყაზახეთში — 99,9; საშუალოდ სსრ კავშირში კი 99,3%.

საქართველოს ცალკეულ რაიონებს შორის კოლექტივიზაციის პროცენტი ყველაზე დაბალი იყო მევენახეობის რაიონებში, ხოლო მაღალი — მარცვლეულის რაიონებში, 1930 წლის მისის ცნობებით იგი უდრიდა: გურჯაანში — 8,2%, ვარე კახეთში — 3,7%, თელავში — 7,0%, ყვარელში — 7,0%, სიღნაღში — 8,1%, სამტრედიანში — 39,4%, ჩხატაურში — 35,9%, ოხუტრეთში — 58,8%, ამბროლაურში — 70,4%. საპირო იყო ასეთი განსხვავებული მაჩვენებლების მიზეზის ახსნა. ბეჭიბნი ხასიათ ეს ვარემოება ასე განმარტავს: საქართველო მრავალწლიან ნარგავთა კლასიკური ქვეყანაა. საქართველოს ეკონომიკაში ყოველთვის წამყვან როლს თამაშობდა მრავალწლიან ნარგავთა მეურნეობა, კერძოდ მკვენახეობა და მეხილეობა.

ამიტომ ცხადია, რომ მრავალწლიან ნარგავთა განსაზოვადლება, საერთოდ წარმოების საშუალებათა განსაზოვადლება იმ რაიონებში, სადაც მრავალწლიანი ნარგავები სჭარბობდა, ხანგრძლივი და რთული უნდა ყოფილიყო.

მევენახეობის წარმოებრივი მიმართულების რაიონებში წარმოების ძირითად საშუალებათა შორის დიდი ხვედრი წონით იყო წარმოადგენილი ხეხილი და ვაზი. ასე, მაგალითად, 1927 წლის დინამიკური გამოკვლევის მასალების მიხედვით არ იყო ისეთი მეურნეობა, რომელსაც წარმოების საშუალება არ ჰქონოდა, ხოლო იმ მეურნეობებში, რომელთაც ჰქონდათ 100 მანეთამდე ღირებულების წარმოების ძირითადი საშუალებანი, ხეხილისა და ვაზის ხვედრი წონა შეადგენდა 64,9%; მეურნეობათა იმ ჯგუფში, რომელთა წარმოების ძირითადი საშუალებების ღირებულება მერყეობდა 101 — 200 მანეთამდე, ხეხილსა და ვაზს

ეჭირა — 68,7%. მეურნეობათა სხვა ჯგუფებში ხეხილისა და ვაზის ხვედრი წონა წარმოების ძირითად საშუალებებში მერყეობდა 35,6 — 70,1% -მდე.

ბ ხასიათ მოჰყავს ეს მასალები და დაასკენის, „რომ მეურნეობათა წარმოების ძირითადი საშუალებებიდან ნახევარზე მეტი მოდიოდა მრავალწლიან ნარგავებზე და თუ განვითარებისწინებით იმას, რომ ამ ნარგავებში რამდენიმე თაობის შრომა იყო განვითარებული, მაშინ გასაგები გახდება, თუ რაოდენ რთული უნდა ყოფილიყო პროცესი მათი მნიშვნელოვანი ნაწილის განსაზოვადებისა“ (გვ. 168).

კოლექტივიზაციის განვითარების დაბალი ტემპი საქართველოში, საერთოდ კოლექტივიზაციის თავისებურებები, ბეჭიბნი ხასიათ აზრით გაპირობებული იყო შემდეგი მიზეზებით: 1. მრავალწლიან ნარგავთა მძლავრი მეურნეობის არსებობითა და მისი განსაზოვადლების სიძნელებით; 2. კულაქური ელემენტებისა და სხვა ძლიერი ანტისაბჭოთა ჯგუფების არსებობით; 3. სოფლად მწარმოებლურ ძალთა ჩამორჩენილობით; 4. ინდუსტრიის განვითარების დაბალი დონით; 5. მიწების მეტისმეტი დაქუცმაცულობით და სოფლის მეურნეობის სამუშაოთა მექანიზაციის დაბალი დონით; 6. საქართველოში სოციალისტური რევოლუციის დაგვიანებით.

ჩვენი აზრით, კოლექტივიზაციის თავისებურებათა ამგვარი ახსნა სწორია. აქ მაინც გვინდა ყურადღება გვაქაზავოთ ერთ მომენტზე. — ესაა საქართველოში ინდუსტრიის განვითარების დაბალი დონე, რომელმაც სხვა ფაქტორებთან ერთად, განაპირობა კოლექტივიზაციის დაბალი ტემპი. როგორც ბეჭიბნი ხასიათ წერს: „1929 წლისათვის სსრკ აგარარული ქვეყნიდან უკვე გადაქცეული იყო ინდუსტრიულ-აგარარული ქვეყნად. მრეწველობის პროდუქციის ხვედრი წონა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში უდრიდა 54,5%. საქართველოში ჯერ კიდევ სჭარბობდა სოფლის მეურნეობის პროდუქცია, კერძოდ საქართველოში მრეწველობის პროდუქციის ხვედრი წონა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში 1927 — 1928 წწ. უდრიდა — 29,3%, ხოლო 1932 — 1933 წწ. — 46,9%, ე. ი. თუ სსრკ ჯერ კიდევ 1929 წელს იყო ინდუსტრიული აგარარული ქვეყანა, — საქართველო პირველი ხუთწლეულის მოლოსაც აგარარული ქვეყანა იყო. ჯერ კიდევ გრძელდებოდა პროცესი საქართველოს ინდუსტრიულ-აგარარულ ქვეყანად გადაქცევისა“ (გვ. 158).

ეს დებულება მოკლებულია სრულ დამაჯერებლობას. აქ საპირო იყო სხვა რესპუბლიკების ანალოგიური მასალების მოტანა და სათანადო შედარება.

წიგნის მეოთხე თავი შეეხება სასურსათო მდგომარეობას სახალხო მეურნეობის აღდგენის ხანაში, მარცვლეული მეურნეობის განვითარებას

ომამდელ პერიოდში, მისი ძირითადი ეკონომიკური მიზანმიმართული ანალიზის.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს პარტიისა და მთავრობის მიერ მარცხელურის მურნეობის წინაშე დასმული ამოცანების შესრულებაზე. იქვე ნაჩვენებია, თუ რაოდენ მიიმე იყო სასურსათო მდგომარეობა სახალხო მურნეობის აღდგენით პერიოდში და რა როლი შეასრულა საბჭოთა რუსეთის დახმარებამ სასურსათო სიძნელების დაძლევისა და საერთოდ სოფლის მურნეობის აღდგენა-განვითარების საქმეში.

ნაშრომში ვ. ი. ლენინის მითითებათა საფუძველზე ნაჩვენებია ახალი ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელობა სოფლის მურნეობის აღდგენის საქმეში. ვ. ი. ლენინი სკპ (ბ) სრულიად რუსეთის X კონფერენციამ ამახილავს: „როდესაც ჩვენ ვამბობთ: საჭიროა გლეხობასთან ურთიერთობა დავამყაროთ არა გაწერის, არამედ ვადასახადის ნიადაგზე, რა წარმოადგენს ამ პოლიტიკის მთავარ ეკონომიკურ განმსაზღვრელს? ის, რომ გაწერის დროს წერილ გლეხურ მურნეობებს არა აქვთ მართებული ეკონომიკური ზანა და ისინი განწირული არიან მრავალ წელს მკვდარ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, წერილ მურნეობას არსებობა და განვითარება არ შეუძლია, ვინაიდან წერილ მურნეს ეკარგება ინტერესი თავისი საქმიანობის განმტკიცებისა და განვითარებისა და პროდუქტთა რაოდენობის გადღებისა, რის გამოც ჩვენ ეკონომიკური ზანა არ გვექნება. სხვა ზანა ჩვენ არ გავაჩნია, სხვა წყარო ჩვენ არ მოვეპოვეთ, ხოლო თუ სახელმწიფოს ხელში არ დაგროვდა სურსათის დიდი მარაგი, ისე მსხვილი მრეწველობის რაიმე აღდგენაზე ლაპარაკი შეუძლებელია. ამიტომაც გატარებთ ჩვენ პირველ რიგში სწორედ ამ პოლიტიკას, რომელიც ჩვენს სასურსათო ურთიერთობას ცვლის“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, 523—524).

ომამდელ ხუთწლიან მარცხელურის მურნეობა შესწავლილია ძირითადი ეკონომიკური მიზანმიმართულების (ნათესი ფართობი, მთლიანი მოსავალი, მოსავლიანობა, მთლიანი და საქონლური პროდუქცია) ანალიზის საფუძველზე.

წიგნის მომდევნო თავი შეეხება მარცხელურის მურნეობას დიდი სამაშულო ომისა და ომის შემდგომ პერიოდში. აქ პირველ რიგში საყურადღებოა მარცხელურის წარმოების ახალი რეზერვების გამოყენების საკითხი. ავტორმა ცხადყო მარცხელურის მურნეობის დაგეგმარების საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი, მიუთითა მის მიყენ შედეგებზე. იქვე წარმოდგენილია კონკრეტული წინადადებები მარცხელურის წარმოების დაგეგმარებისა და გაადგილების გეგმობების შესახებ.

წიგნი დიდი ადგილი აქვს დათმობილი მარცხელურ კულტურათა მოსავლიანობის გასაზრდელად გატარებული ღონისძიებების შედეგებს. მარცხელურის დაბალი მოსავლიანობა საქართველოში ახსნილია იმით, რომ ჩვენი რესპუბლი-

კის სოფლის მურნეობა სასუქებით არ იყო უზრუნველყოფილი, საჭიროა უფრო მეტი ყურადღება მიქცეოდა სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატების გამოყენების პრობლემაზე.

შემდგომ თავში განხილულია მარცხელურის მურნეობისა და მეცხოველეობის შეთანწყობის საკითხები.

პურ-ფურაჟის ბალანსს შეეხება წიგნის მერვე თავი. აქ ავტორი ეხება პურ-ფურაჟის ბალანსის დეფიციტთანობის მიზეზებს.

წიგნის ავტორი დაასკვნის: „მოსახლეობის საერთო რაოდენობის გადღება, ქალაქის მოსახლეობის აბსოლუტური და შეფარდებითი ზრდა, საერთოდ ინდუსტრიული წარმოების განვითარება, სოფლის მოსახლეობის შეფარდებითი შემცირება და აბსოლუტურად უმნიშვნელო ზრდა.— აი, ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რამაც განაპირობა მარცხელურზე მოთხოვნების ზრდა და გაზარდა მარცხელურის დეფიციტი საქართველოში“ (გვ. 424). ამის შემდეგ ჩამოთვლილია საქართველოს პურ-ფურაჟის ბალანსის დეფიციტთანობის სხვა მიზეზებიც, მათ შორის აღსანიშნავია სპეციალური და ტექნიკური კულტურების მურნეობის განვითარება, ადამიანთა საკვებად სიმინდის მოხმარების შემცირება, მოთხოვნილების ზრდა მაღალხარისხის პურზე, მეცხოველეობის განვითარება და სხვ.

ფუქტობით, ეს მოსაზრება საერთოდ სწორია, თუმცა საჭირო იყო იმის ახსნა, თუ რატომ გამოიწვია მეცხოველეობის განვითარებამ პურ-ფურაჟის ბალანსის დეფიციტის გადღება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნაშრომში (გვ. 424—429) პურ-ფურაჟის ბალანსზე მსჯელობისას მარცხენებლები არ არის მოტანილი ძირითადი ელემენტების მიხედვით.

წიგნის უკანასკნელ — მეცხრე თავში საუბარია მარცხელურის მურნეობის მდგომარეობაზე მიმდინარე შედეგებში, გაანალიზებულია წარმოების დანახარჯები 1 ც. ხორბალზე, 1 ც. სიმინდზე, ახსნილია მარცხელურის პროდუქტებზე წარმოების მაღალი დანახარჯების მიზეზები, გამოვლენილია მისი შემცირების რეზერვები და დასახულია მათი მოწყენების გზები.

საკრეციზიო ნაშრომის მიმართ გვაქვს სხვა შენიშვნებიც:

ნაშრომში გვხვდება განმეორებები. ასე მაგალითად, წიგნის 265 გვერდზე მოტანილი მარცხენებლები მარცხელურის მთლიანი მოსავლის შესახებ მითარდება 311 გვერდზე.

მთლიანი კოლექტივიზაციის პერიოდი (გვ. 109—171) ვრცელდება წარმოდგენილი. მაგრამ საკომმუნური წყობილების შემდგომი განვითარებისადმი მიძღვნილი ნაწილი (გვ. 172—179)


აღექსანდრე ბრეგვაძე, ელგუჯა ჩადუნელი
სასარგებლო ნაშრომი

სქემატურ. ხასიათისაა. კულტურათა მოსაველიანობისადმი მიძღვნილ თავში (გვ. 317—380) თითქმის არაფერია ნათქვამი მიწათმოქმედების კულტურის ზოგად საკითხებზე.

წიგნის 390 — 397 გვერდებზე ყურადღება გამახვილებულია მიწათმოქმედების სპეციალიზაციის საკითხებზე. ვ. ი. ლენინის სახელმძღვანელო დებულებათა მიხედვით ახსნილია მიწათმოქმედების კაპიტალისტური და სოციალისტური სპეციალიზაციის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები. ავტორის დახასიათებით, თუ კაპიტალიზმის დროს, სადაც წარმოების მიზანია მოგება, სპეციალიზაციის მაჩვენებელია საქონლური პროდუქცია, „სოციალიზმის დროს წარმოების მიზანია ადამიანი და მის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, ხოლო სოციალისტური სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის მაჩვენებელია როგორც მთლიანი, ისე საქონლური პროდუქცია. ამიტომ

სოფლის მეურნეობის სოციალისტურ სპეციალიზაციას საფუძვლად უნდა დაედოს არა მარტო საქონლური პროდუქციის მოცულობა, არამედ მთლიანი პროდუქციის მოცულობაც“ (გვ. 394). ეს დებულება მოკლებულია დამაჯერებლობას, რადგან დასაბუთებული არაა კონკრეტული მასალით.

ნაშრომში გაანალიზებულია მიწათმოქმედების განვითარების ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები. გამოვლენილია მარცვლეულის მეურნეობის განვითარებისათვის საჭირო რეზერვები და დასახულია მათი გამოყენების გზები. ამდენად მისი გამოქვეყნება დადებითი მოვლენაა. ამით მტკიცე საფუძველი ჩაეყარა საქართველოში სოციალისტური მიწათმოქმედების ისტორიისა და ეკონომიკის საკითხების მონოგრაფიულად შესწავლას, რასაც უმეველად დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.



საქართველო ნაკადი

როგორც მკითხველისათვის ცნობილია, ამ ცოტა ხნის წინათ შეიქმნა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი მეცნიერული კომისია, (თავმჯდომარე — აკადემიკოსი ირ. აბაშიძე, მთავარი რედაქტორი — აკადემიკოსი გ. წერეთელი), რომელმაც მკითხველს უნდა მისცეს პოემის დაზუსტებული, ყოველმხრივ შესწავლილი და კომენტირებული ტექსტი. ამ საპატიო ამოცანასთან დაკავშირებული მრავალი კონკრეტული საკითხი, რომელიც ეხება „ვეფხისტყაოსნის“ ცალკე ადგილების წაკითხვას, პოემის ცალკეული მოტივების გაგებას, რუსთაველის ადგილის განსაზღვრა მსოფლიო ლიტერატურაში. „იციკრის“ რედაქციამ გადაწყვიტა შექმნას საგანგებო რუბრიკა „რუსთაველის ნაკადევეზე“, სადაც სისტემატურად გამოქვეყნდება ჩვენი საამაყო პოეტის შემეყიდრებობის შესწავლისადმი მიძღვნილი მასალები.

მორაკ ნათაქე

ობიექტური მეცნიერება და სხვისი კლასიკოსების შეფასება

„ვეფხისტყაოსნის“ შესახებ გერმანულ პრესაში გამოქვეყნებული ორი წერილის გამო

საკუთარი ეროვნული კულტურის მნათობთა შეფასება და მსოფლიო პანთეონში მათთვის კუთვნილი ადგილის მიჩენა დღეს არც ერთი ერისათვის — არც დიდისა და არც პატარისთვის — მართივი ამოცანა არაა. ამ რთული ამოცანისადმი ზიდგომის სხვადასხვა გზები არსებობს. „ბრიტანეთის ენციკლოპედია“, მაგალითად, შექსპირს ისეთი ფრაზებით ახასიათებს, რომელიც ყველა არაბრიტანელს ინგლისური კულტურისადმი შენიღბულ მტრობაში ჩამოერთმეოდა: არ ერიდება შექსპირისადმი „კერპთაყვანისმცემლური დამოკიდებულების“ აუგად ხსენებას, იმის თქმას, რომ შექსპირი წარმოშვა ლიტერატურულმა მადამ, რომელიც „დიდი უფრო იყო, ვიდრე ფაქიზი“, რომ მას „აკლია ხელოვნება“ და სხვა. (თუმცა იგივე ენციკლოპედია უფრო მომცრო ინგლისელ მწერალთა შეფასებისას კომპლიმენტებს არ იშურებს და მათ

ღვაწლს მსოფლიო კულტურის წინაშე განსაკუთრებული მზრუნველობით აღნიშნავს). 1949 წლის „იტალიურ ენციკლოპედიაში“, პირიქით, დანტესადმი მიძღვნილი წერილის მოზრდილი ნაწილი დანტეს გენიოსობის არგუმენტაციას უჭირავს; გერმანულბმა უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე კულტურულ ფასეულობათა საზომების მთელი სისტემა შექმნეს, საიდანაც გერმანული კულტურის უპირატესობა მართივი ლოგიკური აუცილებლობით უნდა გამომდინარეობდეს (ამის მაგალითად, უფრო წვრილ ენთუზიაისტებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ჰეგელის კონცეფციაც იკმარებდა). ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ბრძოლის გუნებაზე დამდგარი მეცნიერები გვერდს უვლიან ამგვარი ზოგადი წინამძღვრების შექმნასაც და საკუთარი კულტურული წარსულის აპოლოგიას მხოლოდ „პატრიოტულ“ გრძნობებზე ამყარებენ. საკუთა-

რი კულტურული წარსულისადმი დამოკიდებულების ნაირსახეობები ნამდვილად უსასრულოა — დაწყებული ყოველივე საკუთარის მორცხვი მიჩქმალვით და გათავებული ყოველივე საკუთარის დაურიღებელი რეკლამით — და ამ წინააღმდეგობის ვერც ერთ, ვერც მეორე პოლუსზე ეროვნული გრძნობების მონაწილეობას ვერ გამოვრიცხავთ. როგორც საკუთარი კულტურის ფასეულობათა განდიდებაში, ისე ამ ბრალდებისაგან თავის დაზღვევაში აშკარად გამოსჭვივის ეროვნული პრესტიჟის დაცვის სურვილი.

ასეთი ტენდენციურობა თუ მთლად მისატყვეבלად არ გვეჩვენება, ყოველ შემთხვევაში, ბუნებრივი მიზნც არის. სულიერი კულტურა ზომ ერთ-ერთი უმაღლესი მონაპოვარია, რაც, ბოლოს და ბოლოს, განსაზღვრავს ერის ადგილს ისტორიაში. კულტურები ჩნდება და ქრება, ერთმანეთს ებრძვის და ერთმანეთს ერწყმის, ერთმანეთს კონკურენციას უწევს და ერთმანეთს ანაყოფიერებს. ეს ობიექტური ისტორიული პროცესია და ცალკეული ადამიანის ნებაზე მალა დვას. მაგრამ ამ ბუნებრივი პროცესის გვერდით არსებობს ადამიანთა არანაკლებ ბუნებრივი მისწრაფება, რომ საკუთარი, ნაცნობი და მშობლიური წინ წამოსწიონ, ზოგი რამ, რაც ისტორიას განზე დარჩა, დაივიწყებისაგან იხსნან და ზოგი რამ, რასაც ისტორია ვერ ამჩნევს, თანამედროვეთა ყურადღების სფეროში ხელოვნურად მოაქციონ. რაღა თქმა უნდა, ეს მეცადინეობა, რა მონდომებითა და უნართაღ არ უნდა ტარდებოდეს იგი, კულტურათა ისტორიულ ბედზე დიდ გავლენას ვერ ახდენს.

შოთა რუსთაველი დღეს საქართველოშიც და მთელს საბჭოთა კავშირშიც იმდენად აღიარებულია, რომ ლიტონი სიტყვით მისი განდიდება (რაც, შევნიშნავთ აქვე, ჩვეულებრივი იყო მე-19 საუკუნის პრესაში), დღეს ჩვენში აუდიტორიას ვეღარ პოულობს. დასავლეთ ევროპაში „ვეფხისტყაოსანს“ თუმც დიდად აფასებენ და სწორადაც აფა-

სებენ (ამის ნიმუშად მ. ბოურას¹ სტატიები იკმარება), მისი პოპულარობა არაა იმდენად ფართო, რომ პოემისადმი ნიჰილისტურმა დამოკიდებულებამ, ასეთივე ლიტონი სიტყვით გამოთქმულმა, მკითხველ საზოგადოებაზე გავლენა არ მოახდინოს. ასეთი დამოკიდებულების მკაცრი მფაველითაა ცნობილი ლინგვისტი — კავკასოლოგის და ქართველოლოგის, ზონის უნივერსიტეტის პროფესორის გ. დეტერსის მიერ 1937 წელს გამოქვეყნებული რეცენზია პროფ. შ. ნუცუბიძის შრომაზე „რუსთაველის მსოფლმხედველობისათვის“, სადაც ავტორი საკმაოდ ირონიულად წერდა: — „ვეფხისტყაოსნის“ ამბავში — შეყვარებულთა წყვილის განშორებასა და ისევ შეყრაში მრავალი ტანჯვისა და თავგადასავლის შემდეგ მეორე შეყვარებული წყვილის დახმარებით — აქამდის სიყვარულის, მეგობრული ერთგულებისა და მშვენიერების განდიდებას ხედავდნენ. ავტორს (შ. ნუცუბიძეს — ნ. ნ.) სურს პოემაში დაინახოს ღმერთისკენ ადამიანის გზის სიმბოლური გამოხატულება — რუსთაველში იგი ხედავს წმინდა ფილოსოფოს პოეტს, დანტესა და გოეთეს ტიპისა, დამოუკიდებლად შემუშავებულ მსოფლმხედველობის პატრონს... არაქართველი, მიუხედავად რუსთაველის ხელოვნებისადმი მთელი პატივისცემისა, ვერ გაპყვება ავტორს, როცა იგი რუსთაველს, სწორედ როგორც მოაზროვნეს, თვით დანტეს გვერდით აყენებს და „დანტესთან შედარებით რუსთაველის ისტორიული და აზრობრივი უპირატესობის“ დამტკიცებასაც კი ცდილობს. ჩვენ ამას იმ მოწიწების ნიშნად მივიღებთ, რომლითაც დღევანდელი ქართველები თავიანთი ეროვნული წარსულის გამოჩენილ პიროვნებებს ეკიდებიან“ (Orientalistische Literaturzeitung 1937, № 8/9, გვ. 544 — 548).

1958 წელს იმავე ჟურნალში, რეცენზიაში „ვეფხისტყაოსნის“ ჰ. ჰუპერტის

¹ იხ. M. Bowra, Inspiration and poetry და Heroic poetry.

მეგრეშერულებულ გერმანულ თარგ-
მანზე გ. დეეტერსი „ვეფხისტყაოსანს“
უწოდებს „ნაწარმოებს, რომელიც თა-
ვის მომზიბლობას არსებითად ფორმას
უმადლის, იმ დროს, როცა მისი იდეუ-
რი შინაარსი ვერ შეედრება მის თანა-
მედროვე ნაწარმოებებს სხვა ლიტერა-
ტურებიდან“ (1958, № 1, გვ. 54 — 57).

გ. დეეტერსის ამ გამონათქვამებს
სპეციალისტთა შორის არაეინ გამოეხ-
მაურა და შეიძლება ამ უარგუმენტო
დებულეებზე კამათი მართლაც ზედ-
მეტი ყოფილიყო, რომ რეცენზენტი და
მისი შესაძლო მოწინააღმდეგე მკითხ-
ველი საზოგადოების წინაშე თანაბარ
მდგომარეობაში ყოფილიყვნენ. მაგრამ
დეეტერსის აზრი — ყველაზე ნიპილის-
ტური ჩვენთვის ცნობილ გამონათქვა-
მებს შორის რუსთაველის შესახებ —
სარგებლობს ყველა იმ უპირატესობით,
რასაც იძლევა ერთი მხრივ დეეტერსის
მდგომარეობა, როგორც ქართული ენის
ვერობელი სპეციალისტისა, და მეორე
მხრივ „ლითერატურკაითუნგის“ მკი-
თხველისთვის რუსთაველის შესახებ და-
ნოუკიდებელი მსჯელობის შეუძლებ-
ლობა: ¹ ქართულის არმცოდნე მკი-
თხველი, რომელიც, ალბათ, არც შეუდ-
გება იმის გარჩევას, მხოლოდ ენის სპე-
ციალისტია პრაფ. დეეტერსი თუ აგ-
რეთვე ლიტერატურისა და ფილოსო-
ფიისა, ადვილად ერწმუნება რეცენ-
ზენტს, რომ რუსთაველი, რომელიც
მისთვის ბავშვობიდან ჩვეულ პოეტურ
მნათობთა ხომლში არ შედის, მართლაც
არც ისე დიდია, როგორც ამას პატრი-
ოტულად განწყობილი ქართველები
ფიქრობენ, ხოლო მისი განდიდება
ჩვენში მცირე ერთა კულტურისადმი
შედავათიანი დამოკიდებულებით ადვი-

ლად აიხსნება. საწინააღმდეგო მოსაზ-
რებაში მკითხველის დაჯერებას, ალბათ,
ერცელი, ზუსტი და ხანგრძლივი არგუ-
მენტაცია დასჭირდებოდა და ისიც ძნე-
ლად თუ გამოიღებდა შედეგს, რადგან
პოეტური ნაწარმოების რეპუტაციის
შექმნის ერთადერთი ნამდვილი გზა მა-
ინც მალაზარისხოვანი თარგმანის არსე-
ბობაა. ასეთ პირობებში გ. დეეტერსის
აზრიც, თუმცა უარგუმენტო, განსაკუთ-
რებულ მნიშვნელობას იძენს და ჩვენი
ეროვნული კულტურისთვის სასიცოცხ-
ლო მნიშვნელობის დავაში მხარის
მალალი ღირსება ენიჭება.

ჩვენი მიზანია ვამზილოთ ეს საკმაოდ
ბანალური მიკერძობა, რომელიც ულ-
მობელი მეცნიერული ობიექტურობის
სამოსით გამოდის. დეეტერსის გამო-
ნათქვამები მკვეთრად უპირისპირდება
არა მარტო ყველაფერ იმას, რაც „ვეფ-
ხისტყაოსანთან“ დაკავშირებით საქარ-
თველოში თქმულა, დაწერილა თუ გან-
ცდილა, არამედ მრავალ მყარ ფილო-
ლოგიურ და კულტურულ-ისტორიულ
ფაქტსაც, რომელთა ეჭვის ქვეშ დაყე-
ნება მხოლოდ სხვა ფაქტებზე დაყრდ-
ნობით თუ შეიძლება. ასეთი მყარი
ფაქტები რუსთაველის მეცნიერულ
კვლევა-ძიებას დღეს საკმაოდ აქვს მო-
პოვებული და ჩვენში მიღებული აზრიც
„ვეფხისტყაოსანზე“ — რომ ეს არის
არა მარტო პოეტური ნაწარმოები, არა-
მედ პოეტურ ფორმაში მოცემული
რთული და ამადლებული მსოფლმხედ-
ველობრივი და ეთიკური სისტემა, —
მხოლოდ სუბიექტურ გემოვნებასა და
სიმპათიებს კი არ ემყარება, არამედ ამ
მტკიცე მონაცემებსაც.

ჩვენ არ გამოვუდგებით აქ „ვეფხის-
ტყაოსნის“ საკუთრივ ფილოსოფი-
ური მოტივების განხილვას: ამ მო-
ტივთა სირთულე, სიმდიდრე და ორი-
გინალობა შუასაუკუნეთა აზროვნების
ფონზე კარგად ცნობილია და მათზე
მსჯელობაც შედარებით ადვილია იმ

¹ არც ლასტის თარგმანი, არც პრიტიციის
მოკლე თარგმანი და არც უკანასკნელი თარგმა-
ნი (პ. პუპერტისა). შესრულებული ქართული
ენის ცოდნის გარეშე, ამგვარ შესაძლებლობას
არ იძლევა. კერძოდ, უკანასკნელი აღსანიშნავია
არა მარტო მხატვრული ნაკლოვანებებით, არა-
მედ აზრობრივი უზუსტობებითაც, რომელთა
დიდი ნაწილი რუსული თარგმანებიდან მომდი-
ნარეობს.

ნოდარ ნათაძე
ობიექტური მეცნიერება და სსვისი
კლასიკოსების შეფასება

მხრივ, რომ ყოველი პრობლემა აქ მკაცრსა და ზუსტ მეცნიერულ ფორმულირებას ექვემდებარება. ჩვენ შევხებით მხოლოდ მსოფლმხედველობრივ მოტივებს თვით პოემის მხატვრულ მასალასა და კონცეფციაში, რაც ნაწარმოების შეფასებისთვის უფრო არსებითიცაა და რეცენზენტის სუბიექტურ სიმპათიებსაც მეტ გასაქანს აძლევს.

*

„ვეფხისტყაოსანი“ სადევგმირო მოთხრობის, სამიჯნურო ეპიკისა და საკარო სახობტო პოეზიას ტრადიციასზე ამოზრდილი ნაწარმოებია და როგორც თავის საერთო აღნაგობით, ისე გამოსახვის ფორმითა და შინაარსის ცალკეული დეტალებით ამ ქანრების დამახასიათებელ თავისებურებებს იმეორებს. მაგრამ არსებითად „ვეფხისტყაოსანი“ არც ერთ ამ ქანრს არ ეკუთვნის, არამედ რომანი ამ სიტყვის ყველაზე უკომპრომისო თანამედროვე აზრით, ე. ი. ნაწარმოები, რომელიც, მანამდე ცნობილი ქანრების ტერმინებით რომ ვთქვათ, ტრაგედიისა და ეპოსის თვისებებს აერთიანებს. ტრაგედიასთან მას აკავშირებს ის, რომ ესაა ერთი საერთო კონცეფციის მიხედვით აგებული ნაწარმოები, სადაც ყველაფერი ამ კონცეფციის გამოხატვას ემსახურება, ხოლო ეპოსთან მას აკავშირებს თხრობის გარეგნული მანერა და, ნაწილობრივ, სადევგმირო ელემენტი. სხვანიარად, რომ ვთქვათ, „ოდისეის“, „შაჰნამესა“ და ნაკლები ხარისხის სხვა ეპოსისგან განსხვავებით, რუსთაველს მხედველობაში აქვს არა კონკრეტული (რეალური ან ლეგენდარული) ამბები, არამედ ზოგადი ღირებულებები, განზოგადებული სახეები, რომელთაც სწორედ ამ თავიანთი ზოგადობის წყალობით პოემის მხოლოდ პროლოგში ნახსენები პიროვნების — თამარ მეფის და მისდამი იდეალური ტრფობის „ქება“ ეკისრებათ (როგორც ამას გვეუბნება პროლოგის მე-19 სტროფი). ამის აღნიშვნა საჭიროა, რადგან დღევანდელი მწერლო-

ბისგან განსხვავებით, სადაც ნებისმიერი სირთულის ჩანაფიქრი შეიძლება თითქმის ყოველ ქანრში ჩაეტეოს, ისტორიულ პერსპექტივაში ქანრს, ანუ გამოხატვის ფორმას მისი უზოგადესი სახით ნაწარმოების აზრობრივი სიღრმის თვალსაზრისით არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. სიტყვიერი შემოქმედების ისტორიულად ერთმანეთს მონაცვლე ფორმები (ზღაპარი, მითი, ეპოსი, ელეგია, შესხმა, ტრაგედია, კომედია, მისტერია, ალეგორია და სხვ.) არაა თანაბარი აზრობრივი დატვირთვის მხრივ, არამედ, სხვადასხვა ისტორიულ პირობებში და სხვადასხვა დონის აზროვნების საჭიროებისათვის წარმოშობილი, ემპირიული მასალის გააზრებისა და პრობლემურობის სხვადასხვა დონეზე დგანან. ყველა ამ ისტორიულად მონაცვლე ქანრებში „ვეფხისტყაოსანი“ უმაღლესს — რომანს ეკუთვნის და მხოლოდ ამდენადაა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ შინაარსზე და მსოფლმხედველობაზე მსჯელობისას ჩვენ ცალკეული ფილოსოფიური გამონათქვამებითა და აფორიზმებით არ ვიზღუდებით და ძირითადად პერსონაჟებსა და მათ ურთიერთობაში უშუალოდ განსახიერებულ ჩანაფიქრს ვემყარებით.

მაშ რას წარმოადგენს „ვეფხისტყაოსანი“, როგორც რომანი? პირველრიგში საკითხი, რა თქმა უნდა, პერსონაჟებს შეეხება. რუსთაველს ადამიანი აინტერესებს არა მარტო როგორც საინტერესო ამბის მოქმედი პირი, არამედ როგორც ადამიანი თავისთავად, როგორც რეალური ადამიანი მისი რთული ბუნებითა და მკვეთრი, სხვა ტიპის ადამიანთაგან განსხვავებული ვინაობით. ფატმანის სახე სრული და მსოფლიოში პირველი რომანისტიკის ხელით დახატული ხასიათია, რომელიც თავისი სიტყვის, საქმის თუ განცდის ყველა დეტალით ინდივიდუალურია. მისი ხატვისას გამოყენებული ყოველი შტრიხი ემყარება არა მხოლოდ მკითხველის ფანტაზიას, არამედ მის სიმართლის გრძობასა და

ცხოვრების გამოცდილებასაც. ფატმანის ფიზიკური პორტრეტი პლასტიური, მაგრამ არასრულყოფილი სილამაზის წარმოდგენას ქმნის, რაც მკითხველის ფანტაზიაზე საკმაოდ ხელშესახებლად მოქმედებს („თვალად მარჯვე“, „ნაკვთად კარგი, შავგვრემანი“ და სხვა. არც რუსთაველის თანამედროვენი და არც შემდეგი დროის მწერლები, ვიდრე შექსპირამდე, გარეგნული სილამაზის ზომის ასეთ დეტალიზაციას არ იცნობენ); მკაცრი შერჩევითა და მხატვრული ზომიერების დაცვითაა მოცემული ფატმანის ფსიქოლოგიურად ტიპური თვისებები, რომლებიც მკითხველს საშუალებას აძლევენ მისი სახე დანარჩენი ართქმული თვისებებით სრულ ფსიქოლოგიურ პორტრეტამდე შეაგოს („მშველი“ ანუ მომხიბლავი, „ღვინის მშველი“, მხიარული, კოხტაობის მოყვარული და სხვ.); შემდეგ, ამ ხასიათისადმი ცალკეული დეტალების მიმატებით, რაც ისევ მკითხველის რეალობის გრძნობისადმი აპელაციას ახდენს, მოთხრობილია ფატმანის სამიჯნურო და პირადი თავგადასავალი. ამ რთულ თავგადასავალში, რაც გარეგნულად და ფსიქოლოგიურად საკმაოდ დახლართულ სიტუაციებს მოიცავს, არ არის არც ერთი შტრიხი, რომელიც შორდებოდეს მის სოციალურად და ფსიქოლოგიურად დაკონკრეტებულ ბუნებას, როგორც სიამოვნების მოყვარულ ვაჟრის ცოლისას და ამავე დროს ძალზე ტიპურიც არ იყოს: ეს უღაგრდელი და ზომიერად ლამაზი ქალი, რომელიც ისედაც „არ სჯერდება“ თავის ქმარს, რადგან „მჭლე არის და თვალად ნასი“ და ამისი არ რცხვენია, უმიჯნურდება იდეალურ გმირს და „საბრალო წიგნში“ სრულებით დაუფარავად შეწყალუბას თხოვს. ეს მიჯნურობა აბსოლუტურად რეალური ფერებით, იდეალიზაციის ყოველი ნასახის გარეშეა დახატული და ორივე მხარის საკმაოდ რთულ განცდათა ცვალებადობას ზუსტი დიალექტიკური სიმახვილით გამოგვეცემს. ფატმანის მიჯნურობა ვერავითარ შემთხვევაში ვერ სძლევს მის

ფხიზელ პრაქტიკულ ალღოს და პირველივე პაემანს ამ უკანასკნელის კარნახით გადასდებს („ვერა მპოვებ შენთვის მზასა“); ავთანდილის დაკინებული მოთხოვნით ისევ ნებას მიჰყვება და მიჯნურობაზე უფრო ძლიერ გრძნობას (შიშისას) თავაზიანად მალავს („ვერ დაიჩინა შიშითა და მისითავე თნევითა“), მაგრამ, ხიფათში ჩავარდნილი, არ უშვებს შემთხვევას, რომ ავთანდილს თავისი თავდადება შეახსენოს („თავი მოვიკალ უთმინოდ სიყვარულითა შენითა“). მისი მიჯნურობის ზერელობაც, ისიც, რომ მას შიშის გამო ეს მიჯნურობა ავიწყდება („მოთქვამს: მოკვალ, ჰაი, ქმარი, ამოვწყვიდენ წვრილნი შვილნი, იავარ-ყვავ საქონელი, უსახონი თვალნი თლილნი, გავყვარე საყვარელთა, ვა გამზრდელნი, ვა გაზრდილნი, ბოლოდ ვექმენ სახლსა ჩემსა...“), ადამიანური სიმართლითაა ნაჩვენები და მოწმობს ავტორის ფხიზელ, ყოველგვარი პიპერბოლიზაციისა და რომანტიზმისაგან თავისუფალ მიდგომას ამ ხასიათისადმი. ერთი სიტყვით, ფატმანის სახე სინამდვილესთან მიმართებით აბსოლუტურ სიზუსტეს ინარჩუნებს და მკითხველი მას კი არ თხზავს, არამედ სცნობს, სცნობს თვით დღესაც კი, რადგან ეს ხასიათი სოციალურად კონკრეტულ შტრიხებთან ერთად ზოგად, ამა თუ იმ ტიპის ადამიანის აზრთა და განცდათა დამახასიათებელ თვისებებსაც მოიცავს. ეს არის სრული (თუ გნებავთ, თანამედროვე აზრით), რეალიზმი, რომლისთვისაც არც რუსთაველის დროს, არც ორი-სამი საუკუნის შემდეგ არავის არ მიუღწევია. თუ იმასაც გავიხსენებთ, როგორი ზუსტი ფსიქოლოგიზმით და ინდივიდუალობის ფაქიზი დაცვით არის გადმოცემული ამ ნებიერი დიაცის გუნების უმიზეზო ცვალებადობანი, რაც მის განუმეორებელ ცოცხალ პიროვნებას ქმნის [ჯერ ხათუნებთან „ვიმღერდი (ვთამაშობდი)

ნოდარ ნათაძე
ობიექტური მეცნიერება და სხვისი კლასიკოსების შეფასება



და ვემაწვილობდი, ვიცვალეზღი რიდე-
 თმასა“, მერე „სმასა ზედა უმიზეზოდ
 გავზე რასმე უგემურად, მარტო დავრჩი,
 სევდა რამე შემომქეცა გულსა მურად“,
 „უკმოვახვენ სარკმელნი და შევაქცივე
 პირი გზასა, ვიხედვიდი, ვიქარვებდი
 კაეშნისა ჩემგან ზრდასა“ და სხვ.]. მაშინ
 უნდა ვაღიაროთ, რომ ფატმანის სახე,
 როგორც ხასიათი, თავისი ფსიქოლოგი-
 ური სიმართლითა და სოციალური კონ-
 კრეტულობით რეალიზმის მწვერვალზე
 დგას.

ნაკლები სიძლიერით, მაგრამ ანალო-
 გიური მეთოდითაა დახატული ვეზირის
 სახე, რომელიც სრულ ფსიქოლოგიურ
 და სოციალურ კონკრეტულობასთან
 ერთად ერთგვარი იუმორის ელემენტ-
 საც შეიცავს. ეს დარბაისელი, ეშმაკი,
 „სათნო“ და ოქროსმოყვარე ბერიაკიც
 ხასიათია ამ სიტყვის თანამედროვე გა-
 გებით, ე. ი. მეტ-ნაკლებად ტიპური
 პერსონაჟი, რომლის არც ერთი შტრიხი
 არ სცილდება არა თუ შესაძლებლობის,
 არამედ ტიპურობის ფარგლებს და
 დანარჩენი შტრიხების შევსების შესაძ-
 ლებლობას გვაძლევს (ილუსტრაციები
 აღარ მოგვყავს). ასეთივე რეალური
 ელემენტი მეორდება თვით ინდოთ მე-
 ფის ზნე-ჩვეულებებშიც. ამიტომ არა-
 ვითარი ვაზვიადება არ იქნება, თუ ვი-
 ტყვით, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დასა-
 ხლებული პერსონაჟების ხატვის წესი
 სრულებით ცნობიერი მეთოდია, რო-
 მელსაც ნამდვილად არსებულის თვალ-
 საჩინო ასახვა და სინამდვილის შთაბეჭ-
 დილების შექმნა აქვს მიზნად.

ესაა რეალიზმი, რომელსაც რუსთა-
 ველი სრულყოფილად ფლობს და
 ბრწყინვალედ იყენებს ზოგიერთი პერ-
 სონაჟის ხატვისას. მაგრამ დასახლე-
 ბული პერსონაჟები სათანადო ეპიზო-
 დებით პოემის მხოლოდ ცალკეულ დე-
 ტალს შეადგენენ და მის დედაარსს არ
 ქმნიან. უფრო მეტიც, არც ერთი ამ
 გმირთაგანი, რომელიც ასეთი გამჭრია-
 ხობითა და რეალისტური ოსტატობითაა
 დახატული, ავტორის სერიოზული და-
 მოკიდებულების საგანიც კი არაა. ვე-
 ზირის ეპიზოდი მისთვის მხოლოდ და-

ბალი ემპირიული სინამდვილის შემოხ-
 ვევითი შემოჭრაა პოემის ქსოვილში,
 რასაც რუსთაველი, როგორც უკვე ით-
 ქვა, ერთგვარი ირონიითაც კი ეკიდება.
 ვაჭართა ქალაქი მისი მეფითა და ყველა
 მკვიდრით (ფატმანის ჩათვლით) შედა-
 რებით მდარე სამყაროა, დროსტარები-
 სა და იფი სმა-გახარების ადგილია,
 რომელსაც ავტორი დაცინვანარევი სი-
 ყვარულით შორიდან ეტრფის და სადაც
 უკიდურესობამდე დაქიმული იდეა-
 ლურ-რანდული გრძნობებისაგან ისეე-
 ნებს. მთავარი, რაც მას აინტერესებს და
 რასაც ის სრული სერიოზულობით ეკი-
 დება, სულ სხვაა — ესაა იდეალური
 გმირები და მათი ბედი, რაშიც პოემის
 ჩანაფიქრი ძვეს და რაც ავტორის პოე-
 ტური გზნების ნამდვილ საგანს შეად-
 გენს. ამათი ხატვისას ის კონკრეტული
 ყოფითი სიტუაციები, რაც ფატმანისა
 და ვაზირის ხასიათებში მთავარი იყო,
 არ გვხვდება, მაგრამ არა იმიტომ, რომ
 ავტორი ამას ვერ ახერხებს, არამედ
 იმიტომ, რომ იგი ამას უარყოფს:
 იდეალს, როგორც ცნობილია, არც გან-
 ზომილება აქვს და არც სისუსტეები გა-
 აჩნია, იგი ცხოვრებაში არ გვხვდება და
 მის მიმართ არავითარ ტიპურობაზე
 ლაპარაკი არ შეიძლება. ამიტომ მისი
 ხატვაც რეალური სისუსტეებისა და რეა-
 ლური ღირსების ზომის ხატვის მეთო-
 დით, რაც ჩვენს მიერ ხასიათის ცნობას
 ემყარება, ამ შემთხვევაში გამორიცხუ-
 ლია. ოღონდ ეს, ვიმეორებთ, ხდება არა
 იმის გამო, რომ ამ გზით პოემის მთავა-
 რი მოქმედი პირების ხატვა პოეტისათ-
 ვის მიუღწეველია, არამედ იმიტომ, რომ
 იგი ზედმეტია. იდეალურ გმირთა ხატ-
 ვისას ავტორი მხოლოდ სინამდვილის
 ვადმოლებას ან გააზრებას კი არ ესწ-
 რაფვის, არამედ გარკვეული აზრით მის
 შექმნასაც ისახავს მიზნად თავისი წარ-
 მოდგენებისა და სურვილებისდა შესა-
 ბამისად. ამიტომ ადამიანთა კლასიფიკა-
 ციაში რუსთაველს მათი სოციალური
 ვინაობისა და როლის, მათ შორის კერ-
 ძო მიზან-თვისებათა განსხვავების სა-
 ზომი, ე. ი. ემპირიული სინამდვილის
 დაკვირვებით მიღებული საზომი კი არა

აქვს სახელმძღვანელოდ, არამედ სხვა, საკუთარი საზომი, რომელიც მას შეაქვს სინამდვილეში და რომლის მიხედვით იგი ამ სინამდვილის მასალას გარდაქმნის. ესაა ადამიანის თავისთავადი ღირებულების, მისი სრულყოფის საზომი, რომელიც ავტორს თვითონ ძალიან ნათლად აქვს გამოთქმული: „კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცადის“ (952): ერთი მხრივ არიან პოემის მთავარი გმირები, ისინი, რომლებიც სრულყოფას, ადამიანის იდეალს ასახიერებენ, მეორე მხრივ კი ყველა დანარჩენი, რომელნიც მათთვის გარემოსა და ფონს ქმნიან. პირველი პოემის ალგორითულ მიზანს — იდეალური მეფე-ქალისა და მისდამი ტრფობის შესხმას ასახიერებენ. მათი დახატვით რუსთველი კომის პოემის განწყობილებასა და ემოციურ საფუძველს.

რას ნიშნავს რუსთველისთვის სრულყოფა და როგორ ასახიერებს იგი მას პოემაში?

პირველ რიგში, ესაა უზადო სილამაზე. ეს შტრიხი რუსთველის იდეალურ გმირებში მეტად თვალსაჩინოა. რჩება შთაბეჭდილება, რომ ამ მხრივ ისინი არ განსხვავდებიან სპარსულ ეპიკაში კარგად ცნობილი სახეებისგან, რომელთა ხატვა ყოველი სიკეთის უბრალო ჰიპერბოლიზაციაზეა აგებული. მაგრამ ნამდვილად ეს შთაბეჭდილება ძალიან ზერელეა. სილამაზის ხატვისას რუსთველს მეტად თავისებური პალიტრა აქვს, რომელიც ერთი მხრივ სახოტბო პოეზიის შეუზღუდველ ჰიპერბოლურობას, მეორე მხრივ კი დეტალების უზუსტეს რეალიზმს მოიცავს. პოეტისთვის არც ყველაზე ხელშესახები შტრიხია უცხო, რომელიც გმირის გარეგნობის ცალკეულ დეტალს, მის ჩაცმულობას, მის პოზას და მის მიხვრა-მოხვრასაც კი გვიხატავს („მელნის ტბისა თვალი“, „შესამოსლითა მწვანითა“, „შიშველ ტანზე ყარყუმნი უსაპირონი“, „შავნი წამწამნი“ და უამრავი სხვ.), არც უფრო ფაქიზი ეპითეტი, რომელიც ქალის სახეს მიჯნურის თვალში უფრო „სულიერი“ ტრფობის შარავანდით მო-

სილად ხატავს („საკრძალავი და ღირბი, უცხო პირად და ტანითა“ და სხვ). მაგრამ ყოველივე ამის ზევით დგას პოეტური ჰიპერბოლა, ასტრალურ სიმბოლიკაზე და, ასე ვთქვათ, ციურ სფეროთა განცდაზე დამყარებული სახეები, რომლებიც ძირითადად „ნათლის“ წარმოდგენებით ოპერირებენ და გმირის სილამაზის, ისევე როგორც მიჯნურში მისგან გამოწვეული გრძნობის აღწერაში ზებუნებრიობის, ჩვეულზე მაღალ საწყისებთან ზიარობის გრძნობა შემოაქვთ. ამ სახეთა დანიშნულება, რომლებიც ნათლის უეცარი თვალის მომჭრელი გამოკრთომებივით შემოდინან რეალისტურ თვალსაჩინო თხრობაში, არის ამ არაჩვეულე ბრიობის, გამორჩეულობის განცდის გამოხატვა, რომელიც მიჯნურ გმირებს განუწყვეტლად და ცხოვლად თან ახლავს და მათ სილამაზეს ერთგვარ, ასე ვთქვათ, ციურ ელვარებას ანიჭებს. ეს ციური ელვარება არც ეწინააღმდეგება გმირის სახის ხატვისა და სიუჟეტის განვითარების რეალისტურ ხაზს, არც გამოითიშულია მისგან, არამედ ერწყმის მას და ამ უკანასკნელის მეშვეობით დამაჯერებლობას იძენს. ამის არგუმენტაცია ყოველი ცალკე ჰიპერბოლის მიმართ შორს წაგვიყვანს. საილუსტრაციოდ მხოლოდ რამდენიმე მეტად თვალსაჩინო ნიმუშს მოვიყვანთ:

ასმათმა:

„შემავლო სახლი, ნაგები კეკულცად
 ბანის-ბანითა,
 გამოჩნდა მთვარე ნათლითა გარჯ
 შუქმონა ეანითა, (ნესტანი)
 ფარდაგსა შიგან მჯდომარე
 შესამოსლითა მწვანითა,
 საკრძალავი და ღირბი, უცხო პირად
 და ტანითა“.

„შევე, წავდეგ ნოხთა პირსა, მე
 დამიწყო ცეცხლმან
 შრეტად,

ნოდარ ნათაძე
 ობიექტური მეცნიერება და სხვისი
 კლასიკოსების შეფასება



გ უ ლ ს ა ბ ნ ე ლ ი გ ა ნ მ ი ნ ა თ ლ დ ა ,
 ზ ე ლ ა ლ ხ ი ნ ი ა დ გ ა ს ე ვ ე ტ ა დ .
 მ ა ს ბ ა ლ ი შ ი შ ე მ ო ე გ ლ ო , მ ზ ს ი ს ა შ უ ქ ს ა
 ს ჯ ო ბ ლ ა მ ე ტ ა დ ,
 ჩ ე მ გ ა ნ პ ი რ ს ა ი ფ ა რ ვ ი ლ ა , ა ი ზ ე ლ ს
 წ ა მ ს კ ვ რ ე ტ ა დ .

ავთანდილისგან მოხიბლული:

„შეზაღე შირბის, იხარებს, ოფლი
 მკურადმდის ჩასდიან.
 ხათუნსა უთხრა ამბავი: „მე ესე დამიქადიან,
 ყმა მოვა, მისთა მკვრეტელთა შუქნი მზედ
 განიცადიან.“

არა გგონია, რომ მსოფლიოს ებიურ
 ლიტერატურაში სადმე ამაზე არა მარ-
 ტო პოეტური და ფართო აზრით მართა-
 ლი, არამედ რეალისტური, ე. ი. პლას-
 ტიური და სულის მოძრაობის თვალსა-
 ჩინოდ მხატველი სტროფები არსებობ-
 დეს. და თუ სახეთა სიმდიდრე და ფან-
 ტაზიის გაქანება სიმართლეს არ გამო-
 რიცხავს, რუსთაველის ჰიპერბოლიზ-
 მიც უნიდავოდ არ ჩაითვლება.

ეს სილამაზე ავტორისთვის რეალუ-
 რია და მის წინაშე ალტაცების გადმომ-
 ცემი სახეებიც იმდენად ძლიერია და
 რეალური, რომ ამ ზებუნებრივ სილამა-
 ზეს ჩვენთვის თითქმის სინამდვილედ
 აქცევს.

კაცის სილამაზე გასაგები მიზეზის
 გამო არაა რუსთაველისთვის ისეთი
 უშუალო ხოტბის საგანი, როგორც ქა-
 ლისა, მაგრამ თავისებური ვაჟკაცური
 ეშხი და მომხიბლობა რომ მისთვის თა-
 ვისთავად ტყობის საგანია, ეს ეჭვს გა-
 რეშეა. „ავთანდილ ლალი, უჟადრი, მი-
 ვა, არვისგან პრცხვენიოდა“ — გვიამბობს
 პოეტი. „მივლენ ქვევითა წყნარითა“,
 „ქვევითა ვეფხებრ მყრჩხალითა“ და
 სხვ. ეს რეალისტური დეტალები
 აქაც, — ისევე, როგორც ქალთა მშვე-
 ნიერების ხატვისას, მნათობთა წარმოდ-
 გენას ერწყმის, რომელიც ზოგჯერ
 ტრადიციული მეტაფორის ფარგლებში
 რჩება, ზოგჯერ კი გმირის სრულყოფის
 წინაშე სულწაღებულობის ცხოველ
 ვანცდამი გადადის.

მეორე, რასაც რუსთაველისთვის
 სრულყოფა გულისხმობს, ეს არის ვაჟ-
 კაცობა-შემართება და სამხედრო „ქვე-
 ლობა“, რომლითაც მისი მამაკაცი-
 გმირები გამოირჩევიან და რომელიც ავ-
 ტორისთვის, როგორც ფეოდალური
 დროის შვილისთვის, ერთ-ერთ ყველაზე
 საყვარელ და სათაყვანებელ ღირსებას
 შეადგენს.

„ამოა, კარგსა მოყმესა რა ომი
 გაპარჯეგებოდეს,
 ამხანაგათვის ეჯობნოს, ვინცა მას
 თანა-მხლებოდეს,
 მიულოცვიდენ, აქებდენ, მათ ავრე მყოფთა
 სწებოდეს, (რცხვენიოდეთ)
 მშვენიოდეს დაკოდილობა, ცოტაი რამე
 ჰენებოდეს“—

„იგი ჰაბუქნი შუქითა ვნახენ მზისაცა
 მტრითა,
 მათ სამთა შვიდნი მნათობნი
 მთარვენ ნათლისა
 სვეტითა“...

გვამცნობს ავტორი ერთ-ერთ მცირე-
 რიცხოვან წილისვლაში და ეს სტროფი
 ეჭვს არ ტოვებს, რამდენად ინტიმურად
 უყვარს მას თავის გმირთა ეს თვისება.
 მართლაც, პოემა ბრძოლების, ძლევის,
 მარცხის, მუქარისა და შურისგების უმ-
 დიდრეს და უმრავალფეროვანეს ეპიზო-
 დებს შეიცავს. მაგრამ გმირთა ძალა,
 თუმც კი სინამდვილეს ბევრად აღემა-
 ტება, მაინც შესაძლებლობის ფარგლე-
 ბიდან არ გადის: ბრძოლების აღწერა
 ყველგან პროფესიულია და არსად ფი-
 ზიკური გმირობის ელემენტს კონკრე-
 ტულობისა და ინდივიდუალური შტრი-
 ხების ინტერესები არ ეწირება. ყველა
 ბრძოლას თავისი ინდივიდუალური
 გეგმა აქვს, თავისი რეალური ტაქტიკა.
 მძლეთა-მძლე ტარიელიც კი, როგორც
 ირკვევა, თავისი ყველაზე გმირული
 ბრძოლის დროს იძულებით უკან იხევს

ამის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, გასა-
 კვირი არაა, რომ პოემის მანძილზე
 გმირთა საჭკრეტად ხალხი მოდის, ბნდე-
 ბა და ხოტბას ასხამს, თანაც ისეთ ნა-
 ტურალისტურად აღწერილ ფორმებში,
 რომ ავტორისთვის ამ ალტაცების სერი-
 ოზულობაში ეჭვს არ ტოვებს.



(მაშველი ჯარის მოსვლის შემდეგ: „ველნი, ჩვენგან ნაომარნი, ომითავე გარდავლენით“). სპარსული ეპიკა, თვით „შაჰ-ნამეც“ კი, ბრძოლების ასეთ პროფესიულ აღწერას არ იცნობს. ბრძოლის ამ აღწერასთან ერთად რუსთაველი მის მონაწილეთა განწყობილებისთვისაც იცლის („საომარად ატეხილი ვიყავ მათად გამტეხელად“), სპათა განწყობილებისთვისაც („მაშინ ვუთხარ სპათა ჩემთა, სახე დიდი დავუსახე“) და ბრძოლის საერთო პანორამისთვისაც, რასაც ფიზიკური ხელშესახებობით ხატავს. ამ რეალისტურ ფონზე დამაჯერებელი ხდება ის ფაქტიურად შეუძლებელი გმირობაც, რომელსაც მისი გმირები სჩადიან და კაცის ასეთი გმირობის რწმენაც თუ მთლად არ გადმოგვედება, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს თვალში დასაშვები ხდება.

მესამე, რაც პოემის იდეალურ გმირებს ახასიათებს და ავტორის კონცეფციაში სრულყოფის ერთ არსებითს ელემენტს ქმნის, ესაა საზოგადოებრივი მდგომარეობა — მეფობა ან თითქმის მეფობა, რაც თავისთავად კმარა იმისათვის, რომ პოემის გმირები ყოველგვარი ჩვეულებრიობისა და სოციალური ტიპიურობის გარეშე დააყენოს. მათი ფეოდალური ბუნება და ფეოდალური ინტერესები ზედმიწევნითი კონკრეტულობითაა დახატული, ასე რომ პოემის მიხედვით შეიძლება ისტორიაში ცნობილი სოციალური დამოკიდებულებანი „შიგნიდან“ — ადამიანურ ურთიერთობათა და ზნე-ჩვეულებათა მხრიდან — შევისწავლოთ. მაგრამ სრულყოფილად ამიანთა სახეების შექმნაში მათი მადალი მდგომარეობა, რა თქმა უნდა, მხოლოდ ამ თავისი გარეგნული მხარით არ მონაწილეობს. ეს მდგომარეობა იმ მხრივაცაა არსებითი იდეალური გმირებისთვის, რომ ის მათ აძლევს სოციალურ სიამაყეს (კონკრეტულად: ფეოდალურს) და სოციალურ პასუხისმგებლობას, რაც აგრეთვე უმაღლეს დონეზე დგას და მათს ხასიათებს უზომოდ ართულებს. ნესტანისა და ტარიელის როლში ძალაუფლებისა და სიყვარულის

მოტივები ერთმანეთს ერწყმის და თითქმის თანაბარი ძალით მონაწილეობს მათ სულიერ ცხოვრებაში:

„გულსა ვარქვი თუ: ლახვარნი ვგე ვით
დაგალონებენ?
ამირზარი ვარ, ხელმწიფე,
სრულად ინდონა
მმონებენ“, —

უხმობს თავის სიამაყეს იდეალურ პატრონ-ქალზე გამიჯნურებული ტარიელი; სატრფოსაგან შეურაცხყოფილი ნესტანი უფრთხილდება თავის მეფურ ღირსებას და ორგულ სატრფოს, რომელიც იმავე დროს მისი ყმაცაა, ხელმწიფურ ძალაუფლებას აგრძნობინებს:

„ამას ვბრძანებ: ვინცა გინდა ეპატრონოს
ინდოეთსა,
ეგრეც მე მაქვს პატრონობა,
უგზოდ ვლიდენ, თუნდა გზეთსა...
ცოცხალ ვიყო, შენ ინდოეთს, ღმერთო,
ხანი ვერა დაყო,
თუ ეცადო დაყოფასა, ხორცთა შენთა
სულს გაყო.
და ა. შ.

ერთშიაც და მეორეშიც მათი ხანმოკლე რომანის განმავლობაში სიყვარულზე ნაკლებ ძლიერი როდია სახელმწიფოზე, იმპერიაზე პასუხისმგებლობის განცდა, სახელმწიფოს მესვეურის თანდაყოლილი პოლიტიკური გრძნობა, რაც, სხვათა შორის, ერთადერთი მოტივია პოემაში, რომელშიაც პატრიოტიკის, უკეთ, დიდი და ტრადიციული სახელმწიფოს ინტერესების მესიტყვისა და იდეოლოგიის პოლიტიკური მსოფლშეგრძნება ვლინდება.

პოემაში ინდოეთისა და მისი ტახტის ბედი და ამასთან დაკავშირებული უმაღლესი რანგის სოციალური ამბიციისა რომანის ორივე გმირის ყველაზე არსებითი მამოძრავებელია და თუ სიყვარულს მეტოქეობას ვერ უწევს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ პოეტმა მათი დაპირისპი-

ნოდარ ნათაძე
ობიექტური მეცნიერება და სხვისი
კლასიკოსების შეფასება



რება საჭიროდ არ სცნო. ამიტომ, როცა ნესტანი სიყვარულის ყველაზე დრამატიულ სცენაში ახსენებს ინდოეთის „გარდაქარებას“ და უცხოელთა ბატონობას („მათ მორქმულთა მოივლინონ, ჩვენ პატიყცი ვაგვიასდენ“), ან როცა ტარიელი მეფეს უთვებს „სხვა მეფე დაჯდეს ინდოეთს, მერტყას მე ჩემი ხრმალია?“ ეს სიტუაციის საჭიროებას ან, უბრალოდ, რეალიზმის დაცვის საჭიროებას სცილდება და ამ ამპარტავან მეფე-მიჯნუთ ყველაზე არსებითი მხრიდან გვიხასიათებს.

ნათელია, რომ ყველა ეს თვისება არც ყოფითი ტიპიზობისა და არც ყოფითი რეალიზმის ფარგლებში არ ეტევა. მაგრამ იდეალურ გმირთა ხატვას აქვს ერთი სხვა თვისებაც, რომელიც მათ ხდის ცოცხალ ადამიანებად და არა იდეალურ სქემებად და არანაკლებ ეხმაურება ჩვენს ინტუიტურ სიმართლის გრძნობას, ვიდრე ფაქტმანის ხასიათის ყოფითი დეტალები. ესაა **ხ რ უ ლ ი - ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი უ რ ი ს ი მ ა რ თ ლ ე და ს ი ზ უ ს ტ ე**, რომელიც გმირთა მოქმედებისა და განცდის ყველა პერიპეტივებშია დატული და ამ ჰიპერბოლურად გამოთქმული გრძნობის დინამიკას რეალურად ხდის. ტარიელისა და ნესტანის მიჯნურობა ინდოეთის კარზე, მაგალითად, მოკლე რომანია, რომელიც სიყვარულის, ამპარტავნების, ბრწყინვალეობა-დიდებისადმი სწრაფვისა და ამ ურთიერთგადაჯაჭვულ გრძნობათა პერიპეტივების პოეტური, მაგრამ ზუსტი ხატვის შედეგის წარმოადგენს. ორივე გმირის სიტყვას, ქცევას და განცდას თავის განვითარების მყარი შინაგანი ხაზი აქვს, რომელიც ისეთ ნიუანსებსაც გამოგვიცნობინებს, რაც უშუალოდ ნათქვამი არ არის. ტარიელის პირველივე განცდები ფაქიზ ლირიკულ ტონებშია აღწერილი, რომელიც მეტად ინდივიდუალურ ფსიქოლოგიურ შტრიხებს ემყარება და ჩვეულ ჰიპერბოლებს ნაკლებად შეიცავს. „ცხენსა შეჯდომა მწაღიან, ვნა-

ხ ნ ე წ ყ ა ლ ნ ი და ვ ე ლ ი ა“ მისი პირველი სურვილი დაბნენისგან მომჯობინების შემდეგ, რომელსაც, რათქმა უნდა, ამართლებს არა რაიმე ლოგიკური საფუძველი, არამედ მხოლოდ ლაშქრობა-ნადირობაში გაზრდილი რაინდის უშუალო განცდა. შემდგომ დღეებში ეს გრძნობა ჩვეული ხდება და სიღრმეს იძენს, რაც ისევე წმინდა — ფსიქოლოგიური შტრიხით არის ნახატი („ველარ ვუჭკრეტდი ლაშქართა, მინდორს თამაშად მავალთა“). შემდეგ ეს დამალული გრძნობა გმირის უნებურად ამოხეტქვას ლამობს („ვეცდებოდი, არა მცალდა სევდისაგან თავის კრძალვად, ვიგონებდი, ცეცხლი უფრო მედებოდა გულსა ალვად“), ტარიელი ნებისყოფის ძალით სძლევს მას და ფლირტს („აშიკობას“, რომელიც სიყვარულში რუსთაველს არსად არ ერევა) ეწევა („გული მივეც თობა-ქმნათა აუგისა საკრძალველად“); და ბოლოს, ნესტანისგან სრულებით მოულოდნელი იმედის მიღების შემდეგ ეს გრძნობა აღწევს შმაგ აპოთეოზს, რაც ფსიქოლოგიური სიმართლის, ფიზიკური ნატურალიზმისა და ჰიპერბოლის შეერთებითაა გამოხატული:

„ასმათი მეუბნებოდა უშიშრად, არ მეკრძალოდა;
ჩემი რა ვითხრა, რა ვიყავ, ლხინი არ დამეთვალოდა!
გული მი და მო მიარდა, კრთებოდა და მელალოდა,
მუნ პირი ჩემი გაბროლოდა და ლაწვი გამელალოდა“.

ამის შემდეგ გმირისთვის ახალი ბედნიერი სიყვარულის ხანა დგება, როცა ის ყველა ძველსა და ახალ პრაქტიკულ საქმიანობას უძღვება, მაგრამ ამ დროს ფაქტიურად სიყვარულის ფიქრით ცოცხლობს. ეს პერიოდი იხსნება ნამდვილად გასაოცარი ძალით აღწერილი განწყობილებით, სადაც უძლიერესი ტრფობის, ახალდაწყებულ სავაჟაკო საქმის წინაშე მღელვარების, მომავალი დიდებისა და იმედის უძლიერესი



გრძნობები უმძაფრეს დრამატიზმამდე აღის:

„პირველ (პირველად) გაჭრისა პირება,
მერმე დაწყნარდეს ცნობანი (გონება),
ჩემთა სწორობაჲს იყენიან ჩემს წინა
ნადიმობანი,
მაგრა დამშლადეს ლხინთაჲს სურვილთა
დაიღობანი.
ზოგჯერ შემცვიან სევდათა, ვთქვნენ
საწუთროსა გმობანი“.

ამას მოსდევს ტარიელისა და ნესტანის შეყრის ორი სცენა, ხოლო შუალედებში ლაშქრობისა და კარისკაცობის მეტად რეალურად აღწერილი ამბები, რომელთა განმავლობაში სიყვარულისა და იმედის აღზევება-დავარდნის ფსიქოლოგიურად მართალი ტალღები ერთმანეთს ცვლის. ეს პერიოდს სრულდება ტარიელის პატივსაცემად გამართული ნადიმის სცენით, სადაც დიდებით და სიყვარლის ჭკრეტით დამტკბარი ტარიელის განცდები დაჰიმნოლობის მწვერვალს აღწევს.

„მე მუნა მყოფი მივეცი შევასა
მეტის-მეტასა,
რა შემომხედნის, შევხედნი, ცეცხლმან
დამწყვის სრეტასა.
კაცთა კრძალვასა ვაწვევდი გულსა შავასა
და რეტასა.
რა უამეა პირის-პირ სიყვარელისა
ჭკრეტასა?“

ანალოგიურად ხატავს რუსთაველი ნესტანსაც. მის ქცევასა და განცდას მთელი ამ ეპიზოდის მანძილზე აქვს ზუსტი და ფაქიზი ფსიქოლოგიური ნახატი, შინაგანი სიმართლის ხაზი, რომელიც ძალიან მკაფიო, ხშირად მოულოდნელ და, ამდენად, მეტად ინდივიდუალურ შტრიხებზეა აგებული. ვერც ტარიელის გამიჯნურების სცენაში, ვერც ნესტანის პირველ წერილში ჩვენ ვერაფერს ვიგებთ მისი პიროვნების შესახებ, ვარდა იმისა, რომ იგი უზადოდ ლამაზია და თავის მიჯნურს ავალებს — საგმირო საქმეებით დაუმტკიცოს სიყვარული. მისი პიროვნება უფრო სრულყოფილად და ხელშესახებად წარმოგვიდგება პირველი პაემნიდან. მოუ-

ლოდნელ და ღრმა ინტუიციით შესრულებულ ამ მუხჯ სცენაში ღირსებაც არის, ქალური ეშმაკობაც და ქალისთვის ბუნებრივი თავდაფასებაც, რაც ამ მაღალ სფეროებშიც მოქმედებს და იდეალურ გმირთა ურთიერთობას ჩვენთვის სინამდვილედ ხდის.

(ტარიელის მონაყოლით):

„დიდხან ვდგე და არა მიხბრა სიტყვა
მისსა მონასურსა,
ოდენ ტკბილად შემომხედნის, ვითამცა
რა შინაურსა.
ასმათ უხმო, მოიუბნეს, ქალი მოდგა,
მიხბრა ყურსა:
„აჲ წადიო, ვერას ვითხრობს“. მე კვლა
მიცა აღმან მურსა.
„სირცხვილი აქვს საუბრისა, მერმე თავსა
ჭკრძალავს ლდი“, —

უმხელენ ამ სცენის აზრს ტარიელს და ამით კიდევ ახალისებენ და კიდევ ბოდღის უხდიან. მეორე პაემნის სცენამდე თითქოს არაფერი შეცვლილა, ვარდა იმისა, რომ ნესტანმა გადაწყვიტა შორს დაეჭირა თავი. ის ისევ თვით იზარებს ტარიელს და პაემანი გარეგნულად თითქმის იგივე, მაგრამ ქვეტექსტის მიხედვით არსებითად განსხვავებული ფსიქოლოგიური ნახაზით მეორდება. ნესტანი ისევ მოსილია კდემით, მაგრამ მკითხველი გრძნობს, რომ ამჯერად მის გულში ტარიელთან დაახლოების სურვილი სძლევს მორცხვობას. „მოახსენე, დაჯდეს ამირბარსა“ — ეუბნება ნესტანი ასმათს. ამის შემდეგ უცხოობისა და რიდის ზღუდეები გადალახულია, შინაგანი ინტიმურობისა და სიყვარულის კავშირი დამყარებული და ეს ორნი დანარჩენი ქვეყნისაგან გამოთიშულ მიჯნურთა წავილად იქცევიან.

„მაღლით ვუჭკრეტდი, მიჭკრეტდა, სხვად
არად მეუბნებოდა,
თვალნი მოვსწყვიდნი, სიცოცხლე ამითა
მეარმებოდა“.

ნოდარ ნათაძე
ობიექტური მეცნიერება და სხვისი
კლასიკოსების შეფასება

დაბოლოს, ამ ორი მიჯნურის ურთიერთობა კულმინაციას აღწევს უკანასკნელ, ხვარაზმშას მოკვლის ეპიზოდში. მეფე-დედოფალს გადაწყვეტილია ხვარაზმშას მოყვანა, რაც ტარიელისთვის შემკვიდრეობის წართმევას უდრის. ისინი ამ გადაწყვეტილებას თავს ახვევენ ტარიელსა და ვეზირებს. „ერთმანეთსაცა უჭერტდეს, სიტყვაცა აგრე სწებოდა“ (რცხვენოდათ). გმირსა და ტახტის შემკვიდრე ტარიელს ჩვენ ვხედავთ ქვეშევრდომად, რომელიც იძულებულია მეფეს სიტყვა არ შეუბრუნოს. („ოდენ დაენაცრდი, დავმიწდი, გული მი და მო კრთებოდა“). ჩვენ ვერაფერს ვივებთ მის რეაქციაზე, გარდა იმისა, რომ „სევდამ დანის დაცემად მისწურა“ და რომ სატრფოს ნახვის უშუალო სინჯარულსაც კი, რომელიც „ყოველ ჳირს“ არიდებს, არ ძალუძს დაავიწყოს ეს მუქარა მისი ბედნიერებისა და ტახტისადმი („მევე, ვნახე იგი მთვარე, ჳირმან ყოვლმან უკმრიდნა, გულსა შუქი შემონადგა, მაგრა გული არ დამიდნა“), მხოლოდ მაშინ, როცა ნესტანი პასუხს სთხოვს და ტარიელი თავს იმართლებს, ვივებთ მის ნამდვილ გადაწყვეტილებას, რომელიც ტახტის შემკვიდრეობისა და სიმხედრო ძალის მოტივებს ემყარება („არ თუ იცის, ინდოეთი უბატრონოდ არ გამხდარა?“). ნესტანის სიტყვები ამ სცენაში ფარული და აშკარა, ცნობიერი და არაცნობიერი მოტივების, ქალური ეშმაკობისა და ხელმწიფური სიამაყის რთული ნახავია, ოსტატობის თვალსაზრისით კი ქვეტექსტის გამოყენების უნიკალური მაგალითი. ცრემლით და რისხვით, რომელიც არც მთლად უიმედობის მომასწავებელია, იმიტომ რომ ტარიელის ნაჩუქარი რიდე ახურავს, ის თავის სატრფოს მოკლე საყვედურით ხვდება და კითხვისთვის იწვევს. „ღიაცურად რად მოვლორდი? მე დავუწვაე ამით აღსა“ — თითქოს უნდომლად პასუხობს ტარიელის კითხვას ნესტანი და საბაბი ეძლევა, რომ საქმის არსი ვადმოუშალოს. ტარიელის ფიცსა და მართლებას ფარული მოწონებით ხვდება, რომელიც გვანიშნებს, რომ საქ-

მე თავიდან აქეთვე მიდიოდა („მან მიბრძანა: რაცა იცი თქვიო, თავი დამიქნია“). ხოლო ამას მოსდევს დიპლომატიური ორივე მხარე — ნესტანიცა და ტარიელიც — თანდათანობით, თითო-თითო ნაბიჯის მორიგეობით გადადგმით, თითქოს ერთმანეთის თანხმობის წინასწარი მოსინჯვით, მიდიან საქმის არსამდე — ხვარაზმშას მოკვლისა და ინდოეთის მეფისადმი განდგომის გადაწყვეტილებამდე. ამ მსჯელობაში სინტერესოა მეორე ფსიქოლოგიური მომენტი — ნესტანის მადლიერებას, რომ მისი ექვი არ გამართლდა, თან სდევს დაახლოება („ახლოს დამისვა, მაღირსა აქამდის არღირსებულა“), რომელიც ასეთი დეტალით თავდება:

„მერმე ავღევ წამოსავლად, მან დამიწყო
 ქვევე წვევა,
 მწაღლა, მაგრა ვერ
 შევმართე (გავბედი)
 შემოკლობა, შემოხვევა“.

ანალოგიური მაგალითების მოყვანა პოემიდან ძალიან ბევრის შეიძლება. ასე თანდათანობით, მკაფიო დეტალებითა და ფსიქოლოგიური რეალიზმის დაცვით გვაჩვენებს ავტორი იმ ყოველდღიურობაზე ამაღლებულ გრძნობათა სფეროში ტრიალს, რომლებიც მის გმირებს ახსიათებენ და საკუთარ იდეალთა იმ ხორცშესხმას, რასაც ეს გმირები წარმოადგენენ, ჩვენთვის სინამდვილედ ხდის. გმირთა გრძნობის სიძლიერეც და ამ გრძნობის გამოხატვის ფორმაც გაზვიადებულია (ჰიპერბოლიზებულია), მაგრამ თვით ამ გრძნობის რომელიცა (რა გრძნობაა ეს: სიხარული, სევდა თუ სხვა) არა მარტო ნამდვილია, არამედ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ფაქიზი ინდივიდუალური შტრიხია, რომელიც, ისევე როგორც ყოველი რეალისტური დეტალი ლიტერატურაში ზოგადად, ჩვენს ინტუიციასა და ცხოვრების გამოცდილებას მიჰმართავს. ეს ფსიქოლოგიური სიმართლეა თბრობის ჩონჩხი და ამდენად არიან პოემის იდეალური პერსონაჟები აბსოლუტურად რეალური პიროვნებები. ჰიპერბოლიზა-



შესდის და გასდის, აკლია, ემღერვის
ეტლთა რბენასა,
კელა აქა სულსა დაუბამს, დაუშლის
აღმაფრენასა“ —

ციას კი ეს რეალობა უმაღლეს ხარისხში
აპყავს და გმირთა სახეებს ამ სრულყოფაზე
დაამყარებულ ამადლეველობას
ანიჭებს.

მაგრამ პიროვნების თემა, ანუ, რაც
რუსთაველისთვის იგივეა, სრულყოფი-
ლი გმირის (კაცისა თუ ქალის) თემა
ზემოთქმულით სულაც არ ამოიწურება:
პოემაში სრულყოფა ამასთან ერთად
მორალურ სრულყოფასაც
გულისხმობს, როგორც თავის ერთ მი-
უცილებელ და შეიძლება ყველაზე მნიშ-
ვნელოვან ელემენტს. ძალიან დიდხანს
შკივბუხელისთვისაც და კომენტატორე-
ბისთვისაც (ყველაზე ადრე ვახტანგ VI-
ისთვის) რუსთაველი პირველ რიგში მო-
რალისტი პოეტი იყო და ეს შეფასება
არაა მოკლებული სიმართლეს იმ მხრივ,
რომ რუსთაველისთვის ეთიკური სრულ-
ყოფა, ანუ წმინდა და უკომპრომისო
მორალი მისი მთავარი გმირების ერთ-
ერთ ყველაზე არსებით განმასხვავებელ
თვისებას შეადგენს. არც ერთ მეორე-
ხარისხოვან გმირს (გარდა ასმათისა,
რომლის როლი უკიდურესი ერთგუ-
ლების გრძნობაზეა დამყარებული)
მიუხედავად ზოგი მათგანის ფაქიზი ჰუმ-
ანურობისა, სიკეთისა და მთავარი გმი-
რებისადმი სიმპათიისა, არ ახასიათებს
ის მკაცრი მორალი, რაც მთავარ
გმირებს აქვთ და არც ერთი იდეალური
გმირის სულიერი სამყარო არ ჰგავს რი-
გითი ადამიანის იმ ბუნებრივ სისუს-
ტეებს, რომელიც ამ რიგორისტულ მო-
რალს მაინცდამაინც ვერ ეგუება, მაგ-
რამ პოემაში ცნობიერადაა ასახული.

„...დიცა ვინცა უყვარს, გაექსვის და
მისცემს გულსა,
აუგი და მოყიენება (სიარტხელი) არად
შესწონს (არაფრად მიაჩნია)
ყოლა კრულსა“ —

ნათქვამია ზოგადად ქალის ანუ რიგი-
თი ქალის შესახებ.

„ვა, ოქრო მისთა მოყვისთა აროდეს
მისცემს ლენასა,
დღედ სიკვდილამდის სისარბე შეაქნევს
კბილთა ღრჭუნასა“

დახასიათებულია ზოგადადამიანური
სწრაფვა სიმდიდრისაკენ, რომელიც
მსახურთა მიერ მეფის ინტერესების გა-
ყიდვის ეპიზოდშია დაკონკრეტებული
(„მონათა მიჰხვდა სისარბე მის საჭურჭ-
ლისა ძვირისა, დაჰვიწყდა შიში მეფე-
სა, ვითა ერთისა გზირისა“). „მომკალ,
კაცსა სიცოცხლისა სწორად რაცა მო-
ეხმაროს“ — დაუფარავად ამბობს ვეზი-
რი. ასე ახასიათებს რუსთაველი ჩვეუ-
ლებრივი ადამიანის ბუნებას. მაგრამ ეს
ზოგად ქეშმარიტებათა სახით გამოთქ-
მული დებულებები სრულებით არ ეხე-
ბა პოემის მთავარ გმირებს, არამედ
მხოლოდ იმ პერსონაჟებს, რომელნიც
სინამდვილიდან აღებული ტიპიურობის
(იხ. ზემოთ) დონეზე დგანან და იდეა-
ლური გმირებისათვის მხოლოდ გარე-
მოს ქმნიან. ფაქტიურად რუსთაველი
ორ მორალს იცნობს, უკეთ, ორ სრულე-
ბით განსხვავებული ტიპის, სხვადასხვა
ადამიანებისთვის დამახასიათებელ შინა-
გან სამყაროს, რომელთაგან ერთი ემპი-
რიულ, ტიპურ ადამიანთ განეკუთვნე-
ბა, მეორე კი — არატიპიურთ, პოეტის
საკუთარი იდეალის მიხედვით შექმ-
ნილთ. რას წარმოადგენს ამ უკანასკ-
ნელთა მორალი? ესაა სრულებით
უკომპრომისო ვალდებულების შეგნება,
უკომპრომისო სიმყარე და გამტანობა
გრძნობაში, უკომპრომისო სამართლია-
ნობა, რომელსაც იდეალური მამაკაცე-
ბიც და ქალებიც იჩენენ. მორალის თა-
ნახმად ქცევა პოემაში, როგორც წესი,
ბუნებრივად ხდება, იმიტომ რომ ასეთ
ქცევას გმირებს მართლად და ცხოვლად
დახატული ემოცია უკარნახებს (მად-
ლიერება, მეგობრის სიყვარული, სიყვა-
რული და სხვ.), მაგრამ როცა საჭიროა,
მას აქვს მსოფლმხედველობრივი დასა-
ბუთებაც. რატომ უნდა მოვიქცეთ მო-

ნოდარ ნათაძე
ობიექტური მეცნიერება და სხვისი
კლასიკოსების შეფასება



რალურად? იმიტომ რომ მხოლოდ ასეთ ქვეყანა გვიკარნახებს სიბრძნე, რომელიც ყოველგვარ სიმდაბლეს გამოირიცხავს (ბრძნული ქვეყნისა და მორალური ქვეყნის გაიგივება ანტიკური წარმოდგენებიდან მოდის.

„აჲ ვემ, ცოდნა რას მარგებს
ფილოსოფოსთა ბრძნობისა?
მით ვისწავლებით. მოგვეცეს შერთვა
ხესთ მწყობრთა წყობისა“.

ცხადია, რომ ამგვარად დასაბუთებულ მორალს, ისევე როგორც თვით სიბრძნე, მხოლოდ რჩეულთა ტვირთი და ვალია. ყველა ადამიანთა თანაბარი მორალური ვალდებულება, როგორსაც, მაგ., ქრისტიანული მორალი გულისხმობს, აქ გამოირიცხულია).

რატომ არ უნდა დავუშვათ არავითარი კომპრომისი ჩვენ მორალურ წარმოდგენებთან შიშის მდაბალი გრძობის კარნახით? იმიტომ, რომ ეს მაინც უსარგებლოა, იმიტომ, რომ უზენაესი ძალის — ღვთის განგების ხელში ვართ, რომელიც ჩვენს ბედ-იღბალს თავისი გარდუვალი ნებით წარმართავს („არ გარდავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა, წესი არის მამაცისა მოჭირვება, ჰირთა თმენა“ და ა. შ.). რატომ არ უნდა გადავუხვიოთ მორალით ნაკარნახევი ქვეყნის ხაზს, რაც უნდა ძნელი ან თუნდ განწირული იყოს ჩვენი მეცადინეობა? იმიტომ, რომ ხორციელს სიკვდილი მაინც არ ასცდება, ხოლო „ნაძრახ სიცოცხლეს“ „სახელოვანი სიკვდილი“ სჯობია. ეს და სხვა ანალოგიური პრინციპები პოემაში მორალური ვალდებულების საფუძველია. როგორც ეს პრინციპული გააზრება, ისე ამ მორალის მონაწილეობა გმირთა ქვეყანასა და მოქმედებაში ამ იდეალურ სახეთა ერთი ყველაზე არსებითი და ძირეული შტრიხია.

რალა ანიჭებს რუსთაველის იდეალურ გმირებს სიცოცხლეს ამ მხრივ, ე. ი. რა ხდის მათ დამაჯერებელ, ნამდვილ ადამიანებად, მოუხედავად ამ რიგორისტული მორალისა, რომელიც, როგორც ვთქვით, პოემაში მხოლოდ რჩე-

ულების კუთვნილებას წარმოადგენს? ესაა ისევე ის მართლად ნახატი გრძობის დინამიკა, რომელიც ზემოთვანსნეთ, ოლონდ მისი ყველაზე მძაფრი და პოეტურად ამაღლებული ფორმით, რომელიც ადამიანის ბუნების და მისი გრძობის უკიდურესობათა არეში გადადის. რუსთაველის გმირებს არ ახასიათებთ სისუსტეები და ცოდვები, როგორც ეს ემპირიულ ადამიანს სჩვევია და ამდენადაა, რომ ამ გმირთა შინაგანი სამყაროც სინამდვილესთან მიმართებით მიზაძეკას კი არა, არამედ გარკვეული აზრით გაზვიადებებს, გაიდელდება წარმოდგენს. მაგრამ ამ გმირთა სახეებს არ აკლიათ არც დამაჯერებლობა, არც ის აუხსნელი თვისება, რომელსაც ლიტერატურაში ხასიათის „სიცოცხლე“ ეწოდება. ეს იმითაა მიღწეული, რომ მხოლოდ იდეალური გრძობებებისა და მოტივების კომბინირებით (ე. ი. ისეთი გრძობებისა, რომელზე უმაღლესსაც ადამიანი არ იცნობს) ავტორმა შესძლო პერსონაჟების რთული, დრამატულად დაძაბული და მდიდარი შინაგანი სამყაროს დახატვა, ამ გრძობათა ფარგლებიდან გაუსვლელად შესძლო ისეთ ურთიერთობათა და ბედის პერიპეტიათა დახატვა, რომელიც ჩვენში ცხოველ ინტერესს აღძრავს, გვაღელვებს და ჩვენს თანაგრძნობას იწვევს. ერთადერთი, რაც რუსთაველის ზოგიერთ მთავარ გმირს ხშირად, შეიძლება ითქვას, აკლია იდეალური მიჯნურის იმ თვისებებიდან, რაც პროლოგშია ჩამოთვლილი, ესაა სიბრძნე, რომელიც მათ მოქმედებას მხოლოდ საჭირო მიმართულებით წარმართავდა. პირიქით, ამ ერთადერთ პუნქტში — სიბრძნისა და უშუალო გრძნობის შეპირისპირებაში — რუსთაველს თავისი გმირები წარმოდგენილი არ ჰყავს როგორც სრულყოფის იდეალი. მათთვის უცხო არ არის ადამიანური ტყვიელები. მათი შინა სამყარო გულგრილი არ არის გრძნობათა და ტყვიელთა მიმართ. ეს გრძნობებია სიყვარულის სი-

ხარული და ტანჯვა, რომელიც ადამიანის განსჯას სძლევს და მის ბუნებას თავის ნებაზე ათამაშებს ისე, რომ ადამიანის რაციონალური საწყისი და ნებისყოფა ძლივსღა ახერხებს ამ ცვალებად ზვირთებზე წონასწორობის დაცვას. ეს არის ავთანდილის განწორების ტანჯვა და ტკივილი, ესაა მისი უკიდურესი სულიერი დაძაბვით, რისკითა და დაბრკოლებებით საევე „ღარიბობა“ — ადამიანის მაქსიმალური სულიერი და ფიზიკური გამოცდის დამაჯერებელი განსახიერება, სადაც მხნეობა და დეპრესია ერთმანეთს ცვლის და გმირი გაჰკირვებით იკვლევს გზას; დაბოლოს, ეს არის იმედისა და უიმედობის ბრძოლა — პოემის ძირითადი მსოფლმხედველობრივი მოტივი. ეს გრძნობები იდეალური ანუ ადამიანისთვის მისაწვდომი უმაღლესი რანგის გრძნობებია, მორალური და ფიზიკური სრულყოფის უმაღლეს დონეზე ნახატი, მაგრამ ამავე დროს ეს საერთოდ ადამიანის ბუნებრივი გრძნობები ა. მხოლოდ ამდენადაა, რომ პოემის იდეალურ გმირებს, მიუხედავად მათი აბსოლუტური სრულყოფისა და მასთან ერთად, აგრეთვე საერთო — ადამიანური ინტერესი და ამაღლეებლობა რჩებათ.

ყველაფერი ეს პოემაში მეტად ნათელია და თავისებურად ყოველი დონის მკითხველის ცნობიერებამდე მიდის. რაღაა ინდივიდუალური სხვაობები ამ იდეალურ გმირებს შორის, ე. ი. რაა მათი საკუთარი ნიშანთვისებები, რომელნიც არა მარტო მათ ბედს, არამედ მათ ბუნებასაც ერთმანეთში ასხვავებენ და ლიტერატურულ ხასიათს ქმნიან?

რომ ტარიელი უბედურებისგან „ხელია“ (შმაგია), ავთანდილი კი მას სიბრძნისკენ მოუწოდებს, ცხადია, ასეთი ნიშან-თვისების მაგალითად არ გამოდგება. ამ სხვაობის სიუჟეტური, ე. ი. გარეგნული მიზეზებით გამოწვეული სა-

ფუძველი აშკარადაა ხაზგასმული, როცა ტარიელი ამბობს:

„რაცა ჰპართებს გონიერთა, ერთხელ ვიყავ
მეცა მქმნელად,
აწ ნობათი ხელობისა მომხედომია,
მით ვარ ხელად“.

ასეც რომ არ იყოს, სქემატური სხვაობა (სიბრძნე-ხელობა) ვერ შექმნიდა ბიოლოგიური, სოციალური და ფსიქოლოგიური თვისებების იმ რთულსა და ინდივიდუალურ კომპლექსს, რომელსაც ლიტერატურული ხასიათის ცნებაში ვგულისხმობთ და რომლის ხატვის ხელოვნებასაც, როგორც ფაქმანის მაგალითზე დავინახეთ, რუსთაველი ზედმიწევნით ფლობს. ამ რიგის ნიშან-თვისებები, რამდენადაც საქმე იდეალურ გმირებს შეეხება, რუსთაველს არ აინტერესებს და ამ მხრივ მისი მეთოდი შუასაუკუნეთა ევროპული ლიტერატურისას ჰვავს (როგორც „პარსიფალის“ ტიპის მსოფლმხედველობრივი რომანებისას, ისე უბრალო მისტერიებისას), რომელიც კაცის ყოფისა და ბედის უზოგადეს საკითხთა განხილვისას მის ინდივიდუალურ თვისებებს არ დასდევს და თავის პრობლემად კაცის, როგორც ადამიანობის ზოგადი წარმოდგენის ბედს იხდის. დასავლეთში ამ ლიტერატურული კონცეფციის ყველაზე დიდი და ამავე დროს უკანასკნელი გამომხატველია დანტე, რომელმაც თავის „ხსნის ეპოსში“ — „ღვთაებრივ კომედიაში“, მიუხედავად ამ თხზულების უძლიერესი სუბიექტივიზმისა, მხოლოდ გმირის (თავის თავის) განცდები და ვნებები განსახიერა, მაგრამ მისი ინდივიდუალური ანუ ხასიათის ნიშან-თვისებები სრულებით უგულვებელჰყო. რუსთაველიც, თუმცა ახერხებს თავისი იდეალური გმირების ინდივიდუალური იერის დაცვას, ეს ინდივიდუალობა არაა საკუთრივ ხასიათთა სხვაობა, არამედ უფრო—ორი

ნოდარ ნათაძე
ობიექტური მეცნიერება და სხვისი
კლასიკოსების შეფასება

სამყაროს სხვაობა, რომლებშიაც სიტუაციები, ბედი, ხასიათები, განწყობილებები და მიზნები ისეა ერთმანეთში შერწყმული და გადაჯაჭვული, რომ მათში სიუჟეტური მოსაზრებებით ნაკარნახევსა და პერსონაჟთა ინდივიდუალიზაციის ამოცანით ნაკარნახევ შტრიხებს ერთმანეთში ვეღარ ვარჩევთ. ნესტანისა და ტარიელის სამყარო ნამდვილი ხორცისა და სისხლის ფერებშია ნახატი. ეს ბრძოლის, ვნებების, საბედისწერო სწრაფვათა შეჯახების სამყაროა. ქალი ვეფხის სიმბოლურ სახეშია განსახიერებული, რაც ამ მიჯნურობაში ორ დაპირისპირებულ ნებას, ტრფობისა და წინააღმდეგობის თითქმის ირაციონალურის საზღვრამდე მისულ შეხვევებს გულისხმობს.

„ზრმალი ვაგტყორცე, გარღვიპერ,
ვეფხი შევიპყარ ხელითა;
მის გამოკოცნა მომინდა,
ვინ მწვავეს ცეცხლითა
ცხელითა,
მიღრინვიდა და მაწყენდა ბრქალითა
სისხლთა მღვრელითა“.

ორივე მიჯნურისათვის — ქალისთვისაც და კაცისთვისაც — ყოველი ნაბიჯი ბედნიერებისაკენ ხიფათსა და ბრძოლასთან არის დაკავშირებული, რომლის პერაპეტეიების ხატვა ბედის ცვალებადობის უფართოეს დიაპაზონზე — ტახტის მემკვიდრეობიდან ვიდრე ტყვეობამდეა გაშლილი. შესაბამისად, ტარიელსა და ნესტანში განსახიერებული სრულყოფაც თავისი დინამიური მხრით — ბრძოლაში, მოქმედებაში, ვნებებში, ჭიდილში ჩნდება. ავთანდილის და თინათინის სამყარო, პირიქით, ნათელია და ჰარმონიული, აქ ნათლისა და მზის წარმოდგენები ბატონობს. ამ სამყაროს ასახვაში ნაკლებია მხატვრობა და მეტია პოეზია. მის ცენტრს — თინათინს, მზის სახე-სიმბოლო განსახიერებს, ეს სრულყოფილი ნათელი, რომელსაც არც „ხსნა სჭირდება“, არც „ლხინ-ნაკლულობა სჭირს“ და მიჯნურს ლხინისა და გულისტყვილის ორკოფთული გრძნობით იზიდავს.

„ოტარილო, შენგან კიდე არვის მიგავს
საქმე სხვასა:
მზე მაბრუნვეს, არ გამოიშვებს,
შემიყრის და მიმცემს
წვასა“

შემდეგ:

„მზესა ეტყვის: მზეო, ვიტყვი თინათინსა
ლაწვთა ღარად.
ხელსა მალხენს ნახვა შენი,
ამდ გიჟერტ არ დამცარად“.

და პირიქით:

„ღამე აღხენდის, დღე სჯიღის...
ელის ჩასლვასა მზისასა“.
და სხვ.

ამ სამყაროში ყველაფერი ნათელი, მორკმული და სვიანი, გმირთა სრულყოფაც, შესაბამისად, სულ სხვა მხარით იშლება: იგი თითქმის ანტიკური, ოღონდ ლირიკული განცდებით დატვირთული სიმშვიდით, ერთგვარი ბედნიერი ჰარმონიის შარავანდიტთა მოცული. ხოლო თუ ამ ნათელ რომანში ქეშმარიტი ვნება და ცეცხლი ერევა, ეს მხოლოდ სიყვარულის ალტყინების და ადამიანისთვის ვერ-გასაძლებ გრძნობათა სიჭარბის ცეცხლია, რომელიც ავთანდილის თვით უბედნიერეს სატრფილო განცდებს ახლავს.

„მული კრულია კაცისა, ხარბი და
გაუძლომელი,
გული ვამ-ჟამად ყოველთა ჭირთა მთმო,
ლხინთა მწლომელი,
გული ბრმა, ურჩი ხედვისა¹, თვით
ვერას ვერ ვამზომელი,
ვერცა ჰპატრონობს² სიყვილი,
ვერ პატრონია რომელი“.

ერთი სიტყვით, ეს ორი სამყარო მკვეთრად განსხვავებულია და ამიტომაცაა, რომ გმირთა მოქმედებისა და განცდების უშრეტო ნაირსახეობა მდინარესავით მოედინება და მიუხედავად სრულყოფისა, არსად მოსაწყენი არ ხდება. მაგრამ რაა ის მსოფლმხედველობრივი მომენტი, რომელიც პერსონაჟთა ამ-

¹ „ხედვა“ — განსჯა, თეორიული აზროვნება.
² ჰპატრონობს — ბატონობს, ძალაუფლება აქვს.

გვარ ხატვას საფუძვლად უდევს? ყოველი რომანის მასალაში ესაა, პირველ ყოვლისა, თვალსაზრისი (სოციალური, ეთიკური, პოლიტიკური და სხვ.), რომლითაც ადამიანთა შორის სხვაობებია დანახული. ისაა სწორედ, რომ ქმნის რომანის კონცეფციას, რომელსაც პროფესიული ფილოსოფიით შემაგრება არ სჭირდება. „ვეფხისტყაოსანში“ ასეთი თვალსაზრისია, როგორც ზემოთაც ვთქვით, ადამიანის ღირებულების, მისი ფიზიკური და სულიერი სრულყოფის თვალსაზრისი, რაც პოემას პირველ სტრიქონიდან უკანასკნელამდე გასდევს და სამყაროს მწვერვალთან ვიდრე ძირამდე მოვლენათა კლასიფიკაციის აბსოლუტურად სრულსა და თანმიმდევრულ საზომს შეადგენს. ადამიანი ყველა ერთი არაა „... დიდი ძეს (დევს, მდებარეობს) კაცით კაცამდის“: — არის სრულყოფილი, ფიზიკურად და სულიერად ძლიერი და მშვენიერი ადამიანი და იგია ამქვეყნად ყოველი ღირებულების წყარო და ყოველივეს მიზანი; არის სხვაც — სრულყოფის დამავალი გრადაციის უთვალავ საფეხურებზე მდგომი რეალური (უკეთ: ემპირიული) ადამიანი, რომელიც თავისთავდაც საინტერესოა, რომელიც სისხლსრული ფერებით იხატება და ავტორისთვის გრძნობისა და თავისებური ტკბობის საგანიც არის, მაგრამ პირველთან შედარებით მხოლოდ გარემოსა და ფონის ფასი აქვს. ესაა პოემის კონცეფციაც და ამავე დროს მისი საერთო განწყობილებაც, რომელიც მის შინაგან მთლიანობას ქმნის. სიყვარული და თაყვანება ამ იდეალური გმირებისა და მათი გრძნობებისადმი, ტკბობა მათი სრულყოფით, რომელიც ავტორმა შექმნა და შესძლო სინამდვილის ფაქტად ექცია, შეადგენს პოემის პოეტურ პათოსს, რომელიც ეპიურად ამ იდეალური გმირებისა და მათი გარემოს, — სხვა ადამიანების ურთიერთობაში იშლება. რა სიზუსტითა და ფსიქოლოგიური რეალიზმით, რა სახეს გრძნობითა და დეტალების უსასრულო ნაირობითაა დახატუ-

ლი ეს ურთიერთობები, ამის არგუმენტაციას აქ ვერ შევუდგებით, ვინაიდან ამისთვის მთელი პოემის გადმოწერა დაგვჭირდებოდა. ამ მოტივთა ისტორიული ღირებულება იმაშია, რომ ადამიანის პუმანისტურ, რელიგიისგან დამოუკიდებელ განდიდებას წარმოადგენენ. მათი აბსოლუტური, დროისგან დამოუკიდებელი ღირებულება კი ისაა, რომ რუსთაველმა იდეალური ადამიანისა და სხვა ადამიანთა შორის მისი ადგილის დრამატიული და შთაგონებული სურათი დახატა და ამაში ისეთ ფსიქოლოგიურ სიზუსტეს და პოეტურ ძალას მიადწია, რომლისთვისაც არც მანამდე, არც მის შემდეგ დღემდე არავის მიუღწევია.

ესაა პოემის ერთ-ერთი ძირითადი მოტივი და, თუ მას დღევანდელი, ე. ი. ქრონოლოგიური უპირატესობის ფაქტორისგან დამოუკიდებელი საზომით მივუდგებით, ვფიქრობთ, — მისი ძირითადი ღირსებაც. მიუხედავად ამისა, პოემის არც ემოციური და არც იდეური შინაარსი ამ მოტივზე არ დაიყვანება. ეს ცოცხალი იდეალურობა ლიტერატურაში განუმეორებელი მიღწევაა, მაგრამ მარტო იგი ვერ დაუმსახურებდა ავტორს იმ აღტაცებასა და უდიდეს სიყვარულს, რაც მას წილად ხვდა. არის სხვა მომენტიც, რომელიც სრულყოფას არ უპირისპირდება, მაგრამ იმავე დროს ჩვეულებრივი ადამიანის — არა სრულყოფილი, მაგრამ სრულყოფისა და მაღალი ზნეობისაკენ მოსწრაფე ადამიანის სულიერ სამყაროსაც ეკუთვნის. ეს არის წუთისოფლის პირისპირ მიგდებული¹ ინდივიდის მეტად ცხოველი თვით-

¹ ამ ტერმინს (брошенность) ჩვენი აზრით ძალიან მართებულად ხმარობს რუსთაველის ზოგი მოტივის დახასიათებისათვის შ. ნუცუბიძე და ხაზს უსვამს, რომ ეს ტერმინი ეგზისტენციალისტების Geworfenheit-ში არ უნდა ავრთოთ.

ნოდარ ნათაძე
ობიექტური მეცნიერება და სხვისი კლასიკოსების შეფასება

განცდა, წუთისოფლის წინაშე შემართების და, თუნდ განწირულის, მაგრამ ბრძოლის განცდა, რომელიც, სხვათა შორის, თავისთავში იმ უმაღლესი მორალის მცნებებსაც მოიცავს, რასაც ავტორი გვაწვდის და რასაც პოემის რაინდული მსოფლშეგრძნება გულისხმობს. ეს განცდა მთლად ვერ უთავსდება პოემის ძირითად, უფრო ნათელ გან-

წყობილებას—სრულყოფისა და გამორჩეულობის გრძნობას, რომელიც ზემოთ ვახსენეთ. მაგრამ საუკუნეთა განმავლობაში პოემისადმი სიყვარულისა და თაყვანების მიზეზი, ვფიქრობთ, სწორედ ის იყო. ის აძლევდა ადამიანს მხნეობასა და იმედს: „ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ“, „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა“ და სხვა.

გაგრძელება იქნება



თამაზ ჭილაძე

თამარ აბაკელია

ათი წლის წინ ქართულ ხელოვნებას გამოაკლდა შესანიშნავი მხატვარი და მოქანდაკე ქალი თამარ აბაკელია. ჭეშმარიტი მხატვარი სიკვდილის შემდეგაც განაგრძობს ჩვენს გვერდით ცხოვრებას. დავიწყების უღმობელი ხელი ხელოვნების შემთხვევით თანამგზავრებს მისწვდება ხოლმე. ნამდვილ მხატვარს კი დავიწყება ახლოს ვერ ეკარება. ხშირად უთქვამთ, დრო ხელოვნების ყველაზე უფრო მკაცრი და მიუდგომელი შემფასებელიაო. ჭეშმარიტი მხატვრის შემოქმედება ჩვენთან ერთად იზრდება და ყოველდღე ახალ-ახალ სიმშვენიერეს იძენს.

თამარ აბაკელიას ცხოვრება ქართული რეალისტური ხელოვნების კიდევ ერთი გამარჯვება იყო და ამავე დროს რეალისტური ხელოვნების მრავალფეროვნების კიდევ ერთი დამაჯერებელი ფაქტი. მისი შემოქმედება ჩვენი უმშვენიერესი ბუნებისა და უძველესი მხატვრული გამოცდილების ბედნიერი შერწყმაცა, სადაც შემოქმედის მამაკაცური ენერჯია და ქალის მგრძობიარე და ნაზი ბუნება მეტად თავისებურად ვლინდება. ქვისა და ფერის, გრაფიკული ნახაზისა და ჩუქურთმის ერთნაირი ძალით დამორჩილება მხატვრის მრავალმხრივ ნიჭზე მეტყველებს და ამავე დროს ადამიანის სულის სიღრმეში დაბადებული პლასტიკური მელიოდიების, ფერადი სიმღერების სიუხვით გვხიბლავს. მხატვრის თამამი ხელი თითქოს ფარდას ხდის აქამდე შეუმჩნეველ სილამაზეს. სწორედ ბუნებისა და ადამიანის სხეულის

სილამაზე იყო თამარ აბაკელიას შემოქმედების მთავარი თემა. მისი შემოქმედება სიცოცხლის დამამკვიდრებელი და ხალისიანია და მისი ნახატის ყოველი ხაზი ბუნების ხმას ისევე გამოსცემს, როგორც ლიანდაგი მოახლოებული მატარებლის ხმაურს. თუმცა მხატვარი ნახატის ფერწერულ მხარეს ხშირად საგნის ზუსტად გადმოცემას უქვემდებარებდა, მაინც მისი კოლორიტი უაღრესად ემოციური და თვითმყოფადი იყო და ახლაც ზოგიერთი ახალგაზრდა მხატვრის ტილოზე ზოგჯერ გაიღვავებს ხოლმე მისებური ფერთა შეხამება. სხეულის ზუსტად გადმოცემა მხატვრის მთავარი ამოცანა იყო და ამიტომ მისი ნახატი ზოგჯერ სკულპტურულია.

ადამიანი და ბუნება, ბუნება და ადამიანის უკვდავება, რომელსაც ის სიყვარულსა, გმირობასა და შრომაში ხედავდა, ჯანსაღი და ნათელი იდეით ტვირთავდა მის ნაწარმოებს და მხატვარი დღითიდღე ჩვენი მახლობელი ხდებოდა. ქვეყანა, რომელსაც ის ხედავდა, მშვენიერი იყო, მშვენიერი იყო და უყვარდა. სწორედ ეს სიყვარული იყო მისი დიდი შრომის შთამაგონებელი და თამარ აბაკელიას მიერ სიყვარულით შექმნილი, ორიგინალური და ამავე დროს ჩვენთვის მეტად მახლობელი სამყარო თავისთავად, ძალდაუტანებლად შეუერთდა ჩვენს დიდ მხატვრობას.

„კრამიტის სახურავიანი ხის ოდები, მწვანე ხავერდისფერი ეზოები, რომელთა

ფონზე ზაფრანი, წითელი პილპილის აკიდოები და გამხმარი სიმინდის ტაროები ანათებდნენ“... მხატვრის ეს ჩანაწერი ნახატით მკაფიოა და ამავე დროს ამ სიტყვებიდან გამოსჭვივის უდიდესი სურვილი, რომ ეს ყველაფერი ნამდვილად ნახატად ქცეულიყო. როგორც მინდვრის ყვავილები შემოაქვს ქალს სახლში, ისე შემოჰქონდა თამარ აბაკელიას ჩვენს მხატვრობაში ბუნებინ პირველყოფილი სიტურფე და მისი გამირებიც თითქოს ჩვენი მიწის წითელი თიხისაგან არიან გამოძერწილნი. ბუნებისა და ადამიანის ურთიერთკავშირი მისი შემოქმედებითი გატაცების მთავარი აზრი იყო და ხშირად მისი ლირიკული კომპოზიციები ამ სიცოცხლის მომნიშვნელო შუქით ცხადდებოდნენ. თამარ აბაკელიას ნახატი „ბედნიერი ოჯახი“, ნაყოფით დახუნძლული რტოებისა და ადამიანთა სხეულების გამიზნული ერთიანობა, — უკვდავების სიმღერაა, „ცოცხალი, ადამიანური, ინტიმური ხაზი“, ადამიანსა და ბუნებას რომ აერთებს, მხატვრის ძლიერი ხელითა გავლებული.

თამარ აბაკელიას იტაცებდა შეღამების ბინდბუნდით ოდნავ გაუცნაურებული პეიზაჟები და ბინდის წიაღში უხილავი კოკონის შუქით განათებული ადამიანთა სახეები. მის მიერ შესრულებულ ვაჟა-ფშაველას პოემებისა და „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებზე ადამიანთა სახეებს თითქოს იქვე ახლოს დანთებული ცეცხლის მეწამული ფერი გადაჰკრავთ. საინტერესოა, რომ ამ სურათებში ცეცხლისა და მიწის ფერი ერთმანეთს ჰგავს. თამარ აბაკელიას მიერ დახატული ვაჟა-ფშაველასა და რუსთაველის გმირი ქალებიც იერით ერთმანეთს ჩამოჰგვანან, თითქოს მხატვარი შემოქმედებითი ალღოთი გრძნობდა ამ ორი გენიოსის სულიერ ნათესაობას. თამარ აბაკელიას მიერ დახატული ლელა ისევე თავგანწირული და მშვენიერია, როგორც ამ სიტყვების წარმომთქმელი ნესტან-დარეჯანი: „სჯობს საყვარელსა უჩვენე საქმენი საგმირონია“. თამარ აბაკელიას ილუსტრაციები უაღრესად რეალისტურია და ხასიათების სიზუსტითა და მაღალმხატვ-

რული შესრულებით გამოირჩევა. თამარ აბაკელია ქართული მწერლობის მეგობარი იყო და როცა რომელიმე თანამედროვე მწერლის ნაწარმოების ილუსტრაციებს აკეთებდა, მწერალს ამხანაგით მხარში ედგა და მისი გმირების ხასიათების გახსნაში შველოდა მკითხველს. თამარ აბაკელიას ილუსტრაციების უბრალო ჩამოთვლაც კი დაგვანახებებს, თუ რადიდი შრომა გაუწევია მხატვარს ამ მხრივ: „ვეფხისტყაოსანი“, „დავითანი“, ყაზბეგის მოთხრობები, ვაჟა-ფშაველას პოემები, არსენას ლექსი, „დავით სასუნცი“, ტიხონოვის ლექსები კახეთზე, კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“, სერგო კლდიაშვილის ნოველები და კიდევ სხვა მრავალი. ამ ნახატებიდან განსაკუთრებით მინდა გამოვყო სომეხი ხალხის გამორული ეპოსი „დავით სასუნცი“. თამარ აბაკელია ისე ღრმად ჩასწვდა სომეხი ხალხის სულიერ კულტურას, ისე მკაფიოდ დაგვიხატა და წარმოგვიდგინა ამ ხალხის ძლევაშოსილი რაინდები, რომ ქართულ ენაზე გამოცემული, თამარ აბაკელიას ნახატებით შემკული ეს ძეგლი ხალხთა მეგობრობის წიგნად იქცა. თამარ აბაკელიამ, ქართველ პოეტებთან ერთად, ჩვენც გაგვაგონა სომეხი ხალხის უკვდავი ძახილი:

წამოდექ, დავით, ხმალი იშოშვლე,
ხმალი მჭრელი და ელვის მკეთელი.
ვაჟაკის ხმალზე უნდა აშენდეს
ჩემი ფუქი და ჩემი კედელი.

თამარ აბაკელიას სახელი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართულ თეატრთან. ის იყო შესანიშნავი თეატრალური მხატვარი, რომელსაც მეტად აქტიური წვლილი შეჰქონდა სპექტაკლის წარმატებაში. მის მიერ დახატული დეკორაციები ეკონომიურია და საერთო განწყობილების შექმნას ეხმარებიან. „მოკვეთილი“ მარჯანიშვილის თეატრში, „ქარმენი“ ოპერაში, სერგო კლდიაშვილის „ირმის ხევი“ და სანდრო შანშიაშვილის „ხევისბერი გოჩა“ რუსთაველის თეატრში თამარ აბაკელიას მიერ ისეთი გემოვნებით იყო გაფორმებული, რომ ეს სპექტაკლები ქართული თეატრალური მხატვ-

რობის ისტორიაში უსათუოდ დარჩებიან. ასეთივე წარმატებით მუშაობდა თამარ აბაკელია კინოშიც. ის იყო მ. ჭიაურელის ფილმის „არსენას“ კოსტუმების მხატვარი. თუმცა მისი როლი ამ ფილმის შექმნაში მარტო ამით არ შემოფარგლულა. ამ ფილმის ტიპაჟი თამარ აბაკელიას თვალითაა დანახული და მხატვარმა დიდად შეუწყო ხელი ხასიათების სრულყოფილად ჩამოყალიბებას. თამარ აბაკელიას ეკუთვნის აგრეთვე კინო-ფილმების „დავით გურამიშვილისა“ და „გიორგი სააკაძის“ მხატვრობა.

თამარ აბაკელიას ყველაზე დიდი გატაცება მაინც ქანდაკება იყო. სტუდენტობის დროს ცნობილი ქართველი მოქანდაკეების იაკობ ნიკოლაძისა და ნიკოლოზ კანდელაკის მოწაფემ, შემდგომში მეტად თამამად გამოავლინა საკუთარი შემოქმედებითი მანერა და ქანდაკება დიდი პოეტურობითა და ლირიზმით დატვირთა. ხელოვნების ამ დარგში გამოჩნდა თამარ აბაკელია, როგორც მოქალაქე, რადგან მან თავისი იდეური მრწამსი უმეტესად ქანდაკებების საშუალებით გადმოგვცა. სამამულო ომის

დროს შექმნილი ჯგუფური ქანდაკება „შურს ვიძიებთ“ იყო მთელი მსოფლიოს დედების რისხვა, ეს იყო შერგენება ფაშიზმისა და რწმენა ჩვენი ხალხის გამარჯვებისა. სურამში დადგმული ლესია უკრაინკას მეტად პოეტური ძეგლი მუდამ იჟღერებს, როგორც უკრაინელი და ქართველი ხალხის მეგობრობის სიმბოლო. თამარ აბაკელიას, როგორც მოქანდაკის, უდავო გამარჯვება იყო სკულპტურული ფრიზი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის შენობაზე. ეს არის ჩვენი ხალხის დიდი მიღწევების ჩვენება და კიდევ უფრო კარგ მომავალზე ოცნება. თამარ აბაკელიას ქანდაკება, მიუხედავად მონუმენტური სტილისა, ლირიკულია და სულჩადგმულივით ფეთქავს.

სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ჩვენი ახალგაზრდობა დიდი სიყვარულით იღებს და ითვისებს თამარ აბაკელიას შემოქმედებას. ეს კი მხატვრის ნამდვილი გამარჯვებაა!

თამაზ ჭილაძე
თამარ აბაკელია



ილია ზაბალაუ

მეცნიერება

1962 წლის 22 და 24 მარტს პარიზელებს საშუალება ჰქონდათ დამტკბარიყვნენ ბასკური ცეკვებითა და სიმღერებით, რომლებიც ბასკების ანსამბლმა „ეტორკიმ“ შეასრულა მონტენის ავენიუზე, შანზელიზეეს თეატრის შენობაში.

„ეტორკის“ ანსამბლის სიმღერები და ცეკვები ფართოდაა ცნობილი არა მარტო საფრანგეთში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ანსამბლის ხელმძღვანელია ფილიპ იოჰამბურუ.

პარიზის საზოგადოებრიობაში დიდი ინტერესი გამოიწვია „ეტორკის“ გამოსვლებმა. „ჩვენ საქმე გვაქვს, — წერდა გაზეთი „ლ'უმანიტე“, — ერთ-ერთ მაღალი კლასის პროფესიულ საერთაშორისო ფოლკლორულ დასთან“.

ანსამბლმა აჩვენა ცნობილი ბასკური ცეკვები: „ფანდანგო“, „რკალი“, „ჯოხებით ცეკვა“, „ცეკვა ჰიქის გარშემო“, „ვაშლებით ცეკვა“, „ბიაკო“ და სხვ.

ბევრ ფრანგს, რომელიც „ეტორკის“ ანსამბლის გამოსვლებს უყურებდა, მოაგონდა საქართველოს ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტები საფრანგეთში. ხოლო ზოგიერთი, ხელოვნებაში უფრო ჩახედული ფრანგი, ბევრ საერთოს პოულობდა ბასკურ და ქართულ ცეკვებს შორის.

სქვათა შორის, საკითხის ამ მხარეს „ლ'უმანიტემატ“ მიაქცია ყურადღება. გაზეთი წერდა: „ეს დასი ეყრდნობა

განსაკუთრებით მდიდარსა და მრავალფეროვან ფოლკლორულ განძს. მის პროგრამაში არც ერთი მომენტი არაა დაკარგული ან გაზვიადებული. ესაა განუწყვეტელი კეთილშობილება და სიცოცხლე. იგი სავსეა სიხალისით აღმოსავლეთ ევროპის ცნობილი საერთაშორისო დასების მსგავსად“.

ვინ არიან ეს ბასკები? რა აქვთ მათ საერთო ქართველებთან? აი, ის საკითხები, რომლებიც მე ყოველთვის მაინტერესებდა.

ამიტომ, 1961 — 1962 სასწავლო წელს, საფრანგეთში სამეცნიერო მივლინებაში ყოფნის დროს გადავწყვიტე მენახა ბასკების ქვეყანა. ცხადია, მე მიზნად არ მქონდა შევედგომოდი ბასკური და ქართველური ენების ნათესაობის საკითხის შესწავლას, რაც ენათმეცნიერის საქმეა. მე მაინტერესებდა უფრო მეტად ბასკების ისტორია, მათი ადამ-წესები, ყოფა-ცხოვრება, ფოლკლორი, მუსიკა.

ამასთანვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ბასკების საკითხის შესწავლა არ იყო საფრანგეთში ჩემი მივლინების მთავარი ამოცანა¹. ამიტომ მე არც ისე

¹ საფრანგეთში ჩემი მივლინების მთავარი ამოცანა იყო: კვალდიკაციის ამღლება, ფრანგული ენის ცოდნის გაღრმავება და საფრანგეთის არქივებსა და წიგნსაცავებში მასალების შეგროვება თემაზე: „რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა პირველი მსოფლიო ომის დროს“.

დიდხანს დავრჩენილვარ ბასკების ქვეყანაში. მაგრამ ის, რაც მე წავეციოთხე ბასკების შესახებ საფრანგეთში ყოფნის დროს და ის, რაც მე ვნახე ბასკების ქვეყანაში, საინტერესოდ მომიჩვენა ქართველი მკითხველისთვისაც.

პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ, იტალიურ და ესპანურ ენებზე საკმაოდ დიდი ლიტერატურა მოიპოვება ბასკების შესახებ, ბასკური ენის ქართველურ ლერ და სხვა კავკასიურ ენებთან ურთიერთობის შესახებ. ცხადია, სანამ ბასკების ქვეყანაში გავემგზავრებოდი, მე გავეცანი ზოგიერთ ამ ნაშრომს.

1962 წლის ივნისში ჩემს ძირითად თემასთან დაკავშირებით საფრანგეთის ხელისუფლებამ ბორდოში მიმავლინა. რამდენადაც პირველი მსოფლიო ომის დროს საფრანგეთის მთავრობა პარიზიდან ბორდოში გადავიდა, ზოგიერთი საინტერესო მასალა პირველი მსოფლიო ომის შესახებ ბორდოს ქალაქისა და დეპარტამენტის არქივებშია დაცული.

ამასთანავე, მე ვიცოდი, რომ ბასკური ენისა და ლიტერატურის შესწავლის ერთ-ერთი ცენტრი ბორდოშია (ამ საკითხს სწავლობენ პარიზისა და ტულუზის უნივერსიტეტებშიც). ბორდოს უნივერსიტეტში არსებობს სპეციალური კათედრა, რომელიც სწავლობს ბასკური ენისა და ლიტერატურის საკითხებს. ამ კათედრას განაგებს ცნობილი ბასკოლოგი და კავკასიოლოგი, პროფესორი რენე ლაფონი.

სხვათა შორის, ბორდოშივე გავიგე, რომ ქართველებთან ბასკების ნათესაობის საკითხზე ერთ ქართველს — ვ. ციციშვილს — უმუშავნია და ორი ნაშრომიც დაუწერია ფრანგულ ენაზე. ერთი მათგანი („ბასკების წარმოშობის პრობლემა და მათი ნათესაობა კავკასიელებთან“) მას წაუკითხავს პარიზში, სამეცნიერო საზოგადოების კონფერენციაზე 1953 წლის ნოემბერში. ეს ნაშრომები მით უფრო საინტერესოა, რომ, როგორც მათი შინაარსიდან ჩანს, ავ-

ტორს ქართულის, ფრანგულისა და გერმანულის გარდა სცოდნია ბასკური ენაც.

ბორდოში ფრანგმა მეგობრებმა მიჩიეს გავემგზავრებულიყავი ბასკების ქვეყანაში, რათა ადგილზე გავცნობოდი ბასკების ზნე-ჩვეულებებს. მეც მქონდა ადრე მიღებული ასეთი გადაწყვეტილება. ერთ-ერთმა ფრანგმა მეგობარმა — პიერ გრალმა თავისი მანქანა შემომთავაზა.

ბორდოდან ბაიონამდე 175 კილომეტრია, ხოლო ესპანეთის საზღვრებამდე — (ანდალ) — 213 კილომეტრი. ბორდოდან ესპანეთისაკენ მიმავალ ამ გზას ბორდო-მადრიდის გზას უწოდებენ. ეს გზა გაყვანილ იქნა ჯერ კიდევ ნაპოლეონ პირველის დროს. მისი განკარგულებით ჩაუყრიათ აქ დიდი ქვები, რათა მძიმე არტილერიას გაეცლო. ამჟამად კი ეს განიერი და პირდაპირი ავტოსტრადიაა, რომელზედაც მანქანას შეუძლია განავითაროს 150—160 კილომეტრი სიჩქარე. მთელი გზის გასწვრივ ნაძვის ან ჭადრის ხეებია ჩამწყვრივებული. ზოგჯერ გზა ამ ხეებით იმდენადაა დახურული, რომ გვირახს მოგვაგონებს.

პირველი ქალაქი, რომელიც ბორდოს შემდეგ გავიარეთ, გრადინიანი იყო. იგი თითქმის ბორდოს ეკვრის. აქ ამზადებენ ბორდოს ერთ-ერთ ცნობილ ღვინოს „გრავს“.

გავიარეთ ორი პატარა ქალაქი — ბელიე და ბელინი. ისინი ერთმანეთის გვერდით მდებარეობენ. აქ მხოლოდ შუასაუკუნეების დროის ერთი ეკლესიაა. გავშორდით ლაბუეირს, კასტეტს, სენ-დე მარემნის (აქედან 15 კილომეტრზეა ქ. პო, ხოლო 25 კილომეტრზე — ბაიონი). ლაბენთან ჩვენ თითქმის ატლანტის ოკეანის ნაპირას ვიყავით. კიდევ 13 კილომეტრია ბაიონამდე. იქ დაბლობი თავდება და იწყება მაღლობები, რაც მალე პირენეების მთებში გადადის.

ილია ტაბალუა
ბასკებთან

ჩემი ფრანგი მეგობარი პიერ ვრალი დაინტერესებულია, რაც შეიძლება მეტი ვნახო ბასკების ქვეყანაში და მეტი მასალა შევავაროვო. აი, ბაიონი — ბასკების ქალაქი.

ბაიონი საკმაოდ მოზრდილი (32 600 მცხოვრები), ლამაზი ქალაქია. იგი პარიზს დაშორებულია 740 კილომეტრით და მდებარეობს მდ. ადურაზე იმ ადგილას, სადაც მას ერთვის მდ. ნივი. აქედან მდ. ადურა უფრო განიერია — გასკონისის ყურიდან (ატლანტის ოკეანე) გემები აღწევენ ბაიონამდე. ამდენად ბაიონი ნავსადგურიცაა. ბაიონი ბასკების ქალაქია. სიტყვა ბაიონი ბასკურად „კარგ წყალს“ ნიშნავს.

ბაიონში შეხვდებით ათასობით ტურისტს, რომლებიც მიმოდინან ესპანეთიდან და ატლანტის ოკეანიდან საფრანგეთში და პირიქით. ჯერ ერთი, მისი გამო, რომ ბაიონი გზაჯვარედინზე მდებარეობს, ამასთან იგი სილამაზით ჩამოგავს განთქმულ ზღვისპირა ქალაქ ბიარიცს (მათ შორის სულ 8 კილომეტრია).

ქალაქის ისტორიული ძეგლებიდან ასევე აღსანიშნავია ესპანეთის კარიბჭე (მე-17 საუკუნე), ვალურ-რომაული დროის ქალაქის კედლების ნანგრევებისაგან აგებული მშვენიერი ძველი სახლები, შუა საუკუნეების ციხე-კოშკი და სხვ.

ბაიონი ინდუსტრიული ქალაქიცაა. აქ განვითარებულია ლითონდამამუშავებელი და ქიმიური მრეწველობა, ფეხსაცმლის წარმოება, ხორცის (კერძოდ ლორის) და შოკოლადის წარმოება. ბაიონი განთქმულია ასევე ხარების ბრძოლით.

ქალაქში 20-მდე სასტუმროა, მათ შორის სასტუმრო „ბასკების სანაპირო“ რესპუბლიკის მოედანზე, „ესკვალდუნა“ („ბასკების ქვეყანა“) ვაგზლის მოედანზე და „კაპავორი“ ტიერის ქუჩაზე, სადაც შეგიძლიათ გასინჯოთ ყველა ბასკური საჭმელი. ჩვენც გადავწყვიტეთ ხელიდან არ გაგვეშვა ეს შესაძლებლობა და ვეწვიეთ რესტორან „ესკვალდუნას“.

ბაიონში ჩემთვის მეტად საინტერესო იყო ბასკების ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელიც ასახავს ბასკი ხალხის ცხოვრებას. მუზეუმი მდებარეობს მარენგოს ქუჩაზე. აშკარად მუზეუმის გამგეა ეან პარიჩელარი, დიდად განვითარებული და კავკასიურ ტომებთან ბასკების ურთიერთობის საკითხით დაინტერესებული ადამიანი.

ეს მუზეუმი ბაიონის ქალაქის მუნიციპალიტეტმა შექმნა 1922 წელს.

ბასკების ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ამავე დროს ბაიონის ტრადიციების მუზეუმიც არის. მისი მიზანია მნახველს მისცეს ნამდვილი წარმოდგენა ბასკების ქვეყნის ცხოვრებაზე.

მუზეუმის დარბაზებში ნაჩვენებია სამზარეულო, ფუნდუკი, საწოლი ოთახი, სახელოსნოები, პელოტის სათამაშო დარბაზი, საცეკვაო დარბაზი, სათევზაო ნივთების დარბაზი. სხვანაირად რომ ვთქვათ, მუზეუმი თავისი დარბაზების ექსპონატებში აჩვენებს ბასკების ქვეყნის სახეს, მის ცხოვრებას. ეს დარბაზები მნახველს უტოვებენ ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს მან იმოგზაურა ბასკების ქვეყანაში და საკუთარი თვალით ნახა ყოველივე ეს.

მუზეუმის ორ დიდ დარბაზში გამოფენილია სურათები, ნახატები, ტანისამოსი, ბასკური პროვინციებისათვის დამახასიათებელი ნივთები. დარბაზში შესვლისთანავე მარჯვნივ ჩამოკიდებული პანო წარმოდგენას გვიქმნის ქალაქ ბიარიცზე, როგორც ბალნეოლოგიურ კურორტზე.

ესპანური ბასკეთის დარბაზში გამოფენილია რკინის ნივთები, ისტორიული სუვენირები, რონკალის დაბლობის მცხოვრებთა ტრადიციული ტანისამოსი.

რამდენიმე დარბაზი აქვს დათმობილი ეთნოგრაფიული ხასიათის მასალებს: საწოლ ოთახს, ხის აკვანს, ლამაზ სამზარეულო-სასადილო ოთახს, ქურტლელის დასაწყობ კარადას, მოხუცი მშობლების დასაჯდომ გრძელ სკამს, რომელსაც ბასკურად ჰქვია „ზუზულუ“, ბუხარს, სპილენძის



ჭურჭელს (სხვათა შორის, სპილენძის ჭურჭელი მეტად დამახასიათებელია ბასკური სამზარეულო-სასადილოებისათვის, მათ დიდი რაოდენობით ნახავთ პარიზის ბასკურ რესტორნებში).

სხვა დარბაზებში წარმოდგენილი მასალები ასახევენ ნადირობას, მეთევზეობას. ყურადღებას იპყრობს ბაიონიდან სენ-ჟან-პიე-დე პორისაკენ მიმავალი გზის მანძილის მაჩვენებელი ძველი ქვები, ფირფიტები წარწერებით, ხის ქანდაკებები: ქალწულისა და ბავშვისა, რომლებიც სამლოცველოში არიან. ყველა ეს ძეგლი XIII საუკუნისაა.

სამლოცველოსთან საკურთხეველია, ვიტრინებში მოთავსებულია წმიდა ვაშები. დიდ დარბაზებს — მეთევზის ფუნდუქს ეკვრის ტრადიციული სიდრის (ვაშლის ღვინო) დასამზადებელი ოთახი, აქვეა სხვადასხვა საოჯახო ნივთები, ძველი ტრანსპორტის ნიმუშები და სხვ.

შემდგომი ორი დარბაზიდან ერთი სრულიად ახალია — ბასკების ეროვნული თამაშის — პელოტის სათამაშო დარბაზი-მუზეუმი. სხვადასხვა ვიტრინებში ნაჩვენებია ამ თამაშის ძირითადი მომენტები, პელოტის სხვადასხვა სახეების აღწერა, მისი ევოლუციის ისტორია, სურათები და ნივთები, რომლებიც ეკუთვნით პელოტის ყველაზე ცნობილ ჩემპიონებს. დიდი ვიტრინაში მოთავსებულია მოთამაშის 4 მანეკენი.

შემდგომ დარბაზში ვხედავთ ტრადიციულ ტანსამოსში მორთულ მოცეკვავეებს. აქ წარმოდგენილი არიან ლაბურდლები, ნავარელები, სულეტები. ვიტრინებშია აგრეთვე მინიატურული ბასკური პასტორალი საინტერესო თეატრალური წარმოდგენით, რაც გვაგონებს შუასაუკუნეების დადგმებს.

აგერ, ბაიონის განყოფილება. იგი იწყება ფრანგი მხატვრის ბონას ოთახით. ოთახში არის ლოგინი, ავეჯი, ხელოვნების ნაწარმოებნი (ორიგინალური ან რეპროდუქციები), რომლებიც ეკუთვნოდა დიდ ბაიონელ მხატვარს.

სინაგოგა მიუთითებს ბაიონში ებრაელების მნიშვნელოვან როლზე და აღ-

ვილზე. სხვა დარბაზში გამოფენილია ბაიონის ფულები და ლერბები.

ბაიონიდან ბიარიცისაკენ წავედით. აქ გზა გასკონიის ყურის მუდროდ დასახლებულ სანაპიროს მიჰყვება. ერთი პატარა ქალაქი მეორეში გადადის. მაგალითად, ანგლე, რომელიც განთქმულია სამკურნალო აბაზანებით, თითქმის აერთიანებს ბაიონს ბიარიცთან.

ბიარიციდან გაყვევით ოკეანის სანაპიროს. აქ სულ ბასკები ცხოვრობენ. გავიარეთ ილ ბარი, ბილარი, გეთარი, სენ-ჟან-დე-ელ-უიზი, სიბური, ურუნი და მივედით ანდაიში. ანდაი ზედ ესპანეთის საზღვარზეა. ანდაიდან სან-სებასტიანამდე 20 კილომეტრია. მდ. ბიდასოაზე გადადის ავტოსტრადა და რკინიგზა. აქ ხდება ვაგონების ღერძის დაგრძელება, ვინაიდან რკინიგზის ლიანდაგი ესპანეთში უფრო განიერია, ვიდრე საფრანგეთში.

ამინდი კარგი იყო. გადავიღე სურათები. გადავწყვიტე ბასკების ქვეყნის სიღრმეში დამეთვალეირებინა მხოლოდ ბასკებით დასახლებული სოფლები და ქალაქები.

რას წარმოადგენს საერთოდ ბასკების ქვეყანა?

ბასკებს კანტაბრიის მთების ორივე კალთებზე (საფრანგეთსა და ესპანეთში) უჭირავთ 7 პროვინცია. აქედან სამი პროვინცია: ლაბურდის (ცენტრი ქ. ბაიონი), სულის (ცენტრი ქ. მაულეონ-სული) და ქვემო ნავარის (ცენტრი ქ. სენ-პიე-დე პორი) მდებარეობს საფრანგეთის ქვემო პირენეების დეპარტამენტის ტერიტორიაზე.

ოთხი პროვინცია მდებარეობს ესპანეთში: გაბუშკოა (ცენტრი ქ. სან-სებასტიანი), ნავარი (ცენტრი ქ. პამპე-ლუნი), ბისკაი (ცენტრი ქ. ბილბაო) და ალავა (ცენტრი ქ. ტოლოზა).

შვიდი ზემოხსენებული პროვინცია ქმნის ბასკების ქვეყანას, რომელსაც

ილია ტაბალა
ბასკებთან



დევნიად აქვს: „სასრიაც ბატ“ (შვიდნი ერთნი). სხვათა შორის, ბასკი უბრალო საუბრის დროსაც კი ხაზს უსვამს ამას და ამბობს: მიუხედავად იმისა, რომ სამი პროვინცია საფრანგეთშია და ოთხი ესპანეთში, ჩვენ მაინც ერთიანი ვართო. არის ასეთი გამოთქმაც საფრანგეთში მცხოვრები ბასკებისა — „ირუსაკ ბატ“ (სამნი ერთნი), ხოლო ესპანეთში მცხოვრები ბასკებისა — „ლაურაკ ბატ“ (ოთხნი ერთნი). ამისდაკვალად ისინი ამბობენ, შვიდი პროვინცია განუყრელიაო.

ბასკური პროვინციების ერთიანობის შეგნება გამოსკვივის ბასკურ სიმღერებსა და ლექსებში. აი ერთი ასეთი ბასკური ლექსიც:

ჩვენს მთებში ერთი მძლე მუხა დგას,
 ტოტეზაყრილი,
 სამი ტოტი აქვს საფრანგეთის ცაში ვაშლილი,
 ოთხი მძლე ტოტი უკავია მისი ესპანეთის
 და ერთი ძირი აკავშირებს შვილდავ
 ერთმანეთს.

საფრანგეთს ტერიტორიაზე მცხოვრები ბასკების მოსახლეობა შეადგენს დაახლოებით 200 ათასს. ესპანეთის ტერიტორიაზე ბასკებს უჭირავთ უფრო დიდი ტერიტორია (7,1 ათასი კვ. კმ.), სადაც მოსახლეობა შეადგენს ერთი მილიონ ასი ათასს. აქედან ძირითადი მოსახლეობა ბასკებია. როგორც საფრანგეთის, ისე ესპანეთის ბასკების ქვეყანას ეკვრის ბისკაის ანუ ვასკონიის ყურე.

დაახლოებით 250 ათასი ბასკი ცხოვრობს ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში. მათი ემიგრაცია მოხდა ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში მექსიკაში, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში — ურუგვაიში და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებში.

ბასკები პირენეს ნახევარკუნძულის ძველისძველი ძირითადი მოსახლეობაა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-2 საუკუნეიდან ჩვ. წელთაღრიცხვით მე-5 საუკუნემდე ბასკები რომაელების ბატონობის ქვეშ ცხოვრობდნენ. მე-5, 7 საუკუნეებში აქ მოვიდნენ ვესტგუთები.

მაგრამ ესპანეთში არაბების ბატონობის პერიოდში (მე-8 საუკუნე) ბასკებო ინარჩუნებდნენ დამოუკიდებლობას. მე-14 საუკუნეში ბასკების ქვეყანა შევიდა კასტილიის სამეფოს შემადგენლობაში, მაგრამ მაინც ინარჩუნებდა ერთდავარ ავტონომიას, ხოლო მოსახლეობა — ნაწილობრივ თავისუფლებას, მაგრამ ესპანეთის მეფემ ალფონს XII (1857 — 1885), როგორც კი ძალაუფლება ხელში აიღო (1874), ბასკების ქვეყანას და ბასკებს თითქმის ყველა უფლება წაართვა.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ სულ უფრო იზრდებოდა რევოლუციური მოძრაობა ბასკებს შორის. ესპანეთში სახალხო ფრონტის გამარჯვების შემდეგ ესპანეთის კორტესმა (პარლამენტი) 1936 წლის ოქტომბერში მიიღო გადაწყვეტილება ბასკების ავტონომიის შესახებ და დაამტკიცა ბასკების ავტონომიის სტატუტი. ესპანეთში ფაშისტური ამბოხების პერიოდში, ფრანკოს წინააღმდეგ ბრძოლის დროს, ბასკები იბრძოდნენ ესპანეთის დემოკრატიულ ძალებთან ერთად კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

როგორც კი დიკავეს ფაშისტებმა ბასკების მიწა-წყალი, მაშინვე გააუქმეს ბასკების ავტონომია. ბასკების რესპუბლიკის მთავრობა დღემდე ემიგრაციაშია პარიზში. ბასკებს ამჟამადაც აქვთ საკუთარი დროშა: თეთრი-წითელი-ლურჯი. იგი საერთოა შვიდივე პროვინციისათვის.

ესპანეთში მცხოვრები ბასკები თავიანთ მშობლიურ — ბასკურ ენასთან ერთად სარგებლობენ ესპანური ენითაც. ასევე, საფრანგეთში მცხოვრები ბასკები ლაპარაკობენ ფრანგულ ენაზეც. მაგრამ ბასკების ქვეყანაში ყოფნის დროს, სოფლებში მე ვნახე ბევრი ბასკი (უფრო მეტად ქალიშვილები და ბავშვები), რომლებიც ვერ ლაპარაკობენ ფრანგულად და დახმარებისათვის ფრანგულის მცოდნე ბასკს მიმართავენ.

ბასკურ ენას აქვს რვა დიალექტი, მაგრამ ძირითადად აღიარებულია ორი: დასავლური ანუ ბისკაის, რომლის

ცენტრია ბილბაო (ესპანეთი) და ცენტრალურ-აღმოსავლური, რომელიც მოიცავს ლაბურდის, ქვემო ნავარისა და სულეტის დიალექტებს (საფრანგეთი). თანამედროვე ბასკურ ლიტერატურულ ენას საფუძვლად უდევს დასავლური დიალექტი, კერძოდ, ბილბაოს კილო. ბასკები სარგებლობენ ლათინური ალფაბეტით.

ბასკების მოსახლეობის დიდ ნაწილს გლეხობა შეადგენს. ისინი მისდევენ სოფლის მეურნეობას, მოჰყავთ ხორბლეული და სიმინდი. განვითარებულია მესაქონლეობა, მევენახეობა და მებღაღებობა. ღვინო ყოველ ოჯახშია. სადილის დროს ღვინოს აუცილებლად მიირთმევენ, შენც გიმასპინძლდებიან, მაგრამ ბასკი ზომიერად სვამს ღვინოს.

ბასკური საჭმელები ძალიან ჰგავს ქართულ საჭმელებს. ამის გავება პარიზშიც შეიძლება, სადაც 15-მდე ბასკური რესტორანი და კაფეა.

ბასკურ სოფლებში ქათამს ისე წვავენ, როგორც დასავლეთ საქართველოში. სახლებში აქვთ ვანიერი ბუხარი, ან პატარა სახლის შუა ადგილას — კერია. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში ქვაბი ჩამოკიდებულია რკინის ჯაჭვით, რომელსაც ბასკურად ჰქვია „ლაცა“ (შედარეთ: მეგრული — „ლარკა“, სვანური — „ნაცა“).

ბასკური სახლების არქიტექტურა სულ სხვა სახისაა, ვიდრე ფრანგული ან ესპანური სახლებისა. ჩვეულებრივ, ბასკის სახლი აგებულია ქვისაგან ან აგურისაგან და დახურულია კრამიტით.

ცნობილია, რომ აკად. ნ. მარი 1927 წელს სამეცნიერო მივლინებით იყო ბასკების ქვეყანაში. იგი მუშაობდა ქ. მულენ-სულის მახლობლად სოფ. ტარდეცში (საფრანგეთის ტერიტორიაზე). ნ. მარს ბასკების ამ კუთხის ნახვამ გურია მოაგონა და სპეციალურ ნაშრომს, რომელიც მან ბასკების მხარეში მოგზაურობასა და მუშაობას მიუძღვნა, უწოდა „პირენეების გურიიდან“.

ბასკების წარმოშობის საკითხი დიდი ხანია წარმოადგენს შესწავლის სა-

განს სხვადასხვა ქვეყნის ისტორიკოსებისა და ენათმეცნიერებისათვის.

მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ XI საუკუნეში საქართველოს მოწინავე ადამიანებმა იცოდნენ, რომ იქ, შორეულ ესპანეთში ცხოვრობდნენ „ქართველების მონათესავე“ ხალხები. თხზულებაში „ცხოვრება ივანესი და ეფთიმესი“ ვკითხულობთ: „შემდგომად თორნიკის მიცვალებისა განიზრახა ნეტარმან ჩვენმა იოვანე, რაათა აღიღოს ძე თვისი და რავდენიმე მოწაფენი და ივლტოდის სპანიადა, — რამეთუ პირველთაგანვე უმნდა შულლიანობა და შფოთი, გარნა თავს — ედვა მუნ ქამამდე თორნიკის აშენებისათვის და რაათა შეიძინოს სული მისი, — რამეთუ ასმიოდა, ვითარმედ ქართველნი არა-მცირენდი ნათესაგნი და ერნი მკვდრ არიან მუნ. 2. და ამის პირისათვის წარვიდა ვიდრე ავიდოსამდე, რაათა მიერ პოვოს ნავი, კერძოთა სპანიისათა მიმავალი, და წარვიდეს მუნ“¹.

საკითხი იმის შესახებ, თუ საიდან მოვიდნენ ბასკები პირენეს ნახევარკუნძულზე, რომელ ენათა ჯგუფს ეკუთვნის ბასკური ენა — დღემდე საბოლოოდ დადგენილი არ არის. პირველი საკითხის, ე. ი. ბასკების წარმოშობის საკითხის დადებითად გადაჭრა, ცხადია, ხელს შეუწყობდა მეორე საკითხის გადაჭრას.

საერთოდ, ძნელია ბასკების წარმოშობის შესახებ საბოლოო აზრის გამოთქმა, ვინაიდან საკითხი სათანადოდ შესწავლილი არ არის. სამართლიანად მიუთითებს ბასკი ისტორიკოსი ა. თიპენარი, რომ „ძნელია დაიწეროს ამ ერის საშინაო და საგარეო ისტორია, ვინაიდან არ არსებობს არც ერთი

¹ ცხოვრება ივანესი და ეფთიმესი. გამოსაცემად დაამზადა აკად. ივ. ჯავახიშვილმა. გ. მთაწმინდელის ენის შესახებ გამოკვლევა დაუთო და გამოაქვეყნა აკად. ა. შანიძემ. თბილისი, 1946 წ. გვ. 23—24.

ილია ტაბაღლა
ბასკებთან

ძველი დოკუმენტი მათ შესახებ“ (იხ. როდნი გალოპი. წიგნი ბასკების შესახებ, ლონდონი, 1930, გვ. 9. ინგლ. ენაზე).

მაგრამ არსებობს მრავალი ჰიპოთეზა ბასკებისა და ბასკური ენის წარმოშობის შესახებ. ზოგი ისტორიკოსი თუ ენათმეცნიერი ბასკური ენის საფუძველს ეძებს იბერიულ-კავკასიურ ენებში (იხ. ე. დუმევილ. კავკასიური და ბასკური ენები. ჰაიდელბერგი, 1936. ფრანგ. ენაზე), ზოგი ამ აზრის წინააღმდეგია.

ჩვენი აზრით, სწორ გზაზე დგანან ის მეცნიერები, რომლებიც ბასკურ ენას იბერიულ-კავკასიურ ენებს უკავშირებენ. ცხადია, ამ მხრივ დიდი მუშაობის ჩატარება იქნება საჭირო.

ამიტომ სამართლიანად მიგვაჩნია აკად. არნ. ჩიქობავას აზრი იმის შესახებ, რომ ამ მიმართულებით საჭიროა სერიოზული, ღრმა მეცნიერული მუშაობის გავრძელება.

ჯერ კიდევ ძველად ყურადღებას იქცევდა ის ფაქტი, რომ ხალხი, წოდებული „იბერებად“, პირენეს ნახევარკუნძულზედაც ცხოვრობდა (დასავლეთის იბერები) და კავკასიაშიც: კავკასიის იბერები (აღმოსავლეთის იბერები. აქ იბერები ქართველებს ეწოდება). ამის ახსნას ძველადვე ცდილობდნენ. მაგალითად, ბასკების წარმოშობის შესახებ მრავალნაირი აზრია გამოთქმული ძველი პერიოდისა და თანამედროვე ისტორიკოსთა ნაშრომებში. მოვიყვანოთ ზოგიერთ მათგანს.

მარკუს ვარონი (116 — 27), პომპეუსის ელჩი ესპანეთში, 68 წელს ამტკიცებდა, რომ ჩვ. წელთაღრიცხვამდე 15 საუკუნით ადრე იბერიელები ჩავიდნენ ესპანეთში ჩრდილოეთ ესპანეთის გავლით. ჩავიდნენ რა ისინი ესპანეთის ნახევარკუნძულზე იმ გასასვლელით, რომელიც არსებობს ხმელთაშუა ზღვისა და პირენეებს შორის, ისინი თავდაპირველად თითქოს ცხოვრობდნენ კატალონიაში, არაგონში, შემდეგ იმ პროვინციებში, რომლებიც დღეს უკვათა.ალ-

ბათ აქ მისცეს იბერიის სახელწოდება ებროს.

ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი (დაახლოებით 58 წ. ჩვ. წელთაღრიცხვამდე, დაახლოებით 25 წელი ჩვ. წელთაღრიცხვამდე) წერდა: „...დასავლეთის იბერთა ნაწილი გადასახლდა პონტოსა და კოლხიდის ზემოთ მდებარე ადგილებში“... (იხ. თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონი, გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი, 1957, გვ. 81).

ბერძენი ისტორიკოსი აპიანე, ავტორი „რომაელთა ისტორიისა“ (ცხოვრობდა II საუკუნეში ჩვ. წელთაღრიცხვამდე) წერდა: „იბერებს, რომლებიც აზიაში არიან, ზოგი მიიჩნევს ევროპელი იბერების წინაპრებად, ზოგი (ამათ) მოახალშენებად, სხვები კი მხოლოდ თანამოსახლებებად...“ (იხ. აპიანე. მითრიდატეს ომების ისტორია. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და საძიებელი დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა. თბილისი, 1959, გვ. 195).

დიონისიოსი თავის „დედამიწის აღწერილობაში“ მიუთითებდა: „კასპიისა და ევქსინის (ე. ი. შავ) ზღვას შორის გადაქიმულ ველზე ცხოვრობს აღმოსავლეთის ხალხი იბერებისა, რომლებიც მოვიდნენ ოდესდაც პირენეიდან აღმოსავლეთში...“ (იხ. გ. მელიქიშვილი, ძველი ქართული, სომხური და ბერძნული საისტორიო ტრადიცია და ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნის საკითხი. „მოამბე“, № 2, 1962, გვ. 234).

სოკრატე (380—440) წერდა: „ეს იბერები ცხოვრობენ ევქსინის პონტოსთან, ხოლო იმ იბერთაგან არიან გამოსულები, რომლებიც ისპანიაში არიან“ (იხ. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები

ჯაურთეს ალ. გამყრელიძემ და სიმონ ყაუხჩიშვილმა. ტ. I, 1962, გვ. 230).¹

ზოგიერთი მეცნიერის (ი. კარსტი) აზრით არსებობენ ორი სახის იბერიელები: ბასკური იბერიელები, რომლებიც პირენეში ცხოვრობენ და ქართველური (აზიური, პონტოური) იბერიელები, რომლებიც კავკასიაში ცხოვრობენ.

ფრანსუა დიუურკოს აზრით დასავლეთი და ცენტრალური ევროპის პირველ მოსახლეობას წარმოადგენდნენ კავკასიიდან მოსული იაფეტური იბერიელები, რომელთა ნაშთს წარმოადგენს დღეს ბასკების 7 პროვინცია, როგორც ესპანეთში, ისე საფრანგეთში (იხ. ფ. დიუურკო. ნაწყვეტი პოში გაკეთებული მოხსენებიდან 1935 წ. 25 აგვისტოს. ფრანგ. ენაზე).

დღე მორგანი ამტკიცებს, რომ „კავკასიური რასები დაიბადნენ იმ მიწაზე, სადაც ჩვენ მათ ვპოულობთ ქალღური ცივილიზაციის განთიადზე (დღეს სუმერული) და რომ ქართველები არიან ამ ცივილიზაციის ჰემარტი შექმნელები“ (იხ. დღე მორგანი. მისიის ანგარიში, 1889. „ლა კრუა“, 1939 წ. 26 — 27 სექტ. ფრანგ. ენაზე).

1950 წლის 28 იანვარს „ექსტრალდუნენ ბილცარამ“ ბორდოს უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე გამართა

¹ ფრანგი მეცნიერი ალექსანდრე ბოდრიმონი თავის წიგნში („ბასკების ისტორია“. პარიზი, 1867. ფრანგ. ენაზე) ეხება რა ქართველი იბერიელების წარმოშობის საკითხს, აღნიშნავს, რომ ძველად ესპანეთს უწოდებდნენ იბერიას და ვინაიდან ბასკებს უყურებდნენ, როგორც ამ მხარის პირველ მცხოვრებლებს, გადაწყვიტეს მათთვის იბერიელები დაერქვათ. მეორე მხრივ, აგრძელებს ბოდრიმონი, თანამედროვე საქართველოს, რომელიც მდებარეობს კავკასიის ქედის სამხრეთ კალთებზე, ძველად უწოდებდნენ აგრეთვე იბერიას.

ა. ბოდრიმონი დასკვნის: შეადარებს რა ერთმანეთს ეს ორი ერთნაირი სახელწოდება, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ იბერიელები თითქოს წამოვიდნენ კავკასიიდან, დასახლდნენ ესპანეთში და თავიანთ ქვეყანას მისცეს იმ მხარის სახელწოდება, საიდანაც თვითონ წამოვიდნენ.

კონფერენცია პოლკოვნიკ ელიჩონდოს თავმჯდომარეობით. ამ კონფერენციაზე მოხსენებით თემაზე „ბასკური ლეგენდები“ გამოვიდა ქალი გილ რაიხერი. მან, სხვათა შორის, განაცხადა, რომ „ბრინჯაოს ეპოქაში, ლითონის დამუშავების მცოდნე კავკასიელები თითქოს ჩამოვიდნენ და შეუერთდნენ ბასკების პირველ წინაპრებს ნეოლითიელებს და ალბათ ამის შედეგად წარმოიშვა ის ერი, რომელსაც დღეს ჩვენ ვხედავთ“.

XIX საუკუნემდე საერთოდ ლაპარაკობდნენ ბასკების წარმოშობისა და მათი ენის შესახებ, მაგრამ ამ საკითხების შესწავლისათვის მეცნიერებს საფუძვლიანად ხელი არ მოუყიდათ. გერმანელმა მეცნიერმა ჰუმბოლდტმა პირველად დააყენა ბასკების პრობლემის შესწავლის საკითხი მეცნიერულ საფუძველზე და სერიოზული გამოკვლევაც მიუძღვნა მას (იხ. ვ. ფონ ჰუმბოლდტი. გამოკვლევები ესპანეთის უძველესი მოსახლეობის, ბასკების ენასთან დაკავშირებით. ბერლინი, 1821 წ. გერმ. ენაზე).

ჰუმბოლდტმა რამდენიმე სერიოზული დებულება წამოაყენა ბასკების სადაურობისა და მათი ენის შესახებ. ბასკების წარმოშობის ადგილს, სხვათა შორის, იგი კავკასიაშიც ეძებდა.

ბასკების პრობლემაზე ჰუმბოლდტის გარდა სხვა გერმანელი მეცნიერებიც მუშაობდნენ: ჰიუბნერი, ლინშმანი, ფილიპსი და შუხარდტი.

ფრანგი მეცნიერები ბლადე და ფილიპონი ამტკიცებდნენ, რომ ბასკები იბერიელების მემკვიდრეები არიან პირენეების მთებში. ვთქვათ, ეს ასეა, მაგრამ ვინ არიან ეს იბერიელები?! — კითხულობდნენ სხვები. საიდან მოვიდნენ იბერიელები ევროპის ტერიტორიაზე — აფრიკიდან თუ კავკასიიდან?

არის მეორე საკითხიც: იბერიულ-კავკასიური ტომების ურთიერთობის საკითხი ძველი აღმოსავლეთის ხალხების ცივილიზაციასთან. დიდი ხანი,

ილია ტაბალუა
ბასკებთან

რაც ამ საკითხსაც გულმოდგინედ იკვლევენ მსოფლიოს სპეციალისტები.

ლაპარაკია ურთიერთობაზე, ერთი მხრივ, იბერიულ-კავკასიურ ენებსა, ხოლო მეორე მხრივ, ძველი აღმოსავლეთის ხალხების ენებისა. იმ ენებთან, რომლებიც არ შედიან არც სემიტურ და არც ინდოევროპულ ენების ჯგუფში.

ინდოევროპული ენების გავრცელებამდე არსებული ხალხების ენას სხვადასხვა სახელწოდებებს აძლევენ: „აზიური“ (პ. კრეჩმერი, მ. კონტინო), „ალაროდული“ ანუ „კასპიური ენები“ (პომელი, პ. პიუზინგი, ე. ჰერცფელდი), „კაზიური“ (ა. ვორსი; იგი გამოდის სახელწოდება „კავკას“-იდან), „იაფეტური“ ანუ „მესამე ეთნიკური ელემენტი“ (ნ. მარი), „ხეთურ-იბერიული“ (ს. ჯანაშია, ა. ჩიქობავა), „ესკო-კოკაზიკ“-ი (რ. ლაფონი).

ერთ დროს ყველაზე მეტი გავრცელება მიიღო სახელწოდებამ „იაფეტური“, მაგრამ მასაც ბევრი მოწინააღმდეგე აღმოაჩნდა. მაგალითად, ჟორჟ მონტანდონი წინააღმდეგი იყო ამ უძველესი ენებისათვის ეწოდებინათ „იაფეტური“ (იხ. „ლ'ეტიუდ ფრანსეზ“, № 5, გვ. 5). მისი აზრით სახელწოდება იაფეტური უფრო მოუხდებოდა ინდოევროპულ ენებს.

ცნობილია, რომ წინა აზიასა და ხმელთაშუა ზღვის აუზში ძველად ცხოვრობდნენ ხალხები, რომელთა ენა არ იყო ინდოევროპული, არც სემიტური. ეს ენები არ იყვნენ ერთმანეთს შორის ისეთ მჭიდრო ურთიერთობაში, როგორც ინდოევროპული ენები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი წარმოადგენდნენ ენების უძველეს წყებას, რომლებიც ბევრგან შეცვალა ინდოევროპულმა ენებმა.

ბასკური ანუ ესკარული ენა წარმოადგენს ამ უძველესი დროის ენების ერთ-ერთ გადმონაშთს. ბასკური ენის ნათესაობა ამ უძველეს ენებთან (იაფეტური) ზოგიერთ მეცნიერს საეჭვოდ არ მიაჩნია. აკად. ნ. მარი პირდაპირ ამ-

ბობდა: „ვამტკიცებ, რომ ბასკური ენა იაფეტური ენაა“.

1923 წელს ჰამბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ურტელმა ბასკურ ენაზე ჩაწერილი საუბარი მოასმენინა უცხო ენების შემსწავლელ ჯგუფს ისე, რომ მსმენელებმა არ იცოდნენ, თუ რა ენაზე იყო ეს საუბარი. და, როცა ამ საუბრის მოსმენის შემდეგ პროფესორი ურტელი შეეკითხა მათ გამოეთქვათ აზრი, თუ რა ენაზე იყო საუბარი, მათ დაასახელეს გალური, ქართული და მალაიური ენები.

სპეციალისტების აზრით, ბასკური ენა მეტად ძნელი ენაა. ბასკური ენის მორფოლოგია და სინტაქსი სრულიად განსხვავდება ინდოევროპული ენებისაგან.

ბასკური ენა მიაჩნიათ იმ 14 ენათა შორის ერთ-ერთ ენად, რომელიც ლათინურმა ენამ ვერ მოშალა. გამოდის რა „შემთხვევითი“ „მსგავსების“ მიხედვით ენების ნათესაობის თეორიის წინააღმდეგ, აკად. არნ. ჩიქობავა, აღნიშნავს: „მსგავსების მიხედვით არ შეიძლება აიხსნას საერთო ფუძეების არსებობა ლათინურ, რუსულ და ძველ ინდურ ენებში. მეორე მხრივ, ბასკურის „მსგავსებამ“ ძველ ლათინურ და ახალ ლათინურ ენებთან არა ნაკლებ ორი ათასი წლის განმავლობაში ვერ დაუნათესავა ბასკური ენა ესპანურ და ფრანგულ ენებს (იხ. არნ. ჩიქობავა. საბჭოთა ენათმეცნიერების ზოგიერთი საკითხის შესახებ. „პრავდა“, 1950 წ. 9 მაისი).

თუ შეიძლება ვილაპარაკოთ ბასკური ენის ნათესაობაზე ქართველური ტომების ენებთან, მაშინ ის უნდა იყოს კავშირში ჰანურ — მეგრულ — სვანურთან, რომელთა ძირს, ცხადია, ქართული ენა წარმოადგენს.

თვით სახელწოდებაც „ბასკი“ იბერიულ-კავკასიური სახელწოდებებისაკენ მიუთითებს. ცნობილია, რომ ძველად ბერძნები აფხაზებს ა-ბასკებს ანუ კავკასიურ ბასკებს უწოდებდნენ. „ა“ სუფიქსი დამახასიათებელია არა მარტო აფხაზური ენისათვის, არამედ ბასკური ენისთვისაც. ბასკურ ენაში სიტყვის წინ ხშირად გვხვდება „ა“ ან „ე“, განსა-

კუთრებით მაშინ, როცა სიტყვა იწყება „რ“-ზე. ერთ ბასკს სახელი ვკითხე. მიპასუხა: ფრანგულად რობერ, ხოლო ბასკურად — ერობერო.

ნ. მარი და გერმანელი მეცნიერი პუგო შუხარდტი დამოუკიდებლად მივიდნენ ერთსა და იმავე დასკვნამდე ძალღის ბასკური სახელწოდების შესახებ. ბასკურად „უ-დაგარ-ა“ (ზღვის ძალღი, წყლის ძალღი. „უ“, „პურ“ — ბასკურად წყალს ნიშნავს) და ქართული ძალღი-ი.

ქართველურ ენებში, მაგალითად: ქართულსა და მეგრულს შორის (ამ სინა და შიშინა ენებს შორის) გადასვლა დამთავრებულია. ხოლო ბასკურ ენაში ეს გადასვლა დამთავრებული არაა. მაგალითად, ძალღის სახელწოდება ქართულსა და მეგრულში კანონიერ ფონეტიკურ მოვლენას წარმოადგენს: „ძალღი“-ი (ქართულად), „ჯოლორ“-ი (მეგრულად). ეს გადასვლა კანონზომიერი რომ არ ყოფილიყო, მაშინ ქართული „ძალღი“-იდან უნდა მიგველო მეგრულში „ჯალარ“. ბასკურ ენაში ხდება ბგერების ბუნებრივი გადაადგილება და ნაცვლად „ჯალარ“-ისა, ეღებულობთ „დაგარ“-ს.

აი ზოგიერთი სხვა მაგალითიც. ბასკურად „ბურუ“ ნიშნავს თავს. ქართულად ბურვა — თავის დაბურვა, დაფარვა. ბურული — სახურავი, საბურავი-სახურავი. გურიაში, მაგალითად, ახლაც ხმარობენ სიტყვას „წაბურვა“, რაც ნიშნავს აღამიანის დასაფლავებისას პატრონისადმი ფულის შეწირვას. კატალონიაში თანამედროვე მდ. ებროს აღრე ერქვა იბერ-ი; იბერ-ი ერქვა მეორე მდინარესაც — რიო-ტინტოს. გარდა ამისა, კატალონიაში არის „იბარ“-ს და ნავარაში — „იბერო“. პროფესორი რენე ლაფონი ადარებს: ბასკური იბარი-მდინარის ველი; ქართული ბარი-ველი.

პროფესორმა რენე ლაფონმა მონახა 35 მორფოლოგიური ხასიათის დაახლოება ბასკური ენისა იბერიულ-კავკასიურ ენებთან. რენე ლაფონმა და კ. ულნე-ბეკმა მონახეს 50 ლექსიკური შედარე-

ბა და კ. ბოლდამ და სხვებმა — 350
ლექსიკური ფარდობა.

მეცნიერთა ერთი ჯგუფი ეპკის თვალთ უყურებს ბასკური ენის კავშირის საკითხს იბერიულ-კავკასიურ ენებთან. პროფ. ი. მ. დიაკონოვი საერთოდ წინააღმდეგია რაიმე საერთო სახელწოდება მიეცეს ამ ფშველესი ენების ჯგუფს ან ოჯახს. თუმცა პროტოხეთურის კავშირს იბერიულ-კავკასიურთან არ უარყოფს. ხოლო ის საერთოდ, რასაც კპოულობენ ბასკურ და იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის, მას მიიჩნია „გარეგან და შემთხვევით დამთხვევად“ (იხ. ი. მ. დიაკონოვი. ძველი წინა აზიის ენების შესახებ. „ვობროსი იაზიკოზნანია“, 1954, № 5, გვ. 64).

ბასკური ენის იბერიულ-კავკასიურ ენებთან ნათესაობის წინააღმდეგ გამოდის პროფ. ი. ვ. ზიცარი (იხ. ი. ვ. ზიცარი, ბასკური ენის კავკასიურ ენებთან ნათესაობის შესახებ. „ვობროსი იაზიკოზნანია“, 1955, № 5). იგი არ უარყოფს იმას, რომ კავკასიის იბერებსა და პირენეს ნახევარკუნძულის იბერებს შორის ნათესაობის შესახებ აზრი ახალი არ არის, მაგრამ ეს აზრი, საერთოდ, მცდარად მიიჩნია. ი. ზიცარის მიხედვით თანამედროვე ბასკები პირენეების ბასკონებისაგან არიან წარმოშობილი. მაგრამ ისმება კითხვა: ის ბასკონები ან ბასკები საიდან არიან წარმოშობილი?

ნ. მარის, პ. შუხარდტის, ა. ტრომბეტის, ი. კარტისა და სხვ. მიერ გაკეთებული შედარებები ბასკურ და იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის პროფ. ი. ზიცარს უბრალო დამთხვევად მიიჩნია. მისი აზრით, ტერმინების „იბერი“ კავკასიურისა და „იბერი“ პირენეების მსგავსებაც შემთხვევითია. და, თუ არსებობდა ოდესმე რაიმე საერთო ბასკურ-კავკასიურს შორის, ეს ისე დიდი ხნის წინათ იყო, და მას აქეთ იმდენმა დრომ განვლო, რომ ამჟამად აშკარა მსგავსების ძიება ზედმეტიაო. თუმცა ი. ზიცარი, საერთოდ, შესაძლებლად

ილია ტაბაღუა
ბასკებთან



სთვლის ბასკური ენის ნათესაობას კავკასიურ ენებთან, მაგრამ მიაჩნია, რომ ამჟამად არ შეიძლება ეს ნათესაობა ჩაითვალოს დამტკიცებულად. მიუხედავად ამისა, ი. ზიცარი ლინგვისტიკისათვის პირველხარისხოვან საკითხად არ მიიჩნევს ბასკური და იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობის საკითხის შესწავლას.

დაახლოებით ასეთსავე აზრს გამოსთქვამს ბულგარელი ენათმეცნიერი ვ. გეორგიევი, რომელიც, ენება რა ბასკურ და იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის არსებულ საერთო ძირებს, მათ სთვლის შემთხვევით მორფოლოგიურ დამთხვევად (იხ. ვ. გეორგიევი. ხმელთაშუა ზღვის ენების ნათესაობის საკითხები. „ვოპროსი იაზიკოზნანია“, 1954, № 4). შეუძლებლად სთვლის ბასკურ და იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის ნათესაობის არსებობას ენათმეცნიერი ე. ა. ბოკარევიც (იხ. ე. ბოკარევი. კავკასიური ენების შედარებით-ისტორიული შესწავლის ამოცანები. 1954, „ვოპროსი იაზიკოზნანია“, 1954, № 3). მაგრამ პროფ. ვ. გეორგიევის აზრი მაინც განსხვავდება ე. ბოკარევის აზრისაგან. პროფ. ვ. გეორგიევი პროტონეტურის, ხტრიტულისა და ურარტულის წარმოშობის ნათესაობას შესაძლებლად სთვლის.

აკად. არნ. ჩიქობავა არ იზიარებს იმათ აზრს, ვისაც ეჭვი შეაქვს კავკასიური და წინააზიის ძველი ენების ერთ ენათა ოჯახში გაერთიანების შესაძლებლობაში. იგი აქტიურ საკითხად სთვლის საკითხის შესწავლას მათი გენეტიური ერთიანობის შესახებ (იხ. არნ. ჩიქობავა. იბერიულ-კავკასიური ენების შესწავლის ორი ძირითადი საკითხის შესახებ. „ვოპროსი იაზიკოზნანია“, 1955, № 6).

პროფ. ქ. ლომთათიძე იცავს ხეტური-იბერიული ენების ერთიანობას (იხ. ქ. ლომთათიძე. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ზოგიერთი საკითხი. „ვოპროსი იაზიკოზნანია“, 1954, № 5).

დასავლეთევროპელი სპეციალისტები, როცა ბასკების წარმოშობის სა-

კითხს ეხებიან, ასევე ყურადღებას აქცევენ ანთროპოლოგიურ, ლინგვისტურ, ეთნოგრაფიულ პრობლემებს.

ამჟამად, ჰიპოთეზა ბასკების ფინიკიელებისაგან (ლამბერტი), ფინიკიელებისა და კართაგენელებისაგან (გარა), იაბონელებისა და ეგვიპტელებისაგან (ალბერტ შერმანი) წარმოშობის შესახებ უარყოფილია. ყველაზე უფრო მიღებულია ის აზრი, რომელიც პირველად გამოსთქვა დარბუა დე ჟუბენვილმა (იხ. დარბუა დე ჟუბენვილ. ევროპის პირველი მოსახლენი. პარიზი, 1877. ფრან. ენაზე), იმის შესახებ, რომ ბასკები ეკუთვნიან ინდოევროპული რასისათვის უცხო ერებს, არიან რა ამავე დროს ევროპის პირველი მაცხოვრებლები.

გ. დე ყირონკურმა 1934 წელს ქ. ნანსიში მოაწყო ქართული საღამო მუსიკალური გეოგრაფიის ციკლიდან. ამ ქართული საღამოს ორგანიზატორის მიზანი იყო ქართული და ბასკური მუსიკალური დაპირისპირება. მაგრამ ეს კარგი წამოწყება სამწუხაროდ მხოლოდ ამ ღონისძიებით დამთავრდა.

1950 წელს ილია ჯაბადარის დასაშეიყვანეს ორი მოცეკვავე ბასკი, მაგრამ ვერც ამ წამოწყებამ ჰპოვა შემდგომში განვითარება.

ბასკების ქვეყანაში ყოფნის დროს მე განსაკუთრებული ყურადღება მივაქციე ბასკურ მუსიკას, სიმღერებსა და ცეკვას. აქ ისეთი წარმოდგენა გექმნება კაცს, თითქოს ყოველი ბასკი მღერის და ცეკვავს. მართლაც, ასეთი გამოთქმაც აქვთ ბასკებს: ბასკი სიმღერით იზადებაო.

ბასკებს მდიდარი და თავისებური ფოლკლორი აქვთ. ამ პატარა ერს, რომელსაც თავი დედამიწაზე უძველეს ერად მიაჩნია, შეუქმნია ხალხური ხელოვნება, ერთსა და იმავე დროს დახვეწილიც და პრიმიტიულიც, ნაზიც და უცნაურიც, სადაც ერთმანეთშია შერეული კერპთაყვანისმცემლური და ქრისტიანული ცეკვები.

ფოლკლორული ინსტრუმენტებიც უაღრესად საინტერესოა. მავალითად,

ყველაზე გავრცელებული ბასკური მუსიკალური ინსტრუმენტი „სისტუ“ — ეს არის სამნახვრეტიანი სალამური. იგი ცალი ხელით უკავია დამკვრელს.

სიმღერის ან ცეკვის დროს ზემოხსენებულ სისტუს აკომპანირებას უწევს დოლი — ბასკურად ატაბელი, რომელზედაც სალამურის დამკვრელი მეორე ხელით (ერთი ჯოხით) უკრავს. ამ ორ ინსტრუმენტს ზოგჯერ ემატება მეორე სისტუ და „სილბოტი“, ანუ ბასკური სისტუ.

ბასკურმა ხალხურმა სიმღერებმა ესპანეთის, საფრანგეთისა და იტალიის მუსიკის დიდი გავლენა განიცადეს. მაგრამ გარე სამყაროს გავლენა უფრო განიცადა ბასკური სიმღერების მელოდიურობამ, ვიდრე რიტმმა. რიტმი და ტემპი მინც თავისებური რჩება ბასკურ სიმღერებსა და ცეკვებში.

ბასკებისათვის დამახასიათებელი იყო ცეცხლოვანი ცეკვები ეკლესიაში ან მის ახლოს. კათოლიციზმი შეეცადა გაეღვენა ეკლესიიდან ცეკვა, მაგრამ ვერ მოუღო მას ბოლო, ვინაიდან მისი ძირი ხალხის ჩვეულებაში მეტად ღრმაა. ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში იყო შემთხვევები, როცა საკურთხევლის წინ 50 მოცეკვავე ასრულებდა „ცეკვას ხმლებით“. ამ ცეკვას ახლაც ასრულებენ ეკლესიის წინ, ან მის ახლოს. „ცეკვა ხმლებით“ ხუთტაქტიანია და ცეკვავენ ისე, როგორც ჩვენებურ „ხორუსს“.

თანამედროვე ბასკური მუსიკა მეტწილად ფრანგული სკოლის გავლენას განიცდის. ბასკი მუსიკოსები უმთავრესად ფრანგი კომპოზიტორის მორის რაველის (1875 — 1937) მოწაფეები არიან. მორის რაველი დედით ბასკი იყო. იგი ბასკეთში დაიბადა და გაიზარდა (ჩვენში ცნობილია მ. რაველის ბალეტი „ბოლერო“, რომლის შესანიშნავი დადგმა ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრში განახორციელა ვ. ჰაბუციანმა).

ბასკი მუსიკოსებიდან მოსახლეობაში ყველაზე უფრო ცნობილია ერმან ბონალი. ბასკებს ჰყავთ ბასკური ხალხური

რი სიმღერისა და ცეკვების ანსამბლები: „ეტორკი“ და „ოლდარა“.

ბასკებისათვის დამახასიათებელია დიდი სიყვარული სამშობლოსადმი. ბასკი ვერსად ვერ გრძნობს თავს კარგად, რა პირობებშიც არ უნდა იყოს ის, თუ იგი მოშორებულია თავის სამშობლოს.

სამშობლოსადმი ბასკების დიდ სიყვარულზე მიუთითებს შემდეგი ნაწყვეტი ბასკური ლექსიდან:

ესტის ესტიეკო,
ესკოს არგიეკო.
ესკვარა გურეა,
ესკვარა მაიტეა.

ქართული თარგმანი:

თაფლის სანთელზე უბრწყინვალესო,
და თეთონ თაფლზე უფრო უტკბესო,
უსაყვარლესო ჩვენი ვესკურო,
უსაყვარლესო ენავ ბასკურო.

ბასკებისათვის დამახასიათებელი თვისებებია: პირდაპირობა, სიმტკიცე („შუშენ შუშენა“), ერთგულება, თავდადებულობა („ესკვალდუნ ვედეა ღუნა“), მისწრაფება — ყოველთვის წინ! („ბეთი ენსინა!“), რწმენა, პატიოსნება, დემოკრატიული გრძნობები, თავისუფლებისადმი სიყვარული და მისწრაფება, მტერთან შეუპოვარი ბრძოლა. ბასკები განთქმული მებრძოლები და მეზღვაურები არიან. სხვათა შორის, მახსოვს, როცა თურქეთში ვიყავით და თურქებს ვესაუბრებოდით ქართველების (კერძოდ, ქანების ანუ ლაზების) შესახებ, ერთმა თურქმა გვითხრა: თუ გინდათ ნახოთ ლაზები, მიმართეთ მეზღვაურებს, იქ უამრავი ლაზია, ამას მთავრობაც უწყობს ხელს, ვინაიდან ისინი ამტანი, მამაცი და ენერგიულები არიანო.

შესახებდავად ბასკი არის გამხდარი, მაღალი, შავგვრემანი, მოგრძო და მაღალი ცხვირით, ენერგიული, მკვირცხლი, ლაპარაკის დროს ხშირად მიმართავს ექსტიკულაციას, კარგი მოსაუბრეა.

ილია ტაბალუა
ბასკებთან

საინტერესოა ბასკური ურემი. ის არის ისეთივე მაღალი და ორთვლიანი, როგორც ჩვენთან. ბასკები ღვინოს ინახავენ ტიკტორაში. ზოგჯერ პირდაპირ ამ ტიკტორიდან სვამენ ღვინოს.

ბასკების ერთ-ერთ სოფელში ყოფნის დროს ბასკებმა მიიხრეს, დღეს ერთ-ერთ ბასკურ სოფელში — არკანგში ამ სოფლის დაარსების 1150 წლისთავი არისო, და მიჩნეის დავსწრებოდი ამ დღესასწაულს. ეს სოფელი ჩვენგან სულ რაღაც 15—20 კილომეტრით იყო დაშორებული. ასე რომ სულ რამდენიმე წუთში ჩვენ უკვე არკანგში ვიყავით.

აქ მართლა დღესასწაული დაგვხვდა, სადაც თავი მოეყარათ არა მარტო ადგილობრივ მცხოვრებლებს, არამედ მეზობელი ქალაქის და სოფლის მცხოვრებთ. ისინი მღეროდნენ, ცეკვავდნენ, პელოტს თამაშობდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ბევრი ხალხი იყო და თითქმის ყველა დამსწრე რაიმე გასართობით იყო დაკავებული, მაინც ჩვენი მისვლა შეუმჩნეველი არ დარჩა მათთვის. მოედანზე, შესასვლელთან, ჩვენ შემოგვხვდა რამდენიმე კაცი, მათ შორის მერის მოადგილეც. როცა მე მას ავუხსენი ჩემი მოგზაურობისა და აქ მოსვლის მიზანი, იგი მეტად ნასიამოვნები დარჩა და მიიხრა, რომ არკანგის მერი ამჟამად წასულია სხვაგან, მაგრამ მეტად კმაყოფილი იქნებოდა, თუ მე მას ვინახულებდი და გავესაუბრებოდი. ამასობაში, მან დაავალა თავის მეგობრებს, შეეტყობინებინათ მერისათვის „ქართველი ისტორიკოსის ჩამოსვლის შესახებ“.

ათიოდე წუთის შემდეგ მოედნის შემოსასვლელს მოადგა მანქანა, რომლის მძღოლიც და მგზავრიც იყო ხანში შესული ადამიანი. ხანდაზმულობის მიუ-

ხედავად, იგი, ენერგიულად გადმოვიღო მანქანიდან, მოვიდა ჩვენთან, ხელი ჩამოგვართვა და გვითხრა: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“ ეს იყო არკანგის მერი პიერ დ'არკანგი.

იგი ნაკითხი კაცი აღმოჩნდა, კარგად იცოდა არა მარტო ისტორია და ლიტერატურა, არამედ ეთნოგრაფიაც და არქეოლოგიაც. მას დაუწერია ბროშურა არკანგის წარმოშობის შესახებ, სადაც ნაწილობრივ ეხება ბასკების ისტორიას. მან იქვე მოატანინა ეს ბროშურა და სახსოვრად გადმომცა. როცა ჩვენ შევეხეთ ბასკების წარმოშობის საკითხს, მათს ისტორიას და ბასკური ენის კავშირის საკითხს იბერიულ-კავკასიურ ენებთან, პიერ დ'არკანგმა მიიხრა შემდეგი: „ბატონო, მე არც ისტორიკოსი ვარ და არც ლინგვისტი, მაგრამ მე იმ აზრისა ვარ, რომ ბასკური ენის დედა ქართული ენააო“.

არკანგის დღესასწაულზე თავმოყრილთა შორის გავარდა ხმა „ქართველი ისტორიკოსის“ ჩამოსვლის შესახებ. ყველა ცდილობდა ახლო მოსულიყო და რაიმე ეკითხა. ჩანდა, რომ იბერიულ-კავკასიურ ტომებთან ბასკების ურთიერთობის საკითხი საერთოდ ცნობილია მოსახლეობაში.

ჩვენ კიდევ რამდენიმე სოფელი დავათვალიერეთ, მათ შორის სოფელი ტარდეცი, სადაც აკად. ნ. მარი მუშაობდა და რომელსაც მან მიუძღვნა თავისი ცნობილი ნაშრომი: „პირენეების გურიიდან“. მართლაც გავს ეს მხარე გურიას.

უკვე საკმაო დრო გავიდა. წინ უამრავი სხვა სამუშაო მიცდიდა. ამიტომ ჩვენმა მანქანამ მიმართულება ბიარციისაკენ აიღო. ბაიონში რამდენიმე საათის დაყოვნების შემდეგ ჩვენ კვლავ ბორდოში ვიყავით.



საინტელექტუალური

აღექსანდრა კაიხაური

თავდაღებული სკოტსმენი

ერთხელ, 1959 წლის სექტემბერში გიორგი ეგნატაშვილი შემხვდა და მიიტხრა: „წამო, საშა, ის ადგილი უნდა გიჩვენო, საცა დავიბადე და ბავშვობა გავატარეო“. ჩემს საყვარელ მასწავლებელს ხშირად ვხვდებოდი ხოლმე და დიდ ხანსაც ვსაუბრობდით, მაგრამ იმ დღეს, არ ვიცი, რა გუნებაზე იყო გიორგი. სხვა საქმეზე მივდიოდი, მაგრამ უარს როგორ ვეტყვოდი. ნელა შევეუყუვეით მოსკოვის ქუჩას. გიორგი მამადავითის უბნიდან იყო და დიდი სიყვარულით ლაპარაკობდა ამ არემარეზე.

ბარნოვის ქუჩიდან მარცხნივ შევეუხვეით, გურამიშვილის აღმართს ავეყუვეით და იმ წყაროს მივადექით, რომელიც მოსკოვის ქუჩით ქვევით მიემართება. მამადავითის კალთებზე ბევრი წყარო მოწანწყარებდა თურმე, მაგრამ ტყე გაუჩეხიათ და წყაროები დამშრალა. გურამიშვილის აღმართზე, მარცხენა მხარეს მესამე სახლი ვინმე იახირევისა ყოფილა. სახლი ქუჩიდან ერთსართულიანია, ეზოდან — ორსართულიანი და გაბანთ ხევს გადაჰყურებს. ზევითა სართულზე სახლის პატრონი ცხოვრობდა, დაბლა, ერთ პატარა ოთახში — სენურ ეგნატაშვილი. სენურს უთხოვია მეზობლის ქალიშვილი სოფიო ფეოდოროვა და ამ სახლში 1885 წ. დაბადებულია შემდგომში სახელმოხვეჭილი

ქართველი ტანმოვარჯიშე გიორგი ეგნატაშვილი.

ამ ეზოში და უბანში გაატარა გიორგიმ მოუსვენარი ბავშვობა. ხშირად უნახავთ იგი ფიცრული ღობის თავზე მოსიარულე. ერთხელ წონასწორობა დაუკარგავს, გაბანთ ხევში გადავარდნილა და ნიკაპქვეშ ნაჭრილობევი საბოლოოდ დააჩნდა.

გიორგის მამა სიმონი (შინაურობაში სენური) სააქციო საზოგადოებაში მუშაობდა. კარგი მონადირე იყო და საუკეთესო ჯიშის სეტერი მუდამ უკან დასდევდა. ერთხელ სანადიროდ წასული წვიმაში გალუმბულიყო, შინმობრუნებულს ტანსაცმელი არ გამოეცვალა და ისე მისძინებოდა. ეს შემთხვევა სენურს საბედისწეროდ ექცა. ჯერ ყავარჯნით დადიოდა და მერე ლოგინდაც ჩავარდა. გიორგის დედა რკინიგზის სამმართველოს კანცელიარიაში მბეჭდავმანქანედ მუშაობდა და ავადმყოფ მუშაობდაც უვლიდა.

პატარა გიორგი მოხუც დიდდა მარიამთან დადიოდა შუაბაზარში. დიდდას ბევრი მტრედი ჰყავდა. საათობით შეჰყურებდა გიორგი მტრედების ცაში ნავარდს. მერე მამის ხელობით დაინტერესდა, წისქვილის ბორბლების კეთებაში დახელოვნდა და მთელ დღეს რუზე ატარებდა. სარეცელს მიკრული სენური



კარგი მთხრობელი იყო და ბავშვიც სულგანაბული უცდებდა ხოლმე ყურს. მაგრამ მამა მალე გარდაიცვალა და ეგნატაშვილები საცხოვრებლად ვერის დაღმართზე გადავიდნენ. შვიდი წლის გიორგიმ უკვე კარგი ცურვა იცოდა. განსაკუთრებით ხშირად იგონებდა გიორგი ერთ ამბავს. ერთხელ დიდმა წვიმამ ეს ხეობა კინაღამ წალეკა თურმე. ეზოები ქვიშა-ლორღით აავსო. წვიმის წყალს ერთი მსხვილი მილიც ჩამოეტანა. გიორგიმ შიგ გაძრომა განიზრახა და საქმეს შეუდგა. მაგრამ მიღში ფორთხვა ძნელი გამოდგა, სუნთქვა გაუჭირდა, ველარც უკან დაბრუნდა, გაჭირვებით მიიწევედა, ხელები წინ გაიშვირა და ბიჭებმა ძლივს გამოათრეეს.

გიორგი უბნის ბიჭებთან ერთად მტკვარზე დადიოდა. შაღლიდან ტომარაში ეჯობებოდნენ ბავშვები ერთმანეთს. მერე ბადის ქსოვაც ისწავლა და თავისი მოქსოვილი ბადით თევზაობდა.

ათი წლის გიორგი რკინიგზის სკოლაში მიაბარეს. აქ ფიზიკურ აღზრდას ოფიცერი ასწავლიდათ. უფრო მეტ ხანს სამხედრო-სამწყობრო ვარჯიშები ჰქონდათ. ერთხელ მწკრივში მდგარ გიორგას ოფიცერმა ნიკაში ამოჰკრა ხელი, — თავი მაღლა ასწიეო. ამის შემდეგ ბავშვი ოფიცერს ახლო აღარ მიჰკარებია და ურჩობისათვის კარცერში ჯდომა არჩია. სკოლაში ყაზარმული რეჟიმი იყო. უსულგულო მასწავლებელთა შორის განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩეოდა მღვდელი იაროსლავცევი.

ამ ხანებში გიორგი ჭიდაობამ გაიტაცა. საჭიდაო მოედანი საბაღოსნო სკოლის მოსწავლეებს იქ ჰქონდათ გამართული, სადაც ახლა „დინამოს“ სტადიონია. იქ ათენებდა და აღამებდა. ჭიდაობის ხერხები შეისწავლა — შუაკური, კისრული, მოგვერდი. შეგროვებული ფულით ორი ტომარა იყიდა, კუთხეები ამოაქრა და ორი საჭიდაო ჩოხა ვაიკეთა. ტოლ-ამხანაგებთან ჭიდაობდა მტკვრის ნაპირას, ქვიშაზე.

რკინიგზის ექვსკლასიანი სკოლის დამთავრების შემდეგ გიორგიმ ტექნი-

კუმში შესასვლელი გამოცდები ჩააბარა. მაგრამ საექიმო კომისიამ მკერდზე უბრალო საღებავებით დახატული ღუზა დაუნახა და მიღებაზე უარი უთხრა.

გიორგი რკინიგზაზე მოაწყეს. აქ გაიცნო მან ვინმე გელვიხი, რომელმაც გიორგი პირველი გიმნაზიის სატანვარჯიშო დარბაზში მიიყვანა. მაშინ აქ ჩეხები ვარჯიშობდნენ: ძმები სკოტაკები, ვახეკი, გრიუმლიკი, ზემანი, ძმები ნოვაკები. გიმნაზიის ტანვარჯიშის მასწავლებელი იყო ანტონ ლუკევი. გიორგის მოეწონა აქაურობა და მესამე დღეს ისევ ამ დარბაზს მიაშურა. 1903 წელს აქ სამი ჯგუფი იყო. პირველს — გრიუმლიკი, მეორეს — ბოგომილ სკოტაკი და მესამეს გრიგოლ მიკირტუმოვი ხელმძღვანელობდნენ. აქ დაადგა გიორგი თავის გზას, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე განუხრელად მისდევდა. გიორგის უშველა ყაზარმებში სიარულმა, იქ იარაღებზე ვარჯიშმა და მრავალმხრივმა ფიზიკურმა მომზადებამ. თვრამეტი წლის გიორგის გული ერჩის, სურს მალე დაეწიოს და გაუსწროს იმათ, ვინც სჯობნის. მაგრამ ტანვარჯიში არც თუ ისე ადვილი საქმეა. გრიშა მიკირტუმოვი თელაველი იყო, ტანმორჩილი და კუნთმაგარი. ყველა იარაღზე ლამაზად ვარჯიშობდა, განსაკუთრებით — ორძელზე. მეორე ჯგუფი უკეთესი იყო, აქ რთულ ვარჯიშებსაც მოხდენილად ასრულებდნენ. ხოლო პირველი ჯგუფი ნამდვილად რჩეულთა ჯგუფს წარმოადგენდა. გრიგოლ მიკირტუმოვი, ვისთანაც პირველად მოხდა გიორგი, უნარიანად ხელმძღვანელობდა მოწაფეებს. გიორგის განსაკუთრებით მოსწონდა გრიუმლიკი, მსოფლიო შეჯიბრების მრავალგზის მონაწილე, მგონი ყოფილი ჩემპიონიც.

I გიმნაზიის დარბაზი პატარა იყო, ვიწრო და გრძელი. ეზოში ცალკე შენობა სასწავლებელზე მიედგათ. ხის ბაქანზე (კრონშტეინზე) იდგა ორი ღერძი (დაბალი და მაღალი), ეკიდა რგოლები, იქვე სხვადასხვა ასაკის მოვარჯიშეებისათვის იყო რამდენიმე ორძელი, ტიპი, ხარიხა, მაგიდა და სხვა დამხმარე იარა-



ლები. იატაკი ცემენტისა იყო. საღამო-ობით ნავთის ლამფის შუქზე მეცადინეობდნენ. ვარეშენი ეზოდან შემოდინდნენ, ხოლო მოსწავლეები ზემოდან, დერეფნიდან ჩადიოდნენ. ჩეხებმა და განსაკუთრებით ზემანმა საუცხოოდ მოაწყო რეალური სასწავლებლის დარბაზი და საქმევ კარგად წაიყვანა.

გიორგი სისტემატურად და თავგამოდებით ვარჯიშობდა. დიდი სიზუსტით ბაძავდა ცალკეული ძლიერი მოვარჯიშეების ილეთებს.

განსაკუთრებით აღინიშნა გიორგი ეგნატაშვილის პირველ ჯგუფში გადაყვანა წლის თავზე. გრიუმლიკმა მკაცრი დისციპლინა დაამყარა, მოწაფეებს მისი შიში და მოკრძალება ჰქონდათ, ლაკონური ახსნა-განმარტება იცოდა. უცნაური კაცი იყო. ღრმა მოხუცებულობამდე თბილისის არც ერთი სახის ტრანსპორტით არ უსარგებლია და მუდამ ფეხით დადიოდა. ბოლოს სკოლაში გერმანულ ენას ასწავლიდა. ჩეხ ტანმოვარჯიშეებში თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენდა ანტონ ლუკეში. იგი ფიზიკურად ძლიერი იყო, ვარეგნულად მრისხანე, დიდი უღვაშები ჰქონდა და სწირი წარბები. გიორგი პაპას ეძახდა. თავისი საქმის დიდი ერთუზიასტი, ზედმიწევნით მცოდნე და კარგი პედაგოგი იყო. მოწაფეებში განსაკუთრებული სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობდა. 1905 წელს გრიუმლიკი ანტონმა შეცვალა და საზოგადოების უფროსი გახდა. მისი წყალობით პირველი გიმნაზია და ტანვარჯიშული საზოგადოება ტანვარჯიშის ცენტრალურ ბაზად იქცა. აქ აღიზარდნენ გიორგი ნიკოლაძე, ვაიოზ ბერტლაშვილი, ვიაჩესლავ მარცინოვსკი, ძმები ვენია და ბორის ერპარტები, მალინოვსკი, ძმები სახაკები, ჯორჯაძე, დათა ჯავრიშვილი, ვლადიმერ ბაუერი, გრიგოლ მიკიტუშოვი.

გიორგიმ პედაგოგიური მოღვაწეობა 1905 წელს ქრისტოფორე ლალაიანცი-თან დაიწყო. ლალაიანცი ინჟინერი იყო, მისი პროექტით აშენდა სოღანლულის ხიდი. ტანვარჯიშით გატაცებულმა

ინჟინერმა რკინიგზის ქუჩაზე ტანვარჯიშის წრე გახსნა. ორი ოთახი დარბაზად გადაქცია. გიორგი აქ გიმნაზიის უფროსი კლასის მოწაფეებს ავარჯიშებდა და საათში ლალაიანცი 50 კაპიკს უხდიდა.

ანტონ ლუკეში თავის სასწავლებელში ტანვარჯიშულ დილებსაც ატარებდა. ანტონ ლუკეშისა და ივანე ვახეკის ვარჯიში მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. გიორგი გატაცებით ადევნებდა თვალს მათ ვარჯიშს.

1907 წელს ტანვარჯიშის მსოფლიო შეჯიბრისათვის თბილისიც ემზადებოდა. სავარჯიშო დღეებს კვირაც მიემატა. მოვარჯიშეებს ხელუბი დაუკორძდათ, განსაკუთრებით ფანერგადაკრული ღერძის წყალობით. მონაწილეთა ჯგუფი ასე დაკომპლექტდა: ანტონ ლუკეში, გიორგი ეგნატაშვილი, ადოლფ ელზენგერი, ივანე ვახეკი, ვლადიმერ ყივიანი, გიორგი ბოიანჩიევი და ლუკა ლორენცი. მეფის ნაცვალმა შუამდგომლობა აღძრა და თბილისის ტანვარჯიშული საზოგადოება მოსკოვის სკოლის I განყოფილებად დაამტკიცეს; უამსოდ შეჯიბრში მონაწილეობა ფრხდებოდა. თბილისის გუნდი II ადგილზე გამოვიდა, ჩეხებმა პირველი ადგილი დაიკავეს.

1909 წელს გიორგი I ჯგუფის მწვრთნელია. ანტონ ლუკეშის წინააღმდეგობით და საერთო კრების გადაწყვეტილებით ეგნატაშვილი პრალაში ტანვარჯიშის უმაღლეს კურსებზე მიაღწინეს. რგოლებზე გიორგის ვარჯიშს ივანე ვახეკის კვალი რომ ეტყობოდა, პრალაში ყველამ შეინიშნა. კურსების უფროსი იყო ინდრა ვანიჩეკი. თეორიულ საგნებში (მედიცინაში, ვარჯიშების ტერმინოლოგიაში, მეთოდოლოგიაში) ლექციება ყველას ერთად ეკითხებოდათ. პრაქტიკულ მეცადინეობაში კი, სიძლეერის მიხედვით, ცალკე ჯგუფები იყო დაკომპლექტებული. კურსების მეცადინეობა დილის 6 საათიდან საღამოს 9 საათამდე

აღექსანდრე კაიშაური
თავდადებული სპორტსმენი

გარქელებოდა. გიორგიმ ბევრი ჩეხი მეგობარი გაიჩინა. ინდრა ვანიჩეკმა გამოსამშვიდობებელ სალამოზე ასე მამართა მსმენელებს: „ასეთი ძლიერი შემადგენლობის კურსები მე არ მახსოვს, ჩვენ უღმობელნი ვიყავით და თქვენც კარგად აიტანეთ ყველაფერი, ჩვენ ერთმანეთს კარგად გავუგეთ და მხოლოდ დაშორება მრჩება სანანურადო“.

1908 წელს გიორგი თავისი საყვარელი მასწავლებლის წინადადებით ტანვარჯიშის კურსებზე მიიწვიეს და ძლიერ მოვარჯიშეთა ჯგუფი ჩააბარეს. ლუკეში და ვახეკი ლექციებს კითხულობდნენ. კურსები სასწავლო ოლქმა მოაწყო ამიერკავკასიის სკოლების მასწავლებლებისათვის. კურსების მთელმა შემადგენლობამ შეიყვარა გიორგი.

1910 წელს ოლქის მზრუნველმა ქ. კრასნოდარში ჩრდილო კავკასიის ოლქის მასწავლებლებისათვის ტანვარჯიშის კურსები გახსნა. გიორგი აქაც მიიწვიეს. ლექციებს კითხულობდნენ ივან ვახეკი და ქალი შკიპლოვა. 25 წლის გიორგი დიდი სიყვარულით ატარებდა მეცადინეობებს. მსმენელთა შორის იყო ერთი ქართველი, გვარად ღუღუშაური. კურსები რეალურ სასწავლებელში იყო მოწვეული. სასწავლებლის წინ ეკლესია იდგა და კვირაობათ ბევრი ხალხი ირეოდა ზოლმე. ერთხელ ერთი მოხუცი, რომელაც მოვარჯიშეებს შეპყურებდა, ღუღუშაურს შეეკითხა თურმე: „ესეინ ვინ არიანო“. „საგიჟეთია, დედი, საგიჟეთიაო“ — უბასუხა თურმე ღუღუშაურმა. მოხუცს ცრემლები მორევიდა, პირჯვარი გადაუწერია, ცხვირსახოციდან ორშაურიანი ამოუცოცებია და ღუღუშაურისთვის უთხოვია: „დედაშვილობას, ავადმყოფებს გადაეციო“.

კურსები 1911 წელსაც მოეწყო. გიორგი კვლავ მიიწვიეს.

კაბიტანმა ფოკმა სამთო-საარტილერიო ათასეულში მიიყვანა ტანვარჯიშის მასწავლებლად გიორგი. ორი წელი მუშაობდა. ჯარისკაცებს ლმობიერად ექცეოდა.

გიორგი მიიწვიეს აგრეთვე მრწამს მზომელთა სასწავლებელში, სადაც ტანვარჯიშის წრე ჩამოაყალიბა.

ქართული გიმნაზიის დირექტორს ალექსანდრე მდივანსაც უქვს გიორგი და მდივანმა ტანვარჯიშის წრე ჩააბარა. მეცადინეობას სალამოს საათებში ატარებდა. ტანვარჯიში ახალა ხილი იყო სასწავლებელში, ელვის სისწრაფით გავრცელდა ეს ამბავი. გიორგიმ შესანიშნავი მოვარჯიშეები გამოზარდა ამ სასწავლებლის კედლებში: დათა ჯავროშვილი, ირაკლი ლორთქიფანიძე, არჩილ ბაქრაძე, ესტატე ინასარიძე, შალვა აღლაძე, სოსო მენაღარიშვილი, ირაკლი ვაჩნაძე, ალიკო გვერდწითელი, გოგი ლაზრიშვილი, გიგა ლაფერაშვილი, ვახტანგ ციციშვილი და სხვა.

ალექსანდრე მდივანი ამ მეცადინეობების ხშირი სტუმარი იყო და ხშირად ეუბნებოდა გიორგის: „სულ ვადმოდი, მასწავლებლად დაგნიშნავ, კარგი ხელფასი გექნებაო“. გიორგი დათანხმდა, რკინიგზა სულ მიატოვა და ქართულ გიმნაზიაში გადმოვიდა.

1911 წელი. პირველი კლასის მოწაფე ვარ. დღეს ოთხი ვაკვეთილი ვვაქვს. მეოთხე ვაკვეთილი ტანვარჯიშია.

დიდი შესვენებაა. სრიალით მივყვები სარკესავით გლუვ იატაკს, ხშირად ყირამალა ვადავდივარ. შემდეგ ზარი დარეკა და ქვივლ-ხივილიც ნელ-ნელა მიწყდა.

ჩვენი ოთახის კარებთან კლასის დამრიგებელი, ქართული ენის მასწავლებელი ლუარსაბ ბოცვაძე დგას და ახოვან ახალგაზრდას ესაუბრება. ორივენი საკლასო ოთახში შემოდიან, მისალმების ნიშნად ფეხზე წამოვიშალებთ.

— ბავშვებო! — ლუარსაბ ბოცვაძემ პიჯაკზე მიბნეული პენსენი გაისწორა და გვერდზე მდგომ ახოვან ახალგაზრდას შეხედა, — ეს თქვენი ტანვარჯიშის მასწავლებელია.

ამის შემდეგ ერთმანეთს გაუღიმეს და თავაზიანი თავის დახებით გაშორდნენ.

ახალმოსულმა დერეფანში გამოგვიყვანა, წყვილწყვილად მოგვაწყო და

ეზოში გაგვიყვანა. სიმალის მიხედვით დაგვაყენა და გვითხრა: ვინ ვის შემდეგ დგახართ, დაიმახსოვრეთო და დაგვშალა. მერე კი ომახიანი და სასიამოვნო ხმით ბრძანება გასცა: მოეწყეთო. ადგილზე სიარულიც გვასწავლა.

„თქვენ რომ დერეფანში თამაშობდით, მე გიყურებდით, კარგად დარბოდითო, აბა ამ კედელთან ვინ უფრო ადრე მიიბრუნს და დაბრუნდებაო“.

თავგამოდებულები დავრბოდით. მერე მწკრივში დაგვაყენა და ყველას სახელი და გვარი გვკითხა, თან გვაკვირდებოდა, სახეებს იხსომებდა.

საკვირველი მეხსიერება ჰქონდა. ქართულ გიმნაზიაში 13 წელი დაჰყო მასწავლებლად და ყველას სახელი და გვარი ახსოვდა.

მასწავლებელმა გამოგვიცხადა, ჩემი გაკვეთილი კვირაში ერთხელ გექნებაო და გამოგვეშვიდობა.

ამიერიდან ჩვენი საუბრის მთავარ თემას ტანვარჯიშში წარმოადგენდა. ცხადია, 10—12 წლის ბავშვებისათვის ამგვარი თამაშობანი უცხო ხილი არ იყო, მაგრამ უჩვეულო ის იყო, რომ მასწავლებელი გვიტარებდა.

მეორე დღეს, დიდ შესვენებაზე ჯერ მირზაშვილის ბუფეტს მივაშურეთ და მერე ეზოში გავცივიდით. შენობის წინ, ქვის კარებთან ჩვენი მასწავლებელი იდგა. უამრავი მოწაფე ეხვია. ჩვენ შორიახლო დავდექით. ყავისფერი ევროპული კოსტუმი ეცვა. ათლეტური აგებულება ჰქონდა, მარცხნივ გაყოფილი და მალა ავარცხნილი ქერა თმა, სწორი, პატარა ცხვირი, ვიწრო პირი და თხელი ტუჩები, ოდნავ ზევით აგრესიული ქერა, კოხტა ულვაშები, განიერი მხრები და ვოლიათური გულმკერდი. ილიმებოდა და მოწაფეებს რაღაცას უამბობდა. მოწაფეები მიიწევდნენ, ყველა ახლო მისვლას ცდილობდა. მერე ზარიც დაირეკა, მასწავლებელი კარისკენ გაემართა და მოწაფეებიც გაიყოლია.

სანატრელი შეგვექმნა ტანვარჯიშის გაკვეთილი. ეს იყო ბედნიერი დღეები და ყოველ ჩვენგანს ტკბილ მოგონებად

გაჰყვა მთელი ცხოვრების მანძილზე. მუდამდღე ჩვენთან ტრიალებდა, გატაცებით მოგვითხრობდა ჩეს სპორტსმენებზე. ჩვენითვის მახლობლები იყვნენ ფრანც ერბენი, ინდრა ვანიჩეკი („ამან პირველმა შეასრულა რგოლებზე აღმატრიალიო“), ჩილა, დაველი და სხვები. მეგობრებმა ვასო აბდუშელიშვილმა და ქრისტეფორე ღვინიაშვილმა გიორგის ჩეხოსი დაარქვეს.

გიორგის ძალიან უყვარდა ფეხით სიარული. ბორჯომის ქუჩიდან ვერის აღმართით სასწავლებელში ამოდიოდა. მეცადინეობის დროს, ცხადია, ფეხზე იდგა. შესვენებაზედაც მოწაფეებით გარშემორტყმული იყო და გვესაუბრებოდა. იმავე გზით შინ ბრუნდებოდა. საღამოს ყოველდღე გიმნაზიაში ან სკოლაში სამეცადინეოდ დადიოდა. ერთხელ შევეკითხე: „ამდენ ფეხზე დგომას როგორ იტანთ-მეთქი“. ასე მაპასუხა: „კარგი ცხენი არასოდეს წეებაო“.

გიორგიმ სატანვარჯიშო დარბაზი მოაწყო და ოლშანიკისა და ბატიკოვის სპორტფაბრიკიდან საუკეთესო იარაღები გამოიწერა. მისაბაძი მაგალითი იყო ექიმ ბალარჯიშვილის საქმიანობა. სმენა დაქვეითებული ჰქონდა, მაგრამ სრულებითაც არ უჭირდა მოსწავლეთა სამედიცინო მომსახურება. დიდი დაკვირვებით ადევნებდა თვალყურს მოსწავლეებზე ფიზიკური აღზრდის გავლენას. ანტროპომეტრიას აწარმოებდა.

1912 წელს გიორგი ეგნატაშვილმა განსაკუთრებული გამოცდა ჩააბარა, ტანვარჯიშული დილა მოაწყო. ეს იყო განვლილი დაძაბული წლის შეჯამება. ეზო აღმებით თვითონ შორთო, სავარჯიშო მოედანი დახვეტეს, თოკით შემოფარგულეს. მყურეობლებისათვის დასაჯდომები მოაწყეს. ზუსტად 5 საათზე სასულე მუსიკამ დაიგუგუნა. წინ ძლიერი მოვარჯიშეები მიდიან, მათ მასწავლებლის ფორმაში გამოწყობილი მომდევნო თაობა მიჰყვებათ, წინ გი-

ალექსანდრე კაიშაური
თავდადებული სპორტსმენი

ორგი მიუძღვებოდა, ჩეხური სპორტული ფორმა აცვია. მონაწილეებმა მოედანს შემოუარეს, ხალხი ფეხზე დგას და ტაშს უკრავს. გიორგიმ ლუქეშს სამხედრო სალაში მისცა. შემდეგ დაიწყო თავისუფალი ვარჯიში და ვარჯიში იარაღებზე. დილა სახალხო დღესასწაულად იქცა. ცრემლმორეულმა ლუქეშმა გადაკოცნა გიორგი. „მე გიმნაზიაში მეცადინეობის ჩატარება დიდ სიამოვნებას მგვრიდა და ამისათვის ფულს რომ მაძლევდნენ, ასე მეგონა, ვილაცას ვძარცვავდიო...“ — იტყოდა ხოლმე გიორგი. ტანვარჯიშული დილა 1913 წელსაც განმეორდა, მაგრამ მერე ომი დაიწყო და დარბაზი ლაზარეთად გადაკეთდა.

1912 წლის მსოფლიო პირველობისათვის გიორგი მალალი თანრიგის პროგრამით ემზადებოდა. გუნდს მასთან ერთად ივან ვახეციკ ხელმძღვანელობდა, მაგრამ იგი გუნდს მალე ჩამოშორდა და თავი პრალაში ამოპყო. ეგნატაშვილმა პირად პირველობაზე ხელი აიღო და ჯგუფს თვითონ გაუძღვა. შეჯიბრებაზე გუნდი შემდეგი შემადგენლობით გამოვიდა: ფრანც ნოვაკი, გაიოზ ბერელაშვილი, გიორგი ეგნატაშვილი, კოტე ურნიმაგოვი, ივან გოშტოფტი. ამათ ინდივიდუალური პირველობისათვის სიმონ ნანეიშვილი და მიშა მოხოვე გაყენენ. IV მსოფლიო პირველობაზე წარგზავნილ თბილისელებს დიდი წარმატება ხვდათ წილად. მათ მსოფლიო გუნდური პირველობა აიღეს, ხოლო ჯგუფში პირადი პირველობა ეგნატაშვილს ერგო. გიორგიმ საქვეყნოდ გაითქვა სახელი, მის ამგვარ წარმატებას ხელი შეუწყო მისმა ხასიათის სიმტკიცემ და თავდაპირველად. ქირს მუდამ მოთმინებით და შეუქმნევლად იტანდა და ამასთან მეტად შრომისმოყვარე იყო.

განსაკუთრებული გასაქანი მიეცა მის შემოქმედებით ენერგიას თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ. განგებამ სამოღვაწეოდ ერთმანეთს შეახვედრა ორი თავდადებული ადამიანი, ორი გიორგი — ეგნატაშვილი და ნიკოლაძე. ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო

მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის შეილება მამარმა და გიორგიმ ქართულ ტანვარჯიშს დიდი ამაგი დასდეს. გიორგი ნიკოლაძე ეგნატაშვილმა ძმები ნოვაკების სატანვარჯიშო მოედანზე გაიცივნო. ხოლო 1912 წელს პრალაში მსოფლიო შეჯიბრებაზე შეხვდა. ამ შეჯიბრებაზე გიორგი ნიკოლაძე პეტერბურგის გუნდში იყო და თავიც ისახელა. თეთრ ჩოხაში ლამაზად გამოწყობილი გიორგი ნიკოლაძე პრალაში ვაჟკაცურად დააბიჯებდა.

გიორგიმ პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტი დაამთავრა, ჯერ ენაქიევიში მუშაობდა, მერე იუზოვკაში მეტალურგიული ქარხნის ინჟინრად გადავიდა, აქ ცნობილ მეტალურგ, შემდგომში აკადემიის ვიცე-პრეზიდენტ ივანე ბარდინს დაუახლოვდა. რევოლუციის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა. აქ მან და გიორგი ეგნატაშვილმა საფუძველი ჩაუყარეს ქართულ ტანვარჯიშს. ქალთა შორის ტანვარჯიშის გავრცელების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის თამარ ნიკოლაძეს. პირადა მაგალითით თამარმა მრავალი ქართველი ქალი ჩააბა სპორტში და ქალთა რამდენიმე ჯგუფის ვარჯიში დიდ სიამაყეს იწვევდა მაშინ ჩვენში.

ამ სამმა შესძლო გარშემო შემოეკრიბა ცნობილი ტანმოვარჯიშეები: ირაკლი ლორთქიფანიძე, დათა ჯაგრიშვილი, გაიოზ ბერელაშვილი, არჩილ ბაქრაძე და სხვები. მათი გამოსვლება თეატრის სცენაზე, მოედნებზე და სახალხო დღესასწაულებზე უჩვეულო მოწონებას იმსახურებდა.

მოწინებით შევედოდი ხოლმე ლენინის სახელობის დარბაზში, სადაც გაისმოდა გურგელას (ასე ეძახდნენ შინაურობაში გიორგის) ომახიანი და სასიამოვნო ხმა.

მეტად ნაყოფიერი იყო გიორგის მოღვაწეობა განსაკრამში ფიზიკური აღზრდის ინსპექტორის თანამდებობაზე. მისი თაოსნობით კურსებზე მზადდებოდა კადრები. ამასთან დიდ დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევდა მასწავლებლებს პროგრამულ-მეთოდური სა-

კითხვების გადაწყვეტაში. მისი გამოჩენა მეცადინეობას მეტ შინაარს მატებდა, აღმზრდელსა და აღსაზრდელს ახალისებდა.

შემდეგ გიორგი ეგნატაშვილი სპორტული კომიტეტის თავმჯდომარეა. იგი ყველგან არის. ხელმძღვანელობს წრეებს, გამოდის კრებებზე. თბილისში სპორტინვენტარის დამზადებას მოჰკიდეს ხელი და აქაც კონსულტანტად გიორგი ეგნატაშვილი მიიწვიეს. თბილისში დამზადებულმა იარაღმა დიდი მოწონება დაიმსახურა და მოსკოვში საკავშირო შეჯიბრებაზე საჩუქრად წაიღეს თბილისური ღერძი და ორძელა.

განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს გიორგი სპორტსმენთა კადრების მომზადებას. მან ჩამოაყალიბა განათლების მუშაკთა ფიზკულტურის წრე. ეს წრე 1924 წელს ქალთა მე-2 გიმნაზიის შენობის სარდაფში, პატარა დარბაზში მეცადინეობდა. ამ მეცადინეობებზე ყოველდღე მოდიოდა გიორგი ნიკოლაძე და სისტემატურად ვარჯიშობდა. დარბაზში მხოლოდ ორი ჯგუფი ეტეოდა, შესამე დამხმარე იარაღი სარდაფის ღერეფანში იდგა და იქ ვემეცადინეობდით. ამ პერიოდში გიორგი ეგნატაშვილი ქიმიურ ტექნიკუმში მიიწვია ალექსანდრე მდივანმა. მეც იქ დაეწიწე მუშაობა. ოდესღაც აქ ჩეხ ზემანს საუცხოოდ მოწყობილი დარბაზი ჰქონდა. დარბაზი გაპარტახებული დაგვხვდა. აქაურობა, როგორც აყო, მოვაწესრიგეთ. მე მტკვრიდან ხრეში ამომქონდა, გიორგიმ ცემენტი მოზიდა. ორმოგებად ქცეული იატაკი ცემენტით დავაკერეთ. დარაჯი არა გვყავდა და ჩვენვე ვასუფთავებდით. ჩვენი წრე საგრძნობლად გაფართოვდა. სხვა წრეებიც შევიხიზნეთ. აქ ვარჯიშობდნენ ბათუმელი კოკა მეიფარიანი და იულია ფარესაშვილი. ერთიანი საკავშირო პროგრამა არ არსებობდა. საქართველოს პირობებისათვის გიორგიმ შეადგანა პროგრამა ყველა თანრიგისათვის. საქართველოს პირველობაზე ოსტატის საპატიო წოდება პირველებმა დაიმსახურეს მეიფარიანმა და ფარესაშვილმა.

ჩვენს წრეში ვარჯიში დაიწყო გულო რცხილაძემ, რომელიც ძლიერი იყო ღერძზე, ხოლო სხვა იარაღებზე, განსაკუთრებით ტაიჭზე მოახუსტებდა: პირველი ჯგუფი არჩილ ბაქრაძის ნიჭიერმა მოვარჯიშეებმა შეაყეს.

ცნობილია, რომ ყველაზე უფრო მოვარჯიშეს ღერძი იზიდავს. ამ იარაღზე ვარჯიში მიმზიდველია და ეფექტურიცაა. ბჯენითი ვარჯიშებისათვის ორძელს იყენებენ. ნაკლებ მიმზიდველია ტაიჭი, მაგრამ კარგ ფიზიკურ მომზადებასთან ერთად ტაიჭზე მუშაობა ძალების დიდ კოორდინაციას მოითხოვს. ტაიჭი მეტად ოჩანია და მის გახედნას დიდი შრომა სჭირდება. ტაიჭი, რომელსაც დასაწყისში მოვარჯიშე გაურბოდა, ეგნატაშვილის წყალობით უსაყვარლეს იარაღად იქცეოდა ხოლმე. ვარჯიშები გიორგის ხშირად ხარინახზე გადაჰქონდა და როცა ამ ვარჯიშებს დასძლევდა მოვარჯიშე, ტაიჭზე ვარჯიშიც უადვილდებოდა. ყველაზე უფრო ტაიჭით გატაცებული იყო ცნობილი დირიჟორი ევგენი მაჭელაძე.

ეგნატაშვილს შრომა დაუფასდა და საყოველთაო აღიარება მოიპოვა. საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონი ტანვარჯიშში ეგნატაშვილის გუნდი იყო. გულო რცხილაძე სამგზის (1932-33-34 წლებში) გახდა ჩემპიონი. ჩვენი რესპუბლიკა არაერთხელ ასახელეს გოგლო ბაბილოძემ, შურა ჯორჯაძემ, ლევან ყანჩაველმა, ვანო მაჭავარიანმა და სხვებმა. ქალებიდან ჩვენს სპორტს სახელი გაუთქვეს 1936 წლის ჩემპიონმა რაია ზაალიშვილმა, ციალა მაჭარაშვილმა, დოდო ცინითათრაშვილმა, მზია ჯულელმა... გიორგი ეგნატაშვილმა დიდი ეროვნული საქმე იკისრა და მეტად მძიმე პირობებში გააკეთა იმდენი, რამდენსაც ძნელად თუ შესძლებდა ვინმე.

ჩვენი ტანვარჯიშული სკოლის ისტორიაში გიორგი ეგნატაშვილი დარჩება, როგორც ჭეშმარიტი და თავდადებული

ალექსანდრე კაიშაური
თავდადებული სპორტსმენი



სპორტსმენი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა ტანვარჯიშულ სკოლას ჩვენს რესპუბლიკაში.

გიორგი ეგნატაშვილი ძალ-ღონეს და გამოცდილებას არ იშურებდა მაღალკვალიფიციური ეროვნული კადრების აღსაზრდელად. იგი იყო უაღრესად პრინციპული და მომთხოვნი პიროვნება.

მისმა მოღვაწეობამ შესაფერისი ნაყოფი გამოიღო. დღეს მისი მოწაფეები მოკრძალებით და დიდი პატივისცემით ახსენებენ დიდი ოსტატის, ძლიერი სპორტსმენის, გულთბილი და გამტანი მეგობრის ძვირფას სახელს. იხსენებენ ძვირფას მასწავლებელს, რომელმაც მთელი სიცოცხლე საყვარელ საქმეს შესწირა.



10

ტექნიკური რედაქტორი გიორგი ქავთარაძე
 რედაქციის მისამართი: თბილისი, შახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-07-02.

ხელმოწერილია დასაბეჭდოდ 9/IX-63 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 846. უე 05407. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 6.400.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფიკამომცემლობას ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, შარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфиздата, Министерства культуры Грузинской ССР.
 Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.



დუბნის ამ ნაშრომში დახატულია
 შატავა ტანის ანანასის
 ნაწარმოების რეზიდენტები



ანანასის რეზიდენტი



ანანასის რეზიდენტი



**ჩვენი მკითხველების
საუბრა ლეონიდე**

ჩვენი ქრანლის შემდეგი ნომერი მთლიანად დაეთმობა მოძვე აფხაზეთის ლიტერატურასა და ხელოვნებს. ქართული მკითხველი გვეცნობა აფხაზი მწერლების და პოეტების მიერ უკანასკნელ პერიოდში შექმნილ ნაწარმოებებს.

ნომერი ვაძინებდა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნის **დამიანე გოგობის** შესავალი წერილით, სადაც ავტორი მოგვითხრობს აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევებზე.

ქრანალში წარმოდგენილი იქნებიან აფხაზი პოეტები: **დიმიტრი გულაია, ბაგრატ შანკუბა, ივანე თარბა, გიორგი გუბლა, კონსტანტინე ლიშია, კარშალ ჩანჭალაია, შამილ ფილია** და სხვები.

პროზის განყოფილებაში დამიბეჭდება ნაწყვეტი შესანიშნავი აფხაზი მწერლის **ივანე შაპსკიჩის** რომანიდან „ქალის ღირსება“. ამ რომანში ავტორი გვიხატავს შრომისმოყვარე აფხაზ ადამიანების ცხოვრებას.

დამიბეჭდება **შამილ აკუსხას, ალექსი გოგუას, პლატონ ბეზაბ, ალექსი ჯონიას, შოთა ჰკადუას** და სხვათა მოთხრობები, რომელთა შემოქმედებასაც ქართული მკითხველი უკეთესად იტყვისთ ადვილად თვალყურს.

ქოტივისა და ჰუმბოლციხის განყოფილებაში მოწაწყოებენ **კონსტანტინე ლიშია, ხუსუტი ბღეას, შადე იანდ-ფე, შირიან შირნელი**. ისინი თანხმით წერილებით შეთხველს გააცნობენ აფხაზი მწერლებისა და პოეტების შემოქმედებით გზას.

აფხაზურ მხატვრობას ეძღვნება **ანატოლე კაციას** საინტერესო წერილი, ხოლო მრავალსაუბროები აფხაზურ მუსიკაზე მოგვითხრობს **ქუსიკათმცოდნე ლილია კაცბა**.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ
„ДИСКАРИ“
 ИЗДАТЕЛЬСТВО
 „ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“
 ИНДЕКС 76236